

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

11

ნომერი

2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ოლიკო ჟღენტი
ნინო სადღობელაშვილი
გვანცა ჯობაგა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

გარეკანზე
ჯემალ კასრაძის ფოტო („სამოქალაქო ომი“)



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

- ვახტანგ ჯავახიძე. მეც 5**
რენე კალანდია. ლექსები 6
გიორგი შალამბერიძე. შენ დაბრუნდები 10

მხატვრული პროზა

- დალილა ბედიანიძე. შამპანური 13**

რომანი და ისტორია

- ნესტან ფიფია. მხატვრული რეალობა პოლიტიკური კონტექსტით 24**
(ოთარ ჩხეიძის სიმართლე)

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

- ლია სტურუა. მიშგუ ლადელ სი 34**
როსტომ ჩხეიძე. რეკვიემი სინანულისა 40
(ირაკლი წერეთლის ბედისწერა)

ორი ფინჯანი

- „მკითხველი ხიდა“... 56**
(კატო ჯავახიშვილს ესაუბრება გივი აღმაშენებელი)

ქართველები შინ და გარეთ

59 ქეთი ორჯონიკიძე-ქეისი. ჩაძირულები

შტრიხები პორტრეტისათვის

64 ნოდარ ცერცვაძე. ნანი ბრეგვაძის კულისებსმიღმა ცხოვრებიდან

ასალი თარგმანები

66 მარიო ბენედეტი. ნოველები

(ესპანურიდან თარგმნა მაკა გოგოლაშვილმა)

თეატრი

70 ნათელა არველაძე. ლილი + მიშა! (რუსუდან ბოლქვაძის პორტრეტი)

პრეზენტაციები

78 გვანცა ჯობავა. ხვარამზეობა – „სულში ლექსის გადარჩენის დღესასწაული“

80 ტარიელ ხარხელაური – „აბელური სულის ადამიანი“

ნომრის თემა: ომი

15 თამრი ფხაკაძე. ჩემი ომი

17 ზაზა ბიბილაშვილი. გამოსავალი

21 ნინო ქოქოსაძე. აგვისტო, 2008

23 გიორგი კეკელიძე. ომი, რომელიც ვერ რჩება

27 მარიამ ნიკლაური. ყველა ომის ვეტერანი

31 თამარ შაიშმელაშვილი. ქრისტესისხლას შვილები

37 ბელა ჩეკურიშვილი. ბალახისმჭამელებზე და მტაცებლებზე

61 ვასილ გულეური. ომობანას თამაში

67 პაატა შამუგია. ჩემი ომი


73 ლაშა გვასალია. ღმერთსაც ესვრიან...

პოეზია

ვახტანგ ჯავახაძე

მეც...

იდუმალ ირონიებში ეჭვმიტანილმა წინათაც –
 იმ უღვამეებში, რომელიც არ ჰქონდა, ჩაიცინა და
 უსაფეხურო კიბეზე ბიჭივით აირბინა და
 ხელთათმანივით დაყარა ნიღბები აირწინაღთან.
 ენას, რომელსაც წაფავდა პიანოში და ფორტეში,
 ვერ დააჭირა კბილივით იაპონური პროტეზი
 და ასე გაახმოვანა ნასვლა-წამოსვლის პიანო:
 არა რკინის და ფოლადის – ქვისანი დარჩებიანო!
 ფერადი სათვალეებით, რომელსაც არ ატარებდა,
 აკვირდებოდა ცხოვრებას და სმენას არაღარებდა,
 და რადგან ქალბატონებთან აშკარად ვაჟბატონობდა,
 ვერ დადო ხელშეკრულება სინდის-წამუსის დონორთან,
 და ისე გაგვითამამდა ჩვენი რაჭველი ბიჭუკა,
 სიზმრებიც მიიმისა და მიინიჭა და იჩუქა.
 ცისფერი ლაჟვარდებისა არც ჯავრი ჰქონდა, არც ვალი,
 მოსწონდა მეც-ენატობის მხოლოდ პირველი მარცვალი.
 მეც, რა თქმა უნდა, მეცნობა კაცი, რომელიც ტირის და
 კაცი, რომელიც იცინის იმიჯის მონადირესთან,
 რომელმაც, რაკი ციფრების მოძღვარი გადაიკიდა,
 აზრი ძლივს გამოათრია ტელეფონების წიგნიდან
 და იმ მემკვიდრეს, ერთადერთს, გაუბათილა ბრალდება,
 რომელიც არც ებადა და რომელიც არც ებადება,
 და როცა თვალი დახუჭა, იცნო ბრაილი ანბანი,
 ასე დაიწყო და ისე დასრულდა ესე ამბავი.




მხოლოდ ერთი

უკანასკნელ ათწლეულებში ქართულ პოეტურ სამყაროში ტრადიციასავით დამკვიდრდა: შემოდგომაზე პოეტი გლახაკივით ელოდება წლის მოსავალს და მერე ერთბაშად აქვეყნებს ოც, ოცდახუთ, ოცდაათ ლექსს. ცხადია, ყველა ესენი თანაბარი ხარისხისა არ გახლავთ. შეიძლება ამათ შორის ირიცხებოდეს, უფრო სწორად – იმალებოდეს პატარა „მერანი“, პატარა „განთიადი“, პატარა „ეფემერა“. მაგრამ ეს ლექსები ერთმანეთს ავიწროვებენ, ერთმანეთს აერთფეროვნებენ, ერთმანეთს უშლიან ხელს და მკითხველის გადაღლილ თვალს იქნებ გამორჩეს მეცამეტე ან ოცდამეცამეტე პანა „მერანი“ თუ პანა „განთიადი“ თუ პანა „ეფემერა“.

შარშან შემოდგომაზე ოცდარვა ლექსი გამოვაქვეყნე. მას შემდეგ ოცდაოთხი დაწერე და დაბეჭდვას რომ ვაპირებდი, ზემოთე მოსაზრების გამო გადავწყვიტე: თითო-თითო გამოვაქვეყნო ცალ-ცალკე და იქნებ ამჯერად რომელიმე მეცხრე ან მეცხრამეტე შემთხვევაში უმისამართოდ გასროლილ ტყვიასავით შემთხვევით გავარტყა ათიანში თუ არა და ცხრიანში თუ არა და რვიანში თუ არა – შევიდინში მაინც.

ცდა ბედის მონახვერეა. ცდების რაოდენობა შეზღუდული არ გახლავთ. რაკი ყოველთვიურ ჟურნალში ვიბეჭდები, თორმეტი გასროლა გარანტირებული მაქვს და, თუკი თორმეტივე ავაცილე, მაშინ ალბათ სინდისი აღმოჩნდება კარგი საქონელი...

მაშასადამე, ვინცებ:



**რენე კალანდია
ლექსიკონი**

**ჩვეულებრივი, ანუ ჩინური ლექსი – ამოკვანისა-
ამოქანისი სამოგლობსადგი – აღსასრულის წინ**

*„კიდევ არიან პოეტები, თუ სულს დაფავენ...“
კამილ ციპრიან ნორვიდი*

ჩვეულებრივი სულის ლაფვა და
ჩვეულებრივი ბჭე ჯოჯოხეთის:
რადგან სანუთრო ტანჯვით დამთავრდა,
ან დაიწყება გადასახედი:
გზა განვლილია... ბრმა უფსკრულები
მნამს: სტიქსის გაღმა მელოდებიან:
მარადიული ჩვენი სულები
რუსთაველს, შექსპირს იქ შეხვდებიან...
მძიმეა ლოდი და სიმარტოვეც
კენესის სიმძიმით, რადგან ძეგლები
მეფეს სჭირდება და არა პოეტს:
მამულო, გულზე შემოგვევლები! –
ვნერდი, ვლოთობდი: გერიც ვიყავი,
შენგნით ძაგებაც ჯილდო მგონია:
მეფეთა ქებას მერჩინა ყვავის
ყრანტალი – ცრემლი – ცის აგონია...

პოეტური აღსარება

როდესაც ლექსს ვწერ: სეისმური რყევები ხდება –
ჩემში: ათასი იბადება, მრავალი კვდება –
სახე და ნერვი – ჟრუნტელის საღამო დგება –
აუტანელი: დიდი ძაბვა – მიფრინავს ცისკენ,
როგორც ფრინველი, რადგან, ისევ უფლის ხმას ვისმენ –
აჯანყებული მონა ღვთისა, ისევ და ისევ
დანყევლილ სიტყვებს, ანუ ლოდებს მაღალი მთისკენ
ვეზიდები, როგორც სიზიფე...

როდესაც ლექსს ვწერ: არც ვეკუთვნი ამ ტანჯულ მიწას,
თუნდაც სანუთროს: აპოლონის მარჯვენა მიცავს –
თახსირ ჟამისგან და დედ-მამის ბორცვაკებს ვფიცავ –
ვარ, რომ ვიქნები პოეზიის მარადი სულით
მდიდარი, როგორც წინაპართა ძეგლებით წარსული,
ყოფიერებით – ანმყო, ხოლო – მყოობადს გულით
ვეკუთვნი: სივრცის ნისლში მოჩანს გზა – უსასრულო,
ბორცვაკზე უკვე ტირის ტირიფი...

შესვენება, შეჯამება და ა. შ.


გენოს და ზაურს

როგორც ამბობდა გუსტავ ფლობერი:
„თრობას – წინ უძღვის სიტყვა შლეგური“...
მეც, რა თქმა უნდა, დავლიე ბევრი,
მაინც სინდისი მყავდა ებგური,¹
რადგან ვიყავი სამშობლოს გერი,
ალარც მიცდია დიამბეგური
ალვიზინება, უბრალოდ ვმღერი,
ვინემ ჩამითრევს ზღვაში ენგური...

აწი რას დავლევ? – სიცოცხლე ჩემი,
ვერძნობ: აღსასრულის კარს უკაკუნებს:
ჰოლანდიური გამექცა გემი,
ნაპირზე შევრჩი მთხლე საუკუნეს,
ვერ ვთარგმნე რემბოს „მთვრალი ხომალდი“,
მოსდა – წითელი მამლის აფრენა –
მამის სახლ-კარში, ასე ყელამდი
ნეხვში ჩაეფლო ის აღმაფრენა,

რამაც წიგნები დამანერინა,
ასე მამლერა და მალთავა,
სოხუმში მომცა პატარა ბინა,
თუმცა სატანა მიქნევდა გავას,
არ მიკადრია აღარაფერი,
რომ შემერცხვინა გვარი და ჯიში,
იმასლა ვნატრობ: ლოთი – ბებერი,
რომ გავიპარო კომმარულ ძილში...

თუმცა, რა ვუთხრა დედ-მამას ჩვენსას,
მჯერა: ისინი იქ დამხვდებიან,
იქიდან მესმის იმათი კვნესა,
აქ – ისევ ბილნი ამინდებია,
მე რალა უნდა მიშველოს ლექსმა,
უბედურება გადამდებია,
როგორც სახადი: ძმებს, ვფიქრობ გესმით;
შეჯამების ჟამს არ მიყბედია!..




ლოცვა, წერა და გედისწერა

„წერა ლოცვის სახესხვაობაა“.

ფრანც კაფკა

ჰა, მუსიკაში მორევი უკვე
რეალურია, ვინემ ტილოზე...
დღეს პოეზიას მწირ სანთელს ვუკმევ,
ხვალ – არც ვიქნები, ჩემზე ილოცებ
თუ სხვებზე? – მკითხველ-გადამკითხველო,
არცაა ჩემი ფიქრის საგანი...
მივალ: მიმყვება ცა – უსახელო
და მიწის ბორცვი, ვით დოსტაქანი...

¹ ებგური – „მალღით მხედველი და-
რაჯა“ (საბა).



რწმენის რაინდი

„ნინ მარადისობაა!“

ოთარ ჭილაძე

არავითარი წარმავლობა,
მარადისობა – გარდაუვალი –
წინაა და გრძნობს შთამომავლობაც,
რომ კარნახობდა ციდან უფალი –
ჭრელი სანუთროს იდუმალ ანბანს,
იგი იწერდა, როგორც ეწადა:
ზექლესას სძულდა, ზემკითხველს – სწამდა
მისი წიგნების... ეხურა ცა და
მინა – ქალამნად: ასე გასრულდა
მისი სიცოცხლის ლურჯი ზღაპარი, –
პირნათელია ახლო წარსულთან,
როგორც „კაი ყმა“ და წინაპარი...

უფალო, ვინაც აფრენა სცადა,
ფრთები ემსხვრევა ცოდვილ მინაზე...
თუ ანგელოზი გამოეცხადა –
უსპეტაკესი – ბრმათა სინაზით...

**პირნათელისა¹ და პირსისხლიანის²
საბადისნარო შეხვედრა
(1992 წლის 25 თებერვალი, ზუგდიდი)**

გოჩა ჯიქიას ხსოვნას

არქიტექტორი: რატომ, მკლავ, კაცო?

მხედრიონელი: „როგორ თუ რატომ? შენ ხომ წყალგალმა ცხოვრობ? შენ რომ გამოღმა ცხოვრობდე, ჩემო კეთილო, მე მართლაც მკვლელი ვიქნებოდი და შენი მოკვლა ბოროტმოქმედებად ჩამეთვლებოდა, მაგრამ რაკი წყალგალმა ცხოვრობ, ჩემი საქმე სამართლიანია და მე გმირი ვარ“.

მინანერი: პიროფლიანი და პირშავი ქართველების ზუგდიდური დიალოგი ბლუზ პასკალისა და ბაჩანა ბრეგვაძის კარნახით ჩაინერა რენე კალანდიამ.

**მორიგი ინტოქსიკაციის შემდეგ:
ბახუსის ორდენოსნის ვედრება**

ზვიად კიტიას ხსოვნას

გამთენიისას დამადგება ზვიად კიტიას
ლანდი თავზე და ხრინწიან ხმით აკრთობს ალიონს:
– საქართველოში „ვაზელინის“ დეფიციტია! –
ადექ, ბებერო, დღეს ლომურად უნდა დავლიოთ...

ჩამეცინება; შე, თათარო! ჩიტი ხომ არ ხარ,
ერისთეს პარკის³ ჭადრებიდან ჩამოფრენილი?..

¹ პირნათელი მსხვერპლი – არქიტექტორი გოჩა ჯიქია.

² პირსისხლიანი მკვლელი – ვახტანგ გიორგაძე, ვიცე-პოლკოვნიკი, ვახტანგ გორგასალის III ხარისხის ორდენის კავალერი (ავტ. შენიშვნები).

³ ერისთეს პარკი ეწოდება რაფიელ ერისთავის სამეგრელოში მოღვაწეობის დროს გაშენებულ პარკს ზუგდიდის ცენტრში, სადაც დგას პოეტის ბიუსტი.


რალა დროს ჩემი დაღევაა? – მივდივარ გაღმა –
ჯოჯოხეთისკენ: იქ დამხვდება „ძია ლენინი“,
სხვა ბელადებიც, ანუ მთელი პოლიტიკური
და მეტირება ყოფა იმათ გარემოცვაში...
შემეშვი, ძმაო, ძვირფასო და მხეცო, ტყიურო
და ხელს ნუ მიშლი ნერა-ლოცვაში...

რას დაგიჯერებს? – აღარაა ჩემი საშველი
და უნდა ავდგე, უკან მრჩება ტურფა ქვეყანა,
ნინ – დიდი საქმო გარდაცვლილთა, ღმერთო, მიშველე,
გადამარჩინე – ორგანიზმში არყის შეყვანას...

**ნახანძრალი საღამო:
გოდებისა და კვნესის კედელი**

*უკვე ვერანდას მოედო ფერფლი,
უკვე თაროებს დაედო ფერფლი,
და ნაკითხულ წიგნს ნაუკითხავი
წიგნების ტყიდან ვერ არევეს ფერფლი, –
სანერ მაგიდას აწუხებს ფერფლი.*

**რ. კ.
„სეზონის დახურვა“**



გოდების კედელს და კვნესის კედელს¹
შორის მცირედი არის სხვაობა:
იქ – შუბლს ახლიან... უსმენენ ჰენდელს –
ვენაში, მე – აქ – არარაობას –
სიცარიელეს ვუმზერ ეზოში:
ცხადში ვბლავი და სიზმარში ვკვნესი
პაპანაქებით შემშლელ სეზონში
გამხმარა ჩემი ძირი და ფესვი...
ჭებიც კი დაშრა: აღსასრულს ველი
და თან მიმყვება მამულის ვალი...
აკი ამბობდა ორლეანელი:²
„ღელესთან ვდგავარ, ვკვდები მწყურვალი...“
გამურულ კედელს ვუმზერ, სულს ვლაფავ
და ცოფის ნამლით – მძლე არყით ვთვრები...
გაცივდა ჩემი ჩაი და ფაფა,
ისმის მწუხარე სიმღერა დების –
ჩემი ლექსების: დაბერდა მუზაც –
ჩემში და ახლა სხვაგან ერთობა...
სკეპტიკურ წყლებში ჩავუშვი ღუზა,
მომბერდა მჟავე ერთადერთობა...

ადრე: „მგოსნები“ საბრალო თავში
უროს ირტყამდნენ, ნამგლით იჭრიდნენ
ასოს... არ ვიყავ მათ სათვალავში,
არც ან ვიქნები, რაც რომ არ ჭირდეს!..
სამშობლო ჩემო, შენს სიყვარულში,
წმინდა ვიყავი სინდისთან, ღმერთთან
და ხალხთან: არრა არს დაფარული –
ქორონიკონულ ჯაჭვი³ ჩემ ღღეთა...

¹ ცნობილი „გოდების კედელი“ იერუსალიმშია, ხოლო მკითხველისათვის უცნობი „კვნესის კედელი“ ზუგდიდში (ქუთაისის ქუჩა # 62).

² შარლ ორლეანელი – ფრანგი პოეტი.

³ ქორონიკული ჯაჭვი (ილია).



პოეზია მისი შინაარსია. დაუნდობელი დესაკრალიზაციის ეპოქაში, როცა აღარსადაა მაღალი სტილი და რაინდული რომანტიზმით აღფრთოვანება, ის ცხოვრობს ისე, როგორც ოდესღაც წარმოედგინათ, რომ პოეტები ცხოვრობდნენ, და მისი ეს გულწრფელი, პოეტური იერი ხანდახან სხვებსაც მსჭვალავს. იქნებ იმიტომ, რომ პროფესიით მსახიობია და ამ ლალ, იმერულ არტიზტიზმს ისედაც სამკაულივით იხდენს. თუმცა, ვისაც სცენაზე უნახავს, იქაც იცნობს: სცენაზე პოეტი დგას. ბავშვივით წრფელი და ნამდვილი. შეუფერადებელი. პოეზიაც ასეთი აქვს: ნაღდი, შეუფერადებელი, წერს იმაზე, რაც ანუხებს და რაზეც ემღერება.

„ქართულ მწერლობაში“ გიორგი შალამბერიძის დებიუტია.

გიორგი შალამბერიძე შენ დაბრუნდები

ჰანგები სულიდან

ადრეულ ალერსით ავივსებ განწყობას,
ბაგეზე ბარბაცებს ბაგე ნამთვრალევი,
გულიდან გონებით გეენა გამომაქვს,
დარდი კი დუმილით დაღლილი თვალებით.

ელავს ენკენისთვე, ერთვის ელეგიას,
ვაზი ვერცხლისფერი ველებს ასავსავებს,
ზესკნელს აზეიმებს ზარები ზვრებიანს,
თიბავენ მთიბველნი თუთისფერ თავთავებს.

იშიშვლებს იის ტყე ხავერდს მოალმასეს,
კალამიც თაბახზე კლანჭივით ერჭობა,
ლერნამმა ლანდივით, ლალად მოლასლასემ
მდორე მდინარეთის მარგუნა მეფობა.

ნამიან ნავებზე ნანაობს თიბათვე,
ოქტომბერს შემორჩა ოცნება რჩეული,
პეპლების პალიტრას ნიავი მიაფრენს,
ჟოლოფში მოჟონავს ჟამი შორეული.

როკავს ნოემბერი რუხისფერ დაისით,
სამოსით სადაა სული საამური,
ტანით სულ ლურჯია ვით ედეღვავისი
უხილავ შუროთა გვამების ხმაური.

ფოთლები წითლად რომ ფანტავენ თიბათვეს,
ქარის წისკვილები ფიქრებს მიქარგავენ,
ღვინიდან ღვარივით სიმთვრალეს მიართმევს
ყაყაჩოს სურნელი, ყირმიზის თავთავებს.

შლეგი და შეშლილი მშიერი თვალებით
ჩამავალ მზეს ვაქებ სხივების ჩანჩქერში,
ცა მიტანს დუმილით და გარდაცვალებით,
ძილიდან გამიყვანს, სისხლს დაძრავს ძარღვებში.

ნაილო წირვებად დრომ წლების წამება,
ჭირვეულ ოცნებად, სევდა-სიჭაბუკედ,
ხელახლა ვიგრძენი დღეს ფერისცვალება,
ჯავრად რომ დამქონდა ეს სულის საჭურჭლე.
ჰანგებით სულიდან მე გტოვებთ ამ ნაკლით,
ჰაერის ჰამაკით, ჰაერის ჰამაკით.

ჩვენ

შენ უნდა იწვე უდაბურ ველზე
და ხარბად ხვრეპდე მზის ულევ ხავერდს,
გველივით გრძნობდე ჩემს თითებს წელზე,
გულუბის ცემა აკროთობდეს მთვარეს.

ჩემი ძარღვებით გიქსოვდე პერანგს,
ჩემივე ტყავით გამოსავდე შიშველს,
მწყურვალს გასმევდე სისხლს მძაფრს და ვერაგს,
გვაგდეთ ველურებს და არა მშიშრებს.

ვიგლეჯდე ტანზე ხერხემალს, ნეკნებს
და სამკაულებს გიძღვნიდე ძვლების,
ეტრფოდე ჩემებრ თვეებში ენკენს
და არ გთრგუნავდეს სიმრავლე წლების.

შენ უნდა იყო – რაც დღემდე ვხატე,
მე უნდა ვიყო – რაც წერე დღემდე,
ჩვენ ამ სამყაროს ვერ შევემატეთ,
ჩვენ ეს სამყარო ვერ შევიფერეთ.

ჩემი სურნელით გიქარგავ დღეებს,
ჩვენ ერთად ყოფნას გვიქადის ბედი,
მე უნდა ვგრძნობდე გამოწვდილ ხელებს,
რადგან მე შენით ვცოცხლობ და ვკვდები.



შორი გზა

დაუთმე სხეული სულს მოხეტიალეს,
ეახლე განთიადს მზის სხივით ნაფერებს,
შენამდეც, შენს მერეც მინა იტრიალებს
და სანამ დრო არი
დანერე, დანერე!
ეს არის სიმდიდრე, რაც გერგო მამიდან,
რომელიც მასებმა შეშლილად აღწერეს,
და ახლაც მე ის ხმა ჩამესმის თავიდან,
ოღონდ არ გაჩერდე,
დანერე, დანერე!
არ თქვა, რომ დაგლალა ამ დროის სიყრუვემ,
ნუ დაჰგმობ შენს ირგვლივ ამ ჟამთა აღმწერლებს,
გაყინულ ქალაქში მზე შემოიტყუე
და ნუ გაჩერდები,
დანერე, დანერე!
დანერე უმანკო, უცოდველ ბავშვებზე,
რომლებმაც იცვალეს კბილები სარძევე,
თუ გინდა დევებზე, თუგინდ აღქაჯებზე,
ოღონდ არ მოდუნდე,
დანერე, დანერე!
დანერე რაც გინდა, ხოტბა ან გინება,



დუქნებზე, კახპებზე, ქალაქზე დანერე,
 დრო სწრაფად გაივლის, დრო მიედინება,
 უბრალოდ იჩქარე,
 უბრალოდ დანერე!
 დანერე თაბახზე, ფოლადზე, მინაზე,
 თუნუქზე, ფიცარზე, საფლავზე დანერე,
 მშვიდობა სიყვარულს, მშვიდობა სინაზეს,
 მშვიდობა პოეტებს,
 მიჯნურთა სახელებს!
 დანერე მაჯამა, ვერლიბრი, პოემა,
 ოლონდ არ გაჩუმდე, ოლონდ არ დადუმდე,
 დანერე რაც გინდა, აღნერე დროება,
 სიმართლე გამოთქვი,
 სიმართლე დანერე!
 დანერე სიმშვიდე, ქაოსი, დუმილი,
 სიცოცხლე სიკვდილით, სულების საზვერე,
 ამ დროს თუ აგიტანს სიგიჟის სურვილი,
 ხოტბა ამ სიგიჟეს,
 დანერე, დანერე!
 დანერე აქამდე არ თქმული სიმღერა,
 ფიცი ან ვედრება, ლოცვებად დანერე,
 ძმადნაფიც ქარებში მკერდს რომ გაიღელავ,
 მუხლზე არ დაეცე, დანერე, დანერე.
 დრო არის დატოვო შეშლილი სიფხიზლე,
 ეახლო სიმთვრალით ოცხანურ საფერეს,
 და როცა დადგები მასებთან მედგარი,
 თამამად შესძახე, მე ვთქვი და დავნერე!
 მე ვთქვი და დავნერე!

შენ დაბრუნდები

რამდენი დილა დაილია ლოდინით, განცდით,
 რამდენი ღამე გამითეთრდა, ფიქრების თოვით,
 ამ სიყვარულით ჩვენ ავმალდით და მიწას გავცდით,
 დავტოვე გზები, რასაც ვქმნიდი კრძალვით და თრთოლვით.

შენი სიმორე დააჩლუნგებს ძარღვებს მზით ნაწრთობს,
 და ეს მანძილიც ხარბად მაცლის ხერხემალს, საყრდენს,
 და ვით ნასახლარს, უთვისტომოს მათოვს და მათოვს,
 რამდენს გაუძლოს გულმა ვარდნას და ნატვრას რამდენს?!

მე ვითვლი დღეებს და არ ვნანობ ხანმოკლე წარსულს,
 და გეძებ, როგორც მეზადური დაკარგულ ნაპირს,
 თუმცა მე ვიცი, რატომ მტოვებ და რატომ არ გსურს,
 მიშველო ქარში მიტოვებულს და სულში დაჭრილს.

მე ჩემში გავზრდი როგორც ყვავილს, უჭკნობს და სათნოს,
 იმედს, რომ მოხვალ, დაბრუნდები, მომიტან ალერსს,
 ვამზადებ სივრცეს, რაც გაავსებს სამყაროს ფართობს,
 შენდამი ლტოლვას, ოკეანეს ყლუპად რომ დაღევს.

მხატვრული პროზა

დალილა ბედიანიძე
შამპანური

წვიმდა და წვიმდა. ადრეული გაზაფხულის ბნელი ღამე იყო. ისე გულმოდგინედ წვიმდა, სოფიკოს ეგონა, შინაც შემოაღწიაო. ის იყო ჩათვლიმა და კარზე ზარმაც დარეკა. დარეკა მეორედაც. ირაკლის უკვე ეღვიძა, ისიც ზარს უსმენდა.

– ნეტავ, რომელი სულელია ამ ღამიანად? – წარმოთქვა მთქნარებით და წამოდგა – ჩვენი სტუმრები უკვე წავიდნენ. ალბათ ვინმეს სიგარეტი უნდა, ან ვინმე სადმე გამოთვრა და ჩვენთან ნებავს გაგრძელება.

ზარი არ ჩერდებოდა. ირაკლი ხალათათრეული წავიდა კარისაკენ. სოფიკოს ხმა არ ამოუღია. გულმა უცნაურად დაიკვნესა. ეს ზარი არც ნათესავის, არც მეზობლის, არც ამხანაგის ზარს არ ჰგავდა. ყურზე კი არა, გულში მოხვდა. ეს თვითონ გუჯას ზარი იყო, მივიწყებული, მაგრამ ნაცნობი და მშობლიური. მაგრამ ოთხი წლის შემდეგ? თანაც – აქ? საბნის ქვეშ გაიტრუნა და დააყურადა. ლაპარაკი თითქმის არ ისმოდა. მერე კარის მიჯახუნებაც გაიგო. ირაკლი გავიდა.

ირაკლიმ კარი გააღო. განათებული კიბის მოედანზე ახალგაზრდა კაცი იდგა. ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ უცბად ვერაფრით ვერ გაიხსენა, საიდან იცნობდა.

– გამარჯობა, ირაკლი! – უთხრა ღამის სტუმარმა.

– უკაცრავად, ჩემო ძმაო, მაგრამ ვერ გიცანი! – მიუგო გაკვირვებულმა ირაკლიმ.

– მე გუჯა ვარ, თუ გახსოვართ, გუჯა! – კეთილად და მეგობრულად გაუღიმა.

– აჰა, გუჯა! ჰო, გუჯა! – ირაკლი საბოლოოდ გამოფხიზლდა – გუჯა! – გაიმეორა კიდევ – მერე, რა გინდოდა, გუჯა? – არც მას გარეგნობა ხმაში მტრობა.

– ირაკლი, შენ რომ ანგელოზი გყავს

ცოლად, იცი?

– ვიცი! – მოკლედ უპასუხა ირაკლიმ და კარი მაგრად გამოხურა, რომ სოფიკოს არ გაეგონა მათი ლაპარაკი.

– ცუდი არაფერი იფიქრო. მე ვიცი, რომ შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ და ამიტომ ხარ სოფიკოს გვერდით. ერთი სათხოვარი მაქვს, თუ ნებას დამრთავ. აქ ისმის და მიჩვენია ქვევით, მანქანაში გითხრა. ვინმემ ყური არ მოკრას ჩვენს ლაპარაკს და ცუდი არაფერი იფიქროს. მარტო ვარ მოსული. მანქანაში გეტყვი დანარჩენს.

– მე რომ მშიშარა არა ვარ, იცი! – ირაკლი აიზღარბა, მოიღუშა, უამურმა ფიქრმა შეიპყრო. ცუდი წინათგრძნობა არ ჰქონდა, მაგრამ არც დიდ სიამოვნებას ელოდა.

– ვიცი, კაცო, ვიცი! – კეთილად გაეცინა გუჯას, – ერთი პატარა სათხოვარი მაქვს, შენ შეგიძლია შემისრულო.

ირაკლიმ კარი ფრთხილად დაკეტა გარედან, მერე გასაღები ხალათის ჯიბეში ჩაიდო და გუჯას ჩაჰყვა. ჩასხდნენ სველ მანქანაში. შეხედეს ერთმანეთს. გუჯას ლაპარაკის დაწყება უჭირდა. არც ირაკლი იღებდა ხმას.

– სიგარეტი გაქვს? – ჰკითხა მერე.

– კი, კაცო! – გაუხარდა გუჯას ყინულის გაღლობა და სიგარეტი გაუნოდა, თან მოუკიდა. ასაკი დასტყობოდა, თმა შეთხელებოდა, მაინც ისევე ახალგაზრდა და ღამაზი იყო.

– ირაკლი, შენ ხომ იცი, მე ვინა ვარ? შორიდან მაინც ხომ მიცნობ? გაგონილი მაინც ხომ გაქვს ჩემი ამბავი? – დაიწყო ხმადაბლა.

– დაფუშვათ, ასეა, მერე?

– სოფიკო ისეთი გოგოა, შენ არაფერს არ დაგიმაღავდა. ან რა იყო დასამალი? მე სოფიკო ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს, მაგრამ ბევრი საჭირბოროტო საკითხია, რის გამოც იგი შენი ცოლია და არა ჩემი. მე იმდე-





**ნომრის თემა:
ომი**

ყველას თავისი ომი აქვს. ეს ნიშნავს: თავისი კანონმდებლობა, წესრიგი და უწესრიგობა. ტყუილი და მართალი. სიკვდილი და სიცოცხლე.

ნომრის თემა: ომი.
მწერლები საუბრობენ ომზე. მწერლები ფიქრობენ საკუთარ თავზე ამ ომში, სამშობლოზე, მთელ სამყაროზე – ომის ქრილიდან.

მწერლები იმარჯვებენ და მარცხდებიან.

თუმცა, მათ ყველაზე სასტიკ ბრძოლასაც კი, ხშირად ყვაილის სიფაქიზე ახლავს.



ნად მიყვარდა, რომ ასე ვარჩიე, მისი ბედნიერებისთვის ასე სჯობს. მე თქვენ არასოდეს არ შეგეხებით, მაგრამ სოფიკოს სიყვარულს ვერავინ დამიშლის. ამაღამ თბილისიდან მივდივარ და შეიძლება ვერასოდეს ველარ დავბრუნდე ცოცხალი. ძალიან სერიოზული საქმეა. მინდა, უკანასკნელად შევხედო სოფიკოს და მისი ხმა გავიგონო. თუ ნებას მომცემ!.. მე შენს ნებას როგორ გადავალ და შენს ოჯახს როგორ შევხვები. ჩათვალე, რომ სიკვდილის წინ მადლიერი დაგრჩი.

ირაკლიმ შეხედა, თვალი თვალში გაუყარა, მერე განზე გაიხედა. რა უნდა ეთქვა, რა უნდა ეპასუხა?

– მეც ძალიან მიყვარს სოფიკო, გუჯა!

– ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ. მე თქვენს შორის ჩადგომას არ ვაპირებ, არც არაფერი მინდა მეტი, – ერთხელ შევხედავ და ხმასაც არ გავცემ, ისე წავალ. მე ყველაფერი ვიცი თქვენზე. საერთოდ, რაც აინტერესებს ადამიანს, იცის. ისეთს არაფერს ჩავიდენ, შენს ღირსებას ჩრდილი მივაყენო და ეს ამბავი ჩემთან ერთად მოკვდება.

ირაკლი დუმდა. უჭირდა რამე ეპასუხა. ისიც უჭირდა, ამდგარიყო და უსიტყვოდ ასულიყო შინ. სოფიკო რომ მოიტაცა, ირაკლიმ არ იცოდა, თუ მანამდე გუჯასთან დადიოდა. გუჯა მაშინ გამქრალი იყო თბილისიდან, აღარავინ ახსენებდა. გოგო ვერ მიხვდა, თუ იტაცებდნენ. მხოლოდ მცხეთის იქით მოეგო გონს. ნივილ-კვილი არ აუტეხია, წყნარად სთხოვა, გააჩერეთ მანქანა, ირაკლის რალაცა მინდა ვუთხრაო. ჯერ არ აჩერებდნენ, მერე ირაკლიმ გააჩერებინა, გადმოიყვანა მანქანიდან და გაღიმებული მიაჩერდა – რას მიბრძანებ, ქალბატონო სოფიკო.

– რომ მიტაცებ და მიმარბენინებ, მიცნობ, გიცნობ? – დაუცაცხანა სოფიკომ.

– რომ გაგიცნო, სწორედ იმიტომ მიგარბენინებ. შენ გგონია, არაფერი არ ვიცი შენს შესახებ? შენ გგონია, პირველად დაგინახე?

– შენ ხუმრობის ხასიათზე ხარ. ასე ცოლის მოყვანა შეიძლება? იქნებ არ მოვსულიყავი დღეს მანანასთან, მაშინ?

– მაშინ სხვაგან გნახავდი და იქიდან მოგიტაცებდი, – გულწრფელად უპასუხა ირაკლიმ, – სხვანაირად და უფრო წესიერად არ მომყვებოდი და რა მექნა. რატომ არ მომყვებოდი?

– შენ ის იცი, რომ სხვა მიყვარდა და სხვასთან დავდიოდი?

– მდაა! – ჩაფიქრდა ირაკლი – საყურადღებო საკითხია! ვისთან დადიოდი, შვილო? ალენ დელონთან თუ ლოურენს ოლივიესთან?

– აი, გუჯა იცი? ჩვენი სკოლელი? – სოფიკო ისე შეჰყურებდა, ეტყობოდა, დიდად არ აღარდებდა, იქნებოდა თუ არა ირაკლის ცოლი. ადგებოდა და ფეხით წავიდოდა შინ.

– გუჯა? – ირაკლის უცბად გაახსენდა ბარი, მაღალი, მხარბეჭიანი ფიგურა, უზარმაზარ მუშტში ჩამალული სიგარეტი, მუსიკით დანისლული ცისფერი თვალეტი. ეს ქვეყნის დამაქცევარი, მოთვინიერებული ვეფხვივით იჯდა და არ ესმოდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა, უსიტყვოდ ცლიდა კონიაკიან ბოთლს. როცა სიმღერა დამთავრდა, ბარმენს სთხოვა, გაიმეორეო. მერე ადგა და გავიდა. „რა კარგი ბიჭი იყო და როგორ გაიფუჭა თავი!“ – ჩაილაპარაკა გვერდით სუფრაზე ვილაცამ.

– მერე, რატომ დაცილდით შენ და გუჯა?

– არ დავცილებივართ, სადღაც გაქრა.

– როდის ნახე ბოლოს?

– ოთხი წლის წინ.

– თქვენს შორის რამე იყო?

– იყო! – სოფიკო ალაღად შეჰყურებდა, რისხვის არ ეშინოდა.

– შენ კიდევ გიყვარს?

– არა, აღარ მიყვარს. ჩვენს შორის მართლა დამთავრდა ყველაფერი.

– შენ სხვა გოგონების ნაკლი იცი?

– არა!

– შენ იმათთან შედარებით ანგელოზი ხარ და ბევრს ნუ მალაპარაკებ, ძალიან გთხოვ. დანარჩენს მერე მომიყვები. მოასწრებ. ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლე ერთად უნდა ვიყოთ. ბევრს, ბევრს მელაპარაკები. წავიდეთ. სირცხვილია, გველოდებიან. მე ვიცი, რომ ამის შემდეგ მხოლოდ მე გეყვარები, ძალიან გეყვარები. რაც აქამდე იყო, დაივიწყე. კარგი?

სოფიკო გაჰყვა მანქანისკენ, მაგრამ ფეხათრევით, სულ უკან-უკან იყურებოდა, სულ მიზეზს ეძებდა, რომ თბილისში დაებრუნებინათ. მერე კარგა ხანს სიცილ-ხარხარით იხსენებდნენ მის პატარ-პატარა ოინებს. მოვიდა ბედნიერება, სიხარული... და არავისი ჩრდილი მათ შორის დღემდე არ ჩამდგარა, გუჯა აღარასოდეს გახსენებით, არც უხსენებით. ახლა კი ეს გუჯა იჯდა მანქანაში, ირაკლიზე სწრაფად ნთქავდა სიგარეტებს და ირაკლის მავედრებელი თვალებით შეჰყურებდა. გუჯა მასთან მართალი იყო. არასოდეს უცდია მის ბედნიერებას შეხებოდა, მისთვის რამე წაერთმია, თუმცა – შეეძლო.

– ერთ დროს მეც ვიყავი, ირაკლი! კალათბურთს ვთავაშობდი თბილისში, სხვაგანაც. მერე ... მოგეხსენებათ, ცხოვრების გზა ია-ვარდით არ არის მოფენილი. ხან საით გაუხვევ კაცი, ხან – საით. ცოლს მე არასოდეს მოვიყვან, თორემ სოფიკოს ცოლად მოყვანას სხვა ვერ დამასწრებდა. ქალი ბევრი მყოლია, მაგრამ, სამწუხაროდ, მე უკვე მიყვარდა, როგორც ერთმა პოეტმა თქვა. შენ რომ ჩემს ადგილზე იყო, როგორ მოიქცეოდი?

ირაკლიმ ნაღვლიანად გაუღიმა.

– შენ მე ვინ გგონივარ! წამოდი! სტუმარი ღვთისაა. რომლის სტუმარი ხარ ახლა?

– რა საკვირველია, შენი! სოფიკოს მხოლოდ შევხედავ და... გამიგე, არ შემძლია ერთხელ მაინც არ შევხედო, ვინ იცის, იქნებ უკანასკნელადაც.

– კარგი, წამო! წამო!

– ერთი პირობით: სოფიკოს არც ამაღამ და არც არასდროს ამის გამო არ უნდა აწყენინო. გამიგე, რა! – თვალი თვალში გაუყარა გუჯამ.

ირაკლი რომ გარეთ გავიდა, სოფიკო უცნაური მოლოდინით აკანკალებული წამოხტა ლოგინიდან, ჯინსები ამოიცვა, ღამის სტუმრის დასახვედრად მოემზადა. დაბნეული წრიალებდა ოთახში, ალაგებდა. მაცივრიდან ანგარიშ-მიუცემლად გამოიღო შამპანურის ახლადგახსნილი ბოთლი, სტუმრებს რომ დარჩათ. შოკოლადის ფილაც დატეხა. მაგიდას მიუჯდა, ცოტა შამპანური დაისხა და ჩაფიქრებულმა მონრუპა.

ჯერ ისევ სიზმარში იყო. იცნო გუჯას ზარი, როგორ ვერ იცნო. ბოლო შეხვედრა გაახსენდა. პატრონი რომ მყოლოდა, ციხეში არ მოვხვდებოდიო, უთხრა გუჯამ. კაცი კაცად რჩება ბოლომდე, მათ შორის ციხეშიცო. დანარჩენი შენ არ გეხებაო. „ნეტავ, როგორია ახლა? ისევ ისეთი ლამაზია?“ – გაიფიქრა მწარედ.

სოფიკომ ძალიან მძიმედ გადაიტანა ბრმა ნაწლავის ოპერაცია. ღამენათ-ევი დედა შინ წავიდა დასაძინებლად. ცალკე პალატაში იწვა, ჭერს მისჩერებოდა და უხაროდა, რა კარგია, რომ არ მოვკვდი, გუჯას კიდევ ვნახავო. სად, როდის, როგორ ნახავდა, ეს გუჯამ იცოდა, სოფიკომ არ იცოდა არასოდეს. მკრთალი შუქით განათებული საავადმყოფოს პალატა სულს უხუთავდა. ასე ეგონა, აქედან ვერასოდეს გავიდოდა. მოძრაობა უჭირდა, ტკივილის ემინოდა. იწვა თვალგახელილი, ძილი არა და არა ეკარებოდა. დაკეტილ ფანჯარაზე ფრთხილად, ფრთხილად მიაკაკუნა ვიცალამ. სოფიკომ კაკუნის იცნო, ყურებს არ დაუჯერა. მეორე სართულზე იწვა, ყოჩაღი კატის გარდა, ფანჯარას ვერავინ მიეკარებოდა, შეიძლებოდა იმასაც კი გასჭირვებოდა. კაკუნი განმეორდა. ამ დროს ბედად მისი ტოლი ექთანი შემოვიდა გამზადებული ნემსით ხელში.

– ნაზიკო, შენი ჭირიმე, ფანჯარა გააღე რა! – შეეხვეწა სოფიკო, – ფანჯარასთან არიან. ნემსი მერე გამიკეთე. არ შეგეშინდეს, ჩემი მეგობარია! – შეემუდარა და პირველად დაფიქრდა – რა თქვა, ვინ იყო გუჯა მისთვის? შეყვარებული? საქმრო? თანასკოლელი? თავისდაუნებლიეთ თვითონ დაარქვა სახელი მის და გუჯას ურთიერთობას, თან ტუჩზე იკბინა და გაიტრუნა – მეგობარს ნაზიკო საყვარელს ეძახდა, მის ირგვლივ მეგობარ კაცებს ასე ეძახდნენ. სოფიკომ ისეთი ხმით სთხოვა, რომ ნაზიკომ სიტყვის უთქმელად გამოაღო ფანჯარა.

– ნაზიკო! არავის არაფერი უთხრა, მე მაპატიე რა ეს ამბავი და ერთი წუთით მარტო დაგვტოვე. მერე ავიხსნი ყველაფერს.

პირზე ხელაფარებული ნაზიკო ჩუმად შეჰყურებდა, როგორ ჩამოსკ-



ჩაჩი მანი

დაუსრულებლად ვუცხადებ ომს ჩემს შინაგან მშვიდობას.

ეს ალბათ მაზოხიზმის სახეობაა. ფსიქოლოგიური მაზოხიზმი.

მაგრამ... ხომ მჭირდება ეს ომი, – ომი ჩემს შინაგან მშვიდობასთან, რომ არ ჩავდენი, არ ჩავობდე, არ ჩავხვი მშვიდობაში?

ხომ სამში მტერი და მოწინააღმდეგეა ეს საკუთარ ტყავში ჩამთბარი, საკუთარ ჭერქვეშ მომყუდროვებული, დანაყრებულ-დაკალიორიებული, ფეხ-ფაჩურჩინი ეს არხინი ჩემი (ზოგადად – შენი) შინაგანი მშვიდობა?

ხომ საჭიროა ჯერ ჰაერში გასროლა და ზოგჯერ დამიზნებული საზენიტო ბათქა-ბუთქიც, რომ გაიხსენო: შენ ხარ, შენვე ხარ, ბრიყვო, ის ფეხშიშველა, უსაკუთარჭერო, ყოვლად დაუნაყრებელ-ჩაუმთბარი ლანდი, შორსაც და სულ ახლოსაც რომ დაძრწის ზოგადად – ერთი და კონკრეტულად – უთვალავი?...

დაუსრულებლად ვუცხადებ ომს ვილაც მომწერლო არსებას ჩემში, ვილაც თვითმარქვიას, რომელიც თვლის ხოლმე, რომ კარგად დაწერა, რაიც დაწერა! მე მასთან ხან ცივ ომს ვანარმოებ და ხან ცხელს, ხან ბირთვულს, ხან ფსიქოლოგიურს, რომ – რა, რა დაწერა?! რამე ისეთი, რის გარეშეც კაცობრიობას არსებობა გაუჭირდება?

ამ ომში ძირითადად ვმარცხდები, რადგან ის, მოწინააღმდეგე, ის ვილაც თვითმარქვია ჯდება და იწყებს წერას ტყვიების ზუზუნში... და მე ყყრი ფარ-ხმალს. ცოტა ხნით. სულ ცოტა ხნით. სანამ წერს...

და ბოლოს, ჩემი მთავარი ომია ომი, რომელსაც მე არასდროს, ვერასდროს წავაგებ. ეს არის ომი სიტყვიერ წყვილთან „დაკარგული ტერიტორიები“.

ესაა ომი, რომლის ჯარისკაცად, მედდად, ყუმბარად თუ თეთრ მტრედად დავრჩები იქამდე, სანამ არ დავვდები ჩემი ზღვის პირას იქ, სადაც მინდა და ტყვიანზე უფრო ცხელი ცრემლი ბედნიერების არ ჩამომიგორდება ლოყაზე...

თამარი ფსაკაძე

უბდა გუჯა ფანჯრიდან პალატაში. ნაზიკოს დიდი მადლობა გადაუხადა და სოფიკოს სანოლის წინ დაიჩოქა. ხელები დაკანრული და დასისხლიანებული ჰქონდა. იების დიდი კონა დაუდო თავთან, უხეშად შეკონილი.

– სოფო, როგორა ხარ, ბავშვო? – შეეკითხა ღიმილით, თვალები კი არ უღიმოდა, თვალებში ცრემლი ედგა, – ძალიან შემაშინე, ძალიან!

– ახლა უკვე კარგადა ვარ, მალე ავდგები. შენ საიდან გაიგე?

– მე? სადაც არ უნდა ვიყო, რაც მაინტერესებს, ყველაფერს ვიგებ. შენი ვარ, სადაც არ უნდა ვიყო.

– თუ ასეა, სად დაიკარგე ამდენ ხანს? მე მეგონა, თბილისში აღარ იყავი.

– საქმეები, ძვირფასო, საქმეები! არ მეცალა.

– ერთი მოკითხვა მაინც დაგებარებინა ვინმესთვის.

– ვისთვის? ვის ვანდობ შენთვის სათქმელ მოკითხვას? შენც კარგად მოგეხსენება ვისთან მაქვს საქმე. სხვებთან მე შენს წმინდა სახელს არც ვახსენებ ხოლმე.

– უკაცრავად, ბატონო, აქ როგორ ამოძვერით? – შესძახა ექთანმა, ღია კართან რომ იდგა, ნემსი აღარც ახსოვდა.

– სახანძრო კიბეს ამოვყევი. კარგი ნავარჯიშევი ვარ ასეთ რამეებში! – ღიმილით უპასუხა გუჯამ.

– სპორტსმენი ბრძანდებით?

– მააშ! მეც სპორტსმენი ვარ, სოფიკოც სპორტსმენია, დედაჩემიც სპორტსმენია, მამაჩემიც, ჩემი ამხანაგებიც... ჩვენ ყველა სპორტსმენები ვართ. თქვენ?

– მე ექთანი ვარ! – არ დაიბნა ნაზიკო, – ნემსი უნდა გავუკეთო სოფიკოს. მძიმე ოპერაცია ჰქონდა და ჯერ სუსტად არის, არ შეანუხო. ხვალ მოდი კარიდან, შემოგიშვებენ და დღისით ელაპარაკე.

– მე ხვალ აქ კარიდან ვერ მოვალ, მხოლოდ ერთი ღამით გამომიშვეს, რაღაც გამოპარვასავით გამომივიდა.

– საიდან გამოიპარეთ? – გაეცინა ნაზის.

– ჯარიდან, ციხიდან, სახლიდან... რა ვიცი, ყველას გამოვეპარე და აი,

სოფოს სანახავად მოვედი!

ნაზიკომ ინამუსა და „ერთი ნუთით“ გავიდა პალატიდან, ნემსიც თან წაიღო. სოფიკომ იები აიღო, დაყნოსა. გაზაფხულის გადასარევი სურნელება შეიგრძნო. ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდიოდა, ხმას ვერ იღებდა. გუჯა სანოლთან ჩაჩოქილი, იდაყვებით დაეყრდნო მის სასთუმალს, შუბლზე აკოცა და ღიმილით დააჩერდა.

– სოფი, ნუ ტირიხარ, რა! ამდენი გზარდე და ტირილს ვერ გადაგაჩვიე!

– იები სად იშოვე ამ ღამიანად, სად?

– ოქროყანის ფერდობებზე ღამობით კარგად რომ დავდივარ, ხომ იცი? – გაეცინა გუჯას, – ნავილე ფარანი და წამოვიღე იები, მააშ! აი, ნახე როგორ ანათებს! – ჯიბიდან ფარანი ამოაძვრინა და უჩვენა, – ჩააქრობ, აანთებ. აჰა, გინდა, ესეც გქონდეს ჩემგან სახსოვრად.

– ეგ ფარანი მინდა ახლა მე? – განყრა სოფო, მაგრამ ფარანი გამოართვა და თავქვეშ ამოიღო.

– გინდა, გაგაბრაზო, რომ გამაგლო და გული არ გეტკინოს ჩემს წასვლაზე?

– გუჯა, ახლა უნდა ნახვიდე? არ ნახვიდე, რა! ნახვალ და ისევე დაიკარგები. საიდან მოდიხარ?

– ციხიდან! იქაც არიან ადამიანები. ვთხოვე და ამ ერთხელ გამომიშვეს. მე რომ ახლავე არ გავქრე აქედან, შეიძლება ვინმე მოვიდეს და კუდიგორის გზას გასკვანჩული გამიყენოს! მაპატიე, რა! ვიზიტის ხანგრძლივობა ჩემს შესაძლებლობას აღემატება, – შუბლზე აკოცა და დაუბარა: – აბა, ჭკუით იყავი, ჭკუით და არ იტირო! მერე იტირე, როცა მე მოვკვდები! ჩვენ სულ ასე ვიქნებით. ჩემი სიკვდილის გარდა, ვერაფერი დავგაცილებს.

სოფიკომ ნელა დადგა ცარიელი ჭიქა. მაშინ ნატრობდა, კიდე უფრო მძიმე ოპერაციას ან რამე დიდ გასაჭირს, ოღონდ გუჯა კიდე ერთხელ ენახა და ცოტა უფრო მეტ ხანს დარჩენილიყო მასთან. ირაკლიმ რომ კარი შემოაღო და შემოსძახა, „სოფი, ჩაიცი, სტუმარიო“, უკვე იცოდა, ვინც ესტუმრა. ძლივს ადგა, სკამი კინალამ გადააყირავა და თავდახრილი, დამუნჯებული დადგა მაგიდასთან. ოთახში თვითონ გუჯა შემოვიდა. ყველაფერი



დაბნელდა, ყველაფერი გაქრა, ყველა დაავიწყდა, უზარმაზარი ჩრდილი დაეცა მის პატარა მკრთალ ჩრდილს შუალამის სინათლის ქვეშ.

– გამარჯობა, სოფი! – თქვა გუჯამ – გამარჯობა! როგორ ხარ?

– რა ამბავია ამდენი ლაპარაკი? – გაიკვირვა სოფომ, – როდის ლაპარაკობდი ამდენს?

– მართალი ხარ! შენ მართალი ხარ! – ნაიბურტყუნა გუჯამ.

– მეც ვიცი, რომ მართალი ვარ.

შემკრთალმა სოფიკომ თავი ასწია, ძლივს გაბედა და თვალეში შეხედა. ყველაფერი იყო ამ თვალეში: შიშიც, მოულოდნელი სიხარულიც, სითბოც, სიყვარულიც, განუმეორებელი სიყვარული, ვერასოდეს ვერაფერი რომ ვერ შლის ადამიანის გულიდან. ეს ისევე ის გუჯა იყო, ამ ექვსი წლის წინ რომ დასცილდა ლამით და საავადმყოფოს ფანჯრიდან სახანძრო კიბეს რომ ჩაჰყვა.

– სოფი, მე ბოდიშის მოსახდელად მოვედი, გესმის? არ მინდა, ცუდად გახსოვდე. შენ გეგონა, უფრო სწორად, დედაშენს ეგონა, რომ მისი ოქროს სამაჯური ამოვიღე უჯრიდან. არა, სოფი, არა. მე მხოლოდ თავის ადგილზე დავდე, გაიგე? ვინც ამოიღო, გამოვართვით და დავდე თავის ადგილზე. შენ კი ზუსტად იმ მომენტში შემომისწარი. სხვისთვის მიქნია ასეთი რამ, მაგრამ შენთვის – არასოდეს. ახია მათზე, ვინც რას კარგავს, ყველამ თავის თავს დააბრალოს. სხვისთვის ცუდი ვარ, მაგრამ მართალი ვარ.

– ვინ ამოიღო? რატომ მოიყვანე ჩემთან ისეთი, ვინც მაგას ჩაიდენდა?

– შეეშალა! ამიტომ არ ვახმაურებდი შენთან ურთიერთობას, ამიტომ ვერ განახულობდი ხშირად. რაც შემეძლო, გარიდებდი ასეთებს. მე მაპატიე! მაპატიე, თუ ოდესმე შენთვის რამე მიწყენინებია და თუ სხვას უწყენინებია, ისიც მაპატიე. მე გამოვასწორებ. შენ ოღონდ მთხოვე.

– რა „მაპატიე-მაპატიე“ აგიტყდა?

– დილას ეკლესიაში ვიყავი და ვეზიარე. უცოდველი ვდგავარ ახლა აქ. მღვდელმა მითხრა, რომ სიყვარული ცოდვა არ არის, ცოდვა მრუშობაა, მითუმეტეს, თუ თვალთ ან გულით

იმრუშებ. მე ასეთი ცოდვა არა მაქვს შენთან. აბა, გაიხსენე!

– მაგით რა შეიცვლება, გუჯა, ან მაშინ რა შეიცვლებოდა?

– ყველაფერი და თან – არაფერი! მე მაინც უნდა გავმქრალიყავი შენი ცხოვრებიდან. არ მქონდა უფლება, გზა ამერია შენთვის. შენ ბედნიერი უნდა იყო სოფი, მე კი შუბლზე სიკვდილი მანერია. არ შემეძლო ცოლად მომეყვანე, გაიგე? მაგრამ სხვა მე არასოდეს მყვარებია და არც შენი ოჯახის მტრობა მიცდია არასოდეს. შეიძლება, შენთვის აღარა აქვს მნიშვნელობა ამ ლაპარაკს, მაგრამ ჩემთვის – აქვს. ერთადერთი ნათელი წერტილი ჩემს ბნელ და ნაგვით სავსე ცხოვრებაში შენ იყავი და შენ ეს უნდა იცოდა. უნდა მაპატიო, თუ აქამდე ვერ მოვეთრიე და ბოდიში ვერ მოგიხადე.

ირაკლი ნელა მიუახლოვდა მაგიდას, დავსხდეთ, ფეხზე რატომ ვდგავართო, თქვა და სამ ჭიქაში ნელა, შუშხუნით დაასხა შამპანური.

– სტუმარი ღვთისაა, გავვიმარჯოს! მაპატიეთ, მე უძლური ვარ სიყვარულთან, – თქვა გუჯამ, შამპანური დალია და დაჯდა.

გუჯამ სოფიკოს ახედა, ჩვეულებრივ, დიასახლისივით რომ ნამოადგა თავზე მაგიდას და ისე გაიღიმა, ტკივილისგან დაღრეჯვას უფრო ჰგავდა. ორი ჩამქრალი მზე ნელ-ნელა აინთო სოფიკოს თვალეში.

– ერთი სათხოვარი მაქვს სოფიკოსთან – თუ შეიძლება, „მთვარის სონატა“ დაუკრას! შენ თუ უფლებას მისცემ! მოვუსმენ და წავალ! – შეეკედრა გუჯა ირაკლის.

ირაკლიმ უხმოდ დაუქნია თავი, მერე ფანჯარასთან მივიდა, ოთახისკენ ზურგით დადგა და წვიმას დაუნყო ყურება. „ასე უსკდება კაცს გული. ასე კვდება კაცი ბოლმით! ასეთია ეს ოხერი ცხოვრება, დიდხანს არაფერს შეგარჩენს!“ – ფიქრობდა და ნატრობდა, ოღონდ ახლა აქ არ ყოფილიყო... ოღონდ ეს სცენა არ ენახა და ესმინა... და მაინც ერჩია, თვითონ ყოფილიყო ყველაფერის უტყვი მონში.

სოფიკო უსიტყვოდ მივიდა პიანინოსთან, ახადა, ერთხანს დაფიქრდა და დაკვრა დაიწყო. გუჯას ეჩვენებოდა, რომ ყოველი ბგერა მისი სიცოცხლის



გამოსაპალი

ომი იმ თემებიდან ერთ-ერთია, რომლებზეც „რაციონალური“ მსჯელობა არ გამოდის. თვითონ ნახეთ:

ადამიანის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ომების ისტორიაა. ვინ იტყვის, ეს კაცობრიობის სუიციდური მიდრეკილების გამოვლინებაა თუ, პირიქით, თვითგადარჩენის ინსტინქტისა? ან იქნებ ეს ფენომენი არც დაიყვანება ამ განმარტებამდე და, უბრალოდ, ადამიანის თვისებაა, ჩაიდინოს მრავალი უგუნურება მანამდე, ვიდრე ომი გარდაუვალობად არ იქცევა.

სხვათა შორის, სწორედ ამას – გარდაუვალობას, სხვა გზის აღარარსებობას ამტკიცებენ ხოლმე ყველაზე პირსისხლიანი მსოფლიო ჩხუბისთავებიც კი.

მაგრამ ომი ყველა შემთხვევაში რჩება საქმიანობად, რომლის ერთ-ერთი მთავარი არსი (სხვა უბედურებებთან ერთად) სიცოცხლის ხელყოფაა. და როცა ეს „საქმიანობა“ ისტორიულ-მხატვრულ ლიტერატურას თუ მძაფრსიუჟეტთან კინოს გამოსცდება და გაცილებით უფრო ნატურალურად წარმოგიდგენს ჭურვისგან ადამიანის ნაფლეთებად ქცევის სცენას, ძნელია თავი დაიწმუნო, რომ შესაძლო ბოროტებებიდან ყველაზე მცირეა არჩეული.

ასეთ დროს მეომრის საქმეც ტოვებს რიგით პროფესიათა რიგებს, რაკი აშკარაზე მეტი ხდება, რომ, მთლიანად ის თუ არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც სიკვდილია.

ტანკისტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ბოლო ქართულ ომამდე კარგა ხნით ადრე ჯარში კი ვმსახურობდი. ერთი პერიოდი, ნომინალურად, ასეულის მეთაურის მოადგილეც ვიყავი – „პირად შემადგენლობასთან აღმზრდელი ბითი მუშაობის დარგში“. საბჭოთა ჯარში ამ დარგს პოლიტიკური დარგი ერქვა, თანამდებობას – მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ დარგში ანუ შემოკლებით და რუსულ-არმიულად – „ზამპალიტი“. ჩემი მსახურობის დროს დარგის არსიც შეცვლილი იყო, თანამდებობისაც; მე კი სულაც ისე მომიხდა, რომ რაიმე განსაკუთრებული, ასეულის დანარჩენი ოფიცრებისგან განსხვავებული მოვალეობა

დასასრული მე-19 გვერდზე

დარჩენილ წამებს ითვლიდა. აი, გავი-
დოდა აქედან, გაიხურავდა კარს და
დამთავრებული იყო ყველაფერი, ამ
ცხოვრებასთან აღარაფერი ესაქმე-
ბოდა, ყველა ანგარიში გასწორებული
ჰქონდა. ახლად მოკლული ამხანაგის
სურათი გაახსენდა: ერთი თვის შემდეგ
რომ დახედა, თვალები ჩაქრობოდა,
გამკრთალებულიყო. სადღაც გაეგონა,
ადამიანი რომ მოკვდება, მისი სურათ-
იც ნელ-ნელა იწყებს კვდომასო. გულის
ჯიბეში სოფიკოსთან ერთად გადალე-
ბული სკოლისდროინდელი სურათი
ედო, სათუთად შენახული, ტარებაში
ოდნავ გაცრეცილი. ჩუმად ამოიღო და
მაგიდაზე თევზის ქვეშ დადო. „ახლა
სოფიკოს ჰქონდეს. ეს სურათი ჩემზე
უკეთ მოუყვება ყველაფერს“. სოფიკო
უკრავდა. გუჯამ კიდევ მოსვა შამ-
პანური და გაიფიქრა, ამაზე მწარე არა-
სოდეს არაფერი დამილევიაო.

მესამე გაკვეთილის ზარი რომ
დაირეკა, გუჯამ სკოლის შენობას უკა-
ნა მხრიდან მოუარა, კლასისკენ აიხედა
და როცა დარწმუნდა, ჩემი ძვირფასი
მეგობრები წესიერ სწავლა-განათლე-
ბას შეუდგნენო, თავისი პატიოსანი
დიპლომატით ხელში, საქმიანი იერით,
სკოლიდან პირდაპირ ცხოვრების გზა-
ზე გავიდა. გავიხედოთ, ეს სულელი
სოფიკო წამოენია და გვერდით ამოუდ-
გა, სად გარბიხარ, ცოტა ნელა იარე, მე
ვერ გეწევო.

– რა გინდა, ფრიადოსანო, სად მო-
ბრძანდები?

– აკადემიური მოსწრების გამოსას-
წორებლად მომამაგრა შენზე მასწავ-
ლებელმა. თანაც მას შემდეგ კარგა
ხანია.

– ხომ ვსწავლობ? რა გინდა ჩემგან,
რას მომდეგ? ნადი რა სკოლაში!

– რა გავაკეთო სკოლაში? – გაეცინა
სოფიკოს.

– გაკვეთილები ისწავლე. სწავლა,
სწავლა და სულ სწავლა რომ გიანდერ-
ძეს, არ გახსოვს?

– ვისგან ვისწავლო? ამათგან? – თა-
ვით სკოლისკენ მიანიშნა სოფიკომ.

– მებრალეები, შეილო ჩემო, მა-
გრამ შენი მასწავლებლები ეგენი არი-
ან. მე სკოლის გზაზე არა ვდგავარ,
ცხოვრების ოღრო-ჩოღროებს მივყვებ-
ბი. მოკლედ, ცუდი ვარ და თავი უნდა

დამანებო, კარგებში წახვიდე. ბოლოს
მინც მასე იზამ.

– აი, მაგიტომ არ წავალ შენგან
არსად, სანამ მაგ შენი ცხოვრების გზი-
დან სწორ გზაზე არ გადმოგიყვან და
ჭკუაზე არ მოგიყვან, ასე უნდა გდიო!
– თითი დაუქენია სოფიკომ.

– რა ბრძანეთ? – გუჯას მართლა
გულიანად გაეცინა, – შენა, ეგეც სა-
შინაო დავალებად ხომ არ გვექონდა
გუშინ? ჰა?

– არ გიხარია, რომ მეც მოვდივარ?

– სად? საით?

– სადაც – შენ.

– შენ რა იცი, მე რა მიხარია?

– ვიცი! ვიცი! – ასკინკილით
გამოეკიდა სოფიკო. ერთხანს ჩუმად
მიდიოდნენ.

გუჯა სკოლაში სულ ორი დღის მი-
სული იყო ხანგრძლივი წოლის შემდეგ,
როცა დაჭრილმა და სიკვდილს ძლივს
გადარჩენილმა ლოგინში კოტრიალი
მოითავა. ვინ დაჭრა, რად დაჭრეს, ვე-
რაფინ წამოაცდენინა. არ ვიცნობო.
სკოლაში რომ არ მივიდა და ამბავი მო-
იტანეს, გუჯა საავადმყოფოდან უკვე
გამოწერესო, სოფიკომ დაურეკა. „მო-
დინახე“ გინახავს?“ – ჰკითხა გუჯამ.
„არაო“ – გულუბრყვილოდ უპასუხა
სოფიკომ. ჰოდა, უნდა ნახო, შეილო,
ამდენი არ გესმისო, გაეცინა გუჯას.
დედამისი სამსახურში იყო, შინ მარ-
ტო დახვდა. აიო, უკვე დავდივარ, მშ-
ვენივრად გადავიტანე სასწრაფო ოპ-
ერაცია, ნალვლის ბუშტი ამომაჭრეს
და ნალვლიანი არასოდეს ვიქნებოო,
იცინოდა. რა ჩაიდინე, რას მიმალავ,
ასე საეჭვოდ რომ იცინიო, იცინოდა
სოფიკოც. გუჯამ ხელი გადახვია და
ცხვირი მის თმაში ჩარგო.

– ჩემო სიცოცხლე! ჩემო ერთად-
ერთო სიცოცხლე! – უთხრა ჩუმად და
სოფიკოს ყველა შეკითხვა დაავიწყდა,
არადა – როგორ ემზადებოდა ამ შეხვე-
დრისათვის.

– შენი პიანინო უკრავს? – ჰკითხა
აკანკალებული ხმით, ხელიდან რომ
ძლივს გაუსხლტა და აწენილი თმა
შეისწორა. გუჯა ღიმილით უყურებდა.

– პიანინო კი უკრავს, მაგრამ მე ის
უფრო მადარდებს, შამპანური რომ არა
მაქვს შენთვის. გარეთ ჯერ არ გავ-
სულვარ.



მაისურის ქვეშ ბინტებით იყო გაკრული, თავისუფლად მოძრაობა ჯერ კიდევ უჭირდა, თანაც ნაჭრილობები ნიწკნიდა.

– მე მოვიტან! – წამოხტა სოფიკო, – ქვევით ჩავალ, თქვენს გასტრონომში. ახლავე დავბრუნდები! – სოფიკოს უნდოდა, ცოტა ხნით გასცლოდა, დამშვიდებულიყო, გონს მოსულიყო კოცნის შემდეგ. გადაულახავი ზღვარის გადალახვას ორივე ერიდებოდა, თუმცა არც ეს სჯობდა და არც – ის, ასე იყო მათი საქმე.

– შენ გგონია, მე შენი მოტანილი შამპანური მინდა?

– მე მინდა! – წასასვლელად მოემზადა სოფიკო.

გუჯა კართან წინ გადაეღობა. მალალი იყო, უსაშველოდ მალალი და ისეთი ცისფერი თვალები ჰქონდა, სოფიკომ თვალებში რომ შეხედა, იფიქრა, ცაში მიფვრინავო. არა, ცოტა ხნით მაინც უნდა გასცლოდა და სული მოეთქვა, თორემ ახლავე, აქვე მოკვდებოდა სიყვარულისგან.

– როგორ მომენატრე! – წამოსცდა ჩუმად, – როგორ მომენატრე...

– როდის უფრო გენატრებოდი, შაბათ-კვირას თუ – სამშაბათობით? – გუჯამ მხრებზე ხელები დააწყო, – როდის უფრო გენატრებოდი, სიზმარში თუ – ცხადში? მე სულ არ მომენატრე! მე სულ არ მიყვარხარ! სულ არ გამხსენებხარ!..

შამპანური მაინც მოიტანა, ერთი ბოთლი შამპანური. გუჯამ მაცივარი გამოაღო, შოკოლადი და ვაშლები იპოვა, ერთი ქილა მანდარინის ჯემიც.

– ჯემი არ მიყვარს! – ტუჩი აიბზუა სოფიკომ.

– არც მე! დედაჩემს უყვარს და იდგეს აქ. ოჰ, როგორ ვერ ვიტან შამპანურს! ქალების სასმელია! – ამოიოხრა გუჯამ და გახსნილ შამპანურს გემო გაუსინჯა.

– მე კი ვიცი, შენ რის სმაც გირჩევია, მაგრამ რა გიშველო? სადღაც ეშმაკებში მიიწვევ, რას აკეთებ და სად დაბრძანდები, ვერ გამიგია! – ამოიოხრა სოფიკომ.

– სწორედ რომ ეშმაკებში დავდივარ! მერე – გიმალავ? ასეთი ვარ. ზოგჯერ კაცი კი არ ირჩევს გზას, გზა

ირჩევს გზას, გზა ირჩევს კაცს. დანერგვით რა შენი საქმეა, რას ვაკეთებ? საქმეები! საქმეები!

სოფიკომ თავი დახარა. კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ გუჯას ცხოვრებაში არაფრის შეცვლა არ შეეძლო და ასე გულხელდაკრეფილს უნდა ეყურებინა, როგორ იყრებოდა მათი გზები, როგორ მიემართებოდნენ სხვადასხვა მხარეს. ტელეფონმა დარეკა, რეკავდა დაჟინებით, გუჯამ ერთხანს უსმინა, მერე უპასუხა, თან სოფიკოს თვალს არიდებდა. უცნაური, მანამდე განუცდელი ტკივილი იგრძნო გოგომ გულში. მაინც ერჩია, ეს საუბარი მოესმინა, რომ უფრო მეტი სცოდნოდა გუჯაზე. მასთან ცხოვრების სხვა მხრიდან რეკავდნენ, არანმინდა მხარიდან.

– ჰო, ფისო, გისმენ! – გუჯა ალერსიანად, თბილად ლაპარაკობდა – არა, ჯერ ისევ ვწევარ, მალე გამოვალ და გნახავ. შენ ისევ კომისიაზე ხარ?

სანამ ყურმილი დაკიდა, სოფიკო წამოხტა, ჩანთას ხელი წამოავლო, დასამშვიდობებლად შეჩერდა კართან და დაელოდა. გუჯა ნელა წამოდგა, მიუახლოვდა.

– რა იყო, სად მიდიხარ? – ჰკითხა გაკვირვებულმა.

– ვატყობ, რომ სრულიად ზედმეტი ვარ შენთვის, – მხრები აიჩჩია სოფიკი, – შენ იმდენი ფისოები და ციციოები გყავს, მე რატომ უნდა გეჯდე აქ?

– მართალი ხარ, შვილო, მართალი! – გაიცინა გუჯამ, – ვმალავ, რომ ცუდი ვარ? წამო ახლა, გეყოფა ბუტიაობა! – მიიყვანა და მაგიდასთან დასვა.

– ვის ელაპარაკებოდი? თანაც ჩემი თანდასწრებით!

– ასეა საჭირო! საქმეები, ძვირფასო, საქმეები! შენ ეგ არ გეხება.

სოფიკომ შამპანური მოსვა და პიანინოს მიუჯდა.

– ახალი სიმღერა დაწერე, მოგასმენინო?

– მასწავლებლებმა უკვე მოისმინეს? – ჩაიცინა გუჯამ.

გუჯა ნაღვლიანად უსმენდა, თან თვალს არ აცილებდა. როცა სიმღერა დაამთავრა, ხელი გაიწოდა და სოფიკოს შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაუწია.



არასდროს შემისრულებია. თუმცა გადმოცემით შევიტყვე, როგორ არ უყვარდათ თავის დროზე „პირად შემადგენლობებს“ ზამპალიტები. რატომ? – ისინი სხვების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებაზე მუშაობდნენ, როცა თვითონ ჯარისკაცური ცხოვრების სიმძლეეში ნაკლებად ეხებოდათ.

არ ვიცი, ცხელი ომის დროს უფრო მძაფრდება ეს დამოკიდებულება, თუ პირიქით, ამაზე საფიქრალად აღარავის სცხელა.

აი, „არარაციონალურად“ მოაზროვნე ადამიანისთვის კი სადღაც ჰაერში თუ გულის კუნჭულში თითქმის ყოველთვის მოიძებნება უსამართლობის შეგრძნება – მაგალითად, მაშინაც, როცა მთავარსარდალი ჯარს ომში მიდენის; როცა ექსპერტი ომს საუკეთესო სვლად სახავს; როცა პოეტი თუ დეკლამატორი ჯარისკაცს გამირული თავგანწირვისკენ მოუწოდებს; როცა ასეთივე პათოსის სიმღერას აგუგუნებს კომპოზიტორი თუ შემსრულებელი... როცა ვინმე სადმე ლამის უსაფრთხოდ მოკალათებულა და სხვების საბრძოლო ჟინს ამაღლებს.

არადა, სულ ასე ხდება, თითქოს ასეც უნდა ხდებოდეს; თითქოს ადამიანს, ერს თუ კაცობრიობას გამოცდილებამ ასწავლა, რომ სწორედ ასეა საჭირო.

არ ვიცი, ამ საჭოჭმანო ვითარებიდან გამოსავალი რა არის. იქნებ ის, რომ: რაციონალურად აწყობილ სისტემას (ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და ა. შ.) ოპტიმალური შედეგი (თუნდაც ისევე „შესაძლო ბოროტებათაგან ყველაზე მცირე“) მოაქვს; სიკვდილით კი, ერთხელაც, ყველა დავიხოცებით.

შეიძლება კიდევ ერთი, კერძო გამოსავლის გამოჩნერეკაც – შრომის განაწილების ზემოთ აღწერილი წესის ვერგამზიარებელი, „არაციონალური“ ადამიანისთვის: არასდროს გახდეს მთავარსარდალი და არც ისეთი ლექსი დაწეროს, სხვას თავგანწირვისკენ რომ მოუწოდებს. ისიც ეყოფა, რომ ოდესმე ამ თემაზე ჭკვიანურად მსჯელობას შეეცდებოდა, როგორც ცოცხალი და სულაც ომში არნამყოფი, სულ ცოტა, უზერხულად იგრძნობს თავს. ამიტომ მალევე მოამთავრებს. მანამდე იმას თუ მოახერხებს, ქედი მოიხაროს იმ დალუპული და ცოცხალი ადამიანების წინაშე, რომელთა პროფესიის მნიშვნელოვანი ნაწილი სიკვდილია.

ზაზა ბიბილაშვილი



– ოჰ, ეს მშვენიერი პროფილი! ო, ეს პროფილი! – ჩაილაპარაკა თავისთვის, – „მთვარის სონატა“ კიდევ გახსოვს? დაუჟარი რა!

ახლა უკვე შორს იყო დარჩენილი ის სიმღერაც, „მთვარის სონატაც“.

სკოლის შენობა უკან მოიტოვეს და ჭავჭავაძის პროსპექტს დაუყენენ.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა სოფიკომ.

– საქმეებზე, მაგრამ ორი საათით შენი ვარ! – გუჯამ უცბად თავი ასწია და ისე მიიხედა-მოიხედა ირგვლივ, თითქოს ჰაერს ყნოსავს და ვიღაცის სუნს იღებსო. სოფიკო განზე გასწია და ვიღაც დაბალ, შავგვრემან ბიჭს დაუდგა წინ, ყოველგვარი სალამ-ქალამის გარეშე. ბიჭს სოფიკოსთვის არ შეუხედავს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, გუჯას ისე ელაპარაკებოდა. სოფიკოს მოეჩვენა, ხალხიდან ამოყვინთაო.

– საქმეა ამაღამ და გამოდი! – დაუბარა ბიჭმა გუჯას და ისე გაუჩინარდა გამვლელებს შორის, როგორც ამოყვინთა. გუჯამ თავი დაუქნია და სოფიკოსკენ შებრუნდა.

– ნავედით?

– ნავედით! – გაულიმა სოფიკომ.

– მერე, სად მომდევ, რომ მომდევ? პატრონი არა გყავს? – მოულოდნელად დაუცაცხანა გუჯამ. იგი სულ ნატრობდა, ნეტავ არც ტელეფონით დამელაპარაკებოდეს, არც სკოლაში არ დამხვდებოდეს, ან მე გადავიკარგო სადმე, რომ მოვისვენოო. გრძნობას ვერ ერეოდა, თორემ იცოდა, რომ სოფიკოს არ უნდა შეხებოდა. როგორც კი შინ შევიდოდა, მიუჯდებოდა ტელეფონს და, თუ სოფიკო არ დაურეკავდა, თვითონ მოიკითხავდა ხოლმე. ელაპარაკებოდა და უფრო მეტად უსმენდა. ორივეს უკვირდა, როგორ გვიძლებს ტელეფონი, რატომ არ სკდება შუაზეო. ლაპარაკობდნენ, სანამ რომელიმეს დედა ან მამა არ დაადგებოდა თავზე ჩხუბით, იქნებ სხვასაც უნდა დარეკვავო, ცოტა დაასვენე ეგ ტელეფონიო. ო, როგორ უყვარდა გუჯას ეს ხმა... ასე ეგონა, თავისზე ბევრად უმცროსს ელაპარაკებოდა. თანატოლები კი იყვნენ, მაგრამ იმდენი ცუდი ჰქონდა ნანახი, იმდენი რამე ჰქონდა გადატანილი, ორი შენი ხნისა ვარ, ჩემო სოფოო, ეუბნებოდა და არც ტყუოდა. სოფიკო

იყო მისთვის ყველაფერი, რასაც ქალი ერქვა, რასაც ლამაზი გოგო ერქვა, მაგრამ იცოდა, რომ არასოდეს სოფიკო მისი ცოლი არ იქნებოდა, არასოდეს ოჯახი არ ექნებოდა, ალბათ არც საკუთარ ლოგინში მოკვდებოდა, ამიტომ ნატრობდა, ნეტავ ან მე გავქრებოდე აქედან დღეიდან, ან სოფიკოს წაიყვანდნენ სადმეო. ცდილობდა, რაც შეიძლება, იშვიათად შეხვედროდა. სოფიკოს ცხოვრების ყოველი დღე, ყოველი წუთი და წამი ნაცნობი და საყვარელი, უწმინდესი იყო მისთვის. რამდენჯერმე იფიქრა, მოდი, ისეთ რამეს ჩავიდნე, ისე დაველაპარაკები, რომ შევძულდეო, მაგრამ ვერ შეძლო. ძალიან ძნელი იყო მისთვის სიყვარულზე ბოლომდე ეთქვა უარი. ყველა ჩხუბი და გაბუტვა შერიგებით მთავრდებოდა. ახლაც იმავე სურვილმა მოუარა, რამე მწარე და ცუდი ეთქვა, იქნებ საკუთარი ნებით გამექცეს და დამანებოს თავი, თორემ მე ვერ დავცილდებიო.

– ეე, სოფო, სოფო! იცი, რა დღემი ვარ? ვერც გეტყვი და ვერც გამიგებ.

– რა იყო? – შეკრთა სოფიკო, – მე შენ, როგორიც ხარ, ისეთი მიგიღე და ისეთს გაგიგებ, როგორიც ხარ. მითხარი, რა ჩაიღინე?

– ერთ ამხანაგს უჭირს და ფული მჭირდება. ხომ ვერ მიმასწავლი, სად ვიშოვო?

– გინდა, ძენკვს მოგცემ! – ოქროსჯვრიანი ძენკვი გაუნოდა გოგომ, – როცა ფულს იშოვი, მერე დამიბრუნე. შინ რამეს ვიტყვი.

– არა, ბავშვო, არა! – გუჯას გული ეტკინა. რატომ იყო ასეთი კარგი, რატომ? იმის ნაცვლად, რომ გამოელანდა და გაქცეოდა, რატომ ენდობოდა ასე? ძენკვი გამოართვა და თავისი ხელით გაუკეთა კისერზე: – აბა, მე შენ რა უნდა გამოგართვა, ცოტაა ფულიანი გოგო?

– მე რომ ფული არა მაქვს, იმიტომ მეჩხუბები ხოლმე?

– აბა, როდის გეჩხუბები? არ გიმაღავ, რომ სხვებისთვის ცუდი ვარ. ვისაც ფულს ვართმევ, იმათზე ახია! შენ იმათ გვერდით რა გინდა!

– მერე, შენ ის გოგოები არ გიყვარს? მე ორჯერ დაგინახე, როგორ ჩასვი ტაქსში სკოლასთან ვიღაც მაღალი გოგო...

– არა, სულელო, არა! – გუჯამ ხელი გადახვია, – საქმეს წირდება ასე. ჩემი ხელი წმინდაა შენთვის. რა ლამაზი ხარ, რა პროფილი გაქვს! – განზე გასწია და შეათვალიერა – რომ არ გიცნობდე, კიდევ ასჯერ გაგიცნობდი.

– ლამაზი და უბედური! – სასაცილოდ ამოიხრია სოფიკომ.

– როგორც დედაჩემი! როგორც ყველა ლამაზი ქალი! თან მე გადაამყარე! – უცბად მიიზიდა და აკოცა ლოყახე.

– გაგიჟდი? – სოფიკომ მიიხედ-მოიხედა – სირცხვილია!

– კიდევ გაკოცებ, იცოდე! ეს სიხარული მაინც მერგო ამ ცხოვრებაში! – გუჯამ კაშნე შემოახვია და პალტოზე შეხსნილი ღილები შეუკრა, საყელოც აუწია. – ცივა, არ გამიცვიდე! – მერე ისევ მოხვია ხელი. მიდიოდნენ ასე უხმოდ, ერთმანეთით სავსე, უმიზნოდ. ერთადერთი, რაც მართლა უნდოდათ, ეს ერთად ყოფნა იყო. გვიანი შემოდგომის ცივი, მზიანი დღე იყო. ავიდნენ ბოტანიკურ ბაღში. ერთმანეთით და ბუნების სილამაზით მოხიბლულებს არც შეუმჩნევიათ, როგორ ამოყვეს თავი იქ. ყვითელი, ხმელი ფოთლები შრიალებდნენ, ნესტის სუნი იდგა ტერასულ ბუჩქნარში. სოფიკომ სიამოვნებისგან გაიცინა, ჩანთა გუჯას მიუგდო და ბილიკზე აირბინა:

– აბა, დამიჭირე! აბა, დაჭეროხანა მეთამაშე!

– დამიცადე და გეთამაშები! – სიცილით ასძახა გუჯამ და სოფოს ჩანთას ხელი დაავლო.

– ჯერ დამიჭირე და მერე დაგიცდი!

გუჯამ ჩანთა და თავისი დიპლომატი ძირს დაყარა და სოფიკოს გამოეკიდა. სად წაუვიდოდა! სტაცა ხელი და ხელში აიტაცა. სოფიკო იცინოდა, ფეხებს აქნევდა, ხელიდან უსხლტებოდა. დასვა თუ არა, ისევ გაექცა. ფერდობზე ვილაც კაცი ჩამოდიოდა. გაიცინა და ხელი დაუქნია ორივეს. ამათაც დაუქნიეს ხელი – ისეთი ლამაზი, ისე სუფთა იყო მათი თამაში, თვალს ვერ აცილებდა – გადადგამდა ნაბიჯს – ღიმილით მოხედავდა, გადადგამდა ნაბიჯს – მოხედავდა. მერე თვალს მიეფარა.

„რატომ მაშინ არ მოვკვდი! არაფერი არ დამენანებოდა, არაფერი!“ – ფიქ-

რობდა სოფიკო, რამდენჯერაც ეს დაჭეროხანა გაახსენდებოდა. ასე ირბინეს, სანამ არ დაილაღნენ. მერე ერთი გამოქვაბული იპოვეს და იქ შეძვრნენ, დიდ ქვაზე ჩამოსხდნენ. უყურებდნენ ერთმანეთს და იცინოდნენ. თუ რამე ცუდი არსებობდა ქვეყანაზე, აღარ ახსოვდათ.

– სოფი, არ გამიცვიდე! სულ შენს მოვლაში უნდა ვიყო? – პალტო და კაშნე ისევ შეუკრა გუჯამ, – და რომ არ მბეზრდება!

– რა ვიცი, ხანდახან ისეთ სისულელეს გამომიცხადებ ხოლმე, მინდა ავდგე და გაგექცე. გუჯა შენ გიყვარვარ? – მოულოდნელად ჰკითხა სოფიკომ და ფეხზე ადგა.

– დაჯექი, შვილო, დაჯექი! მე შენი მათემატიკის მასწავლებელი კი არა ვარ, გაკვეთილის არცოდნისთვის ფეხზე დაგაყენო. არა, არ მიყვარხარ! გჯერა?

– არ გიყვარვარ, ხომ? იცი, რომ არ მჯერა? იცი, რომ ვიცი, გიყვარვარ! სულ შენთან მინდა ვიყო, სულ შენ გიყურო, სულ შენ გელაპარაკო, მინდა, რამე გაგიკეთო, მოგიარო... მე ძალიან მიყვარხარ! – სოფიკომ ზურგი შეაქცია და დაჯდა – არეულად ვლაპარაკობ, მაგრამ მართალს გეუბნები. აი, ახლა დავისვენებ და თუ შენ არ გიყვარვარ, ნავალ, აღარ გიცნობ.

გუჯამ შემოაბრუნა და შეხედა. სოფიკო ტიროდა.

– რატომ მიყურებ ასე, რატომ, თუ არ გიყვარვარ? გამიშივი ხელი!

გუჯამ უხმოდ ჩაიკრა გულში და ცხვირი მის თმაში ჩარგო – ო, როგორ უყვარდა ამ თმის მათრობელა სურნელი!

– სოფო, შენ ხომ იცი, ბავშვო! მე შენზე უფრო ახლობელი არავინ არა მყავს!

დედაჩემის და შენს გარდა მე საერთოდ არა მყავს არავინ – წამოსცდა უნებლიედ. მერე თავი აწია და აკოცა. ეს იყო მათი პირველი და ნამდვილი კოცნა. იგრძნო, როგორ უცემდა გული და სოფიკოს გულისცემაც იგრძნო. მერე დაბნეულები და აღელვებულები თვალს არიდებდნენ ერთმანეთს.

– სოფო, მე შენ მიყვარხარ, მაგრამ მერე რა იქნება, არ ვიცი! – უთხრა გულახდილად – მე თუ ოდესმე რამე მომივიდა, იცოდე, რომ მე შენ ყოველ-



ავვისტო, 2008

მერვე თვეა დედის სანოლთან ვზივართ – ხან მე, ხან ჩემი და. საშინელი ტკივილები აქვს... იმედი გადაგვეწერა... სულ გვთხოვს, მის ახლოს ვიყოთ და წუთითაც არ დავტოვოთ... ეშინია.

ცხელა თბილისში. ავვისტოა. 2008. ჩემი ბინა პატარაა. დედას ტელევიზორის ხმა არ სიამოვნებს და ძირითადად არც ვრთავ... ან ისე, უხმოდ...

ვიცი, რომ ძალიან დაიძაბა ვითარება და ომია მოსალოდნელი... მეტი არაფერი ვიცი... ჩემთვის ისედაც ყველაფერი ინგრევა...

ჩემი და მოვიდა სამსახურიდან, აღელვებულია, ყვება, ქალაქში პანიკაა, ხალხი საქმელს იმარაგებს, მალაზიები სულ დაიცალაო.

ჩანთას ვიღებ და მალაზიაში ჩაწვრივარ... რა ვიყიდო? გერკულია, ორცხობილა, მაკარონი, ზეთი, შედედებული რძე... დედა ძალიან ცოტას ჭამს, თითქმის აღარც... მაგრამ ვი თუ მერე ველარაფერი ვიშოვნო. აფთიაქშიც შევდივარ და ტკივილდამყურებლების და შპრიცების მარაგს ვიღებ.

უკან დაბრუნებულს უარესი ამბები მხვდება. ომი მართლა დაიწყო! ხანდახან დაბომბვის ხმაც ისმის.

დედა არაფერს გვეკითხება. ჩვენ გვგონია, არაფერი იცის... ქალაქიდან ყველა ახლობელი გაკრეფილია. ტელეფონზე მეგობარმა დამირეკა, მისი 18 წლის ვაჟი რეზერვში გაიწვიეს და ტირის, მე ვამშვიდებ.

დედა მეძახის. რა ხდებაო? არაფერი, ქეთის შოთიკო ჯარში მიყავთ-მეთქი. ჯარში თუ ომშიო...

სცოდნია!

უკვე თბილისისკენ მოდიან ტანკები. სანოლთან ვზივარ, დედის ხელი მიჭირავს ხელში და ტირილს ძლივს ვიკავებ.

წადითო, ნაიწურწულა... დამტოვეთო...

რას ამბობ-მეთქი!

– გადით ქალაქიდან შენ და შენი და. მე უკეთ ვარ, ტკივილები სულ აღარ მაქვსო... ჩემი თავის მოვლას შევძლებო...

მეორე დღეს სისხლდენა დაეწყო. სასწრაფო ვერ მოვიდა. გორიდან ჩამოჰყავდათ დაჭრილები. ყველა რეანიმაციამო დავრეკე... ქალბატონო, ადგილები არაა, ბიჭები იატაკზე წვანან, რა დროს თქვენი ქრონიკული პაციენტიაო... შეიძლება საკუთარზეც ასე ეთქვათ მაშინ.

ცოტა ხანს კიდევ იცოცხლა...

მე ომში – დედა დავკარგე...

ნიკო ქოქოსაძე

ვის მიყვარდი. ვერც იმას დაგპირდები, რომ შენს გარდა არც ერთ ქალს არ გავეყარები არასოდეს, მაგრამ მე შენ მაშინაც მეყვარები! პირველად გეუბნები ამას თუ უკანასკნელად?

– ვიცი, გუჯა, ვიცი! მე უკვე აღარ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის ჩემზე ან რა ერქმევა ჩვენს ურთიერთობას. ჩემთვის მთავარია, შენს გვერდით ვიყო. იცი, რა ბედნიერი ვარ, ქუჩაში ერთად რომ მივდივართ ხოლმე და თვალს გვაყოლებენ. ყველა ამჩნევს, რომ ერთმანეთს ძალიან, ძალიან ვუხდებით.

– ეგ შენ გაყოლებენ ხოლმე თვალს. ლამაზი ხარ და იმიტომ!

– არა – შენ! შენ უფრო ლამაზი ხარ. იცი, როგორ ვეჭვიანობ ხოლმე?

– არა, შენ უფრო ლამაზი ხარ და საეჭვიანო მე უფრო მაქვს, ეე! – ცხვირზე წკიპურტი დაჰკრა, – რატომ გაგინითლდა ცხვირი, გცივა? შენ რომ არ მყავდე, რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება, ჩემო დამამშვიდებლო!

უცბად მოიღრუბლა, წინკლები დაეცა ხმელ ფოთლებს და ააშრიალა. სირბილით ჩამოვიდნენ ბოტანიკური ბაღიდან და კაფეში შეეცვივნენ. კუთხეში მიმჯდარმა ქალებმა კეთილი ღმილით გამოხედეს, ოფიციალტი მიეახლათ, რამეს ხომ არ მიირთმევთო.

– ორი ყავა გაგვიკეთე და მე თვითონ წამოვიღებ! – უთხრა გუჯამ.

– შენ ამაღამ შინ არ იქნები? – ჰკითხა სოფიკომ ნაღვლიანად.

– აჰა, მოჰკრა რალაცას ყური! აგიხსნა? პადქლნიკი გამიხდა ავად და სხვას უნდა მოველაპარაკო საქმეზე. არ ვიცი, სად ვიქნები. დაგირეკავ! შენ სად მიდიხარ აქედან, შინ?

– არა, დეიდაჩემთან. დღეს დაბადების დღე აქვს და ჩვენებიც იქ მოვლენ. ნავალ, ტორტს მაინც შევჭამ შენს სახელზე! – ამოიოხრა სოფიკომ.

– ბავშვებო, ორი ყავა წაიღეთ! – გამოსძახა ოფიციალტმა.

– ბავშვებო! – გაუხარდა გუჯას, – გესმის, სოფი, ბავშვებო! მე კი აღარც მახსოვდა, თუ ისევ ბავშვებში ვითვლები. ან კი ოდესმე ვიყავი ბავშვი?

– არც მე აღარ მახსოვდა, გუჯა, არც მე! დიდები თუ ვართ, ერთად ვართ დიდები და ბავშვები თუ ვართ, ერთად

ვართ ბავშვები. თუ შენ რამე ცუდი მოგელის და მოგივა, მინდა, რომ ერთად მოგივიდეს, რაც მოგივა.

– ბავშვო, ჩუმად! ეგ აღარ თქვა! – დატუქსა გუჯამ და ყავის მოსატანად წავიდა.

სოფიკომ უხმოდ გაუღიმა და თვალი გააყოლა. თვალს ვერ აცილებდა და გრძნობდა, რომ ვერც გუჯა აცილებდა თვალს. სანამ ყავას აიღებდა, რამდენჯერმე გამოხედა, გაუღიმა. ასე უყურებდა, როგორ მოჰქონდა ყავის ორი პანია ფინჯანი, როგორ დააღაგა მაგიდაზე, როგორ მიუჯდა მაგიდას, როგორ ანია და მოსვა, მერე როგორ უთხრა რალაცა. არ გაუგია რა, მთავარი იყო, რომ გუჯას ხმა ესმოდა და ეს ხმა ყოველი სიტყვით ამბობდა: „მე შენ მიყვარხარ!“ უყურებდა, როგორც საოცრებას, აღარასდროს რომ არ განმეორებდა, რომელიც სხვებისთვის შეუმჩნეველ საგნებსა და მოძრაობებშია ჩამალული და მარტო შენ ხედავ. უნდა უყურო და სამუდამოდ აღიბეჭდო ხსოვნაში, რომ სიცოცხლე შეგრჩეს, სული შეგრჩეს და რამდენჯერაც გაგიჭირდება, იმდენჯერ წამალივით გაიხსენო და მოიშველიო. წვიმიანი შემოდგომის ნაღვლიანი დღე ფანჯრიდან უჭვრიტინებდათ. ბარიდან ნაღვლიანი სიმღერა ისმოდა და წვიმის ხმას უერთდებოდა, სანამ ტაქსში ჩასხდებოდნენ. აღარ იყო „მე“ და „შენ“, იყო „მე“ და „მე“.

ირაკლი ფანჯრიდან წვიმას უყურებდა, „მთვარის სონატას“ პირველად უსმენდა და ფიქრობდა, რა ექნა. რამე უნდა ექნა, მაგრამ რა, არ იცოდა. მანქანა გზის პირას იდგა და ელოდებოდათ. სოფიკო ჯერ ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა, მერე გაჩერდა და თავი დახარა. ირაკლი დაიხარა, დიდი, პეპელასავით აფარფატებული გვირილა მონყვიტა მინდორზე და სოფიკოს გაუწოდა. სოფიკომ გამოართვა, მაგრამ თავი არ აუნწევია.

– სოფო, აბა, თვალეში შემომხედე! შემომხედე! – ნიკაპზე ხელი მოკიდა და თავი აუნია. ოჰ, ეს თვალეები! ტყუილი რომ არ შეეძლოთ... ლამაზი, ლამაზი სიმღერა რომ იმალებოდა ამ თვალეების მიღმა, ნაკადულივით სუფთა და ანკარა და ზღვასავით უძირო.



– მეშინია, ირაკლი, მეშინია! – ჩურჩულით უთხრა სოფიკომ.

– რისა გეშინია?

– აი, ახლა რალაც მთავრდება და რალაცა ინყება ჩემს ცხოვრებაში და მეშინია. არ ვიცი, ცუდი თუ – კარგი... მეშინია, ვაითუ ბედნიერები არ ვიყოთ.

– სოფი! შენ მხოლოდ ბედნიერება გელოდება და არაფრის არ უნდა გეშინოდეს. ხომ მიცნობ? შენ შეგიძლია ამის შემდეგ სხვას გააწყვე ცოლად? შეგიძლია, სხვაზე იფიქრო? სხვას ელოდო, როდის დაბრუნდება სამსახურიდან? – სოფიკომ ჩუმად გააქნია თავი, – მითხარი, არ გიყვარვარ? არა?

– მიყვარხარ! – დაუქნია თავი სოფიკომ და გაუღიმა.

სოფიკომ დაკვრა დაამთავრა და შემოტრიალდა. თვალები მშრალი ჰქონდა. „გაზრდილა, ტირილს გადაჩვეულა ჩემი ბავშვი“, – გაიფიქრა გუჯამ. წამოდგა. იმხელა იყო, თავი კინაღამ ჭალს აჰკრა.

– მაპატიე, რა სოფიკო! მაპატიე! არაფრით არ შემეძლო, არ მენახე. რალაცა ნათელი და წმინდა ხომ უნდა მეგულეობდეს ამ ოხერ ცხოვრებაში, რომ ხანდახან მაინც შევხედო. მორჩა, წავედი, მე შენ აღარ შეგანუხებ! თუ რამეში დაგჭირდები – შენი მონა-მორჩილი. რა მალე დამთავრდა... მონვევა ვერც მოვასწარი.

– რა დამთავრდა? – იკითხა ირაკლიმ და სიგარეტს მოუკიდა.

– მუსიკა... ჩემს ცხოვრებაში. იცი, რამდენი ხანია თბილისში არ ვყოფილვარ? და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნით მივდივარ... იქნებ – სამუდამოდ. არაფერი არ ვიცი, როგორც საქმე მიჩვენებს. აღსარება მღვდელსაც ვუთხარი და...

გუჯამ ფრთხილად, გაუბედავად გაუნოდა ირაკლის ხელი. ირაკლიმ მის ხელს დახედა და მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ ხელი ჩამოართვა. გუჯამ სოფიკოს შეხედა, მერე ხელი ჩაიქნია და გასასვლელისკენ წავიდა.

– ნურავის ნუ მოუყვებით, რომ მე ვიყავი. მე კი არც არასდროს მი-

ლაპარაკია თქვენზე არავისთან. მიცნობთ? არ მიცნობთ! აბა, ბედნიერად! – და კიბეებზე დაეშვა.

ირაკლიმ ნელა ჩაკეტა კარი. სოფიკო მაგიდასთან იჯდა, შამპანურს ნრუპავდა და სურათს დაჰყურებდა. ირაკლიმაც დაისხა. დალია. მერე სურათს დახედა.

– შენ როგორ ფიქრობ, სოფო, რა უნდა ვუყოთ ამ სურათს?

სოფიკომ სურათი გადახია და საფერფლეზე დაყარა, მერე მოუკიდა და დაელოდა, ბოლომდე დამწვარიყო, თან საფერფლეს დასტრიალებდა, ნაპერწკალი არ გადავარდნილიყო მაგიდაზე. ისე ირჯებოდა, როგორც ყოველთვის საოჯახო საქმიანობისას. ირაკლის გაეცინა.

– რას იცინი? მაშინ შენ არ გიცნობდი. მაშინ სხვა იყო, ახლა სხვაა. ჩემი ბრალია, რომ ამოვიდა? მე რა უნდა მექნა?

– შენ არაფერი არ მოგიყოლია ჩემთვის გუჯაზე. რატომ, სოფი?

– არ იყო საჭირო და იმიტომ. რა უნდა მომიყოლა?


– იქნებ ახლა მომიყვებ?

– ეჭვიანობ! სულ ტყუილად. მე შენ მიყვარხარ, ირაკლი, და ის, რაც გუჯაში მომწონდა, შენში დავინახე. რაზეც ვოცნებობდი, ისიც შენ ამიხდინე. მე რომ არ შემეყვარებოდი, არც შენ არ გეყვარებოდი. იმას, ვის გვერდითაც მთელი სიცოცხლე და სიყვარული უნდა გავატარო, მე შენში ვხედავ!

სოფიკო უყურებდა თავისი სუფთა, ალალი გამოხედვით და არაფერი, სულ არაფერი არ იმალებოდა მის თვალებში. ირაკლიმ ხელი მოხვია და მიიზიდა. სადღაც შორს ქუხდა. წვიმდა და წვიმდა, წვიმა შინ შემოსვლას ლამობდა, ფანჯრებს აწყდებოდა, სახლს ეხეთქებოდა. სოფიკო უმწეოდ მიეყრდნო ირაკლის, თავი მხარზე დაადო.

– ეს არ უნდა ექნა, – უთხრა ჩურჩულით, – მკვდარი ვარ!

– მეც! – უპასუხა ირაკლიმ და შუბლზე აკოცა.



ომი, რომელიც ვერ რჩება

ყველას გვითამაშია... ჯარისკაცებით ან ვითომ თოფებით... მკვდარი ხარ, მკვდარი! მეძახდა ჩემი მეგობარი და მეც ვნვებოდი თვალდახუჭული. ადამიანს რამდენიმე თანდაყოლილი თვისება აქვს, უფრო ზუსტად – ვნება. ომის სურვილიც მათგანია.

ყველაზე სისხლიანი, ყველაზე დაუნდობელი, რომელიც სხვა ყველა ავ ვნებას ერთად ბადებს – ხეჭის, დიდების, დაპყრობის (ქალის თუ ქვეყნის), ქურდობის, სიცრუის და ათასი კიდევ.

ამბობენ, რომ „ომი საშინელებაა“ (სწორადაც ამბობენ). მაგრამ მერე მაინც ამ საშინელებას მიმართავენ. მოურჩენელია ამბავია, მაგრამ – ადამიანური („მაგრამ“ ზედმეტი იყო ალბათ).

ასეა – თითქოს განგებაც ხელს უწყობს. როგორც „ბჰაგავად გიტამა“, კურუქშეტრას ველზე, როცა არჯუნას ბრძოლა არ უნდა, კრიშნა ეუბნება: მე ესენი უკვე დავეხოცე ჩემს გონებაში, ახლა შენ უბრალოდ უნდა აღასრულო.

ქართული ომებიც ასე იყო, თითქოს არავის უნდოდა და მაინც მოხდა. როგორც ერთ იდიომშია – „მოსახდენი“.


მე შორს ვიყავი. ყველა ომისას. ტერიტორიულად ახლოს, მაგრამ – ისე. ანუ ფიზიკურად არ ვმონანილეობდი. შესაბამისად უცნაური შეგრძნება მღრღნიდა – ყველა ასაკში ერთნაირი. ვერ ვიტყვი, რომ გონებით იქ ვიყავი. ომი დამაბნეველი მოვლენაა. ხან მტრის ჯარისკაცებს ვხოცავდი გონებაში, ხან – ზავს ვანერდი ხელს, ხანაც არაფერი მახსოვდა, თითქოს ყველაფერი ისე იყო – როგორც მანამდე. ესეც ომის სინდრომია – ცრუ სიმშვიდე – დიდი შოკის თვისება.

მაგრამ მაინც ვერ ვამბობ – ომი არ უნდა იყოს. არა იმიტომ, რომ მინდა. პირიქით, ათასგზის პირიქით. მაგრამ ვიცი, რომ ეს მაინც მოხდება, ადრე თუ გვიან. აქ თუ სხვაგანაა.

ეს ადამიანური ტრაგედიაა. ტრაგედიათაგანი. მოურჩენი.

გიორგი კაქელიძე

რომანი და ისტორია



ნესტან ფიფია

**მხატვრული რეალობა პოლიტიკური კონტაქსტით
ოთარ ჩხეიძის სიმართლე**

ოთარ ჩხეიძისათვის მიუღებელი იყო „დისტანციის თეორია“. მწერლის მხატვრულ სამყაროს აქვს პოლიტიკური კონტექსტი, მიზეზ-შედეგობრივი მთლიანობით ასხმული, ხელოვანის შინაგანი მზერით და მაღლიანი კალმით დახვეწილი.

„ბორიაცაიდან“ მოყოლებული ეს კონტექსტი დაბრკოლების გარეშე იკითხება. მწერალი ქმნის შთაგონებისა და ემოციურობის ველს, სადაც თითოეული პერსონაჟი თუ პასაჟი ხაზს უსვამს პოლიტიკურ კონტექსტს. ეშურება თქმას, სახელის დარქმევას მოვლენებისადმი, „მატიანე ქართლისას“ რკალს რომ არ უნდა დაკლებოდა.

XX ს-ის 90-იანი წლების სისხლიანი ისტორია ინახავს ხელისუფლებათა მონაცვლეობის სამართლიან და არასამართლიან გზას.

ერის ყოფიერებაში, ისტორიულ ეპოქათა სპეციფიკური გზის გამოვლენაში ერთმანეთს ემთლიანება ხილული და უხილავი ფაქტორები. ეს სიღრმისეული მოვლენა კვლევის ვინრო სფეროს არ ემორჩილება; აქ მნიშვნელოვანია ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ისტორიკოსების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. მთავარია კვლევის შთამაგონებელი განწყობა და მეცნიერის პიროვნულ-სულიერი მიმართება ჭეშმარიტებისადმი.

ფილოსოფიას აინტერესებს მოვლენის ზოგადისტორიული სტრუქტურა და მისი საზრისი, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები „თვით საფუძველში ჩვენი ცივილიზაციისა, თვით იმ ველში, რომელიც დასტრუქტურებულია იმის მიხედვით, თუ რა ადამიანი და რა შეუძლია, რა ამოძრავებს მას, განსაკუთრებით ადამიანურ მასებს, როგორ ერთვება კოსმიური ენერგიები ან სტიქიები საზოგადოებრივ ყოფაში, ისტორიულ მექანიზმში და ისტორიის შედეგებში“ (1. 190).

ფილოსოფიური აზროვნებით ისტორია არის უნივერსუმი. ლიტერატურა კი, როგორც ხელოვნების დარგი, ბუნებრივია, ქმნის ამ უნივერსუმის მხატვრულ მიკრომოდელს, მწერალი, რომელიც არ იფერებს „დისტანციის თეორიას“, რომლის შთამაგონებელი ძალა არის სიმართლისა და სიჯანსაღისკენ სწრაფვა, ქმნის იმ მხატვრულ მიკრომოდელს, უნივერსუმის შესაცნობად ამოუნურავ სალაროს რომ მოიცავს. სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა ოთარ ჩხეიძის შემოქმედება.

XX ს-ის 90-იანი წლების მოვლენების ამსახველი ტრილოგია გვიჩვენებს ეროვნული და მისი ძალისმიერი დამხობით მოსული მოძალადე მთავრობის ზოგად სახეს.

ეროვნული მთავრობა კანონიერი არჩევნების გზით მოვიდა. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებმა დაამთავრა ნითელი რეჟიმის მმართველობა საქართველოში, 1991 წლის 22 დეკემბერს გასროლილი ტყვიით დაიწყო იარაღით დამხობა ეროვნული მთავრობის, შემდგომ ხუნტის გამმართველება.

პირველ ფაქტს მოჰყვა საქართველოს ე. წ. სსრ-ს, როგორც მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფიქციად მიიჩნევა, მის ოფიციალურ სტატუსს მიეცა დანაშაულებრივი კვალიფიკაცია. „დე ფაქტოდ“ არსებული საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება მიჩნეულ იქნა დანაშაულებრივად.

1990 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ უპრეცედენტოდ დადგენილება მიიღო, თავისივე კანონების დაცვით. თავისი თავი ფაქტობრივად უკანონოდ გამოაცხადა.

ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მიზეზი ეს იყო – საქართველო არ უნდა გათავისუფლებულიყო, მოსკოვი ვერ დაუშვებდა გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვა-

ნესი რეგიონის მფლობელობაზე უარს.

1992 წლის 12 თებერვალს ქართველი ერისადმი მიმართვაში განდევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ამბობდა: „საქართველოში პუტჩი და სამხედრო გადატრიალება, ეს იყო რევანში პარტოკრატებისა და მაფიოზური სტრუქტურებისა, რევანში – მოსკოვის იმპერიალისტური ძალებისა, საქართველოს კვლავ ხელში ჩასაგდებად“.

მოძალადე მთავრობის დარღვეულ სტრუქტურაზე საუბარი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში განიხილავს მისი სულიერი და მმართველობითი სტრუქტურის არაკანონზომიერ მდგომარეობას. სულიერი სტრუქტურის სიმართლე ვერ დაუშვებს საკუთარი ხალხის რბევას და დახვრეტას იდეური შეუთანხმებლობის გამო.

შეგარდნადის მთავრობა ამით მოვიდა. „როგორც საკავშირო სუკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ფ. ბობკოვი, შენიშნავს: მოსკოვი არ ეწინააღმდეგებოდა გამსახურდიას ჩამოგდებას. ცენტრმა მხარი დაუჭირა გადატრიალებას, საქართველოში 1918-1921 წლების ისტორია გამეორდა“ (2. 158).

სულისშემძვრელი ფაქტები არის აღწერილი ნიგნში „ცოდვის კალო სამეგრელოში“, რომელიც ასახავს ჯაბა იოსელიანის „მხედრონის“ მიერ საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხის – სამეგრელოს დარბევას, წალენჯიხელი მოძღვრის, მამა რომანოზის (ჩიქობავა) წამებას.

ავტორს შეკრებილი აქვს თვითმხილველთა ნაამბობი: რბევის, შეურაცხყოფის, მკვლევლობების უსაშინლესი ფაქტები. თითოეული მათგანი ცხადყოფს ზიზლს პირველი პრეზიდენტის მომხრეებისადმი, ასეთი ზიზლი ადამის მოდგმის მიმართ არაკანონზომიერი მდგომარეობაა, მით უფრო შენი ქვეყნის შვილის, შენი თვისტომის მიმართ.

ამ „უმადლო ჟამის“ ერთ-ერთ ტრაგედიად შემოინახა დრომ პრეზიდენტისათვის ნახატის მიძღვნის გამო მკლავმოჭრილი მხატვრის სახელი – ვახტანგ ნოდია.

ქვეყანაში რომ მთავრობის ნებით ასეთი ქაოსი, ბოროტება, შურისძიება

გამეფდება, მართვის შესაბამისი იქნება სახელმწიფო სტრუქტურის ქმედითიანობა, ქვეყნის მდგომარეობა.

ოთარ ჩხეიძის ტრილოგია ამ სინამდვილეს ასახავს: სახელმწიფოს მეთაური ეყრდნობა მოღალატეებისა და კრიმინალების თანადგომას. ასეთი ერთობა მხოლოდ დროებითია და უპირველესად პირადი ამბიციის დაკმაყოფილებას ემსახურება. თვით სახელმწიფოში მეფდება განუკითხაობა, კორუფცია.

პროფესიონალიზმი ბუნდოვან ცნებად ქცეულა. ასპარეზი შემთხვევით ადამიანებს დაუმკვიდრებიათ. მათ, თვითკმაყოფილებაში ჩაძირულთ, დაუკარგავთ შინაგანი კონტროლის უნარი – „ვერ ხედავს საკუთარ სულში მხეცს, არ ნანობს, არ იტანჯება“ (3. 17).

ერის ყოფიერების ისტორიულ ვითარებაში თვით ერის შიგნით დაპირისპირებული საზოგადოების ორი მხარის გამოვლენა უკვე დარღვეული სტრუქტურაა, რადგან „კაცობრიობა იყოფა ერებად, როგორც ამა და ამ ფუნქციონალობის მქონე ერთეულებად, და ეს ერთეულები ასეთ და ასეთნაირად სტრუქტურირებულ, ამა და ამ წესით შემდგარ ჯგუფებად რეალიზდება“ (4. 111).

ეროვნულ კოლექტივად რეალიზებული ჯგუფი ერთმანეთს იარაღით რომ დაუპირისპირდება, იქ ამ ერის მტრული ძალა განაგებს მოვლენებს.

რუსის იარაღი და ქართული „ენდოგენური შური“ გამოთიანდა და გადატრიალების განხორციელების შემდეგ ჯერ სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ სახელმწიფო მეთაურის სახელდებით ებრძოდა ცნობიერების სიჯანსაღეს. ხელისუფლებაში მოვიდა და ამკრძალავის როლში მოგვევლინა ის ძალა, რომელმაც ცივილიზებული სამყაროს ყველა კანონი დაარღვია და კანონიერი მთავრობა განდევნა.

„თეთრი დათვი“ მხატვრულ-დოკუმენტური თანმიმდევრობით, პერსონაჟთა თუ ავტორის დისკურსით გადმოსცემს სისხლიანი მთავრობის არშემდგარი მთლიანობის რღვევის სურათს, პარლამენტის ტრაგიკომიკურ სხდომებს – „განდგომოდნენ პარტიებიცა, ამასთან რომ იყვნენ გამსახურდიას დამხობისასა“ (5. 263).





ზვიად გამსახურდია

„მხედრიონის“ იარაღი მთავრობის დამხობისას ამოქმედეს, სახელმწიფო მეთაურს ტახტი გაუმყარეს, მოვიდა ჟამი, დადგა საკითხი: „იარაღი რო უნდა აპყარონ მხედრიონსა, წამოძახილები ვერას დააკლებს, დაარქვი თუ გინდა მამველთა კორპუსი, იარაღი უნდა აპყარონ. „არც ერთი ავტომატი ძალოვანი სტრუქტურების გარეშე!“ (5. 262)

ოთარ ჩხეიძე სატირით ამხელს „დემოკრატიულ მთავრობას“ და გვიჩვენებს, რამდენად მძიმეა ხვედრი ქვეყნისა, რომლის სულიერ სიმრთელესაც ბნელი მოჰრევიან, წინამძღოლად რენეგატთა ამაღლა მოვლინებია, შედეგად: მართვისა და ყოფის სტრუქტურა დარღვეულა.

სამხედრო გადატრიალებას შემოფოთება არ გამოუწვევია ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობაში. კიტოვანისა და იოსელიანის შეიარაღებული დაპირისპირება პრეზიდენტის მომხრეებთან, მშვიდობიანი მიტინგების დახვრეტა არ გაუპროტესტებია, მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ალიარა მათი სისხლიანი ხელწერა. მემუარებში ამბობს: „ვისთვის ჩამეგდო ქვეყანა ხელში – კიტოვანისა და იოსელიანისთვის? ეს ხომ სისხლიან ქაოსში დანთქავდა ყველაფერს“ (6. 339).

„ახალი ისტორიზმის“ პრინციპის შესაბამისად, ტექსტების განმარტებისათვის საუკეთესო საშუალებაა ნაწარმოების თავისთავად ისტორიულ კონტექსტში განთავსება“ (7. 293).

ოთარ ჩხეიძის ტრილოგიას (XX ს-ის 90-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებულ) ტექსტების ისტორიული კონტექსტები ჯერაც ძალიან ახალია (ისტორიისათვის გავლილი ოცი წელი უმნიშვნელო დროა), მაგრამ ხანგრძლივი ჟამის შემდეგ თვით ტრილოგია აღადგენს ისტორიულ კონტექსტს, იმდენად ახლოს დგას მხატვრული ქმნილება დოკუმენტურ ქრონიკებთან. „თეთრი დათვი“ გვიჩვენებს, რომ ფუნქცია-მოვალეობების ჯაჭვი დარღვეულია: „დაჭეობანაა გამალეხული. გვარდიას ხელი მოუთავეს. მხედრიონი მისჩიხეს, საპოლიციო რეიდები მოედო თბილისსა, რაიონებსაც მოედო.

ელოდეთ სამოქალაქო ომსაო, –

პარლამენტს აშინებდა ჯაბა იოსელიანი, ეგება რო: არც აშინებდა, ეგება რო რალაცას უცდიდა, ან თუ რა იყო, – ყოველ შემთხვევაში მზად გახლდა ყოველი: დაიძახებდა და აიშლებოდნენ“ (5. 361)

მთავრობა, რომელიც იდგა ყოფილ მომხრეთა საშიში დაპირისპირების წინაშე, ქვეყნის თვითმყოფადობისთვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ვერ მოაგვარებდა.

სტრუქტურადარღვეული მმართველობით დამკვიდრებულმა უბედურებამ მოამწიფა სულისმიერი ამოძახილი, ბუნებრივი გზით განვითარების უფლების მოთხოვნა: „ბავშვებს ბავშვობა უნდა დაუბრუნდეთ. დიდებს დიდობა უნდა დანებდეთ“ (5. 402). „თეთრი დათვის“ ეს ფრაზა სენტენციად აღიქმება მოძალადე მთავრობის „ღვანლის“ შესაფასებლად.

შევარდნაძის „სამეულმა“ (თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი) იარაღი მიმართა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, სცადეს ამას „სახალხო აჯანყება“ რქმეოდა. მთავრობა შეცვალეს, ქვეყნის ცხოვრება თითქოს უკეთესისკენ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ხდება პირიქით: ბავშვებს ბავშვობა (სინრფელე და უზრუნველობა) დაეკარგათ, დიდებს – ნებელობის თავისუფლება.

საინტერესოა ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი ინტერვიუ ჟურნალისტ ვოშანოვთან. კორესპონდენტის კითხვაზე: ხედავს თუ არა საკუთარ შეცდომას, დანაშაულს მომხდართან დაკავშირებით, რესპონდენტი პასუხობს: „დამიჯერეთ, ამაზე ყოველდღე ვფიქრობ, ყოველდღე გამუდმებით. ჯერ კიდევ თბილისში გამომრჩა რალაც, ვერ გავიგე და ვერ შევფასე, ეს არის უცხო ქვეყნის ჯარების ჩარევა შინაური პრობლემების გადაჭრაში, იმაში, რომ რუს ჯარისკაცს გადაეწყვიტა საქართველოს კამათი, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ქვეყანა“ (2. 242).

სამხედრო გადატრიალების აღმსრულებლებს, მათ მეთაურს არც დაუსვამს კითხვა: ღვთის, ერის, იურიდიული სამართლის წინაშე რამდენად მართებული იყო რუს პოლიტიკოსებთან

პარტნიორობით, რუსული იარაღით ეროვნული მთავრობის დამხობა.

ედუარდ შევარდნაძე მემუარებში ამ მოვლენებზე საუბრისას დამსახურებდა თვლის, რომ ავთანდილ მარგიანიმა გენერალ ბალტინთან მოლაპარაკება შეძლო და „დღე-ნახევარში, საღამო ხანს, ფოთს ოცამდე გემი მოადგა, ჯარისკაცებითა და არტილერიით. თავისი პოსტები დააყენეს საკვანძო ადგილებზე – ერთი გასროლაც არ ყოფილა. სენაკი ჩვენ დავიკავეთ, ზუგდიდი „ზვიადისტებს“ დარჩათ, მაგრამ რაკი ფოთი და სენაკი გათავისუფლდა, ზუგდიდისკენ გზაც გაიხსნა“ (6. 435).

ოთარ ჩხეიძის რომანებში ეს მოვლენები აისახა, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედის სამართლიანი დამოკიდებულება საკუთარ დროსთან, სოციალურთან, ეროვნულ უბედურებასთან. ეს არის „ახალი ისტორიზმისათვის“ დამახასიათებელი თავისებურება. „აქ თითქმის გაუქმებულია საზღვარი „ლიტერატურასა“ და „ისტორიას“, ტექსტსა და „კონტექსტს“ შორის (7. 293). აქ გამომხატველის ფუნქცია სახეებსა და ნარატივებს ეკისრებათ.

ასე გამოიკვეთება ბნელი და ნათელი მხარეები. დაცემა, სიმრთელის რღვევის შედეგი სახეზე იყო: დარბეულ-განადგურებული ქვეყანა. ასეთი უბედურებიდან თავდახსნას მკაფიო გეზი, შრომა, კეთილგონიერება სჭირდებოდა, მაგრამ XX საუკუნის 90-იან წლებში ყველაფერი აირია. ქვეყნის პატრონობა შემთხვევითმა ადამიანმა ითავეს. „მოიარაღე ინტელიგენციის“ სანადელის აღსრულების შემდეგ „თეთრ დათვში“ თენგიზ კიტოვანზე ვკითხულობთ: „...მერხები რომ ფერფლად ექცია, სკოლა გარუჯულ კედლებად, მასწავლებლები, უსახლკაროდ დარჩენილი მასწავლებლები, აჭარაში რო შეეჭვდათ სამაჩაბლოდან ლტოლვილებთან ერთად; დაენვა, დაენგრია, გაეტიანებინა, ამოჰფარებოდა პეჩორის სპეცდანიშნულების დივიზიის მეთაურებსა და გაეტიანებინათ“ (5. 244).

დამწვარი მერხები, გარუჯული სკოლები, ლტოლვილები მიუთითებს ქვეყნის ტოტალურ უბედურებაზე: ხე-

ლყოფილია განათლების კერა და ტერიტორიული მთლიანობა.

სკოლაში ინცეპა კულტურასთან ნილნაყარობისთვის მზადება, დამწვარი სკოლა ამ ნილნაყარობის ხვალისდედღეს კითხვის ნიშანს უსვამს.

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ეროვნული უბედურების უმთავრესი ნიშანია, რადგან „ერთი შემავალ ყველა ინდივიდს სათითაოდ და, ამგვარად ერს მთლიანად, აქვს მოუშორებელი ფუნდამენტური მოთხოვნილება, რომ „მზის ქვეშ ადგილი ჰქონდეს“ ან და „მარადის, როგორც პირადად თვითონ, ისე შთამომავალთა სახით“ (4. 68).

მზისქვეშეთში საქართველოდ მონიშნულ მინას ისევე ინანილებდნენ XX საუკუნის მიწურულს რუსები და მოტყუებული აფხაზები: „ისევე მიწებს ანანილებენ, ქართულ მიწებსა, არგონავტებიდან მოკიდებული ახალ ათასწლეულსაც ასევე ინცეპენ“.

რომანში ანონიმი მთხრობელი ახასიათებს აფხაზეთის ომს. „ყველაფერი რომ არეულიყო, ასვრემილიყო, ალუფხულიყო: ჭკუა და ჟინი არეულიყო. გადარეულიყო. მოშლილიყო, მოფუტქნულიყო, აღარც ამწყობი აღარა სჩანდა... ომი ომით ისწავლებოდა“ (5. 122). ამ ტკივილიან ფრაზებში ჟღერს ერის ტრაგედია, გაუგებარ ომს რომ ომობს, „გამოუცდებლობა რომ ჰყოფნიდათ“ მხოლოდ და „ჯერ ეს ომი არც შეუსწავლიათ, არც მართალს ამბობენ და არც შეისწავლიან, რახან არ უნდათ, რომ მართალი თქვან“ (8. 123). მართლის თქმა აღიარების ტოლფასი იქნებოდა მთავრობის მხრიდან, წინასწარ ნაგებულ ომში, რომ ამოებდა განიარაღებულ ჯარს.

ამ გაურკვეველი ხასიათის ომში ჭეშმარიტი მეომრები, ნამდვილი გენერლები გაოგნებულნი ასკვნიდნენ, „ეს ომი არ არის...“ მწერალმა ეს ფრაზა ათქმევინა გენერალ კამკამიძეს, გენო ადამიას. „სოხუმში რომ უძლებდა ჯოჯოხეთურ იერიშებსა, ესენი ზურგს იცავდნენ სოხუმისასა, გზას იცავდნენ, ხმელეთს იცავდნენ, რო უკვე დაეკარგათ ზღვაცა, ჰაერიცა. დაუფლებოდნენ აფსუები ვითომაო. ეს საცოდავი აფსუები. განწირულნი, რუსები რო დაუფლებოდნენ“ (5. 123).



ჰველა ომის ვებარანი

ხშირად პური გვრჩებოდა, ძველდებოდა და ვაგდებდით. რაც უნდა მტრედებისთვის გადაგვეყარა, რაც უნდა ბედურებისთვის, ძალისთვის. არადა, სულ მესმოდა საყვედური, პურს ნუ ყრით, ომი იცისო. ახლა ვერ ვიხსენებ, ვინ გვსაყვედურობდა... მამა? ნუთუ უჭმელი და კნაჭა ბავშვებიც მონანილები ვართ ამ დიდი უბედურებისა, ომი რომ ჰქვია... დედა კი ამბობდა, იმდენი ბიჭი იბადებო, იმდენიო, სამშობიაროში მუშაობდა... ესეც ომს სცოდნია. მე კი დიდი ვნებიანი სიყვარულის ბრალი მეგონა ბიჭის დაბადება, ტყუპ ბიჭებზე ვოცნებობდა... თუმც მარტოს მეძინა და დედუღეთის ცა მესიზმრებოდა ხშირად, თვითფრინავებით სავსე, მართლა მესიზმრებოდა, ცხელოდა სიზმარში, გადამწვარი მინდვრების სუნი ტრიალებდა.

ომი, ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენთვისაც დაიწყო. დაიწყო და აღარ დამთავრებულა. ჩავვისახლდა შინ. ნუტა გვეჭამა პური ბოლომდე, თურმე მშვიდობის უგემრიელეს ლუქმებზე ვამბობდით უარს. ბებიაჩემი იხსენებდა ბებიაჩემის ნათქვამს: „კვერცხი მილიონი რომ გახდებდა, მეფე მაშინ ჩამოვარდებო“. ბებია გამუდმებით იმარაგებდა ასანთს, ნავთს, საპონს, მარილს. სულ მიკვირდა, რად უნდოდა? ამ ყველაფრით მშვიდობის ციხეს აშენებდა და ეგონა, შიგ შვილებსაც ჩატივდა, შვილიშვილებსაც, სახლ-კარსაც. მაგრამ ის მაროლი ცრემლის მაროლად იქცა, ის ასანთი – გადამწვარ სოფლებად, ის ნავთი – ბომბებად... აკი გვაფრთხილებდა უფალი, ნუ იზრუნებთ ხვალისდედღეს დღეზო? კვერცხი მართლა გახდა მილიონი (კუპონი), მეფეც ჩამოვარდა, კავკასიონიც გაიხვრიტა, საქართველოში სხვა „სახელმწიფოებიც“ გაჩნდა და ომიც ისე მოგვიზინაურდა, ლამის მშვიდობა გვიკვირს. დაკარგული სოფლები ხიდან ჩამოვარდნილ ფოთლად გვიდირს, რა მოხდა მერეო? ჯერ დასაღვრელი სისხლის მაცნედაც ისევე ჰყვავიან ყაყაოები ქართლში, მშვიდობის იმედიც ლამისაა გადაგენურსო. თან რა უცნაური ომი აღარ გამოიგონა კაცობრიობამ.

ომი ომად, მკვდარი მკვდრად... მაგრამ ეს უზორცოო, ეს უხილაგო,

დასასრული 29-ე გვერდზე



ედუარდ შევარდნაძე

აფხაზეთის ომს ყოველთვის მიუბრუნდებიან შთამომავლები, საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულ ფურცელს გამოიკვლევინ და სამომავლო გაკვეთილადაც გაიხდიან, რომ ქვეყნის კეთილდღეობა მრთელი სტრუქტურის შენარჩუნებაში, სამართლიანი ხელისუფლების წინამძღოლობაშია.

იმ დამარცხების მიზეზებსა და შედეგებზე საუბრისას ედუარდ შევარდნაძე აცხადებს, რომ შეტაკების თავიდან ასაცილებლად, მოსალაპარაკებლად „სოხუმში იყო ჩასული სახელმწიფო საბჭოს ავტორიტეტული დელეგაცია“ (6. 400).

რამდენად ავტორიტეტული იყო საკუთარი ხალხის დამმარცხებელი ძალა და რამდენად ნაყოფიერი მისი მისია, შედეგმა გააცხადა.

ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ანალიზი მთხრობელის ნარატივით შემოდის ნაწარმოებში. მწერალი ანალებსისასაც მიმართავს ზოგჯერ და იქმნება მხატვრულ-დოკუმენტური მთლიანობა, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია.

ოთარ ჩხეიძისეული სტილი – ცნებათა, ფრაზათა, გამოყოფა, მოულოდნელი წერტილებით ქვეყნის ტრაგედიაზე ხაზგასმაც არის და მკითხველთან თანაზიარება – ტკივილის გამო, ქვეყანა რომ დარბეულია, ფრონტის ხაზზე მყოფნი განწირულნი არიან, ფსევდოშეთანხმებების მიღმა საქვეყნო ინტერესები გაყიდულია და „სამშვიდობო ძალები“ – რუსები ფაქტიურად იპყრობენ აფხაზეთს; ხაზგასმულია მოტყუებული აფხაზი ხალხის უბედურება: „რუსები რომ დაუფლებოდნენ“.

„თეთრი დათვი“ გვიჩვენებს, რომ „უმაღლო ჟამის“ ერთ-ერთი ნიშანი არის სახელმწიფოებრიობის დარღვეული ცნობიერება, მხატვრულ სიტყვაში ისტორიულ-ფილოსოფიური სიღრმით აისახა, როგორ ჩამოშორდა ზნეობრივ სიმყარესა და პასუხისმგებლობას ზოგადადამიანური ღირებულებები და დაექვემდებარა ინდივიდუალურ ეგოიზმს. მწერალი ამ კანონზომიერების რღვევის საზრისს აშიშვლებს, შედეგზე მიაწინებს მკითხველს ოსტატურად აკინძული სიუჟეტებითა

და ქვესიუჟეტებით, რომელიც უშუალო ანარეკლია ფაბულისა, ამავე დროს მხატვრული შთაგონების ძალა აქვს მინიჭებული.

ისტორიულ ქარგაზე არის გადმოცემული დევნილი პრეზიდენტის დაბრუნება, ხალხის იმედიანი მოლოდინი და ისევ სიმყარეგამოცლილი ეროვნული ცნობიერება, ერთგულების საზომი და ნამდვილი მეთაური რომ აღრევი: „ვინც როეს დაამხო, იგივე ძალა ამოქმედებულა ახლა ამის სასარგებლოდ: მხოლოდ და მხოლოდ დასაღუპავადა ამ უბედური საქართველოსიო.

სოხუმის დაკარგვა აღარ ენაღვლებოდა ზოგსა, ოღონდ ეს დემოკრატია თან გადაიყოლოსო. ისიც უნდა ითქვას: რუსოფილური ინტელიგენცია თბილისისა იდგა ურყევად, მტკიცედა, შეუვალადა, ისტორია დამსახურებას არ დაუვიწყებს“ (5. 181).

ისტორიას მხატვრული სიცოცხლისუნარიანობით შეეტყუება ოთარ ჩხეიძის რომანები, სადაც რეალური ადამიანები: „ნაღდად მინაზე მოსიარულე ცოცხალი თუ ცოცხალმკვდარი ერი და ბერი, შინაური თუ გარეული“, „წიგნური ცხოვრებით“ (9. 8-14) აღიბეჭდნენ.

ფხიზელი მემატინანის საწუხარადან აღმოცენებული უცვლელი ტკივილია ოთარ ჩხეიძის „ბერმუდის სამკუთხედი“. თვით ტკივილი საიმედოა, იგია ძალა სიცოცხლისა, ნიშანი დაუმორჩილებლობისა.

„ბერმუდის სამკუთხედი“ „თეთრი დათვის“ გაგრძელებად აღიქმება. აქაც გვერდიგვერდ არიან განსხვავებულ გზებს მინებებული ქართველები: სამშობლოს კეთილდღეობისათვის მსხვერპლის გამღებნი (პატრიოტები) და რენეგატები. „ერთი ნაწილი მუხას შესეულ მუმლს განუნყვეტლივ იგერიებდა, მეორე კი – იმ მუხის წასაქცევი უმოკლესი გზა და საშუალება იყო მტრის ხელში“ (10. 131).

ამ ნაწარმოებში ერთი ეტაპი ბრძოლისა – ტახტის დაუფლებისათვის, თითქოს ჩამცხრაღია (თითქოს!), არსებითი გამორჩენის სფეროების გადანაწილებაა. უკანონო მთავრობის დაკანონების შემდეგ კორუფცია თვით ხელისუფალთაგან გაუთვალისწინებელი ძალით იფურჩქნება.



ჯაბა იოსელიანი



თენგიზ კიტოვანი

მწერალი ჩვეული სტილით აშიშვლებს „ძლიერთა ამა ქვეყანისათა“ სიხარბეს, მომხვეჭელობას, ვერცხლისმოყვარეობას. ჯერ ცნობილ ანდაზას იმონმებს: „კაცი განა ერო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს, კაცი უნდა ხერხი იყოს გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“. მოკლე დასკვნა: „ზედა ფენა იქცა ეწოდა“, მთელი იმ უბედურების დამტყვევია, რასაც კორუფცია ჰქვია.

არაკანონზომიერი ვითარების შემქმნელი, სტრუქტურადარღვეული ხელისუფლების შესახებ რომან „2001 წელში“ ვკითხულობთ: „ხელისუფლება ჰო აღარ არსებობდა საქართველოში?! ხელისუფლება დარქმეოდა ხარკის ამკრეფებსა და ჰკრეფდნენ ისინიცა. ხარკსა ჰკრეფდნენ“ (11. 381).

ასეთი ნარატივი ობიექტურ თვალსაზრისებზე დამყარებული და მიემართება ნარატიული დისკურსისკენ.

თუ დავფიქრდებით სახელმწიფო გადატრიალების განმარტებაზე, რომ „სახელმწიფო გადატრიალება ფართო მნიშვნელობით მოიცავს გადატრიალებათა ყველა სახეს, როგორებიცაა – პუტჩი, აჯანყება, პოლიტიკური და სასახლის გადატრიალებები, რევოლუციები, ხელისუფლებათა ძალადობრივი დამხობის სხვა ფორმები. ამ საერთო აზრით, სახელმწიფო გადატრიალება არის ძალადობრივი, კონსტიტუციური დარღვევის გზით არსებული სახელმწიფოებრივი წყობის დამხობა, შეცვლა ან სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივად ხელში ჩაგდება“ (12. 460).

ძალადობა ვერ შექმნის ჯანსაღ სახელმწიფო სტრუქტურას და მისი კანონზომიერი შედეგი არის გადაგვარებული სისტემის, მანკიერების აღზევება. 90-იან წლებში ასეთი მოვლენა განიხილა აკაკი ბაქრაძემ.

1990 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობდა: „ეკონომიკურ მაფიას საქართველოში სრულიად შეგნებულად ვუწოდებ კლემპტოკრატისა...“

ეს არის დამნაშავეთა ორგანიზაცია, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში მმართველობით ძალას არ წარმოადგენს“ (13. 250).

საქართველოს ტრაგედიას სწორედ კლემპტოკრატული მმართველობა წარმოადგენს, რადგან ეგრეთ წოდებული ხელისუფლების წარმომადგენლები შესაბამის პოსტებზე სწორედ კლემპტოკრატების მიერ იყვნენ დასმულნი.

შექმნილი ვითარება არც აკრთობს, არც აშფოთებს, არც აკვირებს გიზო კორძელს, რომელიც რაგინდ უხერხული შედარება იყოს, „სხვა არავინაა, თუ არა მუხას მომდგარი, თეთრი დათვისაგან მომარჯვებული, აპრიალეზულპირიანი, ცულის მოსახერხებლად დასაჭერი ტარი“ (10. 131) მას, მოსკოვში ნაცხოვრებს, რუსული სკოლის გამოზრდილს, სამშობლოს ტურისტით აღმქმელს, თვალში ხედება „გაეწოებული ზედა ფენის ერთგვარობა მოსკოვსა და თბილისში: „რაც იქაო, ის იქაო. ითლიდნენ, ითლიდნენ, ეწოსავითა. საბჭოების დროსაც ითლიდნენ, ვერ გამოეჩინათ. ეშინოდათ კრიჭას შეიკრავდნენ. მოჰქცევოდნენ რო იგივენი სათავესა, გამოეჩინას რო აღარ დაუშლიდნენ, აღარ შეიკრავდნენ კრიჭასა... საბაზრო ეკონომიკა. არც არაფერი არ შეცვლილიყო. სახელი შეცვლოდა. მგლები მგლებად წარმოჩენილიყვნენ; ცხვრები – ცხვრებადა. ჯვარზე გაეკრათ მწყემსი კეთილი“ (14. 34).

დროის კარნახით „ათეიზმის პროფესორები“ ფარისევლურად გადაინათლნენ, წმინდანთა სახელებიც დაირქვეს. სახელების გადარქმევა ნათლისღებით არ ხორციელდება. ახალ ხელისუფლებას ახალი სახელებით მოვლენილნი არანაირ სულიერ ფერისცვალებას არ ავლენდნენ, სახელმეცვლილნი იგივე მგლებად დარჩნენ, რათა „ჯვარზე გაეკრათ მწყემსი კეთილი“.


„მწყემსი კეთილის“ სიმბოლური სახე ნაცნობია მკითხველისათვის, დავაზუსტებთ მხოლოდ რომ „მწყემსი კეთილის“ – მაცხოვრის ჯვარზე გაკვრა, ეპისკოპოს გაბრიელის სიტყვებით, გოლგოთაზე არ დამთავრებულა, იგი ხორციელდება ხელახლა ყოველი ჩვენგანის გულში ცოდვის გამარჯვებით.

„სტრუქტურადარღვეულ“ საზოგადოებაში მაცხოვრის – სიკეთისა და სიყვარულის ჯვარცმა ზოგადი მოვლენა გახდა.



ეს ცივიო, ეს საინფორმაციო, ეს ბაქტერიოლოგიური... მე დღეს უკვე ყველა ომის ვეტერანი ვარ. სოფელ შინდისში, იმ 17 გმირის მემორიალთან რომ ამიყვანა ერთმა მასწავლებელმა, მაშინ ვიგრძენი, როგორ ვედექი სიკვდილს მკერდზე, როგორ ბორბავდა მინა ჩემს ტერფებზე, როგორ შხუდა სისხლი მინაში და როგორ გამძლიდა სხეულში ტყვიები და არ მკლავდა, ცრემლიც ტყვიისა მეკიდა თვალზე. იქვე ლიანდაგი გადავკვეთე და გავხედე ტყიან ჰორიზონტს და ეს ტყეც მინიდან ამოსული ომი მეგონა, ხეებიც ხომ დიდი ბალახებია, ჰოდა ეს იყო ომის საფლავზე ამოსული ბალახი და ომის საფლავია საქართველო, ომის სოფელიც, ომის საფლავიც, ომის ბედისწერის ქვეყანაც. პოეტებიც ომს წერენ: ერთს ერცხვინება სამშობლო დამარცხებული ნახოს, მეორე პირდაპირ ეკითხება, ხომ არ შეგეშინდაო? კიო, შეგეშინდაო! — პირში მიახლის. მესამე ეუბნება, მშვიდობისა უნდა გცხვენოდეს, ქართველოო, ხმალი ხელს იკარო! მეოთხე კი გამოუსწორებელი პაციფისტი და მეხუთესთან ერთად „სტოპ აგრესორ!!!“ „სტოპ ენემი!!!“ – გაჰყვირის. მე კი მეშინია, როცა ომია, როცა ჩემი შვილი აივანზე დგას და მთელი ხმით ყვირის, „ჩამოყარეთ, დროზე ჩამოყარეთ ეგ ბომბები და გაათავეთ, დროზეო!!!“, ზევიდან კი გაურკვეველი მიმართულებით ისმის სამხედრო ვერტმფრენების საზარელი ხმა, როცა მშვიდობაა და მაინც ნაძლით ვიხოცებით, სიმთვრალით ვიხოცებით, უსიყვარულობით ვიხოცებით, დანებს მეგობრების გულმკერდზე ვუესავთ, როცა გესლით გულებს ვუხეთქავთ ერთმანეთს, როცა გაფუჭებულ პროდუქტს ჩვენსავე შვილებს ვაჭმევთ და ამით ფულს ვაკეთებთ. მერ რა, რომ სანგრებში არ ესხედვართ? ეტყობა, ომია „ბოლო ყამიც“, ბოლო ომია ეტყობა... ისე მიხარია, სამსახურ-რიდან დაღლილი რომ ვბრუნდები, და კარადაში ჰურის ერთი ლუკმაც არ მხვდება, მიხარია... ჩემი ცარიელი სააურე ლურჯ, მშვიდობიან ცას გავს, ვერც ტყუში ბიჭი გავაჩინე, გოგონები მეტი ჩნდება. ღვთისმშობელო მარიამ, შენ გაუთუნე მშვიდობიანი დღია ჩვენს პანია, შემინებულ დედამინას... რატომ ჰყავს ომს ღმერთი?

მარიამ ნიკლაური



თენგიზ სიგუა



ედუარდ ბალტინი

რომანში „არტიკული გადატრიალება“ მწერალი ამბობს: ერთ ასპარეზს – ერთ სამშობლოს აბურთავებდა 160 პარტიაო. „ბერმუდის სამკუთხედი“ კი გვიჩვენებს ამ პარტიებით შექმნილ პრობლემას: „ერთი მოვა, ფულიო, მეორე მოვა: ფულიო, მესამე მოვა: ფულიო, სად არის ამდენი ფული?“

„– სადღაც არის, ტრიალებს. ბრუნავს. ამდირებს. ალატაკებს. აგოჭებს. ასულელებს. ჰკლავს. თავს აკვლევინებს“ (14. 22). ასეთი დიალოგია გიზო კორძელსა და მის კეთილსმყოფელ – თბილისელ მასპინძელს შორის.

სალ ცნობიერებას გარიდებული სწრაფვა, მხოლოდ ფულის მოსაპოვებლად სიგიჟით მთავრდება. „მანც ხელისუფლებისათვის გადარეულიყვნენ. გაცოფებულებიყვნენ“ (14. 27). ლოგიკური შედეგია, როცა „მწყემსი კეთილი ჯვარზე გაუკრავთ, ვერ ირწმუნებენ, რომ „ხრწნადი უხრწნადზე უდარესია, რღვევადი – ურღვევზე, ხოლო ცვლადი უცვლელზე უმდაბლესი“ (15. 111), ამიტომაც „ილუპებოდა ქვეყანაი უღმერთოდა. ილუპებოდა... ლომის ხახა ყველას დაელო: ნთქავდა და ნთქავდა, ვინც მიუდგებოდა, ვინც არაო და მოსთქვამდა, მოსთქვამდა“ (14. 30).

აქ თხრობა შთანთქმულია მწერლის იმნამიერი დისკურსით. საინტერესოა ნარატივის ფუნქცია. აქ ის სიუჟეტის ერთეულია, რომელიც ნაწარმოების ყველა დეტალს უკავშირდება და თვით ამ დეტალების გამთლიანება სამხედრო გადატრიალების შემდგომ სინამდვილეს ხატავს.

ქვეყნის დალუპვას კიდევ რა ნიშანი უნდა ჰქონდეს: მის ირგვლივ მძარცველნი და ბოროტებას მინებებული, იმედგადაწურული ადამიანები არიან („მოსთქვამდა, მოსთქვამდა“). სულიერი მოძღვრის მიერ გახშიანებული „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთვნოდეს, საფუძვლისმიერად ვერ გაუცნობიერებიათ. ილიასაგან ეს დაესწავლათ: გვეყუნდესო. ის არ ახსოვდათ უნდა ვისწავლოთ, უნდა გავნათლდეთო: ილიაო... იტყოდნენ ჟრუანტელითა...“ (14. 31). უმთავრესი კი ავინყდებოდათ, ილია მართალი ერის თავისუფლებისთვის, „პირდაუბანელი იამშჩიკისაგან“ საქართველოს გასათავისუფლებლად

იბრძოდა. „ბერმუდის სამკუთხედში“ ილია მართალს ვითომ ჟრულოთ იმონმებენ ნადავლისათვის კბილებალესილი მგლები, ხალხი რომ მხოლოდ საკბილოდ სჭირდებათ და ნერვიც არ აუტოკდებათ, ისე მშვიდად და დაუფარავად აცხადებდნენ: „ხალხი იმისაა, უჭირდეს და მოითმინოსო“ (14. 89).

რუსეთის მიერ ხელდასხმული მედროვენიც ლახვარსა სცემდნენ სამშობლოს. არ ახალია, ძველია „ზნეობა რუსისა. საქართველო მოსწონს, – უქართველებოდ და მე ვისაც ვუყვარვარ შევიწყნარებო. იტყუება, კავკასია მოსწონს. კავკასიელთა გარეშე. თავისთვის მოსწონს“ (14. 130), მაგრამ „მოიარაღე ინტელიგენციას“ „კეთილი რუსეთის“ ილუზია ჯერაც არ დაერღვია. აქ მთავარი ის არის, რომ წუთისოფელში მყარი სიმაღლით დამკვიდრებას, სჭირდება რუსეთის კეთილგანწყობა და სამშობლოსაც აბრალებს, ურუსეთოდ დაილუპებოდაო.

ოთარ ჩხეიძე თავისი მხატვრულ-დოკუმენტური პროზით – მატინით ამ მოვლენას ამხელდა, რუსეთის სახეს ხატავდა მაშინაც, როცა ამაზე საუბარი წარმოუდგენელი იყო და XX საუკუნის 90-იან წლებშიც, როცა რუსეთის აუგად ხსენება „ზვიადიზმად“ ინათლებოდა.

უფრო გვიან (რუსეთის ძაგების მოდად ქვეულ პერიოდში) 2006 წელს გამოცემულ მემუარებში ედუარდ შევარდნაძე ვრცლად ისაუბრებს რუსეთის დამპყრობლურ, „მინათმემკრებელ“, სიცრუეზე აგებულ პოლიტიკაზე. აფხაზეთის ტრაგედიაზე საუბრისას იტყვის: „1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოვანერეთ დასკვნით დოკუმენტს. მეღანც კი არ იყო შემშრალი ამ დოკუმენტზე, რომ იგი გადათელეს დაქირავებულთა ჩექმებმა, რომელთაც შტურმით აიღეს განიარაღებული გაგრა“ (6. 132).

ეს არ იყო ერთადერთი ბუნდოვნება ამ ომში, ვიდრე პოლიტიკოსთაგან ამის გახშიანების ჟამი დადგებოდა, მწერალმა დაასწრო: სათქმელი თქვა.

„რწმენადაკარგული ადამიანი ყველაზე დიდი მტერია საკუთარი თავისა, იმავე წამს იწყებს იმ ტოტის ჭრას, რომელზედაც ჯერ კიდევ მისი

პაპის პაპა მჯდარა და მისი შვილთაშვილიც დაჯდებოდა, ასე რომ არ მომხდარიყო“ (16. 28).

მემატიანე მწერლის სამყაროში დროსა და სივრცეს იცვლიან მხოლოდ პერსონაჟები: რწმენადარღვეულნი, სულიერად კნინნი სამშობლოს მტრის სამსახურში რომ ხედავენ ხსნას; ღირსებისა და გადარჩენის იმედი რომ დაჩლუნგებიათ: „რუსობის მერე დედაც გაიხადეს ორშაურადა... საცოდავი რუსეთუმეები. დაბნეული ქართველი კომუნისტები... ახალი რუსეთუმეები!.. ტვინი ელრძოთ? სისხლი გაუშრათ? თვალი აეხვიათ, მამა-პაპის საფლავს რომ ხნავენ? ან მხოლოდ ის არის: „Лишь право сильного раб свято почитает“ (11. 373).

აქ დახატულია სულიერი ეროზია, რაც საბოლოო დაღუპვის წინა მდგომარეობაა, ამიტომ ვერ დუმს ერის მესიტყვე.

რუსული ყოფის სრული დესპოტიზმი დამაჯერებლად აღწერა აკაკი ბაქრაძემ: „მას მერე, რაც 1801-1810 წლებში რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველი ხალხის ბედს, გვინდოდა თუ არა ეს, რუსი ერის მდგომარეობა განაპირობებდა, ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო საკუთარი შეხედულებებისამებრ წარგვემართა ჩვენი ბედობა“. ამ დასკვნის მხატვრულად გამოხატულ დასტურს აკაკი ბაქრაძე მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდეში“ ხედავს, სადაც მწერალმა აღექსანდრე ორბელიანს ათქმევინა: „რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოვრჩეთო. ჩვენც დასისხლიანებული მივრბივართ და გვგონია, რუსი სიკეთეს გვიშვებო“ (13. 253).

„ბერძენის სამკუთხედში“ მოტივი მეორდება: „რუსეთი და რუსეთუმეები“. ქვეყნის ზოგადი მდგომარეობით გამოწვეული სანუხარი უცვლელია, მიუხედავად ცვალებადობისა, ქართველთა საზოგადოებაში დროს კორექტივი ვერ შეუტანია, იგი ისევ იგივე რჩებოდა შურით, ღალატით, სიძულვილით გათანაგული, „სიყვარულსაც იმეორებდა, მაგრამ სძლევდა რო სიძულვილი უფრო სიავეს იმეორებდა“ (17. 2).

XX საუკუნის 90-იანი წლები ის პე-

რიოდია „ქართველისათვის, მხოლოდ გუშინ რომაა, რადგან პრობლემებიან – სურვილებიანად გაჩერებულ დროში დგას“ (17. 132).

მწერლის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა ეს „გაჩერებული დრო“. „არტისტიული გადატრიალება“ დასაწყისშივე ახასიათებს: „რა დრო იყო“, „რა დრო დადგა“, „რა დრო მოვა“.

იყო დრო – „ქუჩა ქუჩა იყო, თეატრი – თეატრი“ (კანონზომიერება არ იღვეოდა).

მოვა დრო – „თეატრი ისევ დაბრუნდება თეატრში“ (ქაოსი დამთავრდება, მოვლენები კანონზომიერებას დაემორჩილება).

აღნიშნულ ნაწარმოებზე მსჯელობისას ჩვენთვის საინტერესოა ცნება „არტისტიზმი“. „როცა არტისტიზმზე ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ ორ ელემენტს ვგულისხმობთ, ოსტატობა-დახვეწილობას და პოზას. თუ პირველი მოსაწონია და მისაღები, მეორე სათაკილოდ უნდა იქცეს მიჩნეული. პოზა აუცილებლად შეიცავს ტყუილს, სიცრუეს, მისტიფიკაციას“ (18. 617)

როცა „ქუჩა ქუჩა იყო, თეატრი – თეატრი“, არტისტები „ოსტატობა-დახვეწილობას“, ხელოვნებას ემსახურებოდნენ, როცა „თეატრი გავარდა ქუჩაში“, არტისტები უკვე ტყუილის, სიყალბის გამმზიანებლები გახდნენ. ისინი მწერალმა „ბუდიონოვკებით“ შემოსა და ხაზი გაუსვა რუსეთთან მათ ფიცვერცხლნაჭამობას: „ჰაერში თქარუნობდა და ტყაპუნობდა ნითელი ყურები ნითელი ბუდიონოვკისა“ (17. 131).

1921 წელს „ნითელი ბუდიონოვკებით“ XI არმია შემოვიდა დამოუკიდებელ საქართველოში, ამჯერად „ბუდიონოვკელებს“ „შაენაბადა თავს გადაჰყურებთ. იქ კიტოვანია. ქალაქს გაჰყურებს არწივის თვალითა. ქალაქი დულს. ადულდეს კიდევაცა. ამან იცის დულილის წერტილი“ (17. 133).

ასეთი დრო მოვიდა „ქვეყანა რომ თეატრია და თეატრი რო აღარ არის თეატრი“ (17. 32).

იმედია, „მოვა დრო“, როცა ქვეყანა კანონზომიერების რიტმში იცხოვრებს.

ეს აღრევა დროისთვის დაუბრალებიათ: „დროის ბრალიაო. დროისა –



ქრისტანისხლას შვილები

ორომგამოვლილი თაობისა ვარ, ამიტომ ომი ჩემთვის პირდაპირი მნიშვნელობით აღიქმება, სამყაროსთან თანაზიარობის მეექვსე გრძნობად რომ დავატარებ... იქნებ დაბადებიდან? ესაა სევდა და ცრემლი სიკვდილისა, ომმა რომ მოგვიმინაურა.

იქ, სადაც ჩნდება სიყვარული, სევდა ან ცრემლი, ადამიანები ფერებს იძენენო, – გამახსენდა სადღაც წაკითხული. ომმა ფერი შემძინა – მეც, სხვებსაც... ომისფერ სამშობლოში ომისფერ არსებებად მორიალე სულეზი ვართ – სიკვდილს პირდაპირ თვალეში ჩავხედეთ!

ომი – არა შორს მყოფი და მამების მონაყოლით დანახული, არამედ – საკუთარ თავზე გადავლილი და სულში აბრიალებული... ომი – ჩვენს სახლებში შემოზღუდებული... ჩვენს თავზე თვითმფრინავი, არა როგორც ეკზიზპერის „ორლანის მელიოდა“, არამედ სიკვდილის აკორდი – სამშობლოს ცაში!

ეს გაყინული, კამარაშეკრული აკორდი საშინლად მზარავს...

და სიმარტოვის კიდევ უფრო მძაფრი განცდა... „სულში ხელი მოვიფათურე, შევეცადე სამშობლოს ხატება მომეძენა, მაგრამ ხელი დაუბრკოლებლად ჩაცურდა ბნელ, ღრმა ორმოში. ისე ჩაცურდა, იაპონიას ვერ შეეხო...“ (ქენდაბურო ოე).

ჩემს სულში ღრმა ორმო არ არის, ჩემს სულში სამშობლოს ნანგრევებია! ნანგრევებში კი იმედი მაინც ხარობს, როგორც მზეშობილა ყვითელგულა ყვავილი ნასაყდრალზე. ჩვენ ომის ნანგრევებს შორის აღმოცენილი ქრისტესისხლას შვილები ვართ!

თამარ შანიშვილი



დამონებული ლიტერატურა

1. **მერაბ მამარდაშვილი**, „საუბრები ფილოსოფიაზე“, თბ., „მეცნიერება“, 1992.
2. **იგორ კვესელავა**, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (II ნაწილი), ზვიად გამსახურდია, დისიდენტი. პრეზიდენტი, მონაწილე, – თბ., 2008.
3. **მაია ჯალიაშვილი**, „სიცოცხლის საიდუმლო“ (ლიტერატურული ნერილები), – თბ., „წყაროსთავალი“, 2006.
4. **ნოდარ ნათაძე**, „ერი და ეროვნული კულტურა“ – თბ., „მეცნიერება“, 1988.
5. **ოთარ ჩხეიძე**, „თეთრი დათვი“ (რომანი), – თბ., „ლომისი“, 1999 წ.
6. **ედუარდ შვეარდნაძე**, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე. მემუარები“, – თბ., „პალიტრა L“, 2003.
7. **ლიტერატურის თეორია (XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები)**, – თბ., „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2008.
8. **ნოდარ გრიგალაშვილი**, „ჩემი დარდი და ირონია“, – თბ., 2003.
9. **ჩვენნი მწერლობა“** (ლიტერატურული გაზეთი) №5, – თბ., 2003.
10. **ლია კუხიანიძე**, „მწერალი და საზოგადოება“ (ოთარ ჩხეიძის პროზის რამდენიმე ასპექტი) – „საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი“, 2005.

არა: ეს თეატრი რო ბრუნავს, სცენა რო ბრუნავს. დროს ტყუილად დააბრალებს თეატრი. დრო დგას. თეატრი ბრუნავს“ (17. 37).

თეატრი ბრუნავს: იქ ხან „ოსტატობა-დახვეწილობა“ ზეიმობს, ხანაც „პოზა და სიცრუე“.

„ბერმუდის სამკუთხედში“ დროთა დინება ასე ხასიათდება: „ანმყო. არც რო წარსულია არც რო მომავალი, ანმყოც არ არის. თუ არის, შენა ხარ და ანმყოც ის არის, რაც რო შენა ხარ“ (14. 29).

ის სინამდვილე, რომელსაც ტრილოგიაში ამხელს ოთარ ჩხეიძე, სულიერი კვდომის პერიოდია, ე. ი. წყდება ბუნებრივი, კანონზომიერი რიტმი, რაც ახალ ხარისხობრივ მდგომარეობას უნდა უზრუნველყოფდეს. ხარისხობრივი ცვლილების განყვეტა განსახილველ შემთხვევაში ნეგატიურია. ასეთი მრავალფეროვნება მარადმედინ დროში სიკეთის მომტანი არ არის.

დრო და თეატრი ცხოვრების დრამაში ორ პოლუსს შორის უფსკრულს გვიჩვენებს. ეს ორი პოლუსი ორი კატეგორიის საზოგადოებაა: ვინც დინებას უაზროდ მიჰყვება და ვინც კეთილი სანყისის ერთგულებით, „მწყემსი კეთილის“ მინდობით იბრძვის ჭეშმარიტი ღირებულებებისთვის – იდეისთვის, რომლის მიზანი ადამიანის კეთილდღეობაა; ანადგურებს ბოროტებას, სულიერ გათავისუფლებას ინვესს და ადამიანს სამართლიანობის რწმენას ანიჭებს.

ამ ორ პოლუსს შორის დაპირისპირებას რომ გვიჩვენებს მწერალი, ახასიათებს საზოგადოების ზნეობრივი ავადმყოფობის ისტორიას. აქ მთავარია, რომელ პოლუსს აქვს უპირატესობა. პირველის (ვინც დინებას უაზროდ მიჰყვება) მოძალეა ეროვნული გადაგვარების რეალური საფრთხეა – ეს საფრთხეა სახელდადებული, დახატული ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში. აღვნიშნეთ, რომ აქ მწერლის ფიქრი განუწყვეტლივ დასტრიალებს ადამიანის შინაგან თავისუფლებას.

მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია სიმართლისათვის ბრძოლა, ნათლის ერთგულება.

აბსოლუტური სიკეთისა და სიმართლის ზეობის იმედი არ არსებობს

წუთისოფელში, მაგრამ უბედურია ერი, რომელსაც სისხლიანი გადატრიალებით მოსული ხელისუფლება განაგებს. წმინდა ნიკოლოზ სერბი ამბობდა: „მცირედმორწმუნე ვერასოდეს გააღვიძებს რწმენას სხვაში: ქედმაღალი უვიცი ვერასოდეს დაიმსახურებს ნდობას. ადამიანებს სიმდიდრე აღიზიანებთ, როდესაც იგი ვაჭრის ხელშია; სძულთ ძალაუფლება, თუ იგი უპატიოსნო ადამიანებს ეკუთვნის; ავადმყოფი არ ენდობა ავადმყოფ ექიმს.“

ადამიანებს ჯანსაღი გონება და სწორი მსჯელობა ახასიათებთ. დაღლილი მგზავრი ბრაზობს მედუქნეზე, რომელსაც არ შეუძლია, საუზმე და სანოლი შესთავაზოს და ეკითხება მას: მაშ, რატომ ხარ მედუქნე?“ (19. 17).

სტრუქტურადარღვეულ (უხილავ და ხილულ ასპექტში) მთავრობას ხალხი წლების განმავლობაში ეკითხებოდა:

- რატომ დავკარგეთ აფხაზეთი?
 - რატომ ვერ დავძლიეთ სიღატაკე?
 - რატომ დაიღვარა ძმათა სისხლი?
- ამ კითხვებზე გულმართალ პასუხს ვერ გაცემს ის, ვინც ამ უბედურების ფასად მოვიდა. ამ მოვლენებზე პასუხი და ასეთი მთავრობის ნამდვილი სახე მწერალმა გვიჩვენა თავისი რომანებით.

ადამის მოდგმა სტრუქტურის სიმრთელეს გამოემშვიდობა პირველქმნილი ცოდვით; განსაკუთრებული მდგომარეობაა, როცა მიზეზი, მიზანი და ქმედება განპირობებულია მხოლოდ რღვევით – ბოროტებით. ასეთ შემთხვევათა რიგს განეკუთვნებოდა 90-იანი წლების ტრაგედია: ეროვნული მთავრობის დამხობა, ბრძოლა იდეის წინააღმდეგ, ნებისმიერი საშუალებით მონინააღმდეგის განადგურება და ტახტის შენარჩუნება.

ბუნებრივია, ამ მოვლენების განვითარება განაპირობა ეროვნული მთავრობის შეცდომებმაც, ქართული ხასიათის ნეგატიურმა მახასიათებლებმაც; საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მძაფრმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქართული ეთნოფსიქოლოგიის უარყოფითი თვისებების

უეცარ აღზევებას.

დიმიტრი შველიძის ნაშრომში „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“, მეცნიერული კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ეროვნული მოძრაობის, ეროვნული მთავრობის მოღვაწეობის თავისებურებები და 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების მიზეზები. აქ ხაზგასმულია:

„1. ყოფილი მეტროპოლიის პოლიტიკურ-ფინანსური და სამხედრო ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში:

2. მეხუთე კოლონის სიძლიერე და მის მიერ განხორციელებული შეიარაღებული ამბოხება ხელისუფლების წინააღმდეგ“ (12. 532).

აქვე მითითებულია, რომ გამომწვევ მიზეზთა შორის იკვეთება: „დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის და შემდგომ პრეზიდენტის ობიექტური და სუბიექტური ხასიათის შეცდომები და მის მიერ განხორციელებული სახელმწიფოს მართვის ავტორიტარული სტილი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ობიექტური რეალობით უფრო იყო განპირობებული;

ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო სტრუქტურების პასუხისმგებელ პირთა დანაშაულებრივი შეცდომები, არაკომპეტენტურობა და უპასუხისმგებლობა“ (იქვე).

ეს შეცდომები ჩასაფრებული მტრის ნისქვილზე ასხამდა წყალს.

ისტორიისა და სიმართლის ურთიერთმიმართება ოთარ ჩხეიძემ „ბორიყაში“ ჩამოაყალიბა როსტომ იტრიელისა და მისი თანაკლასელის დიალოგით. კლასელი „ახალმონესეთა“ შორის იყო და აოცებდა როსტომ იტრიელის ერთგულება ჭეშმარიტი ღირებულებებისადმი.

ისტორია დებულებებს აყალიბებს (ნამდვილს, ან გამარჯვებულის საამებელს), მემატინანე-მწერალი კი ხატავს ვითარების სრულყოფილ სურათს. სწორედ ეს ფუნქცია აკისრია ოთარ

ჩხეიძის ტრილოგიას, მწერალმა ცხელ კვალზე აჩვენა ამბიციებითა და ბოლმით გამთლიანებული ძალა, იდეური მონანილენი გადატრიალებისა. ამ სიმართლის ცოდნა ხვალინდელი დღის სიმყარის საფუძველია: „თუ არ გეცოდინებოდა ამ პოლიტიკური მოვლენის იდეური მონანილენი, გეგონებოდა, რომ რაღაც გრანდიოზულ ბოროტებას შთაენთქა დამოუკიდებელი საქართველოს აღმადგენელი. წარღვნას გადაეყოლებინა უკვე არა ნოე ჟორდანიას, არამედ ზვიად გამსახურდიას, ვინც ქმნიდა არა სოციალისტურ რესპუბლიკას – ამ ნოესავით, არამედ ბუნებრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოდელს მორგებულ სახელმწიფოს, თავით ბოლომდე ამოზრდილს ილია ჭავჭავაძის იდეური მრწამსიდან – ყველაზე მტკიცე საფუძვლებიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად“ (20. 778).

მოპოვებით მოიპოვეს.

ამ ჯანსაღი ნების წინააღმდეგ ამოქმედებული ძალა შეკრა რუსეთის იდეურ-ფინანსურ-სამხედრო მხარდაჭერამ, ხოლო ზემოთ აღნიშნული შეცდომები გამოიყენეს, რათა მთელ მსოფლიოში გაეტეხათ სახელი ზვიად გამსახურდიასა და მისი თანამოაზრეებისათვის.

როცა ხელისუფლება ნებისმიერ ძალას შეეკვრება და არბევს ახლადშობილ დამოუკიდებლობას, ის „სულიერი რადიაციის ველით“ მოდის და სასიკეთო გზას მმართველობისა, ვერ იპოვის.

ამგვარად, მწერალი, მხატვრული რეალობის პოლიტიკური კონტექსტით წარმოჩენისას:

1) მოვლენების კვალდაკვალ ქმნის მხატვრული ნაწარმოებებს.

2) მიზანმიმართულად სახელებს არ უცვლის პოლიტიკურ პირებს (ეს მწერლის მეთოდია).

3) თხრობის სხვადასხვა ხერხით ამხელს პოლიტიკური სამყაროს წარმომადგენლებს, მათ თანამოაზრეებსა და ქმედების შედეგს.



11. **ოთარ ჩხეიძე**, 2001 წელი (რომანი) – თბ., „ლომისი“, 2003.

12. **დიმიტრი შველიძე**, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1993 წწ.)“ თბ., „უნივერსალი“, 2008.

13. **აკაკი ბაქრაძე**, „მწერლობის მოთვინიერება“ ტ. III, – თბ., „ნეკერი“- „ლომისი“, 2004.

14. **ოთარ ჩხეიძე**, „ბერმუდის სამკუთხედი“ (რომანი), – თბ., „ლომისი“, 2001.

15. **ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი**, „მათეს სახარების კომენტარები“, ძველი ბერძნულიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაუროთო გვანცა კოპლატაძემ – თბ., „საპატრიარქოს გამომცემლობა“ 2005.

16. **ოთარ ჭილაძე**, „ბედნიერი ტანჯული“, – თბ., „ლოგოს-პრესი“, 2004.

17. **ოთარ ჩხეიძე**, „არტიტული გადატრიალება“ (რომანი), – თბ., „ლომისი“, 1994.

18. **კონსტანტინე გამსახურდია**, „ღია წერილი ულიანოვ ლენინისადმი“ – „ოქროს საწმისი“ №2, თბ., 1975.

19. **წმინდა ნიკოლოზ სერბი**, „ფიქრები სიკეთისა და ბოროტებაზე“, თარგმანა ხათუნა რაქვიაშვილმა, – თბ., 2003.

20. **როსტომ ჩხეიძე**, „აგვისტოს შვილები“ (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე) – თბ., „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“, 2008.

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა



ლია სტურუა

მიხვდეთ ლადალ სი

ჩემი ბავშვობის მუდმივ კიკეთში ერთი აკვიატება მქონდა: აი, იმ პატარა გორაკზე რომ ავალ და გადავიხედავ, სვანეთი გამოჩნდება. ავიდოდი, არ ჩანდა, უფრო მაღალ მთას შევარჩევდი, იგივე შედეგი.

კიკეთში ნამდვილი მთებიც იყო, რომლების შუამდეც კი ვერ მივალნევი. გულში მიხაროდა კიდევ: ზაფხულის რეფრენიც ხელუხლებელი რჩებოდა, ცხრა მთის გადალახვის მეტაფორაც.

ჩემს სვანეთში მუდამ მზე იყო, ამხელა მთების გარემოცვაში. კედლებით შემოფარგლულ სივრცეს განათების თავისი კანონები აქვს, მთებს – თავისი. მზე ყველაფერს ანათებს, მაგრამ მთების მიმართ მეტი ჟინი აქვს, ნისლის უკან რაღაცას მაღავენ. თოვლს? ეს რა საიდუმლოა! მზის ანარეკლს? ესეც ზედაპირია, კიდევ შიგნით, თავი რომ არის, თხემი, ტვინი? რა საიდუმლო აქვთ? „საგანი თავისთავად“? მიხვდი, რომ მიუწვდომელია? აქ გაჩერდი. დაფარული საიდუმლო, უკვე, პოეზიაა. „ვუალას, ვოილეს და სხვათა შესახებ“ – ეს არის პოეზია, „სხვა დანარჩენი ლიტერატურა“ (პოლ ვერლენი), პირველი საკრალურია, მეორეზე მაღლა დადგები, გაანალიზებ, ცნებებს მიუყენებ, ვუალს ჩამოხსნი, ჭეშმარიტებასთან ამ გზით მიხვალ.

მზე უხდებოდა სვანეთს, სიტყვა „ლილეოსავით“ მომრგვალებული და მჟღერი, არის ასეთი სიტყვები, პირს გითბობენ.

„მზე დედა ჩემი, მთვარე მამაჩემი, გუნდი და გუნდი ვარსკვლავი და და ძმია ჩემი“...

ეს მეტაფიზიკური ნათესაობა, ლამის, საგნობრივად, ვიგრძენი სვანეთში. მთელი გზა თავში მქონდა, მაგრამ ადგილის, დროის და სივრცის ერთიანობა კი არ ედო საფუძვლად ამ

პერსექვრაციას, ანუ თეატრი, უფრო კულისები – ტყუილის დედა.

დროის გრანულები იცვლებიან, სივრცეში ჩხრიალებენ, კარგა ხანს ლარზე გაჭიმულობის ნაცვლად. აინშტაინის შესწორებაც შეიძლება თურმე, ურყევობა არ არსებობს, მაგრამ „მთები რომ ნისლით ფიქრობენ“, ამას ვერ შეცლი, სხვაგვარად დაწერ, ახლა „დაბინდულ ქლიავისფრად“ შეღებავ და ორივე დაგრჩება, სანამ ენის მოტრიალება შეგიძლია პირში.

დროის სწორი ხაზი კი, ჯერ გრანულებით შეიცვლება, მერე, არ ვიცი, კიდევ რით.

მთვარეც მრგვალია სვანეთში. კოშკებს ასეთი უფრო უხდება. შეიძლება, რომელიმე სვანი შემეკამათოს, აქვს უფლება, მის სამშობლოზე ვლაპარაკობ, მაგრამ მე ასე ვხედავ, უფრო სწორედ, ასე მიყვარს და სიყვარული უკამათოა. ხეებს აქაც ვემცნაურები. ნახშირორჟანგს ვუცვლი ჟანგბადში. ისინი რეალურად თავდადებულები არიან ჩემთვის, მე – შეგრძნებით. ქალაქში ხეს რომ ჭრიან, თითქოს დანა დამისვეს, მერე ისე მტკივა, როგორც მოჭრილი ხელის ან ფეხის ადგილი, სიცარიელის ხორცი.

ნამის შეჩერება, ალბათ ბევრჯერ მომნდომებია, მაგრამ ერთხელ ყველაზე მკაფიოდ. აქ, სვანეთში, როცა ისე გამიფართოვდა მზერა, რომ ყველაფერი დაიტია: კოშკები, მთები, ლამარია, მზე და მთვარე, ორივე მრგვალი, ზუსტად გავიმეორე, ფორმულასავით: „მშვენიერი ხარ, წამო, შეჩერდი“. ამ პათეტიკაში გოეთეც შედიოდა, იმპრესიონისტებიც, ვან-გოგის „კარტოფილის მჭამელები“ რომ მისივე „ყვითელ კაფეში“ შეუშვა, მინისფერ სახეებზე მზე დაანვთო.

კიდევ, ჭიქასავით გამჭვირვალე ვერტმფრენში რომ ვისხედით (მად-

ლობა ლაშა თაბუკაშვილს და თეზიკო ჯაფარიძეს), სადაც გვინდოდა, ვეშვებოდით, მერე მსუბუქად, ავდიოდით ჰაერში, ერთ ადგილას ელგუჯა დავინახე, მწვანე პერანგში, მწვანეთვალე-ბიანი, თვითონაც იყო და ბალახსაც აგრძელებდა, მთელი გზა მინდორით მოგვდევდა, მთებთან წყდებოდა.

ყვითელ ატლასში გამონყოფილი ქერთამიანი გოგოები ცეკვავდნენ, მზის ცეკვა იყო, ლილეს ძახილი, კოშკების ცვენა... თბილისის მზე გახუნებული მეჩვენა აქაურთან შედარებით. თან შორს იყო, თან ახლოს, ახლოს ადამიანებისთვის, საქონლისთვის, ჩემის-თანებისთვის, იმ თვალისთვის, ორ თვალშუა მესამე რომაა, თოვლზე ვარაყის მოსახატად, შორს, იმიტომ, რომ თავს არ მიხეთქავდა, შიგ გაფურჩქნილ მზესუმზირას არ მიტენიდა, ფრთხილი იყო და ალერსიანი ჩემი შაკიკისთვის („სიშორის შენის სიახლოვე“).

ლექსი იმიტომ გამახსენდა, მუსიკა ახლდა თან. სიტყვის თვისება, მისი წმინდა ჟღერადობა. უშბა, უშგული, შხარა, მახვში, შხელდა. „ღობეში შავი შრიალებს ჩალა, შავი ლეჩაქი დაეცა შარებს“, ისევ ლექსი... ბგერა შრიალა, სევდიანი მამაკაცური სტიქიის შიკრიკი, პირველ შემთხვევაში, მეორეში – იგივე, ოლონდ, ეს მამაკაცი პოეტი.

სულ ცოტაც ბგერების მუსიკაზე, ჩემთვის რომ უფრო მთავარია.

რატომ იწყება ანბანი „აი ია“-თი? ხომ შეიძლება ყოფილიყო „აი ალამი“ – ორივე სიტყვა თავში ა-ბგერიანი, სწორ ხაზს გულისხმობს, უმოკლეს მანძილს ტვინამდე და გულამდე: ხელი გულთან, გამართული ზურგი, სიამაყე, დროშას რომ სჭირდება, ღმერთს კი – არა. ეს აქეთ მხარეს, იქით – კაცი ესთეტი, თვალით და ყურით, თან მუსიკა, თან იისფერი დუდილი, გზა გულამდე ბევრი ცარიელი ფურცლის გავლით, ჟრუანტელის მრავალწერტილით...

ისევ სტიქიას რომ დავუბრუნდეთ, ამჯერად, ქალურს – თეთნულდი, ლამარია, დალი... მისკენ ოქროს კიბე მიდის, თმებისგან დაწნული, ახვალ,

უამრავ ხიფათს გადაეყრები, მაგრამ ამ ქვეყანას გულს მოუნახავ. მკაცრი, ავკარგიანი სვანები ვიოლინოს გასალებით გაიხსნებიან, მთები – ბანის გასალებით, ეს ისეთი მომღერალი გუნდი იქნება, ისეთი წინასწარმეტყველი ქორო, ნარინჯისფერი ორკესტრის თანხლებით (მზე ახლოა), რომ გაგიჭირდება ამ ელვარების გაძლება, თვალებს მოგჭრის, მაგრამ ავდარიც ხომ ამ მთებისაა, ამ ღრუბლიანი კუშტი ხასიათის! მზე და ზარი, ანუ ჭუბერი!

ჩემს ომისშემდგომ ბავშვობაში გაჭირვებაც მქონდა, შიმშილიც, ქონის თხელი ნაჭრები შავ პურზე, ამისგან ატკიებული ნაღვლის ბუშტი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჭუბერი არ მქონია, ახლაც ძლივს გადავიტანე, მაშინ, ალბათ, ჩამოუყალიბებელ ხერხემალს გადამიმტვრევდა.

მაინც უშველეს მთებმა. ყველა ქართველი მთაზე წერს ლექსებს, ვინც არ წერს, ფიქრობს მასზე, თბილად ფიქრობს. ამიტომ უშველეს. მთავარი ეს იყო. – რატომ არ მღერით, მთებო? ასე ვინ გაკადნიერდებოდა, ისედაც, რა ემღერებოდათ! არც ვაჟას ემღერებოდა, მაგრამ ის პოეტი იყო.

ჩემთვის ყველა მთა ახლაც გადასალახია, მხოლოდ იმიტომ, რომ გადავივლი მას და სვანეთი გამოჩნდება. ალპინისტური ჟინი არასდროს მქონია. მხოლოდ, ეს, ჩემი მოგონილი გეოგრაფია:

აი, იმ მოჭრილ ჭადართან ლადო ასათიანი იდგა, მეორესთან – პაოლო

მესტია





თეთნულდი

იაშვილი, აქ ტრამვაი დადიოდა, რომელმაც რეზოს ფეხი მოაჭრა, აქ, სამხატვრო სალონთან, ელგუჯა შემხვდა და არტურ რემბოს ლექსები მაჩუქა, წარწერით: „ლიას არტურისგან“.

ამ ხეებს, ამ ადგილებს, ტრამვაის ლიანდაგს გულმოდგინედ თხრობან, რომ ილუზია არ დაგრჩეს მიწაზე გამოკერების, შენი მოგონებებიანად. სიკვდილს რომ დააპირებ, მისტიკა მუჭობით გექნება, ტონობით, წაიღე შენი ნოსტალგია იმქვეყნად, იმედია, უკან აღარ დაგაბრუნებენ.

ერთი ანეგდოტი მაგონდება სვანებზე, აი, სად არის მისტიკა! თვითმფრინავში რამდენიმე დაჩეხილი ადამიანია: ერთს ფეხი აქვს თაბაშირში, მეორეს – ხელი, მესამეს – თავი გახეთქილი. მიუახლოვდებიან თუ არა კავკასიონს, ერთი მათგანი მფრინავს ეუბნება: – გააჩერე! თვითმფრინავი ჩერდება. მგზავრები გიჟებს გვანან. – ესენი სულ აქ ჩამოდიანო – ამშვიდებს პილოტი.

ჩემი მთის გადალახვისა არ იყოს, აქ იუმორზე მეტი, ჰიპერბოლაა. მთებზე ხომ ადიან სვანები, ბოლომდე, ყინულის წვეტამდე, ჰაერშიც შეუძლიათ სიარული, დროებითი უკვდავებაც მისჯილი აქვთ. „ვიდრე ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!“ ხელი შეიძლება მოგტყდეს, ფეხიც, თავიც გაგისკდეს, მაგრამ კლდის ნატეხი, მრგვალი მზე და მთვარე, ღმერთმა რომ ჩაგაყოლა თიხაში, სიკვდილის უფლებას არ გაძლევს, იქამდე, ნამდვილ სიკვდილამდე.

ამას ყველაფერს ხომ არ მოუყვები ვინმეს, მითუმეტეს, თუ გაიგო, რომ სვანეთი თვალთ არ გინახავს, გიჟი ეგონები, მაგრამ თეზიკო ჯაფარიძეს, რომელსაც ლაშამ მანქანა თხოვა, რომ ჩემთვის სვანეთი ეჩვენებინა, ეტყობა, მიუხედავად, უკვე, თბილის-ელობისა, გულმა უგრძნო, გუმანმა, ალლომ და იმ, შუშის ჭიქასავით გამჭვირვალე ვერტმფრენის მძღოლს რაღაც უთხრა, იმანაც შემოგვატარა მთელი სვანეთი, არა ჩვეულებრივი, კანონიერი ფრენით, არამედ, შიგადაშიგ, დაშვებით, მერე აფრენით, თითქოს, როგორც მანქანას ცხენის

ძალები, თვითმფრინავს ფრინველები მართავდნენ, რა თქმა უნდა, არა ბელურები. ბულბულის კრიმანჭულივით ჩახვეული სიმღერა რომ მომისმენია სადმე, ბარში, „სევდის ბაღში“, აქ სრულიად უადგილო იქნებოდა და არც ისეთი გასაგიჟებელი, როგორც ქვევით. ქვევით, ზევით-ს თავისი დაუნერეელი კანონები აქვთ და საზღვარი კი არ ყოფს მათ, არამედ თმის ღერით დაუნახავი რაღაც, როგორც ცეზურა ლექსში, ოქროს ტიხარი მინანქარზე.

ღმერთის ტანი, სახედრის ტანი, იქ, სადაც ერთმანეთს უერთდებიან, უწვრილესი ოქროს ხაზია. სისხლძარღვის ქანდაკება?

აქედან ხომ არ წამოვიდა კენტავრი, ყველას ცოდვას რომ თავისთავზე იღებს? (ვაი, როგორ მტკივა წელი, ცხენის ტანს რომ უერთდება). რომელსაც შეუძლია ხორცი გადაიბრუნოს და თავი სისხლის მხრიდან აჩვენოს ქვეყანას. ქრისტიანი რომ არ ვყოფილიყავი, მაშინაც ასეთ ღმერთს ვინამებდი, ალბათ, არა წუნუნით, ან კამათით, ტკივილის აღისფერი შლეიფით მოსულს ჩემთან, აბსოლუტური სულის გამანონასწორებელს.

სვანეთის მერე ზღვა მიყვარდა. თვითმფრინავიდან, ან მატარებლიდან რომ დავინახავდი, სუნთქვა მეკვროდა. აი, სად იყო გალაკტიონი: „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“.

მაგრამ ეს სიყვარული უფრო პლატონიური და შიშნარევი იყო, შეიძლება ითქვას, ამბივალენტური. თან მიყვარდა, თან მეშინოდა, თან გაუცხოებული ვიყავი, არამარტო იმიტომ, რომ წყალში ორჯერ ვერ შეხვალ და ნაცნობობის, ახლობლობის შეგრძნება გამორიცხულია. ზღვის მოლექულები ჩემი ტანი ნაწყვეტებს ეხებოდნენ თბილად, რბილად, ზრდილობიანად. აღელვებულ და გაცოფებულ ზღვაში არ ჩავდიოდი, აქედან გამომდინარე, სიყვარული ცალმხრივი მქონდა, ასეთ ცვალებად, დენად სტიქიას ხელს ვერ მოკიდებდი, უფრო სწორედ, ვერ მოიხელთებდი.

ზოგჯერ, დაუფერებლად დაპატარავებული მეჩვენებოდა, როცა სიცხე კედლებით უჭერდა, გახუნებულ ჯინსის ნაჭერს ჰგავდა, თინეიჯერები ქაჩავდნენ აქეთ-იქით, მუხლებზე იხეოდა, ზუსტად ისე, როგორც საჭირო იყო. ასეთ დროს მარტო წვიმა შველიდა, კედლებს არღვევდა, ფერს უმუქებდა. შავი და ლურჯი ხდებოდა გარემო, საშიში და ნამდვილი, მეც, ისევ, შემძლო თვალბგამტერებულს მეყურებინა მისთვის, როცა ასეთი მართალი იყო, ყოველგვარი შერბილებისა და ფერ-უმარლის გარეშე. მაგრამ ხეებთან სულ სხვა ურთიერთობა მქონდა, ნათესაობა, საერთო ენა, შეხება, მათ „ნეკნებზე ჰეგზამეტრს ვაკაკუნებდი“.

შეიძლება მითხრან, ღმერთსაც ვერ ეხები და ვერ ხედავ, მაგრამ მასზე ის ვიცი, რომ შეუძლია კეთროვანი განკურნოს, ხუთი პურით და ორი თევზით ათასობით კაცი გააძლოს, რომ ის ჯვარზე აცვეს, ავაზაკი ბარაბა კი გაათავისუფლეს. ეს ისეთი ყოველდღიური ამბავია, ახლობელი, ზღვაზე კი რა ვიცი? ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ მასზე „მთვრალი ხომალდებით“ დადიან რემბოს მერე სხვა პოეტებიც, იქამდე – ბრმა ჰომეროსი და რომ ზღვიდან, უსათუოდ, ითაკაში უნდა დაბრუნდე, ანუ შენს საბოლოო მიწაზე, თუ მიწაში, სულს კი იმედი დაუტოვო, რომ სვანეთის თავზე იფრიალებს...

საერთოდ, რას შვრება სული? დაფრინავს, დადის, შრიალებს, თუ ჩხრიალებს? სიტყვა „შხარას“ ჟღერადობას კი იხდენს.

ხეები, ყველაზე მაღლებიც, ისე შორს არიან, რომ არ ჩანან. ქარის მიმართულებით დადიან, ამით თუ გრძნობ მათ არსებობს. შენც, უკვე, ქარივით გულგრილი ხარ, ზღვასავით, მესხიერებას ხომ არ გამოიბამ არაფერზე (ვიზუალურ არაფერზე) ნეტა, იგრძნობენ ისინი შენს შვილს? ეს ურთიერთობა გენეტიკას ემორჩილება?

თუ თვალები ყველაზე გვიან კვდება, რას დაინახავ? ვაშლის ხეს,

ჯოჯოხეთის მდულარე ქვას, თუ ნახევრად გამდნარ თეთნულდს? მის რბილ და სვედიან თანაგრძნობას, მარტო დედა რომ გაპატიებს, დიდი ხნის მიუხედავ საფლავს, ყველაზე შორ და გადაგდებულ სასაფლაოზე...

დედაზე მაგონდება, მთავარი ღმერთიც განსხვავებული ჰყავთ სვანებს, ქალი, დალი. რატომ, ასეთ მთიან ქვეყანაში, ასეთ მამაკაცურში? მთიანი კუთხის მამაკაცურობა საკამათო არ არის. „ნისლი ფიქრია მთებისა, მათის კაცობის გვირგვინი“. მაგრამ ვაჟას მთებში ოჩოპინტრეა ცხოველ-მცენარეების, ნადირობის ღმერთი, არა ხე-ლაღებით სისხლიანი, არამედ ალლოგონებით. გასართობად არც ყვავილს მოაწყვეტინებს კაცს, არც ხეს მოაჭრევენებს და არც ნადირს მოაკვლევინებს (მინდიას კომპლექსი?).

ქალი ხომ უფრო ღმობიერი უნდა იყოს, მაგრამ არ არის. ის, მაქსიმალისტია, სიყვარულში ღალატი სასინჯი ქვაა მისთვის. საკუთარ ვნებებზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ბუნების კანონზომიერ ორომტრიალზე. თავის შეყვარებულს რამდენსაც უნდა, ცხოველს აკვლევინებს, მცენარეებზე ლაპარაკიც არაა. მაგრამ თუ მონადირემ მისი საიდუმლო გაამჟღავნა, კლავს. საიდუმლოს გამხელა ღალატს უტოლდება.

იმ ძველისძველმა პოეტმა იცის, რომ საიდუმლოს გამხელა პოეზიის უარყოფაცაა. მოაზროვნე ცდილობს გახსნას „თავისთავადი საგნების“ ჩაკეტილი საიდუმლო, პოეტი, პირიქით, ფარავს მას. ამისთვის აქვს მთელი რეკვიზიტი ეპითეტების, მეტაფორების, ჰიპერბოლების. მისთვის ჭეშმარიტება ტყუილის სიმართლეა და არა გაცხადებული საიდუმლო. გამოდის, რომ დალი, ქვეშეცნეულად, პოეზიას უფრთხილდება. ამ, ერთი შეხედვით, განურჩეველ და ჭარბ სექსუალურ ურთიერთობებს, იდუმალება სიყვარულის ძიებად აქცევს. ეს მისი გზაა ჭეშმარიტებისკენ.

XII საუკუნეში (ჯერ ევროპული რენესანსი სად იყო) ჩემმა ელვარედ ნიჭიერმა წინაპრებმა მეფე ქალი მო-



ბალახისმჭამელები და მტაცებლები

ბევრი წლებისა და სიარულის მერე აღმოვაჩინე, რომ ადამიანები, შინაგანი ენერჯისა და ამ ენერჯის რეალიზების მოთხოვნილებების მიხედვით, ცხოველთა მსგავსად, 2 ძირითად კატეგორიად იყოფიან: ბალახისმჭამელებად და მტაცებლებად. რასაკვირველია, არსებობს მათი ქვე-კატეგორიებიც, მაგალითად, არიან ლეშიჭამია მტაცებლები და აქტიური მონადირენი, მომპოვებელი ბალახმჭამელები და მომგროვებლები და ა. შ.

მაშ ასე: იმისათვის, რომ ომში ჩაება, ან ნამოიწყო, ენერჯია უნდა გქონდეს. მტაცებლებს არ შეუძლიათ დევნის გარეშე და სანადიროდ გამოდიან. მათ არ ჰყოფნით ის, რაც მამამ უყიდათ, ბაბუამ უანდერძათ, პარტნიორებისგან იღებენ, ხელისუფლება აძლევთ, ქვეყანას პოტენციურად შეუძლია. მათ საკვებად საპირისპირო ენერჯია სჭირდებათ, რომელსაც დაეჯახებიან, გაანგრევენ და გაიტანენ. მაშინ როცა ბალახისმჭამელები მხოლოდ ღია კარში გადიან, რადგან კედლის გარღვევა იმ სასიცოცხლო ენერჯიასაც აცლით, რაც ყოველდღიური არსებობისათვის გააჩნიათ. ისინი არ უწყობენ დედებს ისტერიკებს ტკბილეულის მაღაზიაში, არ ერევიან სამეგობრო-ქუჩურ საქმის გარჩევებში, აკმაყოფილებთ ერთი სექსუალური პარტნიორი, არიან პატიოსანი გადამხდელები, ებრალებათ უნიათო მთავრობის წევრები, თანახმანი არიან, დაუთმონ მეზობელს საზიარო სარდაფი თუ გარაჟი, ოღონდაც სიმშვიდე არ დაეღრღვეთ.

როცა წილად გხვდა ისეთ ქვეყანაში დაბადება, როგორც საქართველო და მისი სისხლიანი ბედისა და იღბლის საკუთარ თავსა და ტყავზე განცდა და მორგება, ომზე

დასასრული 39-ე გვერდზე

იგონეს. ბერძნული ღმერთების პანთეონშიც არიან ქალები და ერთი მუხლისმოყრაა მათ წინაშე დაშვებული. კაცის ნეკნიდან კი არ ჩნდებიან ისინი, არამედ თავიდან, მართალია, ეს თავი ღმერთს ეკუთვნის.

თამარი რუსთაველის თავიდანაც გაჩნდა, თუმცა ეს, მხოლოდ, ყოფის დასტური იყო, პოეტური დასტური.

დალიმაც რომელიღაც უცნობი პოეტის თავი გაგლიჯა, ზევსი ხომ არ იყო ეს პოეტი, ნაწილობრივ არ გასჩენოდა, ოქროს თმებით შეუმშრალა სისხლი, როგორც მარიამ მაგდალინელმა ფეხები ღმერთს.

პოეტს დალი უყვარდა და ბეთქილი შექმნა, თავისი სახის და ფერის მიხედვით, ისიც შეიყვარა, იქნებ უფრო მეტად და ეჭვიანადაც, ცხოვრებაში ასეთ ქალს სად ნახავდა, კიდევ რომ ენახა, ენერგის რამდენიმე წვეთს თუ გაიმეტებდა მისთვის, ყველაფერი ლექსს მიჰქონდა. ბეთქილს მოუგონა ის სიყვარული, თვითონ რომ უნდოდა და არ შეეძლო, რადგან „უნახავის და-ნახვა“ იყო მისი თვისება, ქარში, წვიმაში, მზის მდულარებაში დგომა და ლოდინი (მთებივით). ზაფხულივით ცხელ და ხანმოკლე სიყვარულს, ზამთრის თოვლში რომ ჩაიმარხებოდა, ხელოვნური განათება ვეღარ უშველიდა, თავი უნდა ამოეტრიალებინათ ორივეს და ახლა სისხლით შეხებოდნენ ერთმანეთს და ქვეყანას. შეეძლოთ კი ეს? დალის შეეძლო, მონადირეს – არა.

პოეტმა სიყვარულის წამი დაიჭირა და დაგვანახა, სხვა წამები მისი საქმე

აღარ იყო, ტრაგიკული ფინალი და-ლის სიყვარულმა უკარნახა.

„მღვიმიდან დალი გამობრძანდა,
ოქროს თმები მხრებზე ეფინა
– ბეთქილ, სადა გაქვს ჩემი მძივი?
– შენი მძივი შინ დამრჩენია.
– დატოვე განა ჩემი მძივი
საკუთარ სარძლოს სასთუმალქვეშ?
ეს რა გიქნია, უბედურო,
რა ძნელი ცოდვა გიტვირთია!“

რა უნდა ქნას ამ დროს ქალმა, რომელიც ამორძალს უფრო ჰგავს, ვიდრე ღმერთს? ხან ერთ მონადირეს გადმოუგდებს კლდიდან ოქროს კიბეს – თავის თმას, ხან – მეორეს. ყველანი უყვარს, არცერთი საიდუმლოს არ უნახავს. ერთგულებაზე ნაკლებს თხოულობს, საიდუმლოს შენახვას. მაგრამ ბეთქილი მას მძივს თავის საცოლეს ჩუქნის, სხვა მონადირე მისგან ნაჩუქარი რიდეს ხალხში გამოაჩენს. ამიტომ ერთი კლდეზე გადაიჩეხება, მეორეს ზვავი გაიტანს, პოეზიაც კვდება. როგორც კარგ მონადირეზე იტყოდნენ სვანეთში, „დალი ჰყავსო“, პოეტსაც თავისი დალი ყავს, ამიტომ ბეთქილის სიკვდილს ბუნებრივ ბოლოდ მიიჩნევს.

თუმცა, მაინც ტრაგედია გამოსდის ხელიდან...

„ბეთქილი კლდეზე გადაეშვა,
ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ბნელ უფსკრულში ჩაიკარგა,
ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ძნელია დალის სიყვარული,
ბაილ ილბა და ილბა ბაილ,
ძნელია დალის სიყვარული,
წმინდად უნდა მოვლა-შენახვა“.

მაგრამ დალი შუბლიდან, თუ ტვინიდან მეორედ უძვრება პოეტს და სხვაგვარად იქცევა. დარდობს მომხდარს. ერთი ქალი რომ არ ყოფნის გლოვას (სიყვარულში მხოლოდ ერთი იყო), ბევრდება. არავითარი ყბადაღებული გახლეჩილი მე, მხოლოდ ოქროს თმებში ჩაცმული ლიბიდოები – დალები.

დალი მრავლობითში. „ჩვენი ყოფის ლანდურობა, მისი ორობა?“ ვითომ, ლანდები არიან, მთვარით გათეთრებული და მჩატე? ლანდებს სიყვარულის დატირება არ შეუძლიათ, გრძნობის სიძლიერე ჰაერის ტანებსაც ჩაუფუშავდათ. ერთი მათგანი, მთავარი

სვანური კოშკი და საცხოვრებელი სახლი. მარცხნივ – მწვერვალი შხარა (5068 მ). მარჯვნივ – მწვერვალი თეთნულდი (4853 მ).



– დალი, რომელიც ბევრდება, ისე იკრავს გულში მონადირეს (ამას ვერავის დაანახებს), რომ მკვდარს ხელს ვეღარ გაუნორებენ.

მედეამ რომ შვილები დახოცა, თუ არ დახოცა და ეს ევრიპიდემ მოიგონა, მეტი სიმწარისთვის, იაზონს ხომ ნამდვილად მოკლავდა, რომ შესძლებოდა და დამცირებული, გაუბედურებული აღზვედებოდა, მზეს, ხასხასა ყვითელი პარაშუტის აბრეშუმს (სცენაზე) მოყავდა სამშობლოში.

თამარი რომ ფეხშიშველი მიდიოდა ეკლესიაში სალოცავად, სახელმწიფო საქმეებს აგვარებდა, ვინ იცის, რა ცეცხლი დაუბრუნდა ორლობებში, სანამ იმ მთავარ კაცს წაეკიდებოდა, ვისაც სისხლისცრემლდანთხეული ლექსი შეეძლო.

სიყვარული და ტკივილი გვერდიგვერდ! ძალიან ხმამაღალია?

დანტეს სიარულს ჯოჯოხეთის ცხრა წრეში და ერთ თვალბეგბრწყინებულ სამოთხეს, ორფეოსის ჰადესში ჩასვლას, მკვდარი შეყვარებულის წამოსაყვანად, მარტივი, ტრადიციული მონადირე ვერ გაიმეორებს, მაგრამ დაღს სწორედ ასეთი კაცი სჭირდება, მისი პოეტიც დალატობს მას, საკუთარი თავის ნაწყვეტებს აძლევს მხოლოდ, თუმცა ლექსში სამართლიანია მის მიმართ. დალი თქმულებაში, შეიძლება, ავხორციც ჩანდეს, ლექსში – არა. რატომ ჰყავს ამდენი კაცი; სიყვარულს ეძებს და ვერ პოულობს, ამიტომაც სასტიკი, მაგრამ სამართლიანი. დეპრესია ღმერთების თვისება არაა, ისინი უკვდავებისთვის არიან გამეტებულები.

დალის საყვარლებიდან ერთი მაინც რომ ერთგული ყოფილიყო, შეიძლება გაენანილებინა კიდეც მისთვის თავისი უკვდავება, მაგრამ კაცი ცოდვიანია. ქალი სიყვარულშიც უფრო მაღლა დგას და ტირილშიც. ამ მკრეხელობას მთები მაპატიებენ? ალბათ, კი, თუკი დაღს პატიობდნენ!

სალი კლდეები, ზედ მზის ბეჭედი – ოქროს თმა, მონადირეები: ისმა, ლე-

ვან, მაკუ, ნუა, ბეთქილი, დარჯელანი. ბოლომდე არ მივდივარ. დარჯელანის ცოლი რომ დაღის თმას მოაჭრის, ანუ ძალას ნაართმევს და სხვა რომ აღარაფერი შეუძლია დაღს, მონადირეს ეხვეწება – მუცელი ხანჯლით გამიფატრე და შვილი ამოიყვანეო! არ მინდა ეს დარჯელანი და მისი ცოლი, პარალელები „სამსონ და დალილასთან“, ბერძნულ მითებთან. გონიერი მიდგომა ცეცხლთან, კლდეებზე რომ დარბის!

ვერავითარი ამირანი, ამ ცეცხლის მიმღები და ქვეყანაზე სინათლის მომტანი, ვერ ამინაზლაურებს იმ ოქროს ლაქებს კლდეზე, იმ სიგიჟეს სიყვარულის და დარდის, მონადირის ეჭვიან ცოლს რომ არც დაესიზმრება. დაღის ტირილი ოჯახური მალე მოსანელებული ნუხილი კი არ არის, არამედ ზარი. ეკუთვნის მოლაღატეს ეს ზარი? თუ პოეტს ასე მიაჩნია...

ქალღმერთს ხომ უღალატა! ეს ხმამაღლა, გამოკვეთილი შრიფტით, საცოლეს თუ ცოლსაც უღალატა – ეს უკვე ფრჩხილებში (დროებითი სისუსტე, ცრემლი), რისხვა ფრჩხილებში არ ჩაჯდება, ის წითლად წერია. რაც ამ წითელ სიტყვებამდეა, თქმულებაა, მერე – პოეზია. დიდი ტირილი, დიდი სინათლე, დიდი სიყვარული – ჰიპერბოლების ჯამი.

ოქტომბრის ბოლოა, სუსხი ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ უკვე იგულისხმება, მოწმენდილ ამინდში, მთები ისე ახლო მოდიან, თოვლის სუნს გაგრძნობინებენ. მთვარე ისევ მრგვალია და თბილია, ახლა „როდემდე?“ უნდა ვთქვა, მაგრამ არ მინდა.

„მიშგუ ლადელ სი“ – ჩემი დღე შეგემატოს, ჩემი დღე – შენ!

ამის გამო, კიდეც ბევრი რალაცის გამო, მუდმივობის გამო სულ ასე იქნება, ჩემი ბავშვობიდან, სიკვდილამდე. სიკვდილიც, ადვილია, ალბათ, თუ იცი, რომ ვიღაც ისე მიწებებს შენს ხელს გულზე, საფლავშიც აღარ გაგისწორდება...



ლაპარაკი თითქოს მეზობელთან სტუმრობას ჰგავს. თუმცა კი, ისტორია ისტორიად რჩება და გულზე მჯილისცემა და ქადილი სადღესასწაულო განწყობას უფრო ჰგავს (და ქმნის) ხოლმე, ვიდრე საომარს.

ჩემი თეორიის მიხედვით, ქართველებს რომ ბალახისმჭამელთა ცნობიერება აქვთ, ამას ჩვენი ისტორიაც ადასტურებს და დღევანდელიც. და ვაჟა-ფშაველას ის ლექსიც – „სამშობლოს არვის ნავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“ – სწორედ ბალახისმჭამელთა მანიფესტად ჟღერს.

ჩემთვის, როგორც ამ მიწაზე დაბადებულისა და ტომით ქართველისთვის, უფრო სასიხარულოა ჩემი ქვეყნის ბალახისმჭამელი ცნობიერება, ვიდრე ის, რომ მტაცებლური ჰქონოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი პირადი განცდაა.

რასაკვირველია, ყველა ქართველი ბალახისმჭამელი არ არის, ისევე როგორც არ არსებობს ბუნებაში მხოლოდ ერთი ჯიშის ვაშლი. მაგრამ არსებობს ომი, რომლის გადატანა ყველას უნევს, რომელსაც თავს ვერაფრით აარიდებ, ვერც დაემალევი, ვერც გაექცევი, ვერც სხვას ჩაინაცვლებ. ეს სიკვდილია. მე ჯერ არ მოვმკვდარვარ, ამიტომ არ ვიცი, როგორი მებრძოლი ვიქნები ამ დროს. როგორც ქალმა კი, ერთი, მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი ბრძოლა უკვე გადავიტანე, სადაც, არც უკანდახევა არსებობს და ვერც კაპიტულაციას გამოაცხადებ. ეს მშობიარობაა. მართალია, მე-20 საუკუნის მედიცინის მიღწევებმა ეს ბრძოლა გაამარტივა, მაგრამ მისდამი დამოკიდებულებებში ერთი უცნაური შტრიხი გამოკვეთა: ამ ომს, სამედიცინო პათოლოგიების გარდა, უფრო ხშირად მტაცებლები არიდებენ თავს, თანაც ლემიჭამია მტაცებლები.

პუბლიკაციაში გამოყენებულია ბუბა კუდავასა და მირიან კილაძის ფოტოები

ბალა ჩაქურიშვილი



ილია ჭავჭავაძე

როსტომ ჩხეიძე

რეკვიამი სინანულისა

(ირაკლი წერეთლის ბედისწერა)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10

III

პარიზის კომუნა – სასინჯო ქვა

ილია ჭავჭავაძის ლექსს, რომელიც ამჟამად ყოველთვის იბეჭდება სახელწოდებით „1871 წ. 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“, პირველი პუბლიკაციისას და შემდგომაც არაერთხელ გამოქვეყნდა სათაურით „პარიზი“.

პავლე ინგოროყვა ილიას ათტომეულის გამოცემას რომ მოჰკიდებდა ხელს მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, ამ სათაურს მიიჩნევდა ცენზურის მიერ შეცვლილად და აღადგენდა და დაამკვიდრებდა თავდაპირველ სახელწოდებას ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვით.

პარიზის ხსენება მინიშნებით მიანიშნებდა, თუ რომელ ისტორიულ მოვლენას გულისხმობდა ლექსის მწუხარე განწყობილება, მისი სამგლოვიარო პათოსი, მაგრამ, ცხადია, დოკუმენტური იერით აღბეჭდილი სათაური სჯობდა, რათა ჩასაფიქრებელი და საჩხრეკი ოდნავადაც არაფერი ყოფილიყო და მკითხველი გაცნობოდა პოლიტიკური ლექსის ნიშნებს.

ეს ლექსი, ერთი მხრივ, ძალდაუტანებლად ეხმიანება გარიბალდური მოძრაობით შთაგონებულ უსათაურო პოეტურ ნიმუშს („მესმის, მესმის...“) და ისიც წარმოდგება მონოდებად ეროვნული ამბოხებისაკენ, რაკილა ილია ჭავჭავაძისათვის ყოველგვარი აჯანყება და ბრძოლა თავისუფლებისათვის იმთავითვე გადაჯაჭვული გახლდათ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ოცნებასთან.

მეორე მხრივ კი მართლაც – და არა მარტოდენ მხატვრულ ხერხად მოშველიების გულისათვის – მწარედ განიცდის „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშის დამლას“, მის დაცემას ქვეყნის მწაგრავი

ძალის მიერ.

სოციალური ამბოხი ილიასათვის არაფრით არ განსხვავდება ქრისტესავით თავდადებისაგან, კაცთმოყვარეობისა და სიყვარულის დასამკვიდრებლად თავგანწირვისაგან, ბოლოსდაბოლოს რისთვისაც თვითონ ღმერთი შეიქნა ტანჯული და ჯვარცმული.

და რადგანაც ფრანგ კომუნართა ეს გაბრძოლება სოციალური უსამართლობის მოსასპობად ქრისტიანულ ემბაზშია ამოვლებული ილიას თვალთახედვით, გამოთქმებიც ამ რელიგიური მოძღვრების შესაფერისია და თანდათან მიისწრაფის იმ აპოგეისაკენ, როდესაც პირდაპირ გაუიგივებს მემბოხეთა თავგანწირვას ჯვარცმის მისტერიას, დროშის დამხობას კი – ქვეყნის ხსნად მოვლინებული მცნების დაცემას: კვლავ ეწამა მოყვასისთვის საოცარი იგი ერი, კვლავ დაიდგა დიდ წამების მან გვირგვინი მშვენიერი. კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა წმინდა სისხლი წამებულის, კვლავ დამარცხდა დიდი საქმე ყოვლად მხსნელის სიყვარულისო.

ჯერ მარტო ამგვარი გაიგივება მონშობს, რომ ეს არ ყოფილა წამიერი განცდა და ილიას ბიოგრაფიაში ამ გლოვასა და, იმავდროულად, მკაცრ პროტესტს მწაგვრელთა ძალმომრობის წინააღმდეგ ერთ-ერთი საგულისხმო და დამაფიქრებელი დეტალის მნიშვნელობა ენიჭება.

ამიტომაც გახაზავდა ამ მნიშვნელობას სათაურშივე და პავლე ინგოროყვა კი მისაჩქმალად არ გაიმეტებდა.

დაე ამიერიდან ისევე წაშლილიყო მასზე ცენზურის ძალდატანების კვალი, როგორც თავის დროზე ცენზურამ წაშალა ლექსზე აღბეჭდილი კვალი იმ შთამაგონებელი მოვლენისა.

კი მაგრამ, ხომ შეიძლებოდა პავლე ინგოროყვას ხელით „იანიჩარზეც“ წამ-

ლილიყო ცენზურის ჩარევის კვალი? ავტორგრაფული ხელნაწერის მიხედვით აღდგენილიყო პირვანდელი სათაურიც („კონვოელი“) და სტრიქონში: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუბველს ოსმალეთს“ – ოსმალეთი შეცვლილიყო იმავე თავდაპირველი „ჩრდილოეთით“?

იმ ცენზურის მემკვიდრენი არ დაანებებდნენ – კიდევ უფრო მკაცრნი და დაუნდობელნი?

მაგრამ პავლე ინგოროყვა ხომ ახერხებდა, რომ ეს ყოველივე შენიშვნებში აღენიშნა? და ბარემ ტექსტშიც გამოსწორებულიყო იმ უხეში ჩარევის შედეგი.

თუმცა ესეცაა – აღადგენ თუ არა პირვანდელ ვერსიას „იანიჩარისას“, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რაკი ისედაც გამჭვირვალეა, „ოსმალეთი“ რასაც მიანიშნებს. მკითხველი იანიჩარსაც კონვოელად წაიკითხავდა და ოსმალეთსაც – ჩრდილოეთად.

აი, ზოგადი „პარიჟი“ კი სამუდამოდ დაფარავდა, კომუნართა აჯანყებას რომ შთაეგონებინა ქართველთა მოსე წინასწარმეტყველი, აკადემიური გამოცემისას კი დაერთვოდა შესაფერისი შენიშვნა, მაგრამ სხვა დროს უკომენტაროდ დაბეჭდილი მკითხველს კერძო ისტორიულ ეპიზოდს ვერანაირად ვეღარ მიანიშნებდა.

განზოგადება განზოგადებად, მაგრამ 1871 წლის 23 მაისი განზე რჩებოდა, დიდი მარტვილობის გვირგვინით შესული ილიას ცნობიერებაში. სამუდამოდ დამკვიდრებულიც?

შემდგომ უარყოფით არასოდეს უარუყვია ფრანგ კომუნართა ტრაგიკული ხვედრის გამო გლოვა თუ მათი თავგანწირვით აღფრთოვანება და ნაჩქარევი, ზედაპირული განსჯა მაშინვე ამას გვიკარნახებს: დიახაც, სამუდამოდ დამკვიდრებული.

დიახ, ნაჩქარევი, ზედაპირული განსჯა.

თუმცა თანმიმდევრობით მივყვეთ.

კვლავ ძირს დაცემულიყო იგი მცნება, ქვეყნის ხსნად მოვლინებული, და რომლისთვისაც თვითონ ღმერთი იყო ტანჯულ და ჯვარცმული...

ილია საკუთარ გულისთქმასაც გამოხატავდა და თავის მოდასებებისაც, მას რომ ასდევდნენ რევოლუციურ ალტკინებაში და ყველაფერს ამ თვალ-

თახედვით განსჯიდნენ ყოფილ საქართველოდ გამოცხადებული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც და რუსეთის იმპერიის, ევროპისა და საკაცობრიო სივრცეშიც.

ასეთი ექსპრესიით, ილიასებური გზნებითა და სიმტკიცით მაინც ვერავინ...

და ყველას ფიქრი და განცდა ამ ლექსის კომპოზიციურ ქარგაში იყრიდა თავს და ისტორიის კიდევ ერთ შეფერხებასა და განახლების ძალთა შეყოვნებას მწუხარებით ეგებებოდნენ, გამარჯვებულ მტარვალთ აგრძობინებდნენ: დიდხანს არ გასტანს თქვენი ლხენა, რადგანაც ყოველად შეუძლებელია ისტორიის გაყინვა, განახლების ძალთა ამოხრჩობა საკუთარ გარსშიო.

ლექსში არსად გაიხმიანებს ვერსალი თუ ვერსალელები, თუმცა „გამარჯვებული მტარვალნი“ სწორედ მათ გულისხმობდა, გენერალ **გასტონ დე გალიფეს** მთავარსარდლობით რომ გაანადგურებდნენ პარიზის კომუნას და შორეულ საქართველოში გულს მოუკლავდნენ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეთ, მოგვიანებით კი ისევე საძულველ სახელად გადაიქცეოდნენ **ირაკლი წერეთლის, კარლო ჩხეიძის, ნოე ჟორდანიასა** თუ სხვა სოციალდემოკრატთა თვალში, როგორც ყველა ის ხელისუფლება, რომელიც განახლების ნიაქარს ეღობებოდა, სოციალური თანასწორობის მოსაგვარებლად კი არაფერს ცდილობდა, არამცთუ მგლისა და ცხვრის ერთად ძოვაზე ეოცნება, იმ მიწიერ სამოთხეზე, რომელიც იდეალად დაესახათ პარიზელ კომუნარებსაც და ყველა ქვეყნის სოციალისტებსაც და ამ სამეულსაც თავი გადაედო ამ მიზნისათვის, განსაკუთრებით მაინც ირაკლი წერეთელს, ვინც მონამის შარავანდშემოსილი გამოჩნდებოდა რევოლუციურ პეტროგრადში ციმბირის სიღრმეებიდან.

გამოჩნდებოდა და... იქ დატრიალებულ დრამაში ერთ-ერთ მთავარ როლსაც შეასრულებდა იმ კარლო ჩხეიძესთან ერთად, არამარტო იმპერიაში რომ გაუთქვამდნენ სახელს საქართველოს, არამედ მთელს დასავლეთშიც, იმ საქართველოს, რომლის დამოუკიდებლობაც ეკალივით ჩხვლეთდა ორივეს



პავლე ინგოროყვა



ალექსანდრ კერენსკი

გულზე და არც არაფრისდებებით არ დათანხმდებოდნენ მის სახელმწიფოებრივ აღდგენას, პოლიტიკური მოვლენები რომ არ წაწყობოდა ერთმანეთს ისე, სხვა გზა აღარ დაეტოვებინათ ნოე ჟორდანიასათვის, გარდა სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადებისა, იმ ჟორდანიასათვის, ვისთვისაც ყოველგვარი ეროვნული და ტრადიციული ისევე გაიგივებოდა დრომოჭმულს, ფუჭსა და დაუნანებლად გადასადგებს, როგორც ამ ორისათვის, ერთმანეთს ტოლს რომ არ უდებდნენ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მომზადებაში და, რომანტიკული ბუნებისანი რომ არ ყოფილიყვნენ და პატივმოყვარეობისა და მოხვეჭის ჟინსაც აღედრა ერთიც და მეორეც რევოლუციური ბრძოლებისათვის, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა საქართველოს ბედიც, რუსეთისაც და დასავლეთისაც... იმ დასავლეთის, 70 წელიწადს რომ დაკარგავდა წითელი ჭირისაგან მსოფლიოს გადარჩენისათვის ჭიდილში.

დროს დაკარგვასა და დიდი ენერჯისა და სისხლის გაღებას ვილა ჩივის, რაკილა სამყარო იხსნეს ბოლშევიკური მმართველობისაგან.

თანამედროვენი ირაკლი წერეთლის პოლიტიკური წამებულის შარავანდს რომ ახსენებენ, იქვე დაურთავენ: ჭემარიტი და ტრაგიკულიო.

ეს იმიტომ, რომ ირაკლი წერეთელი გამოერჩიათ ყალბ, მოჩვენებით წამებულთა გალერეიდან, რის ნაკლებობასაც არც თებერვლის რევოლუცია განიცდიდა, თორემ ბოლშევიკური გადატრიალება ამგვარ სიცრუეს – „წამებულთა“ და „გმირთა“ სიუხვეს – სულაც ნორმად დაამკვიდრებდა და ახალი დროის მითოსად აქცევდა.

ათწლიან კატორღამდე უკვე მოეხვეჭა ავტორიტეტი რუსეთის მეორე სათათბიროში მოღვაწეობით, ზნეობრივი პიროვნების რეპუტაციასაც რომ მოიპოვებდა, ახლა კი წამებულისა და ზნეობრივი გმირის სახელით დაბრუნებული ახალ თვისებებსაც გამოამჟღავნებდა, უპირველესად კი ორგანიზატორულ უნარს. მუშათა და გლეხთა საბჭოში თავმჯდომარის – კარლო ჩხეიძის – მოადგილედ დანიშნაურებული,

აქ ისეთ წესრიგს დაამყარებდა, ყველას წარმოუდგენლად რომ მიაჩნდა.

საბჭოში წამდელი ქაოსიაო, – ყველა ისე ასავსავებდა ხელებს, თითქოს მის მოსაგვარებლად თითის განძრევაც არ ევალეობოდათ, ყველა სხვას მისჩერებოდა, ყველა სხვისგან მოელოდა გადაწყვეტ მოქმედებას თუ არა, გაფხაკუნებას მაინც.

ქაოსიაო, იტყოდნენ და... ვალიც მოხდილი ჰქონდათ.

ხან რაოდენ იოლია, არა, პოლიტიკური მოღვაწეობა?..

ირაკლი წერეთელს არასოდეს სჩვეოდა სხვისი მოლოდინი, და თუმც დიპლომატიური უნარი არ აკლდა და გარშემო ყველაფერს ითვალისწინებდა, თვით ნიუანსებსა და წვრილმანებსაც, მაინც მოქმედებისაკენ იხრებოდა, თუმც მანამდე ეგონათ, რომ ორატორობა უფრო იტაცებდა და მისი მთავარი ასპარეზი ტრიბუნა და მხოლოდ ტრიბუნა გახლდათ.

მაგრამ მას შეეძლო ბევრჯერ გაეოცებინა თანამედროვენი.

თვით **ალექსანდრ კერენსკიც** – მართლაც ხალიფა ერთი საათით, იმ ერთ საათში უზომო პოპულარობას რომ მოიხვეჭდა, მაგრამ პრემიერ-მინისტრობიდან მისი დამხობისთანავე იმ პოპულარობისა ნასახიც არ დარჩებოდა – მთელი ცხოვრება ლამობდა ირაკლი წერეთლის კეთილგანწყობის მოპოვებას, ტრაბახობდა მასთან სიახლოვით და მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნში „1917 წლის რუსული რევოლუცია“ – გულწრფელად თუ არაგულწრფელად, მაგრამ ზუსტად კი განსაზღვრავდა ირაკლი წერეთლის „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი უკეთილშობილესი და უღირსეულესი წარმომადგენლის (შემდგომ ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის)“ მოღვაწეობის მთავარ გეზს, როგორც შექმნილი ვითარების ყველაზე კარგი შემფასებლისაც და გამოსწორების გზების ენერგიული მაძიებლისაც.

– ამ პოლიტიკურმა ლიდერმა, რომელიც სულითა და გულით დემოკრატიის ერთგული იყო, მისთვის ნიშანდობლივი გაბედულებით, აშკარად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აღიარა მკვეთრი ცვლილებანი პოლიტიკურ და



ალექსანდრ კერენსკის ცნობილი წიგნის ერთ-ერთი ბოლო გამოცემა (2005 წ.)

საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში.

ეს ის დროა, როდესაც ირაკლი წერეთლის აღფრთოვანება რევოლუციონითა და მისი შედეგებით – მიუხედავად ქოტური რეალობისა – აპოგეას აღწევს და ოდნავადაც არ ნანობს რომანოვთა მმართველობის დამხობასა და მონარქიის გარდაქმნას რესპუბლიკური ყაიდის სახელმწიფოდ. მისთვის ახლა მთავარია, ხელისუფლებამ შეთანხმებულად და ჰარმონიულად იმოქმედოს და შეინარჩუნოს და წარმატებითაც გააღრმავოს ის სასიკეთო ცვლილებანი, რაც რევოლუციურმა ნახტომმა გამოიწვია იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში – გაამძაფრა ხალხის ეროვნული თვითშეგნება, აამალლა სახელმწიფოს პრესტიჟი და ძლიერება.

თავისი ორგანიზაციული ნიჭისა და რევოლუციური სიმტკიცისა ეიმედებოდა და ნაოცნებარის ახდენით გულმოცემული განუცხადებდა მტერსაც და მოყვარესაც:

– ჩვენ ვძლევთ არამარტო სამინისტრო, არამედ რევოლუციურ კრიზისსაც. რევოლუციის ისტორიაში ახალი ერა იწყება.

ირაკლი წერეთელს მიაჩნდა, რომ საზოგადოება არ უნდა გაყოფილიყო ორ ფერად – შავად და თეთრად, ასეთი უკიდურესობა ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა და მსოფლიო რევოლუციას – ანუ მთელი სამყაროს გადაწვლას – საბოლოოდ გადაუღალავად დაბრკოლებად გადაეღობებოდა. და მიუხედავად იმისა, რომ „ბურჟუაზია“ მარქსისტულ ენაზე სალანძღავ ტერმინად დამკვიდრებულიყო, სახელწოდებად კლასისა, რომელიც განადგურების გარდა არაფერს იმსახურებდა, იგი მოინდომებდა „მახვილგონიერულ კომპრომისთა და ფრთხილი საჭადრაკო სვლების გზით“ (როგორი შთაბეჭდილებაც რჩებოდათ გარშემომყოფთ) დაეყოლიებინა რევოლუციური სტიქიისადმი შეურიგებელი ბურჟუაზია – ემუშავა რევოლუციის ინტერესებისათვის.

„აღმოსავლური დიპლომატიის“ – გულმოსული შენიშნავდა გიორგი პლესხანოვი ირაკლი წერეთლისა და კარლო ჩხეიძის მოქმედების ტაქტიკის მიმართ და, რაც უფრო მატულობდა

დიდებული ორატორის პოპულარობა, მითუფრო ველარ იოკებდა პლესხანოვი სიბრაზეს და აღარც მკვეთრ თავდასხმებს აკლებდა ირაკლი წერეთელს.

მის ჩრდილში მოქცევა ვერ აეტანა მანამდე დიდების მწვერვალზე ატყორცნილს, მისი სახელის ამაღლება შურს აღუძრავდა და გულმოდგინედ დაეძებდა მის საჯარო გამოსვლებში რაღაც საკბილოს გულისწყრომის გადმოსანთხევად... ოღონდ ცდილობდა ეს ყოველივე პრინციპული პაექრობის საბურველით შეენიღბა, თითქოს გარშემო ყველასთვის თვალნათლივი არაყოფილიყოს პლესხანოვის გაგულისების ნამდვილი მიზეზი.

ბოლშევიკები ნაცად დემაგოგიურ ფანდებს მოეჭიდებოდნენ: ბურჟუაზიასთან მოლაპარაკება-მორიგებით ირაკლი წერეთელმა საკუთარი თავი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის რიგების გარეშე დააყენაო.

და სულ უფრო და უფრო ენერგიულად გაჰყვებოდნენ ძალადობრივ გზას.

ჯერ პეტროგრადის გარნიზონს ააამბობებდნენ.


მერე სამხედრო რაზმებსა და მუშებს დაძრავდნენ თავრიდის სასახლისაკენ, ალყაშიც მოაქცევდნენ და ნუთი-ნუთზე მისი აღებაც იყო მოსალოდნელი.

ირაკლი წერეთელი?

ყველას აოცებდა თავისი სტოიციზმითა და შეუდრეკელობით, გარეთ ვითომც არაფერი ხდებოდა, ისე აგრძელებდა სხდომებსაც, ღებულობდა დელეგაციებსაც... მისი ამგვარი თავშეკავება სხვებსაც გადაედებოდათ და ორატორები ახერხებდნენ გასაქცევად გამზადებულები კი არა ყოფილიყვნენ,

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატების რუსეთის პირველი ყრილობის პრეზიდიუმი: სკობოლუი, კარლო ჩხეიძე, გიორგი პლესხანოვი და ირაკლი წერეთელი





ლევ ტროცკი



ვლადიმერ ლენინი

არამედ გულდასმით ემსჯელათ ათასგვარ სატიკივარზე.

გარეთ ალიაქოთი არა ცხრებოდა და აღზნებული ბრბო მინისტრების გამოსვლას მოითხოვდა: დაე ჩვენს წინაშე გამოვიდნენ და ანგარიში ჩავვაბარონო.

მერე ბოლშევიკები წააქეზებდნენ და ააყვირებდნენ: ირაკლი წერეთელია დასაპატიმრებელი და, რაც დროულად მოხდება ეს აქცია, მით უკეთესი ქვეყნისთვისო.

ის თავისას გააგრძელებდა მიზანმიმართულად, და ვითარების გამოსასწორებლად კი თანხმობას განაცხადებდა, საბჭოებს აეღოთ ხელთ მთელი ძალაუფლება – მაგრამ რაკილა აქ შეკრებილ აღმასკომს არ გააჩნდა ამის უფლება, აუცილებელი გახდებოდა საბჭოს უფლებამოსილი ორგანოს ანუ ახალი ყრილობის მოწვევა ორი კვირის შემდეგ, მოსკოვში რომ შეიკრიბებოდა და უფრო წყნარად მუშაობის საშუალებაც მიეცემოდა.

იმასაც მოითხოვდა: აუცილებელია წესრიგის დამრღვევი პეტროგრაძელი მუშების განიარაღებაო.

და კიდევ დააკარგვინებდა წონასწორობას **ლენინსაც**:

– რევოლუციონერი იყო, ამდენი წელი კატორღაში გაატარა, ახლა კი მთლიანად უარი თქვა თავის წარსულზე.

და **ლევ ტროცკისაც**:

– ამ სიტყვებში რაიმე პოლიტიკური არა ყოფილა, ისინი პოლიტიკისათვის კი არ იყო ნათქვამი, არამედ ფიქრის ნაყოფს წარმოადგენდნენ ყოფილი თვალსაჩინო რევოლუციონერის სამწუხარო ბედზე.

თვალნათლივია – ახალი დროება ანუ ბოლშევიკური ხანა ვერაფრისდიდებით ვერ იგუებდა ამ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის მანამდელ დამსახურებასაც ისტორიას მიაბარებდნენ საქებარი ეპითეტებით. მაგრამ უკვე აუცილებელი ხდებოდა მისთვის გზის მოჭრა ახალი სახელმწიფოს მმართველობაში, მისი ჩამოცილება ხელისუფლების საჭისაგან.

ივლისის თვეში ირაკლი წერეთელი პეტროგრაძის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს მიაღებინებდა გადაწყვეტილებას – ბოლშევიკთა გა-

მოსვლების შეიარაღებული გზით ჩახშობის შესახებ.

ჯერ აზრად რომ მოუვიდა ეს მკაცრი ღონისძიება.

მერე საბჭოს სხდომაზე რომ გააცხადა.

და მერე სულაც დაითანხმა საბჭო.

ეს ყოველივე იმგვარ პირობებში, როდესაც ფსიქოლოგიურად შენ შებოჭილი ხარ იარაღისაკენ გაიწოდო ხელი, ბოლშევიკები კი თავისუფლად დაპარპაშებენ და არაფრად უღირთ წამდაუნუმ იმეორონ მთავრობის დამხობის აუცილებლობა... იარაღის მეოხებით.

ვითომდა საბჭოს დემოკრატიობას შეებლავდა მკაცრი მეთოდების გამოყენება.

მამ ბოლშევიკთა დემოკრატიობა რატომ გულისხმობდა შეიარაღებული გადატრიალების გამართლებას?

არადა, მაშინდელი პროპაგანდა ასე შთააგონებდა ხალხს, ორმაგი მორალით უმღვრევდა გონებას, ისედაც თავგზაბნეულთ, თუმც მარტოდენ ბოლშევიკური აგიტაცია ვერაფერს გახდებოდა, მთავრობის სისუსტე რომ არა, და კიდევ – მენშევიკური ფრთის შინაგანი უღონობა, ძალმომრეობის წინააღმდეგ საკმარისად რომ მიაჩნდათ მორალურ შეგონებათა გამოყენება და აბსტრაქტულ შეხედულებათა მომარჯვება.

იმჟამინდელი რეალობა თუნდაც ირაკლი წერეთლის ამ ორიოდ სტრიქონშია ჩანსურული:

– საბჭოში ბევრს ბოლშევიკები მაინც საკუთარ ამხანაგებად მიაჩნდა, მართალია „გზაბნეულ“, მაგრამ მაინც ამხანაგებად.

და როგორ გინდა ასეთ დროს საბჭოს წევრთა უმრავლესობა დაარწმუნო და მიაღებინო იმგვარი რეზოლუცია – აჯანყების ჩახშობა ძალით?

ეს ალბათ მარტოდენ ირაკლი წერეთელს შეეძლო.

შეეძლო და... კიდევ მიაღწია.

და როდესაც ბოლშევიკთა გამოსვლების შეიარაღებული გზით ჩახშობის მოთხოვნას **ლიბერიც** დაუჭერდა მხარს, ცნობილი ფიგურა მენშევიკთა შორის, მისი თანაპარტიელი და ერთერთი აღიარებული ლიდერი **იული მარტოვი** ადგილიდან წამოიჭრებოდა და ლიბერს დაუძახებდა:

– ვერსალელო!

ეს რა შეარქვა, თურმე რაოდენ მწარედ გაიმეტა ფრანგ კომუნართა განადგურების თაოსანთა შეხსენებით.

ვისთან გაათანაბრა!..

რა გგონიათ – შიგ გულში კი მოარტყა.

ამ ერთადერთ სიტყვაზე ლიბერს ისტერიკა დაემართებოდა და საჯაროდ აქვითინდებოდა, თავზე ნაცარს დაიყრიდა და მწარედ მოინანიებდა იმ ნაჩქარევ თანხმობას: ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მე, სოციალისტი, იძულებული გავხდებოდი ძალით ჩამეხშო ჩემივე ამხანაგების – სოციალისტებისა და მუშების – გამოსვლაო.

არა ნიშნისმოგებით, მაგრამ რეალობის ბუნებისა და პიროვნებათა ხასიათების მკაფიოდ წარმოსაჩენად გაიხსენებდა ირაკლი წერეთელი ამ სუსტი, თუმც პატიოსანი სოციალისტი ლიბერის შემდგომ ბედს: „მისივე ამხანაგების“ დიქტატურის ჟამს თუ როგორ გადაასახლებდა **სტალინი** ციმბირში, მერე კი – უკვე ყოველგვარი ისტერიკის გარეშე – კიდევ დახვრეტდა.

– ამით დამთავრდა ლიბერის „სოციალიზმი“.

ქართველი მოღვაწისათვის დამაფიქრებელი გამხდარა, რომ ლიბერის ბედიც და ისტერიკაც მარტოდენ პიროვნული ხასიათის გამჟღავნება კი არ ყოფილა, არამედ ნიშანდობლივი გახლდათ ბევრი რუსი და საზღვარგარეთელი სოციალისტისათვის, საბოლოოდ „თავიანთივე ამხანაგებისაგან“ რომ გაინიშნენ სასიკვდილოდ, იმ ამხანაგებისაგან, რომელთა ძალმომრეობის წინააღმდეგაც ოდნავი სიმკაცრის გამოჩენაც რომ ეუხერხულებოდათ: ამით რევოლუციასა და დემოკრატიას შევებლავათო.

მაინც რა ერქვა ამ განწყობილებას?

ირაკლი წერეთელი უკეთეს შეფასებას ვერ მოისაზრებდა, ვიდრე ეს განსაზღვრებაა:

– თითქმის რელიგიური სიბრმავე.

ცხადია, არც მარტოვის შემდგომი ბედი უნდა მიკარგულიყო – რაკილა ასე გადადო თავი ბოლშევიკებისათვის, ალბათ მოსალოდნელია, რომ ისინი დაუფასებდნენ ამ მწვავე წამოძახილს, ფრანგ კომუნართა განადგურების გახსენებას; მითუმეტეს, იმ წუთას

ლევ ტროცკი აღფრთოვანდებოდა იმისი წამოძახილით და ისე მიეგებებოდა მოწინააღმდეგე პარტიის ამ ერთ-ერთ თავკაცს: გაუმარჯოს პატიოსან რევოლუციონერ მარტოვს! – გრძნობ, კიდევ შეხარბებია, ეს შედარება – ვერსალელო – იმან რომ მოიფიქრა და არა თვითონ.

და, აი, დადგება 1918 წლის მარტი და, როდესაც ლენინი მუშათა დეპუტატების საბჭოდან გამორეკავს ყველა მენშევიკს, მარტოვი ჩვეულებისამებრ გადმოისვრის ისტორიულ შედარებებსა და პარალელებს, თუმცა... ამჯერად სრულიად ფუჭად:

– ბოლშევიკებში ისტერიკა არ გამოუწვევიათ.

აბსტრაქტულმა ჰუმანიზმმა ისე არ უნდა გაგაბრუოს, რომ ველარ გაერკვე, თუ სად იმყოფები, როგორ დატრიალებულა მოვლენები და რა არის ყოველ წამს მოსალოდნელი, თორემ ერთი დაკვრით აღმოჩნდები მდინარეების მიღმა და, რაც წვალეუბნებით გიკონინებია, ერთი დაკვრით სხვათა ხელში გადაინაცვლებს.

ვერსალელო, – უკიოდა ერთი მენშევიკი მეორეს.

ახ, რა კარგად მოიფიქრაო, – ეხარბებოდა ბოლშევიკთა ერთ-ერთ წინამძღოლსა და რევოლუციის მესაძირკველთაგანაც გამორჩეულს, შემდგომ ბოლშევიკურ გადატრიალებას თვალსაჩინო ღვაწლს რომ დასდებდა და ლამის სახელმწიფო მართვის სადავეებსაც ხელთ იგდებდა...

ვერსალელთა ლანდები ამოძრავებულიყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შენობაში.


გენერალ გალიფეს აჩრდილიც გამოცხადებულიყო.

მონგრეულიყო პარიზის ბარიკადები. სიცოცხლეს ეთხოვებოდა კომუნართა წამიერი ტრიუმფი.

და:

– მადლობა ღმერთს! – ამ წამოძახილით შეეგებებოდა ირაკლი წერეთელი ამ მოლანდებას – კომუნის აღსასრულის ხილვას.


წამოძახილი წამოძახილად, და დაე მისი შეთავაზება, – აჯანყებულთა გამოსვლებს მხოლოდ შეიარაღებული



იული მარტოვი



ლიბერი (მიხაილ გოლდმანი)



იოსებ სტალინი

გზით თუ ჩავახშობთო, – მართლაც რეალობად გადაქცეულიყო და არა ჰაერში გამოკიდებულ გადაწყვეტილებად, ქარი რომ ადვილად გაფანტავდა, ფურცელზე გადატანილი კი ჩრჩილთა წერა შეიქცნებოდა.

რეალობად კი ირაკლი წერეთლის სიმტკიცე აქცევდა.

მთავრობა გაიზიარებდა იმ პირთა დაპატიმრების განზრახვას, შეიარაღებულ გამოსვლებს ვინც მოთავეობდნენ – დაე სასამართლოში აგონ პასუხი, როგორც რევოლუციის მოლაღატებმაო.

ასე აღმოჩნდებოდნენ სატუსალოში **ტროცკი, კამენევი, სტეკლოვი, ლუნაჩარსკი...**

ლენინი და ზინოვიევი დროზე მოასწრებდნენ მიმალვას.

დაისჯებოდნენ კრონშტადტის მეზღვაურთა მოძრაობის თავკაცები, სხვადასხვა ანარქისტები ბალტიის ფლოტიდან.

აიკრძალებოდა არმიაში გავრცელება ბოლშევიკური მიმართულების გაზეთებისა („პრავდა“, „ოკოპნაია პრავდა“ და „სოლდატსკაია პრავდა“), თუმც ესაა და ეს, უფრო მეტს ველარ გაბედავდნენ, მთლად აკრძალვას მაინც მოერიდებოდნენ, ვაითუ არადემოკრატიობა დაგვბრალდესო.

ნუ გეგონებათ ეს უმნიშვნელო დეტალი – ავიწროებ, მაგრამ მაინც უტოვებ სუნთქვის საშუალებას, რაც ნიშნავს ისეთი ნაჩვრეტის წყალობას მონინალმდეგეთათვის, თითქოსდა ვითომც არაფერი, მაგრამ თანდათან

ძალას რომ მოიკრებს, გაფართოვდება და ნიავის ნაცვლად ქარიშხალს შემოუშვებს შენს წასალეკად.

ამიტომაცაა, რომ ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკები ერთ ნაჩვრეტსაც აღარ დაუტოვებდნენ მონინალმდეგეებს და სულაც გააუქმებდნენ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს – ფორმალურად, მოსაჩვენებლადაც არ ასხმარტალებდნენ.

როდესაც ფრონტიდან დაბრუნებული კერენსკი სასწრაფოდ გაათავისუფლებდა ტროცკისა და სტეკლოვის, ის კი არა, საერთოდაც აკრძალავდა ბოლშევიკთა დაპატიმრებასაც და მათთვის იარაღის ძალით ჩამორთმევასაც: დაე საკუთარი ნებით ჩააბარონო, – პრემიერ-მინისტრის ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით შეფასდებოდა არა ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის გამოვლენად, არამედ სრულ უგნურებად, მაგრამ ამ უგნურებას ასაზრდოებდა არამარტო კერენსკის პიროვნული ხასიათი, არამედ მთავრობაში გამჯდარი განწყობილებაც – ხუთი სოციალისტი გაზიარებით თითქოს იზიარებდა მკაცრ მეთოდთა აუცილებლობას, მაგრამ ვერც შიშს ფარავდნენ: ვაითუ ამ ყოველივემ ნააქეზოს კონტრრევოლუციამო, – და ირაკლი წერეთელს, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, სთხოვდნენ: რევოლუციური წესრიგის დაცვა წარმართე რევოლუციური დემოკრატიის ორგანოებთან ერთადო.

ნაჯექ-უკუჯექობის ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი.

თან გინონებენ მოქმედებას, თან გინუნებენ.

გააგრძელე მკაცრი პოლიტიკაო, თითქოს გეთანხმებთან, მაგრამ მხოლოდ იმ უწყებებთან ერთად გრთავენ ნებას, ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგნი რომ არიან და წესრიგის დამყარებაში კონტრრევოლუციის მოსალოდნელი გამოლაშქრება ელანდებათ.

რა გამოდის – სურთ ირაკლი წერეთელიც დაიმგვანონ და გააორონ: თან განაიარალოს ბოლშევიკები და... თან დაუტოვოს იარაღი; თან ძალით ჩაშალოს მიტინგები და მანიფესტაციები და... თან ნებაზე მიუშვას, რათა დემოკრატიის არსებობას საფრთხე არ შეექმნას.

ლევ ტროცკი, ვლადიმერ ლენინი და ლევ კამენევი



რაც მთავარია, პრემიერ-მინისტრია ამგვარი მოქმედების მომხრე და ისე უშლის ხელს ბოლშევიკთა ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების აღკვეთას, და ირაკლი წერეთელს სხვა აღარა დარჩენია რა, გარდა იმისა, რომ გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა უმეტესობაზე დაყრდნობით გააგრძელოს თანმიმდევრული ბრძოლა ბოლშევიკური ჭირის წინააღმდეგ...

თუმც ამასობაში ამ საბჭოშიც მატულობს ბოლშევიკთა გავლენა.

ვერსალელებმა გაანადგურეს პარიზის კომუნაო, – ეგონათ ამ შეხსენებით პირში ბურთს ჩაჩრიდნენ ირაკლი წერეთელს, ვისაც ლიბერლით თითქოს თავზარი უნდა დასცემოდა ამგვარი გაიგივებით, მაგრამ იგი აკი სრულიად მოულოდნელ, ყველასთვის გამაოგნებელ პასუხს გასცემდათ:

– მადლობა ღმერთს!

აშკარაა – წარმოსახვაში გენერალ გალიფესა და სამთავრობო ჯარის მხარეს ეგულება თავი და არა კომუნარებისა.

კიდევ ამართლებს აჯანყების ჩახშობას და თავი მათ სულიერ ჩამომავლად ესახება, ახალი დროის ვერსალელად, რათა... მტკიცე ნებით გაიმეოროს ისტორიის „შემაფერხებელი მოვლენა“ და „განახლების ძალები“ შვებით არ ამოასუნთქოს.

კი მაგრამ... ილია აკი სულ სხვაგვარად განსჯიდა და ისტორიის შემაფერხებლად და განახლების ძალთა შეგუბებად კომუნის დამხობა წარმოუდგებოდა?

და იმ ლექსის დამწერი ამ ახალ დროებას რომ მოსწრებოდა, უთუოდ მეამბოხეთა მხარეს დაინახავდა საკუთარ თავს და: ვერსალელებო, – წყრომითა და გმობით იქნებ მასაც მიეძახა ყველასთვის, ვინც ბოლშევიკური შეიარაღებული გამოსვლების აღკვეთას მიიჩნევდა სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების ყველაზე რეალურ გზად.

მიაძახებდა და... კიდევ გაემიჯნებოდა ირაკლი წერეთელს, როგორც ამგვარი მკაცრი ღონისძიების მოთავეს, ვერსალელთა და გენერალ გალიფეს სულიერ მემკვიდრეს.

და თუ აქამდე სოციალ-დემოკრატებმა აღარ დააცალეს სიცოცხლე, იმ ლექსის შემთხვევით ილია ათწლეულთა სიღრმიდან კომუნის დაცემის გამოგლოვასთან ერთად თითქოს ბოლშევიკურ სწრაფვასაც ამართლებდა, როგორც ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი ძალის მიერ დიდი დროშის აფრიალებას, და ირაკლი წერეთელსა და მის თანამოაზრეთ კი შერყენებას უთვლიდა, როგორც ქვეყნის მჩაგრავ ძალასა და მტარვალს.

და თუ მას უკვე ამოევლო ქრისტიანულ ემბაზში კომუნართა ამბოხება და ჯვარცმის მისტერიისაგან აღარც განერჩეოდა, ამჯერად **ალექსანდრ ბლოკი** ბოლშევიკური მოძრაობისათვის გამოიყენებდა იმავე ემბაზს და პოემას „თორმეტნი“ ამ გამოცხადებით დაავგირგვინებდა, თუ როგორ მოუძღვის ამ პოლიტიკურ გუნდს იესო ქრისტე, თითქოს საკუთარ სულიერ შვილებად დაუგულებიაო.

– თეთრი ვარდების გვირგვინოსანი მათ წინ მიუძღვის იესო ქრისტე.

მაშინვეც და ათწლეულთა შემდგომაც მკითხველის გონებას ალაგზნებდა ეს სურათი: იქნებ პოეტს ამ ხილვაში მართლაც იესო ქრისტე გამოეცხადაო?

თუ ასეა, საიდან სად – ბოლშევიკები და ქრისტე?

თუ არა და, მაინც რას ნიშნავდა ეს მოლანდება?


ალექსანდრ ბლოკსაც ჩასციებოდნენ და მისგან მოელოდნენ დამაჯერებელ პასუხს. ის კი კიდევ უფრო გაასაიდუმლოებდა ამ სტრიქონებს: თვითონაც არ მესმის, რა დაგწერეო.

არამცთუ მაშინდელი განცდები ვერ აღედგინა, არამედ დროის გადასახედიდანაც ვეღარ გარკვეულიყო თავისივე ნაგულისხმევში.

ცნობისნადილიც სულ უფრო გამძაფრდებოდა და თავსატეხად გადაქცეული სტრიქონების ამოხსნა-გაშიფრვის ნადილიც. ამიტომაც დაგროვდებოდა დიდძალი ლიტერატურა ამ თემაზე – პირწმინდად ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის, აბა, ალექსანდრ ბლოკის თანამედროვეთა მოგონებანი ვერაფერს გვამცნობდა, გარდა პოეტის გაურკვეველი პასუხისა: მე თვითონაც არ მესმისო.



ალექსანდრ ბლოკი



ალექსანდრ მენი

ალექსანდრ მენი, სულიერი მოძღვარი და ლიტერატურაშიც ღრმად განსწავლული პიროვნება, საგანგებოდ დაინტერესდებოდა „თორმეტის“ ფინალური ხილვით, თვითონაც ჩაუკვირდებოდა, სხვათა მოსაზრებებსაც გაეცნობოდა და ნაფიქრს ამ ფრაზით შეაჯამებდა:

– ეს ფსევდო-ქრისტიე იყო.

და მაინც მაცხოვარი უნდა გამოილანდოს მხატვრულ წარმოსახვაში.

და თვითონ პოეტი არაფრისდიდებით არ აღიარებს ამ ხილვის მოჩვენებითობას, ქრისტეს გამოცხადებაში ფსევდო-ქრისტიეზე მინიშნებას.

მაშ როგორღა უნდა გაარკვიოს მკითხველმა, რომ ამ ხილვისეული ქრისტიე – ბოლშევიკთა წინამძღოლი – მაინცდამაინც ფსევდოა?

ყველა ხომ ვერ იქნება ალექსანდრ მენივით ყოველმხრივ განსწავლული და თანაც ამ თავსატეხის უეჭველად ამოხსნის მსურველი?

ბოლოსდაბოლოს, ალექსანდრ მენიც პირად მოსაზრებად გვთავაზობს იმ დასკვნას და არა ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად.

არა, მაინც რამ მოუვლინა ეს ხილვა ალექსანდრ ბლოკს?..

თეთრი ვარდების გვირგვინოსანი მათ წინ მიუძღვის იესო ქრისტიე...

ასეა თუ ისე, ამ სურათით ბლოკიც ტროცკის მხარეს მოჩანს.

ამავე მხარეს ილანდება ილიას აჩრდილიც... ოლონდ 1871 წლის ილიასი, რევოლუციურ განახლებათა დიდი აპოლოგეტის, ამ მიზნისათვის იარაღსაც რომ არ უნდა მორიდებოდნენ ნანატრი სოციალური გარდაქმნის მოლოდინში.

აქვე იგულისხმებოდა ირაკლი წერეთელიც, ქვეყნად თვალის გამოხელისთანავე რევოლუციების მეხოტბედ და მის გამომჭედად რომ იმკვიდრებდა ადგილს და ისე შთაენტქა ამ რწმენასა და სწრაფვას, რომ საქართველოსაც ადვილად გაიმეტებდა, თუკი მსოფლიო რევოლუციური ხანძრის პროცესს რითიმე შეუშლიდა ხელს – სულ ოდნავადაც კი.

ეს მხოლოდ დიადი და საყოველთაო იდეის ლალატად ჩათვლებოდა მთელს ქვეყანასაც და მაშ კიდევ უნდა მოკვეთილიყო დემოკრატიული საზოგადოების მიერ.

დემოკრატიული საზოგადოების მიერ მოკვეთა კი აღტქმული მიწის გარეთ დარჩენას ნიშნავდა საქართველოსათვის და მაშ თვითონვე დაებრალებინა საკუთარი თავისათვის დემოკრატიული პროცესებისაგან მოწყვეტა.

აქვე იგულისხმებოდა ირაკლი წერეთელიცო...

იგულისხმებოდა, ოლონდ... თანდათან უკვე აღარ.

სადაც უკან დარჩებოდა ძველი ირაკლი წერეთელი, რათა სულიერი შემოტრიალების შემდეგ სრულიად საპირისპირო პოლუსზე აღმოჩენილიყო და მკვეთრად გამოიჯვნოდა იმ გზას, რომლის გულისთვისაც ცოტა ხნის წინათ თავი არ ეზოგებოდა.

ერთი მხრივ ილია ჭავჭავაძისა და მეორე მხრივ ირაკლი წერეთლის მსოფლმხედველობის შემობრუნებას თუ არ გავითვალისწინებთ და დაეჯერდებით მარტოდენ იმ მასალას, რაც ხელთ გვიპყრია, გაოგნებულნი აღმოვანჩნეთ, რომ თურმე ილიას ის პოლიტიკური სიმძაფრით განმსჭვალული ლექსი ამხელს ირაკლი წერეთლის მტარვალობას და აქეზებს ბოლშევიკებს შეფერხებული ისტორიის ასამოძრაველად და მტარვალთა დღესასწაულის აღსაკვეთად.

უშუალოდ არსად აღნიშნულა, რომ ილია ჭავჭავაძე ნანობდა და მწარედაც ნანობდა თავის ლიბერალურ წარსულს – რევოლუციების აპოლოგეტობას, თავადიშვილთა მკვლელობის გამართლებას – გაბროსა და ზაქროს სახეებით ხორცშესხმულს, ირონიულ დამოკიდებულებას ძველ მოღვაწეთა მიმართ, მამაშვილობის თეორიის გამასხრებას, პარიზის კომუნის დასახვას თავისუფლების სიმბოლოდ, ლორდ ბაირონის ხოტბას გოეთეს დამცირების ხარჯზე, კონსერვატორულ შეხედულებათა მიჩნევას დრომოჭმულობად და ამაო, მაგრამ მაინც წინაღობად დასავლეთიდან მონაბერ სიახლეთა დამკვიდრების გზაზე, საქართველოს მიჩნევას ჭაობად „კაცია-ადამიანის?!“ გამოუქვეყნებელ პროლოგში და კიდევ ბევრ ისეთ წვრილმანსა თუ მსხვილმანს, რაც უსათუოდ ჭრილობასავით ჩარჩებოდა გულში მას შემდეგ, ერთიანად რომ გამიიჯნებოდა ადრინდელ ილიას და ლი-

ბერალიზმს კონსერვატორულ მოძღვრებაზე გადაცვლიდა, მოჩვენებითად მბზინავ ფასეულობას ნამდვილსა და ბუნებრივს დაამჯობინებდა.

აღნიშვნით არსად აღნიშნულა ასე პირდაპირ, მაგრამ 70-იანი წლების მიწურული აღმოჩნდებოდა ის ნიშანსვეტი ილიას ცხოვრებაში, რამაც ისედაც თვალსაჩინო და ათასგვარი ღვანლის აღმსრულებელი პიროვნება ერის მამად გადააქცია... ხოლო მისი გაუნელებელი სინანული იმით დასტურდება, რომ ილია, ასეთი დიპლომატი და ხერხიანი კაცი, ვისაც პირდაპირი შეტევა სჩვეოდა და გვერდიდან შემოვლაც ვითარებისა კვალობაზე, რევოლუციური განწყობილების თანდათანობითი აღმავლობისას სრულიად დაივიწყებდა თავის დიპლომატობასაც და ხერხიანობასაც და ზედ შეენარცხებოდა დემოკრატიის სახელით დაძრულ საშინელებას, გარეგნულად მომხიბლავ „ძმობა, ერთობა, თანასწორობის“ მოთხოვნასა თუ ლოზუნგს, გონიერადამიანთაც რომ აიყოლიებდა ამ გარეგნული მიმზიდველობით, პირველ ქრისტიანთა მონამებრივი მოღვაწეობისაგან რომ აღარც განერჩეოდათ.

ამ გაქანებისა და სიღრმის პუბლიცისტი და ორატორი კონსერვატორული დოქტრინის გაცხადებასაც შეძლებდა და მოჩვენებითი ლიბერალობაზეც არ იტყოდა უარს, ისე, რომ ადვილად ველარ მოდავებოდნენ.

ბოლოსდაბოლოს ტყვიის წინაშე იდგა და, ვინ გაამტყუნებდა, თუკი ფრთხილად და ხერხიანად მოიქცეოდა.

არადა:

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გაშლას წინ რომ ელობებოდა და სულსაც უმწარებდათ წინასწარმეტყველისებური დაუნდობელი მხილებით, ის კი არა, მარქსიზმის ცოდნაშიც რომ არ დაუდებდათ ტოლს და ამიტომაც შეეძლო შიგნიდანვე აეფეთქებინა მათი იდეოლოგიური საყრდენები, მოჩვენებითად მტკიცე და დაურღვეველი, ამით უკვე საკმაოდ აეფორიაქებინა ისინიც და საზოგადოებრივი აზრიც, სულ უფრო მკაფიოდ და ხელშესახებდა რომ გადაიხსნებოდა სოციალდემოკრატიული საშიშროება ყოველი ერისა და, მათ შორის, ქართველთათვისაც.

ეს მოსწონდათ ეროვნულად განწყობილ ადამიანებს, საკუთარ გულისთქმას რომ პოულობდნენ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ სტატიათა მთელს ციკლში – თუ ვინმესი სწამდათ, ილიასი სწამდათ და თავიანთ მედროშედ ეგულებოდით. პუბლიცისტთა თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა ის გუნდი კი, საიდანაც შემდგომ სოციალისტ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები ამოიზრდებოდა, სულაც ილიას სულიერ მემკვიდრეებად რაცხდნენ თავს და ეამაყებოდით მის გვერდით რომ ტრიალებდნენ თუ ადვილად მიესვლებოდათ მასთან.

მაგრამ... ისინიც დაიბნეოდნენ და გაოგნდებოდნენ 1905 წლის შემოდგომის დღეებში, როდესაც რევოლუციური განწყობილება აპოგეას მიაღწევდა და კარზე იქნებოდა მომდგარი ის საყოველთაო მანიფესტაცია დედაქალაქის შუაგულში, ილია რომ არსად გამოჩნდებოდა, მის ხმას ვერსად გაიგონებდნენ, ამბოხებისაკენ მომწოდებელს – გატვრინდებოდა და გაილურსებოდა.

აკაკი წერეთელი დიდი გზებით აპყოლოდა სახალხო მღელვარებას.

ნიკო ნიკოლაძე ტოლს არ დაუდებდა.

იაკობ გოგებაშვილიც გამოერეოდა აზვირთებულ ხალხში.

ვაჟა-ფშაველას თავისი ჩათქვა: იქნებ სოციალური მოთხოვნები ეროვნულ აჯანყებაში გადავზარდო როგორმეო, – და საამისო მზადებასაც შედგომოდა ფშაე-ხვესურეთსა და კახეთში.

ხალხი ითხოვდა ილიას სიტყვას, მის შემთავლიანებელ გამოჩენასა და მოწოდებას, რაღაც ამგვარს: მღელვარების შეჩერება არაფრისდიდებით არ შეიძლება და დაე განყდეს, სადაც წერილია, მოხდეს ის გარდუვალი შეჯახება, ურომლისოდაც ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება, რევოლუცია კი იხსნის ხალხს იქ შთანთქმისაგან, და თუ პირველივე მცდელობა არ გაგვიმართლებს, მთავარია, რევოლუციური მუხტი არ შენელდეს და ადრე თუ გვიან ჩვენი იქნება სასურველი მომავალიო.

თანაც ეს ყოველივე ილიას სიტყვის მადლსა და ჯადოში რომ გამოეხვეოდა.


ბოლოსდაბოლოს ტყვიის წინაშე იდგა და ვინ გაამტყუნებდა, თუკი ფრთხილად და ხერხიანად მოიქცეოდაო...



აკაკი წერეთელი



იაკობ გოგებაშვილი



ნიკო ნიკოლაძე



ვაჟა-ფშაველა

არანაირი მოღვაწეობა, მითუფრო პოლიტიკური, სწორხაზოვნებას არ მოითხოვს, აბა, მამ დიპლომატიის ხელოვნება რაღა ყოფილა, თუკი, აუცილებლობისას, სულაც სამკვდრო-სასიცოცხლო ვითარებისას მარჯვედ არ გამოიყენე და ჩიხსა თუ საშიშროებას არ გაერიდე?.. მრწამსის ერთგულება, რწმენისათვის თავგანწირვა სულაც არ გამორიცხავს ზოგიერთ კომპრომისს, რაც სწორედ იმ მრწამსის გადასარჩენად და საყოველთაო გასავერცელებლად გჭირდება.

აღმოსავლური აზროვნება და ცხოვრების სტილი გობდა ყოველგვარ კომპრომისს და ნაკლად თუ ცოდვად უთვლიდა პიროვნებას.

დასავლური აზროვნება და ცხოვრების სტილი კომპრომისებს აუცილებლობადაც კი უსახავდა მოღვაწეს, ღირსებად, გონიერების გამოვლინებად შესაფერის ჟამს, რათა მრწამსი თუ იდეა არ დაღუპულიყო მასთან ერთად, და თვითონ ამ პიროვნებასაც მოღვაწეობის საშუალება კვლავაც ჰქონოდა.

ილია ჭავჭავაძე, ვინც ევროპეიზმის ერთი უპირველესი ქადაგი და დამამკვიდრებელი გახლდათ საქართველოში და დასავლურ აზროვნებასა და ცხოვრების სტილშიც ღრმად ჩახედული, ამ მხრივაც თამამად იქნებოდა საკუთარი თავის წინაშე – ოდნავადაც არაფერს შეეცოდავ, თუ რევოლუციურ მგზნებარებას მოწონებით გამოვეხმაურები და ბოლოსდაბოლოს სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ იმ მტკიცებას, ერთ დროს „მგზავრის წერილებში“ რომ გამოვთქვი და ცოტა არ იყოს ირონიულად მოვიხსენიე ის ადამიანები, რომელთაც რევოლუციის სუნთქვა აფრთხობდათ.

ერთბაშად დააშოშმინებდა მის წინააღმდეგ აყელყელავებულ საზოგადოებრივ აზრს, ერთი დაკვრით მოუთავებდა ხელს სოციალდემოკრატიის პროპაგანდისტულ თავდასხმებს მის წინააღმდეგ და მოკეთებდა კი ალაფრთოვანებას: ხომ ვამბობთ, ეგე, რომ არა გჯეროდათ, ილია რომ ჩვენს გვერდითაა, და რაღაც-რაღაცებს უგონებდით, არის თუ არა კვლავაც რევოლუციური გარდაქმნის მგზნებარე მომხრე და სულაც ამოდრავებული ხალხის წინამძღოლი?!

ერთი სიტყვა... სულ ერთი სიტყვა... ის კი გაყურებულიყო, თითქოს იმასაც შიშობს, უბრალოდ ხმის ამოდებაც ვაითუ რევოლუციურ მოწოდებად ჩამომართვანო.

„ცნობის ფურცელი“ ქართველ მწერლებს საახალწლო მილოცვებს რომ უძღვნიდა და, სიხალისისათვის, **უილიამ შექსპირის** სტრიქონებს შეურჩევდა თვითუფლს, ილიასათვის „მეფე ლირის“ ამ სიტყვებს ამჯობინებდნენ:

– შეგერჩა სული კიდევ თუ არა? ერთი ხმა გამე, კარგო კაცო!

ეს ისეთივე საყვედურია, როგორც ოდესღაც თვითონ ილია ჭავჭავაძე ამუხანებდა **გრიგოლ ორბელიანს** – თან ღრმა პატივისცემასაც გამოხატავდა მისადმი და თან თავსაც ვერ იკავებდა, რომ გაორება და გადამეტებული სიფრთხილე არ ეკიჟინა, რათა გაელიზიანებინა, ნირვანადან გამოერკვია და გაბედულ საქვეყნო საქმეთათვის შეეგულიანებინა.

როდესაც ქვეყანა გიყვარს – ამაში კი ილია წამითაც არ დაეჭვდებოდა, თუნდაც სხვები უნდობლად განწყობილიყვნენ პოეტი-გენერლის მიმართ – მარტოდენ ფრთხილი მოქმედება არა კმარა მის სასიკეთოდ, დაე გაბედე გასაბედავი და თავიც გადასდე, თუკი სხვა გზას აღარ გიტოვებენ.

ვერ გაგიბედავს?

მამ მზად იყავი, რომ თვით შენი მოყვარული პიროვნება არ გაპატიებს და მორიდებულ საყვედურს გაკადრებს.

ეპითეტად „კარგი“ შეერჩია გრიგოლ ორბელიანისათვის ილიას.

ახლა ეს ეპითეტი თვითონ მისადმი მიძღვნილ სტრიქონშიც გამეორებულიყო, მუნათზე მეტად გულისტკივილს რომ აგრძობინებდნენ და ენუკვოდნენ და ემუდარებოდნენ: აქამდე რაც იყო, იყო, ახლა მაინც მოგვასმენინე შენი მეხი სიტყვაო.

იმასაც დაუფიქრებდნენ, **დიმიტრი ყიფიანის** დაკრძალვისას სამგლოვიარო სიტყვას რომ მოელოდა მთელი ხალხი მისგან, ის კი ისე გატვრინდა, თითქოს ორატორობის ნიშანწყალი არა სცხებოდეს და საზოგადოების წინაშე გამოსვლა წარმოუდგენელი რამ ყოფილიყო მისთვის.

გადამეტებული სიფრთხილე მანამ-

დე სრულიად არა სჩვეოდა, ის კი არა, ოდნავი შეკრთომაც არასოდეს შემჩნეოდა და, ვერავის აეხსნა, მაშინ ასე რამ შეუკრა კრიჭა – მთანმინდაზე დიმიტრი ყიფიანის განსვენების ყამს. თუ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ გამოსათხოვარს ცენზურა შეაკვეცდა ფრთებს და მძაფრ პროტესტს არ ამოათქმევინებდნენ, საჯარო გამოსვლისას ვინ რას დაუშლიდა – ბარემ ბოლომდე ამოენთხია ტკივილი და ბრაზი დიდებული მოღვაწის უღვთოდ განწირვისათვის, წინასწარმეტყველური მრისხანებით გადმომდგარიყო ახალგაჭრილ სამარესთან.

ვინ დაუშლიდა და... მხოლოდ საკუთარი თავი.

და თუ ის რაღაც წამიერი მოდუნება თუ სისუსტე გახლდათ, მერეც რამდენჯერ მიეცა საშუალება მისეზური შეუდრეკელობით შეჯახებოდა ხელისუფლებას – აქაურსაც და იმპერიულსაც... თუნდაც მკვეთრ შეტაკებას მორიდებოდა და დიპლომატიური სვლები ემჯობინებინა, შეჯახება მაინც შეჯახებაა, მითუმეტეს, როდესაც შენგან ამას არამარტო მოელიან, არამედ მოითხოვენ კიდევც... ის კი არა, შენამდე აღწევს საყვედურები: როგორი ფრთხილიაო... დაფრთხა თუ რა დაემართაო... ნუთუ დავკარგეთ ძველი ილიაო... ნუთუ აღარასოდეს მოუნდება დაიბრუნოს აღრინდელი გაბედულება და უკანდაუხეველობის უნარიო...

იქნებ, იქნებ კიდევ მოისყიდეს და მალე სულაც ხელისუფლების მეხოტბეთა შორის ვიხილოთო...

ყოველი მხრიდან მუნათი... ყოველი მხრიდან საყვედური...

აკი „ივერიის“ იდეური კურსის გამკვეთრებასაც ჩააგონებდნენ ახალგაზრდები და იმასაც შებედავენ: ჩვენ გადმოგვაბარე და ნახავ, თუ როგორი უნდა იყოს გაზეთი სახალხო მღელვარების ყამსო.

აგერ გაზეთის – თანაც მისი პატივისმცემელი რედაქციის – ფურცლებიდანაც შემოხმინებოდნენ: ისევ ცოცხალი ხარ თუ არა, ხმა გაგვაგონეო.

მარტოდენ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია არა.

არც საერთოდ ის წრე, რომელსაც სულ მალე სოციალისტ-ფედერალის-

ტური პარტია უნდა დარქმეოდა.

საზოგადოების გულისტქმა მოჩქედა – აირეკლებოდა კი არა, სწორედაც მოჩქედა – იმ შექსპირულ სტრიქონში, რომელიც თვითონ აემეტყველებინა ილიას **ივანე მაჩაბელთან** ერთად ოდესღაც და, შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად, იმ დროისკენაც ახედებდნენ: ის სული სად გამოცლიაო!..

ეს მისი მოყვარულნი და მიმდევარნი, რომელნიც შეფიქრიანებულიყვნენ: ღირს თუ არა კიდევ ილიას გზის გამგრძელებლად მიგვაჩნდეს თავიო.

სოციალ-დემოკრატები ხომ მრისხანებად გადაიქცეოდნენ და გამოიხადეს და ცილისწამების სეტყვაში მოაყოლებდნენ. და რაც უფრო ახლოვებოდა რაღაც ისეთი მოვლენა, რომელსაც რევოლუცია შეერქმეოდა, სულ უფრო აუცილებელი გახდებოდა ილიასაგან დიპლომატიური ხერხის მოშველიება, რათა მომხრენი მაინც აღარ გადგომოდნენ განზე... და სოციალ-დემოკრატთა იმ აღვირნაყრილ თავდასხმებსაც შესაფერისი გამოძახილი ველარ ეპოვნა ხალხში...

არადა, სრულიად ჩაიკეტებოდა და ჩაიხშობოდა საკუთარ თავში ილია ჭავჭავაძე, თითქოს უკაცრიელ კუნძულზე დასახლებულიყოს რობინზონ კრუზოსავით და იქამდე ადამიანის ხმა არც აღწევდა, თორემ ბროლის კოშკში რომ გამოკეტილიყო, როგორღაც მაინც შეატანდა შიგნით გარემომცველი გნისისა და დრტვინვის ნაპერწკლები.

ყველას ესმოდა მღელვარების ხმაური მისი მამულის ყოველ გოჯზე.

ერთადერთს – მას არა?..

და რა გასაკვირია, მის მიმართაც რომ მატულობდა დრტვინვა.

ნუთუ დავკარგეთ ძველი ილიაო...

შეახსენებდნენ რევოლუციის აპოლოგიას „მგზავრის წერილებიდან“.

შეახსენებდნენ „გლახის ნაამბობს“.

შეახსენებდნენ „რამდენიმე სურათს ანუ ეპიზოდს ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

შეახსენებდნენ „კაცია-ადამიანს?!“

პარიზის კომუნის დაცემისადმი მიძღვნილ გულისშემძვრელ სტრიქონებსაც შეახსენებდნენ.


ერთადერთი **ფილიპე მახარაძე** ბუზღუნებდა და, შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, კიდევ ნააკეცავდა: ეგ რა



ილია ჭავჭავაძე. 1859 წელი



ილია ჭავჭავაძე. 1900-იანი წლები



ფილიპე მახარაძე

დასაფასებელია, ლექსს რომ დანერგა და „სტოლში“ გამოკეტავ შესაფერისი დროის მოლოდინში, აბა, დანერისთანავე გამოექვეყნებინაო.

თითქოს დაბეჭდვა ილიას ნებაზე ყოფილიყოს და არა ცენზურისა, სულს რომ უხუთავდა მთელი ცხოვრება.

რევოლუციურ მონოდეებას ვინ ჩივის, სულაც სახელმწიფო სათათბიროში იყრიდა კენჭს და კიდევ მოიპოვებდა სენატორის მანტიას.

რევოლუციური გამოსვლები ერთი ხანობა უნდა ჩახშობილიყო და ხელისუფლებას რეაქციისა და მკაცრი რეპრესიების ჟამი დადგომოდა, რათა ერთი კიდევ გაეფართხალა, ვიდრე ათწელიწადში წირვა გამოუვიდოდა – და სამუდამოდ გაეცლებოდა პოლიტიკურ ასპარეზს.

და ილიას გადაწყვეტილება, გამხდარიყო სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ისეთ რისხვას მოიძიდა სოციალ-დემოკრატებში, ცოცხალს უკვე აღარ გაუშვებდნენ.

ეს იყო ის მწვავე პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც დაუსჯელად არ ჩაუვლიდა.

და როდესაც ურჩევდნენ და ემუდარებოდნენ მოკეთენი, გაცალე ტფილისს და დროებით ყვარელს შეაფარე თავი, ვიდრე შენს მიმართ დაძრული ეს ყოვლისმმთნათქავე ტალღა გადაივლიდესო, ის კი გულმშვიდად უსმენდათ და ტფილისიდან საგურამოში თუ აივლიდა, თორემ უფრო შორს გადახვენას არ აპირებდა, ეს იმიტომ, რომ სენატორად გახდომით უკვე თვალში ჩაეხედა სიკვდილისათვის და აღარაფრის შეცვლას აღარ აპირებდა.

როგორც სოკრატე არაფრისდიდებით არ აირიდებდა სანამლავით სავსე ფიალას.

მაშ რისთვის მიეყვანა აქამდე საქმე, თუ დილეგიდან გაქცევას ამჯობინებდა სანამლავის შესმას?!

როგორც იესო ქრისტე არაფრისდიდებით არ გადაიკარგებოდა გეთსიმანიის ბაღიდან.

მაშ რისთვის მოემზადებინა ეს წუთები, თუკი მღვდელმთავრებთან ერთად ბაღში შესულ იუდას იქ აღარ დახვდებოდა?!

და ილია ჭავჭავაძეც სახელმწიფო

სათათბიროს წევრობას რატომ მოინდომებდა, თუკი ტფილისს გაერიდებოდა?!

რისთვის აძახებინა აქამდე მესამედასელებს რეაქციონერი და კონსერვატორი?!

რისთვის დააფრთხო და შეაშუოთა ასერიგად, რატომ მოინდომა საბოლოოდ დაერწმუნებინა, თუ ტერორის გზით არ ჩამოიშორებდნენ, მისი ჯობნა, მისი დამარცხება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა?!

არამართო გაუმართლებლად და სულაც დანაშაულად მიიჩნევდა ყოველგვარ რევოლუციას, ირწმუნებდა, რომ ქადაგება ველარას უშველიდა დემაგოგის, მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიებში გახვეულ ქვეყანას და გარდუვალი ხდებოდა თავგანწირვა – ეგებ ხალხი შეტორტმანებულიყო და გამოფხიზლებულიყო... სიტყვას თუ ველარ, ეგებ ზვარაკს შემოებრუნებინა თავქვე სრბოლით მიმავალი ქვეყანა!..

ირწმუნებდა და... კიდევ ინანიებდა, ეს გაუმართლებელი და სულაც დანაშაულებრივი მოვლენა და გეზი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ოდესლაც განვითარების უკეთეს გზად რომ ესახებოდა ევოლუციურ გზასთან შედარებით.

არა კმაროდა მონანიებად, ასე მკვეთრად რომ დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატებს?..

არა კმაროდა, დიპლომატიურ სვლებზეც რომ უარი განაცხადა და მთელი თავისი მონუმენტურობით დაუდგა წინ აჟიტირებულ, სისხლმონყურებულ ბრბოს?!

ეს იმ ბრბოს, დიდი სოციალური გარდაქმნისათვის სული რომ უკანკანებდათ და ცოტა ხნით მოთმენაც აღარ ენებათ – დაე წარღვნას გადაელეკა ის ძველი ქვეყანა და ერთბაშად ჩამომდგარი წყვდიადიდან ამოკაშკაშებულიყო ახალი სამყარო – ბედნიერების ნავსაყუდელი.

მაგრამ ცრუბედნიერება ნამდვილის ადგილს ვერც ამჯერად დაიკავებდა.

და ილიას ოცნების საქართველო მხოლოდ ევოლუციის გზით თუ მოახლოვდებოდა, თორემ რევოლუცია ისეთ საფრთხეს უმზადებდა მომავალ სახელმწიფოებრიობას, ვაითუ ველარც

ველარასოდეს დაგვებრუნებინა ის სახე და ის ეროვნული თავისებურებანი, რისთვისაც მოსულიყო ქართველთა მოდგმა ამქვეყნად.

კმაროდა... როგორ არა კმაროდა სიჭაბუკის შეცოდების გამოსასყიდად.

მაგრამ ეს ჩვენი შეხედულებაა, ილია დასაღუპად რომ არ გვემეტება, თორემ თვითონ სხვაგვარად განსჯიდა და... წინამურს გოლგოთად ამიტომაც გადააქცევდა.

...წრე ვერ შეიკვროდა, თუ საკუთარი სისხლით არ დაჰკირავდა, და ერთს კი გახედავდა ზეცას: მამაო ჩვენო, ამარიდე სასუმელი ესეო, - მაგრამ უდრტივწველად აეკვროდა ჯვარს, მოლანდებულს და არც მოლანდებულს.

მოგონებების დაწერაც რომ დაცლოდა ამდენ ჟანრში ჩაფლულსა და ყველგან წარმატებულს, უსათუოდ აღსარების ყაიდაზე გაანყობდა და დასათურებთაც ასევე დაასათურებდა.

მონანიების სულით განმსჭვალავდა თბრობას და მთრთოლვარე, ამღელვარებულ გულს თვალწინ ისე გადაგვიშლიდა, წამითაც არ შეეშინებოდა, ვინ იცის, მისი შრეების ბოლომდე ჩახსნისას ვინ რას მიაგნოს დაფარულსო.

სწორედ ამ დაფარულის დატოვებას არ მოინდომებდა.

თუ აღსარებაა, აღსარება ყოფილიყო. მოსანანიებელი მაინც რა ჰქონდა?

დავით აღმაშენებელს რაღა ჰქონდა მოსანანიებელი, სახელმწიფოს ამოსაგებად გადაგებული თავისი ცხოვრება თვითგვემის საგალობლად რომ გარდასახა?..

სინრფელემ იცის ამისთანა აღიარებანი.

და ილია ჭავჭავაძე, როგორც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი დავით აღმაშენებლის, ამ მხრივაც დაემგვანებოდა თავის დიდ წინამორბედს, რომ უსათუოდ გაიმეორებდა მისი ღირსებისა და კეთილშობილების დამაგვირგვინებელ აქტსაც.

აღსარება გადაგვიშლიდა თვალწინ „აჩრდილის“ შემოქმედის მსოფლხედვის შემოტრიალების მტკივნეულ პროცესსაც - თავისი ნიუანსობრივი გარემოებებით.

თუმც - უფრო დაგვიდასტურებდა, ვიდრე გაგვიმხელდა.

და ეს იმიტომ, რომ ისედაც კანთიულად მოჩანს ეს პროცესი გვიანდელი ილიას მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის გადასახედიდან - რაოდნავ შეეცვალა, რა საგრძობლად გარდაესახა და რა პირწმინდად ამოეშალა თავის ინტერესებსა და მიდგომებში ახალ მსოფლმხედველობრივ გზაზე გადასაცვლებისას.

ასპარეზი იგივე იქნებოდა, ოღონდ სრულიად ახალი შუქით განათებული.

მანამდელ ნაბიჯებს კი, რაც სანაწურად დარჩებოდა, ხელუხლებელს დატოვებდა თავის ბიოგრაფიაში - არამცთუ შელამაზებას არ შეეცდებოდა, ზედმეტი სიმკაცრითაც განსჯიდა, რათა შთამომავლობას ერთმანეთში არ არეოდა ადრეული და გვიანდელი ილია და ერთი ხანა მისი ცხოვრებისა მეორე ხანის ბუნებრივ გაგრძელებად ან მოსამზადებელ ეტაპად არ მიეჩნია.


თვითონ რასაც ემიჯნებოდა, დაეახალ თაობებსაც განესხვავებინათ, თორემ რაც ურყევი რჩებოდა მის ბიოგრაფიაში - თვალის გამოხელიდან ტყვიის დაკვრამდე - ის კი ტვიფარად უნდა დარჩენოდა გულზე მის მოდგმას, თუკი უმწვავეს მსოფლიო ძვრებში უვნებლად გამოლენევა ენება: ავციყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა და დაე გვძრახონ, თუ მის ძეგლით დავლიოთ დღენიო!..

რაღა მაცხოვრის ჯვარცმის მისტიერია და რაღა პარიზის კომუნის დამხობა - ილიას თვალთახედვით.

ესეც - კომუნართა გამოსვლაც - იმ მისტიერიის უშუალო გაგრძელებად და გამოძახილად რომ ესახებოდა, უნებურად ცრუმისტიერია გაეიგივებინა ჭეშმარიტისათვის, თორემ სხვადასხვა განზომილებანი ერთმანეთში რატომ უნდა არეოდა?..

რას წარმოიდგენდა, იესოს ჯვარცმის უშუალო გაგრძელება თუ გამოძახილი მისივე საკუთარი აღსასრული თუ აღმოჩნდებოდა - წინამურის მისტიერია, ღვთიური ჭეშმარიტების კიდევ ერთი გაცხადება.

რას გაუთანაბრა და... სინამდვილეში კი რა გამოდგა!..



ილია ჭავჭავაძის ლექსის - „1871 წელი. 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“ - ავტოგრაფი



პარიზის კომუნა (უცნობი მხატვარი)

და ეს ლექსი – „1871 წლის 23 მაისი“ – ილია ჭავჭავაძის აღსასრულს უფრო შეჭფერის, ვიდრე კომუნის დაცემის დღეს.

მარტოდენ სახელწოდება თუ შეიკვლება და იმ თარიღის ნაცვლად ჩაიბეჭდება „1907 წლის 30 აგვისტო“.

რაიმეს ვაჭარბებ?

აბა, ამ თვლით გადაიკითხეთ ლექსი. წინასწარმეტყველებად აღიქვით და ჩაუკვირდით, მისი შინაარსი როდენ ზუსტად მიესადაგება წინამურის მისტიკისას.

სწორედ მაშინ და ილიას ხელით გაიშალა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა, რომელიც ქვეყნის მჩაგრავ ძალამ კვლავ დაბლა დასცა.

კვლავ ენამა მოყვასისათვის ჩვენი საოცარი ერი და კვლავ დაიდგა დიდი ნამების მშვენიერი გვირგვინი.

კვლავ დაიღვარა ქვეყნისათვის წმინდა სისხლი ნამებულის.

და კვლავ დამარცხდა ყოვლად მხსნელი სიყვარულის დიდი საქმე.

კვლავ დასცეს ძირს ის მცნება – ქვეყნის ხსნად მოვლინებული, რომლისთვისაც თვით ღმერთი აღმოჩნდა ერთდროს ტანჯული და ჯვარცმული.

კვლავ შეფერხდა ისტორია.

განახლების ძალნიც შედგნენ.

და კვლავ დაუდგათ დღესასწაულის უამი გამარჯვებულ მტარვალთ.

1907 წლის 30 აგვისტოს და არა 1871 წლის 23 მაისს.

ისტორია რომ არ შეფერხებულიყო და განახლების ძალნიც არ შემდგარიყვნენ, ეფემერული დამოუკიდებლობა კი არ გადაგვიღვებდა, არამედ სრულფასოვან სახელმწიფოს მოვიპოვებდით ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

მაინც რა ძალა და გავლენა მოეხვეჭა, რომ მისმა დაღუპვამ სახელმწიფოებრიობის მკრთალი ანარეკლი მაინც გვარგუნა, სულის მოსათქმელი 70-წლიან წყვდიადში.

იდუმალი და აუხსნელია შემოქმედებითი ფიქრი – ქაოტურიც და მკაფიოდ გამოკვეთილიც, რას წარმოსახავდა... რა შეიძლება აღმოჩნდეს, რას მიეღვი და... რანაირად შეიძლება შემოგობრუნდეს...

პარიზელ კომუნარებზე წერდე გლოვის სტრიქონებს და უნებურად საკუთარი ბიოგრაფიის ფინალი გამოგივიდეს...

კიდევ რომ მოგეხსენებოდა საკუთარი მისია და თავსაც არ უტყდებოდი...

გარდუვალი იყო ისტორიის კიდევ ერთი შეფერხება!..

ბოლშევიკები თავისას ასტეხოდნენ მთავრობას, ირაკლი წერეთელი თავისას ედავებოდა.

ისინი ბრალს სდებდნენ, რატომ არ გადმოგვაბარებს სახელმწიფო მართვის სადავეებსო.

ეს უნიათობისათვის ძრახავდა: ასე როგორ აპარპაშებს ამ ბოლშევიკებს, ერთი დაკვრით რატომ არ მოუღებს ბოლოს გადატრიალების ყოველგვარ მცდელობასო.

და კიდევ ჩაუდგებოდა ოპოზიციონში თავის გუშინდელ თანამებრძოლებს... ეგაა, ამ დაპირისპირებას უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო და ირაკლი წერეთელიც ველარავის აიძვებდა, როდესაც მავედრებელი მზერით შესჩერებოდნენ – თუ ვინმეა მშველელი, ისევე ესო. ცრუდაპირებით არავის გაცუცურაკებას არ მოინდომებდა და, არამცთუ უახლოესი ხანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფა, არამედ რუსეთის სახელმწიფოს ბედი და მომავალი საკმაოდ მრუმე ფერებში ეხატებოდა.

კერენსკი ისე უნდილად მიჰყვებოდა დინებას, ბოლშევიკური გადატრიალების შემკავებელი არ გახლდათ.

არ გახლდათ და კიდევ აღსრულდებოდა ეს გადატრიალება!..

და ახალი ხელისუფალნი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას რომ შექმნიდნენ, იმ მრისხანე „ჩეკას“, რომელზე დაყრდნობითაც დაამკვიდრებდნენ ახალი სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტილს, ამ თავზარდამცემი ორგანოს ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება აღმოჩნდებოდა დამფუძნებელი კრების დაცვის კავშირის რამდენიმე წევრისა და, მათ შორის, ირაკლი წერეთლის დაპატიმრება.

მაშინ მასაც მემარცხენე ესერების თავგამოდება უშველიდა და ციხის კარს გაუღებდა, თუმც საგანგებო კომისია სულ უფრო რომ გამოაჩენდა კლანჭებს და პოლიტიკურ მონინაალმდეგებთან

ანგარიშსწორებას მიჰყოფდა ხელს, პეტროგრადში ხმები გავრცელდებოდა: ირაკლი წერეთელიც მოკლესო.

ეს ხმები იმდენად დამაჯერებლად იმოქმედებდა მის მომხრეებზე, რომ როდესაც ნოვოჩერკასკის საკათედრო ტაძარში რამდენიმე ტრაგიკულად დაღუპული პოლიტიკოსის პანაშვიდი გაიმართებოდა, მათ ამ ქართველ მოღვაწესაც მიათვლიდნენ და მასაც გამოიგლოვდნენ.

შესაძლოა თვითონ უნებურადაც შესწრებოდა ამ სცენას – ეხილა საკუთარი თავის გასვენება.

ეს ფანტასმაგორიული სურათი ჯერ კიდევ იოვანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობაში“ ჩნდებოდა, მოგვიანებით, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანშიც“ იელვებდა და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებშიც“, ტერენტი გრანელისა და ნიკო სამადაშვილის პოეტური ხილვებიც წარმოუდგენელია ამ ხატის გარეშე და კიდევ არაერთი შესაფერისი სურათი თუ სცენა შეიძლება მოიკრიბოს ჯერ მარტო ქართული მწერლობიდან, ამ სულისშემძვრელ ჯაჭვს რომ შეავსებენ... თუმც რაც ამ ქმნილებებში მხატვრული წარმოსახვის გამჟღავნებაა, ირაკლი წერეთლის ბიოგრაფიაში ყოფით-რეალისტური სურათი იქნებოდა, ის ყოფით-რეალისტური, ძალდაუტანებლად რომ გასიმბოლოვდება და განზოგადდება და თავის წიაღში მოიქცევს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობასაც თავით ბოლომდე.

შეჰყურებ შენს პანაშვიდს და შემდეგ კი დამარხვასაც – შემზარავად ნატურალიზებულს.

თავზე გადაადის შენს გამო დაღვრილი ცრემლი და მოგყვება შენს გამო შესრულებული რეკვიემის მელოდია.

და გონების თვალთ უტრიალებ მამაშენის ბელეტრისტიკას და ცნობისწადილი გახრჩობს, ხომ არ არის იქ სადმე რალაც ამგვარი სცენა თუ სურათი.

ტერორისტულ აქტს გადარჩენით კი გადაურჩებოდა, მაგრამ რუსეთში მოღვაწეობის გზა სამუდამოდ მოეჭრებოდა – რასაც შეალია ახალგაზრდობა, ძალ-ღონე და სულიერი ენერ-

გია, უიმისოდ განაგრძობდა დენას, მას კი გადმოელოცებოდა ის ტერიტორიული გარემო, რომელიც მანამდე მსოფლიო გარდაქმნათა ნაწილად ეგულეობდა და არა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ...

და რაკილა საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ თავსდებოდა მის აბსტრაქტულ-თეორიულ წარმოსახვებსა და პოლიტიკურ მიზნებში, მთელი არსებით, სულითა და გულით ამიტომაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოებრიობის ამოგებას და მის მართლაც უდიდეს ზეგავლენას საზოგადოებრივ აზრზე რაიმეს შეცვლა რომ შეძლებოდა, უეჭვლად ვეტო დაედებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.


კიდევ კარგი, ხან ისე დატრიალდება წუთისოფლის მდინარება, მისი შემოაკვებელი ანდა სხვა სადინარში გადამგდები არავინ და აღარაფერია ამქვეყნად.

და ირაკლი წერეთელს ისლა დარჩენოდა, ეგლოვა და ევალალა ქართველი პროლეტარიატის (ფაქტობრივად, არარსებულის!) გამოთიშვა რუს პროლეტარათგან და განზე დარჩენა მსოფლიო რევოლუციური გარდაქმნის გრანდიოზული პროცესისაგან.

და ოდნავადაც ველარ მოეფონება გულზე, როდესაც შეიტყობდა, სახელმწიფოებრიობადაბრუნებულ საქართველოს ევროპის პოლიტიკურ წრეებში ჩხეიძე-წერეთლის სახელით იცნობენ, მათ რესპუბლიკად იხსენიებენო.


რუსეთში მიღწეული პოლიტიკური წარმატებების დიდება ჯერაც მოჰყვებოდა და კიდევ კარგა ხანს შეუნარჩუნდებოდა ის ამაღლებული შარავანდი, როგორც რევოლუციის ერთ-ერთი მესაძირკვლისა და განმასახიერებლის, თორემ საქართველოში მისი მოღვაწეობა ისევე გაფერმკრთალდებოდა, როგორც კარლო ჩხეიძის, თუმც ერთიც და მეორეც უმოქმედოდ არ დარჩებოდნენ და – თუმც დარდიანად და გულმტკივნეულად – მაინც შეეცდებოდნენ სასიკეთო კვალის დაჩნევას ახალშობილი რესპუბლიკის დასამკვიდრებლად საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში.

დასასრული შემდეგ ნომერში



ნის ჯვარი ილიას მკვლელობის ადგილას. წინამური

ორი ფინჯანი



ბავშვობიდან მასსოვს. მაშინაც, ნაწნავებიანი გოგონა რომ ვიყავი და ლექსებს სკამზე შემომდგარი ომხიანად ვკითხულობდი. მაშინაც, ცოტა მოზრდილს ლექსის ნაკითხვის რომ მრცხვენოდა და მერეც, როცა ჩავიკეტე და საკუთარი თავი ვიპოვე მარტოობაში. ის ჩემი პოეტია. არ შემრცხვება თუ ვიტყვი, რომ მასთან ურთიერთობამ ბევრი რამ მასწავლა, როგორც პოეტს, როგორც ადამიანსაც. რატომღაც უჭირთ ხოლმე ამის აღიარება. ალბათ ეჩვენებათ, რომ ეს სირცხვილია, ამის თქმა არ შეიძლება, თვითმყოფადობას ვნებს. თვითმყოფადობა და საკუთარი ხმა კი, ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ბევრი კითხვის და პოეტური ზრდის შედეგად მიიღწევა. პოეტური ზრდა კი თუ შეუქცევად პროცესად არ იქცა, ამ შემთხვევაში პოეტი განწირულია.

არის ასეთი პატარა, მყუდრო „კაფე“ დადიანის ქუჩაზე, სახელწოდებით „ორნი“, რომელიც ჩემთვის ამ ადამიანთან ასოცირდება. სადაც დაიწყო კიდევ ჩვენი საუბრების გრძელი სერია, ამჟამად ჩემს სახლში რომ გრძელდება. დღეს ჩემი სტუმარი გივი ალხაზიშვილია, შესანიშნავი პოეტი და არანაკლებ შესანიშნავი ადამიანი. „ეს შენი ცა არის, თვალებით სადაც გინდა“... აი ასეთი, მართალი ფრაზებით, მე რომ ხშირად ამეკვირდება ხოლმე...

„აკითხველი ხილია“...

კატო ჯავახიშვილს ესაუბრება გივი ალხაზიშვილი

– სალამო მშვიდობის ბატონო გივი, როგორ ხართ ამ შემოდგომით?

– როგორც შემოდგომას შეეფერება – ცვალებადად. თუმცა ახლანდელი ამინდები გვანებვიერებს. მშვიდი და მზიანი ამინდები ძალიან მიყვარს.

– ნამდვილი შემოდგომა ახლალა მოვიდა. აი, ჩემს პოეზიას ზაფხულში ყოველთვის სძინავს. ზაფხულობით ვაგროვებ შთაბეჭდილებებს, შემოდგომით კი თითქოს ახალი დეკადა იწყება მათი დადუღების, გადმოტანის, ფიქრის, განსჯის. ჩაის დალევთ? ჟსამინი მაქვს.

– სიამოვნებით. მიყვარს ჟსამინის ჩაი. ასეთი დღეები სეირნობისკენ მიბიძგებენ. დავეხეტები ბაღში უმიზეზოდ და, როგორც ირკვევა, სიტყვიერ საგზაულს ვაგროვებ. წინათ მეც მიჭირდა ზაფხულობით წერა, ახლა კი სულ ერთია ჩემთვის ამინდი, მთავარი შინაგანი განწყობილებაა, რომელიც პანთეისტურ „მიზეზებს“ აღემატება. „ქორონიკონი“ მთლიანად ზაფხულში დავწერე, თითქმის მთლიანად. უცნაური ზაფხული მქონდა, რომელიღაც ენერგიაზე ვიყავი მიერთებული თითქოს და უწყვეტად ვმუშაობდი. ამიტომაც აგრძელებენ ამ ნიგნში ლექსები ერთმანეთს და ერთიან თხრობას. ახლახანს რომ გადავხედე ამ ნიგნს, მივხვდი, რომ დაქტილისთვის არც ენერგია და აღარც სურვილი აღარ დამრჩა. ყოველ შემთხვევაში ახლა ასეთ ნიგნს (არ ვამბობ კარგს, თუ ცუდს) ვერ დავწერდი. სხვა სტილისტიკაზე გადავინწყვე. ეს ხომ ცოცხალი პროცესია.

– არის ასეთი პერიოდებიც, იყო დრო, როცა დასვენებაზე ვოცნებობდი და იმ უცნაურ ენერგეტიკას, მუდმივად რომ მახრჩობდა, ვერაფერს ვუხერხებდი. ახლა მშვიდად ვარ. და ეს სიმშვიდე მაგიჟებს უკვე. „ქორონიკონი“ ერთი გაბმული სიტყვაა, ერთი მთლიანობა, იშვიათად რომ წააწყდები პოეტურ კრებულში. თუმცა კი, თქვენი ბოლო ნიგნი – „ჩაბრუნებული მზერა“ გამოსვლის დღიდანვე ჩემს სასას-თუმლე ნიგნად იქცა. რატომ, როდის ვიბრუნებთ ადამიანები მზერას? სად ხვდება ცნობიერების ვექტორი ამ დროს? ალბათ უფრო მეხსიერებაში.

– ეს ორი ნიგნი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჯერ ახალია და ვერ მოვიბეზრე. „ჩაბრუნებული მზერა“-დან ცალკეული ლექსები ახლაც მაღლევენს, იმდენად ავტობიოგრაფიულია და ჩემი ცხოვრების ისეთ სევედიან პერიოდს ინახავს. ახლაც ამ სტილისტიკას ვაგრძელებ, თუმცა რალაც მაინც იცვლება. დეპრესიის სტილი მიზიდავს, ზედმეტი სიტყვების განირვა მომწონს და ქვეტექსტიდან გამომზიარალი სათქმელი მზიბლავს. ხსოვნა ხომ გამუდმებით რალაცას ინახავს, რასაც ჩვენ როდის და როგორ გამოვიყენებთ, ან თავადვე როგორ გამოვიყენებთ, უცნობია, რადგან ენის სტიქია ბევრ რამეს განაპირობებს ხსოვნასა და წარმოსახვასთან ერთად.

– ქვეტექსტები, ნიშნულები, ბმულები. დაგროვილი მეხსიერება და სიტყვიერების ენა. მთელი საიდუმლოა აქ თავმოყრილი. სიტყვა განძია. მეშინია არ გამისხლტეს და სინამდვილე არ დაკარგოს, ამიტომ ხშირად სიტყვა-ძუნწი ვჩანვარ.

– სიტყვა თავისთავად განძია, მაგრამ კონტექსტში ახალ სიცოცხლეს იძენს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნები-სმიერი სიტყვა ან გრამატიკული სტრუქტურა მუდმივად იცვლის დინამიკას და მიმართულებას, შესაბამისად წარმოაჩენს ავტორსაც და ლირიკულ გმირსაც, სადაც მათი ამოკითხვა გარკვეულწილად შესაძლებელია.

– ისე, ამ ბოლო დროს „სინამდვილეს“ იჩემებს ყველა. უცნაურიც კი არის, თითქოს მოდაშია ეს სიტყვა. ტაძარში შესულ მლოცველს ჰგავს, იქიდან ზიარებაშიღებულნი რომ გამოდის და ათას საშინელებას სჩადის, ისევ მივალ, მომეტევებაო.

– ავტორი უნებურად საკუთარ თავს ამჟღავნებს ან დასამალს ეძებს. დამალობანას თამაშში უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინადადებებს, რომლებიც არ წერია და დაუნერლად არსებობს სიტყვებს შორის. ეს არის ნამდვილი პოეზიის ენა. სინამდვილე იმდენი არსებობს, რამდენი ადამიანიცაა და ყველა ცდილობს თავისი „სინამდვილე“ ჭეშმარიტებად გაასალოს. ჩვეულებრივი

ამბავია და ყველა დროში იყო. პოეზია მხოლოდ მშვენიერებას კი არ ქმნის, სიბრძნის დარგიც არის, როგორც რუსთაველი გვასწავლის. ვისაც არ სჯერა, ნუ მოგვისმენს და გააგრძელოს აბდაუბდის წერა. გამოდის, ყველა თავისას უბერავს. განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში, როცა უარი თქვეს ყოველგვარ კონვენციასა და თამაშის წესებზე. ოდენმა ასეთ თამაშს დაარქვა – ჩოგბურთის თამაში ბადის გარეშე. მშვენიერი შედარებაა. აუცილებელი არ არის ბადეს ააცილო ბურთი და, საერთოდ, მნიშვნელობა არ აქვს საით დაარტყამ. ფაქტიურად, ასე თამაში უქმდება.

– ის ბადე ხომ მაინც არსებობს, როგორც სინამდვილე, როგორც სიმართლე, როგორც ერთადერთი ქეშმარიტება? მისკენ მიმავალი გზებია სხვადასხვა.

– რა თქმა უნდა, მისი ასახვის ხერხებზეა საუბარი, თორემ სინამდვილე რომ არც ავსახოთ, მაინც იარსებებს, ცხადია.

– და მივედით იქ, სადაც დგანან ტექსტი და პოეტი. პოეტი და ტექსტი. ცხოვრების გზა. რაღაცას ვთმობთ, რაღაცას ვაპყნობთ. სადაც ვიმარჯვებთ, უფრო ვმარცხდებით. რაღაც თავს გადაგვხდება, ხანაც ვიგონებთ.

– ვთმობთ, თითქმის ყველაფერს ტექსტის სასარგებლოდ. ხშირად სიცოცხლესაც ვწირავთ, მაგრამ არავინ იცის, რა გამოვა ამ თამაშიდან. თითქმის ყოველი დანერგილი ლექსი გარკვეული თვალსაზრისით მარცხია, რაც იმის ბიძგია, რომ ახალი დანერო უკეთესი. წერის პროცესი დამალვის თუ გადარჩენის პერმანენტული მომენტულია.

– ეს მონაცვლეობა კი ისეთი ნათელია ყურადღებიანი მკითხველისათვის... თუმცა, ხანდახან, როცა პოეტი საკუთარი თავიდან გამოდის და გარემოს აღარ ემორჩილება, შესაძლებელია, მისი სიტყვა გაუგებარიც კი გახდეს.

– არავინ იცის, პოეტს ვინ გაუგებს და ვინ – ვერა. ზოგჯერ მისი ენა რთულდება და ჰერმენტიზმისკენ მიიძრის. დახშულობა სჩვევიათ მნიშვნელოვან პოეტებსაც, როცა ბეზრდებათ ფართო აუდიტორიისთვის წერა. ასე დაემართათ ცელანს, ბახმანს, სხვებსაც.

– რაღაც მომენტში, როცა ფსკერზე უამრავი თვალისმომჭრელი ქვაა, ისინი მეტად გიტაცებს, ვიდრე ცაზე ვარსკვლავები. მე სარდაფები მიყვარს. ბნელი, ძველი ნივთებით სავსე სარდაფები. იქ, როგორც მესხიერების სკივრში, რას არ აღმოაჩენ. თითო-

თითოდ ამომაქვს, მერე კი ტექსტებად იქცევიან ხოლმე.

– უცნაური დამთხვევაა. ჩემს ავტობიოგრაფიულ პროზაულ ნივთებში სარდაფი ხშირად ჩნდება, როგორც არსებული რეალობის ალტერნატივა. როცა სხვაგან ხარ და აქ ყოფნა მხოლოდ ილუზიაა. ის ნიაღია, ქვეცნობიერია და სწორედ იქიდან ვეზიდებით სახეებს, ინტონაციებს, მეტაფორებს და სხვა „საშენ მასალას“, რითიც პოეზია იგება. პოეზია დღეს გაცილებით ნაკლებ მკითხველს სჭირდება. თუმცა, იქნებ ეს პოეზიის მკითხველთა მცირე ჯგუფები უფრო ერთგული ხალხიც არის, რადგან, მიუხედავად ვითარებისა, რომ დღეს პოეზიას ბაზარი არ აქვს, მათ მაინც უყვართ, ყოველგვარი მომხმარებლური დამოკიდებულების გამორიცხვით. საბაზრო ეკონომიკა პოეზიას არ სცნობს, როგორც „პროდუქტს“. ასე რომ, პოეზია მაინც რჩება ერთეულები-სათვის. თუმცა არსებობს ასევე გულზე ხელის ბრაგუნის და შეძახილების „პოეზია“, რაზეც ისევ არის მეტი მოთხოვნა, ვიდრე ეგზისტენციალურზე. ეს სავალალო ინერცია დიდხანს იქნება ჩვენში, როგორც პროფანული მისწრაფების ერთ-ერთი ხერხი.

– დღეს გამომცემლობები მარკეტინგული გათვლებით მუშაობენ. ყველაზე ვერ იტყვი, თუმცა ძირითადად ასეა. წიგნი ისეთივე პროდუქციაა, როგორც, ვთქვათ, „საპონი“, „კბილის პასტა“ ან სხვა რამ. სწორედ ამიტომ არის, რომ ეგრეთწოდებული „ბესტსელერი“ ყოველთვის მდარე ხარისხის ლიტერატურა ხდება. ზარალდება ამით პოეზია, რა თქმა უნდა. რაც შეეხება „სუფრაზე წასაკითხ“ ლექსებს – მათ მკითხველი მალე ითვისებს. დაიღალა ეტყობა, ან გემოვნების ამბავიც არის. მარტივი თემები სჭირდებათ, მარტივად აღსაქმელი, მარტივადვე დასამახსოვრებელი.

– მკითხველი ბევრნაირი არსებობს და ვერავის აუკრძალავ ან დააძალებ რაიმეს კითხვას. ერთადერთი გზა, ისევ უკეთესი ტექსტის შექმნაშია, თუმცა ვისთვისაა უკეთესი და ვისთვის უარესი, მუდმივად კამათს იწვევს განსხვავებული გემოვნების ადამიანებში.


– ჰგავს თუ არა ტექსტი ავტორს? ზოგჯერ იმხელა უფსკრული დამინახავს მათ შორის, თვალის გასწორების შემშინებია.

– ზოგჯერ ავტორი და ტექსტი მართლაც ჰგვანან ერთმანეთს, ხშირად განსხ-



„ლიტერატურა ვერასოდეს გაიმარჯვებს და არც ცდილობს ამას; კმაყოფილდება თანაშემწის როლში ბუზღუნით, უარყოფით, შეფასებით, კარის ღიად დატოვებით, შესაძლებლობათა განჭვრეტითა და ოცნებათა ძიძობით. მიუხედავად ლიტერატურის მრავალი მიმდევრის მიერ განეული რეკლამისა, ლიტერატურა – თავის საფუძვლებით – თავაზიანი და თანმიმდევრული წყაროა დამშვიდობებისა და მარცხისა. ამის სანაცვლოდ, მაცოცხლებელი ჯილდოა მარადი განახლებისა და ძვირფასი შემოწირულობა ადამიანური შემოქმედებისა, რწმენით აღვსილი გაზაფხული ჩვენი სიმამაცისა და იმედებისა“.

ვერჯილ ნემოიანუ



გიორგი ალხაზიშვილის 2010 წელს გამოცემული წიგნები

მკითხველო: ყველაზე დიდი ჯილდო ხარ განეული შრომისთვის და უძილო ლამეებისათვის. იმ შეცდომებისთვისაც, მე რომ საკუთარ თავს ვერ ვაპატიე და შენ, შენ უნდა მაპატიო. იმისთვისაც რომ ზიხარ ახლა და ამ არაჩვეულებრივ პოეტთან ჩემს საუბარს უკვე ჟურნალის ფურცელზე ეცნობი.

ვაგდებთან. ყველაზე ცუდია სიყალბესა და სიმულაციებში მსგავსება, თუნდაც ფსევდონაიფურობაში. აუცილებელი არ არის, ყველა მწერალი კარგი ადამიანი იყოს. სამწუხაროდ მათ ერთ ნაწილში შური და ბოღმა თუხთუხებს, რაც ნაკლები ნიჭის შესაგებად არ გამოდგება.

– ზუსტად მაგას ვგულისხმობდი. ტექსტის მიმართულებასა და აქცენტებზე მაქვს საუბარი და არა ლირიკულ გმირზე, რომელიც სავსებით შესაძლებელია უარყოფითად იყოს მოტივირებული. ნაკლები ნიჭი. ჰო, ალბათ ასეც არის და სწორედ ეს არასრულყოფილების კომპლექსი ხდება ამ ბოღმის მიზეზიც.

– როცა მეგალომანიით შეპყრობილი ავტორები სახელის მოსახვეჭად ყველაფერს კადრულობენ – გულისამრევია. გინდა თუ არა, რალაც დროის შემდეგ ტექსტი მარტო დარჩება და მას ავტორი ვეღარ წახეხარება. ამიტომ გამოჩინებისთვის ბრძოლას უფრო ღრმად ჩაყვინთვა სჯობს და უკეთესი მინერალების მოპოვება საძიებო ინსტრუმენტების დახმარებით. საძიებო ინსტრუმენტი კი ნიჭი და სულიერი გარჯაა. სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ.

– ჩაის ხომ არ გაიმეორებთ?..

– რა თქმა უნდა, აჯობებს ჩაის სმის რიტუალს და მოცალოების უსაყვარლეს შეგრძნებას და ვუბრუნდეთ, თორემ ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა პრობლემის მოგვარებას. სტუდენტობისას თარგმანის სპეცკურსს ხელმძღვანელობდა ქ-ნი ქეთო ბურჯანაძე – დიდებული ადამიანი. გიტარაზე რომანსების დამმღერებელი. მახსოვს, ერთხელ ჩეხოვის ნოველის თარგმნა დაგვაავალა. სათაური სიტყვასიტყვით ასე ჟღერდა „საუბარი ჩაის სმის დროს“. ტექსტი კი ვთარგმნეთ, მაგრამ სათაურის ნორმალურ ვერსიას ვერ მივაგენით. ახლა გამახსენდა, როცა ორნი ჩაის ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ჩეხოვის პერსონაჟებივით.

– „საუბარი ჩაის სმის დროს“ – მშვენიერია. რალაც ბევრად მეტი მოაქვთ ამ საუბრებს, ვიდრე უბრალო შეხვედრებს ქუჩაში, ტრანსპორტში, თუნდაც რედაქციაში. მახსოვს ჩვენი საუბრები დადიანის ქუჩაზე კაფე „ორნი“-ში. უკვე ვთქვი და აქაც გავიმეორებ: მე, როგორც პოეტს, როგორც ადამიანსაც ბევრი რამ მასწავლა ამ ურთიერთობამ.

– მეც ბევრ რამეს ვიხსენებ და ვსწავ-

ლობ თქვენგან, ახალგაზრდებისგან. ამიტომაც ვთვლი, რომ აუცილებელია კავშირი თაობებს შორის.

– თაობა. როდისღა უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის დანახვა გვერდით. დაჯგუფებები, დაპირისპირებები. ფინში. გეგონება ფინში რომელიმე ლიტპრემია იყოს და გარანტირებულ ადგილს გვპირებოდეს ოლიმპოს მთაზე.

– ეს ყოველთვის ასე იყო და ასეც იქნება. ვერავინ მოშლის. არის ცილობა პირველობისთვის და არავის უნდა დაუშვას, რომ ლიტერატურულ პროცესს რამდენიმე სხვადასხვა სტილისტიკის პოეტი ქმნის და არა რომელიმე აკვირებული სახელი. ეს პროვინციალიზმი ჩვენში დიდი ხანია გრძელდება, რაც პროფანული ღირებულებების ტრფიალიდან გამომდინარეობს.

– შეშის სუნი მენატრება ბოლო დროს, განსაკუთრებით შემოდგომით. სოფელი, მინა. მივხვდი, მინაზე ზედმეტად დამოკიდებული ადამიანი ვარ. აი, პარადოქსია, სოფელი არ მაქვს და სულ ვნატრობ პატარა ეზოს, ხის სახლს, ბუხარს.

– ასეთი ნატვრა ბუნებრივია, ეს დაკარგული სამოთხის მონატრება უფროა, ვიდრე კონკრეტული სოფლის. ნებისმიერ ადამიანში არსებობს ასეთი ნატვრა, რომლის დაკონკრეტებასაც ვერ ახერხებს, თუმცა ხვდება, რომ უმიზეზობა და სისრულე ენატრება, რომლის აღდგენა ვერ ხერხდება.

– მოდით რამე ვუთხრათ მკითხველს, ახლა, ამ წუთში ჩვენი ჩაის სმის რიტუალს რომ აკვირდება.

– ყოველი ქრისტიანული ხატი დაფარულის გამოვლენა და ჩვენება (არეოპაგელი), მაგრამ დაფარულის ჩვენების მცდელობაც, რადგან განსხვავება დაფარულსა და ხატს შორის უფრო დიდია, ვიდრე მსგავსება. მხატვრულ ტექსტშიც ჩვენ ვცდილობთ დაფარულის გამხელას, სანახევროდ თქმას, მინიშნებას. ასეთ ნიუანსურ სამყაროში გვიწევს არსებობა და მკითხველს ვუსურვებ ყოველივე სიკეთეს და ნამდვილი ლიტერატურის კითხვას.

პოეზია ხომ უმკითხველოდ არ არსებობს. მკითხველი ხიდია, და კომუნიკაციის გარეშე პოეტი არ არსებობს. თუმცა კი, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაშიც არის ჩამალული პოეზია, რომლის მიგნება დაუნერლადაც ხერხდება, მაგრამ ეს ჩვენთვის საკმარისი არ არის.

ქართველები შინ და გარეთ

ქეთი ორჯონიკიძე-ქეისი

ჩაპირულაბი

– დარწმუნებული ვარ, შეხვედებით ზუსტად ისეთს ქალს, როგორსაც ეძებთ. სამწუხაროდ, ჩემს გამოგნებაში არ ჯდებით. წარმატებებს გისურვებთ! – უთხრა, სასწრაფოდ ადგა და იქვე დახლთან კარტოფილის ღვეზელების რიგში ჩადგა.

ასე რომ არ მოიქცეს, ზოგიერთი კაცის თავიდან მოშორება არც ისე ადვილია. დასხდებიან და ფეხს აღარ იცვლიან. თითქოს არ უნდათ დაიჯერონ თავიანთი წარუმატებლობა. წაბრძანდით, ბატონო, წარმოიდგინეთ, თქვენც შეიძლება უარგყონ.

– იმედია, მიხვდება და წაეთრევა – ფიქრობდა გულში გალია და შიშით იქით ვეღარ იყურებოდა. ლიმონიანი ჩაი, ცხელ-ცხელი კარტოფილის ღვეზელი აიღო და მაგიდისკენ ერთიანად შებრუნდა – წასულა! – აღმოხდა გახარებულს. კვლავ ძველ ადგილას მოკალათდა, სათვალე გაიკეთა და ჩანთიდან ფურცელი ამოიღო.

– ვნახოთ ერთი ვინ არის შემდეგი?! აჰა, ორ საათზე ვიღაც ვალოდია მოდის. 49 წლის, სტალინგრადიდან. ასაკი მომწონს, ხმასაც არა უშავდა – ფიქრობდა და მისთვის მილიონის საღირაღ, 60 ცენტად ნაყიდი კარტოფილის ღვეზელით პირს იტკბარუნებდა. თან ნელგამართული, კეკლუცად იჯდა და ირგვლივ ხალხს ათვალიერებდა.

კაფეში ძირითადად მოხუცი ემიგრანტები ისხდნენ და ძველი დროის მოსაგონებლად გაუთავებლად ჭამდნენ და ჭამდნენ ღვეზელებს. თან სულ გულში ჩაჰყურებდნენ, ამონებდნენ, კარტოფილი თუ იდო ბლომად. ძველ ამბებს ისხენებდნენ, როცა საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ და შიგა და შიგ ოხრავდნენ კიდევ.

– ოჰ ღმერთო, – აღმოხდა გალიას და უკმაყოფილოდ მიაჩერდა დაბ-

ნული გარეგნობის კაცს, რომელიც კაფეში შემოვიდა და პირდაპირ მისკენ გაემართა.

– გალია, თქვენ? – შეეკითხა კაცი.
– მმმ, ვალოდია... – უთხრა ხმამაღლა, გულში კი გაივლო – ოჰ, „ბლინ“.

სწორედ ისეთი ტიპი იყო, რომ მასთან უბრალო საუბარიც კი დროის ფუჭად დაკარგვა იქნებოდა. ერთად სადილობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თვალის ერთი შეველებაც კმარა, მიხვდები, ჩაძირულია, დიახ, ჩაძირული! შეიძლება იქ, „სოიუზში“ რამეს წარმოადგენდა, მაგრამ აქ, კაპიტალიზმმა ჩაძირა. ამერიკამ თავისი დალი დაასვა, ვეღარ გაქაჩა...

როგორც ყოველთვის, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. გალიას ენა ჩაუვარდა, რადგან კვლავ იმედგაცრუებული დარჩა. კაცი კი არ ელოდა, გაზეთის საშუალებით ასეთ ქალს თუ გადაეყრებოდა.

გალიამ როგორც იქნა ძალა მოიკრიბა და ჰკითხა, – მიაბზეთ თქვენს შესახებ?!

ვალოდია ვერ მიხვდა საიდან დაეწყო საკუთარი თავის წარდგენა. შემდეგ, როგორც ყველა ემიგრანტს სჩვევია, გადანყვიტა, აქაური ამბები მოეყოლა.

– შვიდი წელია, რაც ამერიკაში ვარ. ცოლთან ერთად ჩამოვედი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მიმატოვა. მდიდარი ამერიკელი მოძებნა. დეპრესიაში ჩავვარდი, თავის მოკვლა გადავწყვიტე, თუმცა ეს გრძელი ამბავია... – ხელი ჩაიქნია ვალოდიამ – საბოლოოდ ყველაფერმა ჩაიარა. დავრწმუნდი, რომ ცხოვრება გრძელდება. კიდევ მაქვს შანსი ბედნიერი ვიყო.

– ძალიან ვწუხვარ, ასეთი რამ რომ შეგემთხვავთ, – გაანყვიტინა გალიამ. – რეგვინი ხარ და უგუნური! ყველაფერს მაინც ნუ ყვები ყყყერ-



დავიბადე 1969 წელს. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1991-1998 წლებში ვმუშაობდი პრესაში პოლიტიკურ კორესპონდენტად. 1998 წლიდან ვცხოვრობ ნიუ-იორკში. ვწერ ნოველებს, მოთხრობებს, სცენარებს. ამჟამად ვეუფლები ახალ პროფესიას – კინორეჟისორობას ნიუ-იორკის სიტი უნივერსიტეტში. 2004 წელს შევქმენი ოჯახი. გვყავს 2 წლის ნათია.

ნუ გამეცხავთ, თუ ჩემს ნოველებს მხოლოდ ქართველებზე არ ვწერ. ვწერ ყველა ეროვნების ემიგრანტებზე, რომლებიც ერთ ტაფაში იწვიან. უბრალოდ ხილვები აქვთ სხვადასხვა. ზოგს ქუთაისის თეთრი ხიდი ელანდება, ზოგი ციმბირის ცივ ტრამალებს მისტირის, ზოგიერთი კი გავარვარებულ უდაბნოში კატუსების ბუჩქებს ელერსება. ჩემი ნოველების გმირები რეალური პიროვნებები არიან. მათ ნიუ-იორკში გადავეყარე და როდესაც მათი ცხოვრების ფრაგმენტები ფურცლებზე გადავიტანე, ზოგიერთს სახელიც კი არ შევეცვალე. არცერთი მათგანი არ არის ჭეშმარიტად ბედნიერი, გარდა ნიკასი, რომელიც სამშობლოში ბრუნდება და როდესაც პარიზის აეროპორტში პატარა თვითმფრინავს მოჰკრავს თვალს წარწერით „Georgia“, ყველაფერი ავინწყდება და გული სისხარულით უწყებს ფეთქებას. არ არის ადვილი ემიგრანტობა, მძიმე ტვირთია და ამიტომ, მოდით, თითოეულმა ჩვენგანმა მოვუაროთ იმას, რაც ჩვენია, რაც ღმერთმა გვიბოძა – მოდით, მოვუაროთ საქართველოს, ნებით ვაშენოთ ჩვენი, რომ სხვა ქვეყანაში იძულებით არ მოგვინოს სხვისას შენება.



ვით. შენმა ცოლმა მდიდარი ამერიკელი მოძებნა და მე შენ ერთი ნახვით შემიყვარდე? ვაი, შენს პატრონს უბედურს, – გაიფიქრა გულში.

– მშენებლობაზე მოვეწყე, – გააგრძელა ვალოდიამ, – ბევრს არ იხდიან, საათში 8 დოლარი არაფერია... აქვე, ბრაიტონზე ერთ ოთახს ვქირაობ. მართალია, სააბაზანო საერთო გვაქვს, მაგრამ სულ სამი ოჯახი ვსარგებლობთ.

– ბოდიში, რომ განყვეტინებთ. რას აკეთებდით იქ, „სოიუზში“? – ჰკითხა გალიამ მოუთმენლად.

– მე? – იკითხა დაბნეულმა ვალოდიამ.

– დიახ, დიახ, თქვენ!

– პროფესიით ქიმიკოსი ვარ, სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების უფროსი ვიყავი, ხარისხიც მაქვს – მხრები აიჩეჩა ვალოდიამ, ვითომ რაღა დროს „სოიუზიან“.

– აჰა, ხომ ვთქვი, ჩაძირულია მეთქი, – გაიფიქრა გალიამ, თან თანაგრძობით გაუღიმა. შემდეგ მშენებლობაზე დაკოყრილ და მოუხერხებლობისაგან ჩაქუჩით დაჩეჩქვილ ხელზე ხელი დაადო.

– დარწმუნებული ვარ, შეხვედებით ზუსტად ისეთ ქალს, როგორსაც ეძებთ. სამწუხაროდ, ჩემს გემოვნებაში არ ჯდება. მე უფრო რაღაც დიდის მოლოდინში ვარ, განსაკუთრებულის. ერთი სიტყვით, აზრი არ აქვს ახსნა-განმარტებას. მოკლედ, წარმატებებს გისურვებთ, ფარ-ხმალი არ დაყაროთ...

– ეჰ, ასეც ვიცოდი, – ამოიხრა იმედგაცრუებულმა ვალოდიამ, ხელი ჩაიქნია და ფერდაკარგული კაფედან გავიდა.

გალიამ სიას ჩახედა. – სამ საათზე იტალიური წარმოშობის ამერიკელი უნდა მოვიდეს. შევცდი, შეხვედრა პირველად მისთვის უნდა დამენიშნა. რატომ ჩავსვი ასე შუაში? – თავი გადააქნია მან. – საოცარია, მთელმა მსოფლიომ იცის რუსი ქალის ფასი. ამერიკელი კაცი ცხოვრების თანამგზავრს რუსულ ემიგრანტულ გაზეთში ეძებს, – პატარა გოგოსავით

გული აუჩქოლდა, სასწრაფოდ სარკე ამოიღო და გულდასმით გადაისვა პომადა.

– ერთიც ვნახოთ და ადრეანო ჩელენტანოს ჰგავს? დარწმუნებული ვარ, სიმპათიური იქნება. რა თქმა უნდა სიმპათიური იქნება! ყველა იტალიელი კაცი სიმპათიურია. ოჰ, ღმერთო ჩემო, ალბათ ის არის!

ვინი კაფეში შემოვიდა თუ არა, მომხიბვლელი ღიმილით პირდაპირ გალიასკენ გაეშურა.

– ადრეანო ჩელენტანოს არ ჩამოუვარდება, მგონი ჯობია კიდევ, – გაიფიქრა ქალმა და განსაკუთრებული გრაციოზულობით შეეგება.

– ჩაი თუ ყავა? – შესთავაზა ვინიმ.

– ჩაი, – გაუღიმა მან.

ვინი რიგში ჩადგა. გალიამ ალტაცებით შეავლო თვალი მის ათლეტურ ტანს. კუნთები ისე აესხა თითქოს საომრად მიდისო. ბრინჯაოსფერ კისერზე ელავდა იტალიური ოქროს ფართო ჯაჭვი, რომლის ბოლოშიც უზარმაზარი ჯვარი მის თმთან მკერდში ჩაკარგულიყო. გალიას სიამოვნებისაგან გააჟრიალა. – აი, კაცი! აი, ნამდვილი კაცი!

– მითხარით, რატომ გადაწყვიტეთ ცხოვრების თანამგზავრის „რუსკაია რეკლამაში“ მოძებნა? – ინგლისურად გაჭირვებით დაალაგა სათქმელი და ჩაი პრანჭვით მოსვა.

ვინიმ ისე ღრმად ამოისუნთქა, თითქოს საჯაროდ სიტყვაში გამოსვლისთვის ემზადებო და შემართებით დაიწყო ლაპარაკი. თან ინგლისურად ისე ნელა და გარკვევით ლაპარაკობდა, რომ გალია სიტყვასიტყვით ასწრებდა გადათარგმნას.

– ამერიკელი ქალი ძალიან რთულია. მომთხოვნები არიან. მუდამ რესტორანში უნდა დაპატიჟო. სადილ-ვახშამს ვინ ჩივის, საუზმის მომზადებაც აღარ უნდათ. ორი კვერცხის ათქვეფა ეზარებათ. საჩუქრებზე გიჟდებიან. ბევრი რომ არ გვაგარძელო, განებივრებულები არიან. შაბათ-კვირას კი აუცილებლად ქალაქ გარეთ უნდა გაასეირნო და სასტუმროში ნომერი შეუკვეთო.

– ამის გამო გადანყვიტეთ რუსი ქალის გაცნობა? – ძლივს ამოღერლა ნირნამხდარმა.

– არა მარტო ამის გამო, – გააგრძელა თავდაჯერებულმა ვინიმ, – ამერიკელი ქალები ქმრის ოჯახის წევრებს ვერ იტანენ, ერთად ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი, მე კი დედაჩემის გარეშე ერთი დღეც ვერ ვიცხოვრებ. ჩემს შენობაში ბევრი ქალი მუშაობს და ვიცი მათი ავანჩავანი.

– თქვენ რა, კვლავ დედასთან ცხოვრობთ? – ვერ დამალა გაკვირვება გალიამ.

– დიახ, ის ფაქტი რომ დედასთან ვცხოვრობ, პრობლემებს მიქმნის ამერიკელ ქალებთან. სწორედ ეს არ სიამოვნებთ ქალებს ჩემი შენობიდან. აი, მითხარით რა არის ამაში ცუდი?

– მოიცათ, მოიცათ, შენობიდან? ე. ი. თქვენ შენობას ფლობთ. ბინების მფლობელი ხართ? – გალია წყალნალებულივით ხავსს მოეჭიდა.

– არა, უბრალოდ „მეინტენანსი“ კაცი ვარ.

– ეს რას ნიშნავს?

– ჩემი სამსახურია. – მხრები აიჩჩია ვინიმ, როგორ თუ არ იცის რას ნიშნავს „მეინტენანსი“. – შენობაში ვმუშაობ, ვალაგებ, ვასუფთავებ და თუ რამე გაფუჭდება, ვარემონტებ. სამსახურს არ ვუჩივი. უკვე ოცი წელია, რაც იქ ვმუშაობ. გულწრფელად რომ გითხრათ, აი ქალებში კი არ მიმართლებს...

გალიამ თავისი გაჩენის დღე დანყვევლა და ნერვიულად ჩაილაპარაკა.

– იცით რა? დატოვეთ თქვენი ნომერი და დაგირეკავთ.

ვინიმ ნომერი დაწერა, მისკენ გადაიხარა და მუდარით უთხრა:

– დედაჩემს ყურთ კარგად არ ესმის და ხმამალლა უნდა ელაპარაკოთ. ისე, ძალიან საყვარელი და ტკბილი ადამიანია. შეიძლება ლაპარაკიც კი გაგიბათ. ნარმოგიდგენიათ?

ვინი კაფედან გავიდა თუ არა, გალიამ მისი ნომერი დაანამცეცა. – დებილი, დებილი... – როგორ გამიბედა? თავხედი! სულ მიწასთან არ გაგვასწორა? „სოიუზი“ არ დან-

გრეულიყო, თქვენ ქალებს ფეხებსაც არ დავაბანინებდით. ჰმ, ჩაძირული, თავისივე ქვეყანაში ჩაძირული! – ვიშვიშებდა გაცეცხლებული. ცოტა რომ დამშვიდდა, სია ამოიღო, თუმცა ნერვიულობისაგან ხელი კვლავ უკანკალებდა. – მისტერ ისააკი? იმედია, ამას მაინც აბადია რამე. ებრაელებს მაინც აქვთ მაგის შნო. ალბათ კომპიუტერების პროგრამისტია, ნამდვილად პროგრამისტია – თავი დაიმშვიდა. ამ დროს მალალი, სათვალისანი კაცი სხარტად მიუახლოვდა.

– გალია ბრძანდებით? – ჰკითხა მან მოუსვენრად.

– დიახ.

– ძლივს დავაყენე ჩემი ახალი „ლექსუსი“, ნარმოგიდგენიათ? ძალიან პატარა ადგილებს ტოვებენ მანქანებს შუა. არადა, ბრაიტონზე საშინელი მოძრაობაა, რომ არ დაგარტყან, არ შეიძლება. ჩემსას კი უბრალო განაკანრიც არ აქვს. კიდევ კარგი ჩემი ბიზნესის საქმე კარგად მიდის, წელიწადში ერთხელ ვიცვლი მანქანას. ცოტა წამოინიეთ. აი, ის არის ჩემი „ლექსუსი“ ხედავთ? ნითელი!

გალიას კისერი მოეღრცა, სანამ ისააკის მანქანას დაინახავდა.

– რა ბიზნესი გაქვთ, თუ საიდუმლო არ არის? – ჩაურთო სხვათა შორის.

– ლიმუზინების კომპანიას ვფლობ. დიდი დრო მიაქვს, სამაგიეროდ ფულებს ვაკეთებ, – ყვებოდა ის თავმომწონედ.

– იმიტომ ვერ დაიჭერი ფრჩხილები? – გაიფიქრა ქალმა გულში,

ხმამალლა კი ეს შეეკითხა – უკაცრავად, იქ ვინ იყავით, „სოიუზში“?

– დიდი თეატრის ორკესტრში ვიოლინოზე ვუკრავდი.

– აჰა, – გალიამ თავი სინანულით გადაიქნია. – ჩაძირულია, სად მუსიკა და სად ლიმუზინების კომპანია? თავს იტყუებს, ფული არაფერს შველის, დეპრესიაშია, თორემ დალაქთან როგორ ვერ მივიდოდა, თმას როგორ ვერ გაიკრეჭდა? – გაიფიქრა და, რომ გადანყვიტა, ისიც სანაგვე ყუთში გადაეშვა, ისააკმა დაასწრო და უთხრა:

– მე შემიძლია ხელის გულზე



ომობანას თამაში

„არ ვიცი, რა იარაღი იქნება გამომყენებული მესამე მსოფლიო ომში, მაგრამ ცხადია, რომ მეოთხეში მხოლოდ ჯოხები და ქვები იქნება“.

ალბერტ აინშტაინი

კაცობრიობის ისტორიაში პირველი ომი, ალბათ, სწორედ ჯოხებით და ქვებით მოხდა.

ძნელი სათქმელია, რა იყო იმ პირველი ომის მიზეზი – ნადავლის მოპოვება თუ ტერიტორიის დასაკუთრების სურვილი, მაგრამ დღემდე, უმრავლეს შემთხვევაში, ომის მიზეზი სწორედ ეს ორი რამაა.

მსოფლიო რუკამ ამის გამო მრავალჯერ განიცადა ცვლილება, მრავალჯერ შეიცვალა ქვეყნების საზღვრებიც და სახელებიც, მაგრამ არ იცვლება ადამიანის ბუნება – დაიპყროს, მიიტაცოს, გაანადგუროს...

საუკუნეების განმავლობაში ომის მიზეზები არ იცვლებოდა, მაგრამ იცვლებოდა ომის საშუალებები და ომის მასშტაბები.

საკმარისია, თუნდაც პირველ და მეორე მსოფლიო ომებში დაღუპულთა რაოდენობა შევადაროთ ერთმანეთს – დაახლოებით 9 მილიონი ადამიანი პირველ მსოფლიო ომში და დაახლოებით 60 მილიონი მეორეში – რომ დაინახავთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ, როგორ სწრაფად იზრდება ომის მსხვერპლი.

ყველაფრის მიუხედავად, ადამიანს ჯერ კიდევ არ ყოფნის გონიერება, უარი თქვას ომით მოპოვებულ დროებით უპირატესობებზე, მსხვერპლზე, ნგრევაზე. როგორც აინშტაინმა აღნიშნა, ორი რამ არის უსასრულო: ჩვენი სამყარო და სისულელე. თუმცა, სამყაროს უსასრულობაში მაინც ეჭვი შეიტანა.

სამყაროს დასასრულის მიზეზიც მხოლოდ ადამიანის უსასრულო სისულელე თუ იქნება მხოლოდ. უსასრულო სისულელე, რომლის ერთ-ერთი სახეც სწორედ ომია.

*

ბავშვობაში ომობანას თამაში არ მიყვარდა. არ მეგონა, თუ ახლა, როცა ჩემს შვილებს ვუშლი ომობანას თამაშს, მე მომიწევდა უფროსების მიერ დანაშაულ „ომობანაში“ იძულებითი მონაწილე ყყოფილიყავი.

როდესაც გორში პირველი ბომბი ჩამოვარდა, ქალაქის ცენტრში, აფეთქების ადგილიდან რამდენიმე ასეულ მეტრში ვიყავი. თვითმფრინვა-

დასასრული 63-ე გვერდზე



გატაროთ! ჩემს ბინაში გადმოდი, ოფიციალურ საყვარლად გამოგაცხადებთ! მანქანას გიყიდით თუ დამინუნებთ, წარმოიდგინეთ, როგორ გადაიხდით ბინის ქირას შემდეგ თვეში?!

– როგორც აქამდე ვიხდიდი, ძვირფასო! – თავდაჯერებით უთხრა გალიამ და გულთანად გადაიკისკისა. თან ისააკის მრავალფენოვანი სათვალის შუშაში სხვა კაცის მოლოდინში თავისი თავი კეკლუცად შეათვალა.

– მოთმინება, მოთმინება. ხომ გაგიგია, ვინც ეძებს, პოულობსო. კვირაობით სახლში ჯდომას და ტელევიზორის ყურებას მაინც ჯობს. მართალია ბევრი ნაგავი მოვა, მაგრამ იქნებ გამოჩნდეს ისეთი, რომ შაბათს სადილზე მაინც შევხვდეთ და ცოტათი გული გადავავოლო, ცხოვრების თანამგზავრს ვინ ჩივის. – თავს შეუძახა გალიამ და მაგიდაზე თითები ააკაკუნა.

მერაბმა კარგად მოათვალა კაფე, შემდეგ გალიასკენ გამოეშურა და მონინებით ხელზე ეამბორა.

– გალია ბრძანდებით? ძალიან სასიამოვნოა. მერწმუნეთ, პირველად გადავწყვიტე გაზეთის დახმარებით ქალბატონის გაცნობა, – სულმოუთქმელად მიაყარა მან.

– ოოო, მაგისტანები აღარ გაგივით ქართველებს, – გაიფიქრა ქალმა.

– რამდენი ხანია, რაც ამერიკაში ხართ? – ჰკითხა მერაბმა.

– საკმარისი დროა.

– ალბათ ვერც კი მოიცალეთ ნიაგარაზე წასასვლელად. დაგენიძლავებით, არც ვაშინგტონში იქნებით ნამყოფი. მართალს ვამბობ თუ არა?

– მართალი ხართ.

– ჰოდა, ამ კვირას თეთრი სახლის სანახავად გეპატიჟებით. მომავალი კვირიდან კი ნიაგარაზე სეზონი იხსნება და იქ დავგეგმოთ წასვლა.

– თავდაჯერებული ბალვანი, – გაიფიქრა გალიამ. – არც კი მეკითხება, თანახმა ვარ თუ არა. არა, გენაცვალეთ, თქვენმა დრომ უკვე ჩაიარა. მართალია, ერთ დროს ფასობდით, მაგრამ ახლა კაპიკია თქვენი ფასი.

– „სლიუზში“ პროფკავშირებში ხომ არ მუშაობდით?

– პროფკავშირების თავჯდომარის მოადგილე ვიყავი. რუსებს შავ ზღვაზე საგზურებს მე ვურიგებდი, – თავმონონებით უპასუხა მერაბმა.

– აქ, ამერიკაშიც ტურისტულ სააგენტოში მუშაობთ?

– აქ მტვირთავად ვმუშაობ. – გულწრფელად მიუგო მერაბმა. – მიუხედავად ამისა, სულიერ საზრდოს არ ვიკლებ. არ ვტოვებ არც ერთ ღირსშესანიშნავ სანახაობას, თქვენისთანა ლამაზი თანამგზავრი თუ მეყოლება, ალბათ მთელ ამერიკას ფეხით გადავლახავ...

გალიას მისი ლაპარაკი აღარ ესმოდა. წარმოიდგინა, შარვალ-კოსტიუმში გამონკეპილი მერაბი ნელში გამართული დადის და რუს ქალებს გაგრის დასასვენებელ სახლებს ათვალეებინებს, ჯიბეები კი რუბლით აქვს გამოტენილი. ახლა ტვირთების ზიდვისაგან ნელში მოხრილი, ბრაიტონის კაფეში საცოდავად ზის და ზლაპრებს ყვება. დარდისაგან კი ისე გათეთრებულა, ერთი შავი თმაც აღარ ურევია თავის შესახსენებლად.

– თავის დროზე უარს არ ვიტყვოდი ამ კაცზე, მაგრამ ახლა აშკარად ჩადირულია, ჩადირული... – ამოიოხრა გალიამ და გული თან ამოაყოლა.

ივან ნიკოლაევიჩიც და ამ კვირის გეგმა შესრულებულია. მომავალ კვირამდე აღარავის აღარ შეხვდება.

– ტელეფონით ძალიან ტკბილი მოსაუბრე ჩანდა. მამის სახელი რომ არ დაუკარგავს, უკვე პატივისცემას იმსახურებს. დავიჯერო, ისე განყდნენ ეს კაცები, რომ მომავალ შაბათს სადილზეც ვერ წავალ? – კვლავ გაიფიქრა გულდანყვეტილმა და შემოსასვლელს მიაჩერდა.

პენიანი, ინტელიგენტი კაცი კაფეში შემოვიდა და პირდაპირ გალიასკენ გამოემართა. ხელზე ემთხვია და მის წინ მონუსხული დაჯდა.

– ვიცოდი, რომ არაჩვეულებრივი ქალი იქნებოდით, – უთხრა აღელვებულმა, სანვიმარი ლაბადის ღილები შეიხსნა და თავისი გაქათქათებული პერანგის საყელი გამოაჩინა – არ მითხრათ საიდან ხართ, მე გამოვიც-

ნობ. ლენინგრადელი ნამდვილად არ ხართ, მოსკოველის გარეგნობა გაქვთ.

– მართალია!

– მასწავლებელი იყავით, ან ქიმიის, ან ფიზიკის...

– მათემატიკის, მაგრამ ბოლო ათწლეული სკოლის დირექტორად ვმუშაობდი.

– ვალმერთებ ჭკვიან ქალებს. მიზანმიმართულ, წარმართულ ქალს, თანაც ლამაზს, იშვიათად თუ შეხვდებოდა კაცი! ძალიან გთხოვთ, უარს ნუ მეტყვი, მინდა, ვახშამზე დავგაბატოქოთ.

გალიამ მის მოვლილ, სალუქ თითებს შეავლო თვალი. შემდეგ სანვიმარი ლაბადა შეუთვალა. ემიგრანტი და ლაბადა? აშკარა იყო, ფიზიკურ სამუშაოს არ ასრულებდა. გარეგნობით, ჩაცმულობით, ინტელექტით სწორედ იმ სასურველ კაცს ჰგავდა, რომელზეც გალია დიდი ხანია ოცნებობდა. მონუსხული იჯდა და გაცისკროვნებული სახით ხმისამოუღებლად მისჩერებოდა. ამ დროს ივან ნიკოლაევიჩი მის ლამაზ თვალებში ჩახედვას ცდილობდა. არც ერთს არ უნდოდა შაბათამდე მოცდა და ოთხშაბათზე შეთანხმდნენ.

გალიას ბედნიერი ორშაბათი გაუთენდა. სამუშაოდ წასასვლელად ემზადებოდა, ივან ნიკოლაევიჩზე ფიქრობდა და თან გეგმებს აწყობდა.

– რა თქმა უნდა დამლაგებლად მუშაობას თავს დავანებებ და ინტელექტუალურ სამსახურს მოვძებნი, სულაც ბავშვებს მოვამზადებ მათემატიკაში. მართალია ფულს ვეღარ ვაკეთებ, მაგრამ ეს ისე, ჩემი მეობის დასაბრუნებლად დამჭირდება. სამაგიეროდ ივან ნიკოლაევიჩი მეყოლება გვერდით. ოჰ ღმერთო, იქნებ ვილა აქვს ფლორიდაში? თუ არა აქვს, აუცილებლად ვაყიდინებ! აუცილებლად – აი, ასეთი ოპტიმისტური განწყობით ოთახის კარი კარგად გამოკეტა, ხალხმრავალ ბრაიტონის

ქუჩაზე გამოვიდა და რკინის ბოძებზე შემდგარი მეტროს ქვეშ ტროტუარს გაუყვა. ზუსტად ამ დროს თავზე მატარებელმა გადაიგრიხინა. ისეთი ღრჭიალი და გუგუნის ატყდა, გეგონებოდათ ჯოჯოხეთის კარი შეაღებს. ბორბლების ხმაური ცოტა რომ მიწყნარდა, გალიას კაცის ხმა მოესმა, რომელიც რალაც გაზეპირებულ ფრაზებს გაიძახოდა. ასეთი რამ ხომ ბრაიტონზე ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ რატომღაც იქით, ქუჩისკენ მიიხედა და ნაცნობ ლაბადას მოჰკრა თვალი. თვალებს არ დაუჯერა, გულგახეთქილი ბოძს ამოეფარა და გაფართოებული თვალებით იმ კაცს მიაჩერდა. ივან ნიკოლაევიჩი, ისეთივე გამოპრანჭული, სუფთა, ფაქიზი, შუა ქუჩაში გამვლელებს შორის იდგა და ხელში ფურცლების შეკვრა ეჭირა:

– პოდაგრის ოპერაცია, ერთი ფეხი 1000 დოლარად, ორივე კი 1500-ად. მობრძანდით და გაიკეთეთ ჩვენს კლინიკაში. ძალიან ეფექტურია, ოპერაციის შემდეგ ყველანაირ ფეხსაცმელს მოირგებთ ფეხზე, – გაიძახოდა და გამვლელებს ფურცლებს აჩეჩებდა. მოხუცებულებს ძალად აჩერებდა და პირდაპირ ეკითხებოდა, – პოდაგრა ხომ არ განუხებთ? ფეხის თითები ხომ არ გეხლართებათ?

– ოჰ, ღმერთო ჩემო, რეკლამების დარიგებაში ხომ მხოლოდ 5 დოლარს იხდიან საათში, – აღმოხდა გალიას და ბოძს ორივე ხელი ჩასჭიდა, რომ არ წაქცეულიყო. მისი იმედები და ოცნებები თითქოს მეტროს გრუზუნში ჩაინთქა. თვალები ელვის სისწრაფით ცრემლებით ავესო, მათ კი თვალის გუგები გადმოლახეს და რატომღაც გალიას პირისკენ იპოვეს გზა. ცრემლები ისეთივე მწარე იყო, როგორც სინამდვილე – ჩაძირულია, ესიც ჩაძირულია... – ხმამაღლა ამოისლუკუნა გალიამ. შემდეგ კი ღონეგამოცლილი სამსახურისაკენ გაიქცა, რომ არ დაგვიანებოდა.



ვის გამაყრუებელ ხმას თვალი გააყვლა ყველამ. რამდენიმე წამის შემდეგ კიდევ უფრო საზარელი გრუზუნის გაისმა. თვალი შევასწარი, როგორ დაიფშვნა მალაზიის დიდი ვიტრინები, მერე კი სტადიონის უკან ვეება შავი კვამლის სვეტიც დავინახე და მივხვდი, რომ ეს თამაში არ იყო.

როცა ომობანას დიდები „თამაშობენ“, შედეგები შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს.

ქალაქის ცენტრში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალი სავსეა დაჭრილებითა და გარდაცვლილებით. კედლებზე გამოკრულ სიამი ხუთასზე მეტი დაჭრილი და ოთხმოცდაათი გარდაცვლილია.

დამომავის ბოლო ადგილი ქალაქის ცენტრი აღმოჩნდა. კასეტურმა ბომბებმა არა მარტო ადამიანების სიკვდილი გამოიწვია და სახლები დააზიანა, არამედ საშიშროება ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც შეინარჩუნა, რადგან ეს ბომბი ჩამოვარდნიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიძლება არ აფეთქდეს, მაგრამ ოდნავ შეხებისთანავე ნალმით მოქმედებს.

ოთხშაბათს, 13 აგვისტოს ქალაქში ხმა გავრცელდა – გორში რუსის ტანკები შემოდიანო. საღამოს რუსის ჯარი უკვე ქალაქში იყო. არ ვიცი, რამდენად მართალია ხმები, რომ ჯარისკაცები სახლებს ძარცვავდნენ. ჩემი თვალით კი ვნახე კარებზემტვრეულ მალაზიაში შალის საბანუშემოხვეული სარეცხი მანქანა. როგორც ჩანს, ნაღება ვეღარ მოესწროთ, ან რალაცამ შეუშალათ ხელი. ძალიან მინდა დაეჯერო, რომ ეს შალის საბანი რუსმა ჯარისკაცებმა შემოახვიეს, მაგრამ ტანკში ვერ მოათავსეს და მიატოვეს.

ეს დღეები ქალაქი თითქოს აღარ სუნთქავდა. ქალაქის ქუჩები ასეთი ცარიელი არასოდეს მინახავს. ქალაქის ცენტრში თითქმის ყველა მინა ჩამსხვრეულია. მინის ნამსხვრეეებითაა ტროტუარები მოფენილი, სახლების კედლები კი ჭურვების ნამსხვრეეებით ნაყვავილარი სახესავითაა დაკნენილი. ქალაქმა თითქოს „ბატონები“ მოიხადა – „ომის ბატონები“.

როგორც წესი, ასეთი ავადმყოფობა ადამიანს მეორედ აღარ ხვდება. ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ჩემს ქალაქს, ჩემს ქვეყანას ეს ავადმყოფობა აღარ შეეყრება.

ომობანას თამაში ოცდამეერთე საუკუნეში ძალიან სახიფათოა. მით უფრო, როდესაც ომობანას დიდები თამაშობენ.

2008 წელი, აგვისტო
ვანო გულუერი

1. „ბრაიტონ ბიჩი“ – ქუჩა ბრუკლინში, სადაც ძირითადად საბჭოთა კავშირიდან ჩასული ემიგრანტები ცხოვრობენ.
2. „რუსკაია რეკლამა“ – ამერიკაში გამოშვებული რუსულენოვანი მრავალტირაჟიანი გაზეთი ემიგრანტებისათვის.

შტრიხები პორტრეტისათვის



ნანი ბრეგვაძე რომ დიდი მუსიკალური გემოვნების, ულამაზესი ხმის, დახვეწილი სმენის და სიმღერის საიდუმლოს ვირტუოზული მფლობელია, ყველასათვის ცნობილია. იგი არავის ჰგავს და ყველასაგან განსხვავებულად მღერის. მის სიმღერას ღვთაებრივი ზეგავლენა აქვს მსმენელზე. ამასთან ერთად მრავალმხრივ ნიჭიერი და საინტერესო პიროვნებაა, დიდი იუმორისა და არტისტიზმის მქონე, ფანტასტიკური მთხრობელი, ყოველდღიურობაში უზომო სიყვარულისა და სითბოს გამცემი, უფაქიზესი და უერთგულესი მეგობარი, რასაც მისი ახლობლების სიმრავლეც მოწმობს.

არ გახლავართ მუსიკატომცოდნე და ვერ გავთამამდები შეეჭვიდო ნანის შემოქმედების შეფასებას. მეორე მხრივ, უბედნიერესი კაცი ვარ იმით, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მოვიპოვე მისი მეგობრის სტატუსი და ვამაყობ, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები და დღეები მის ორბიტაზე გავატარე, რაც საშუალებას მამძლევს, გავაცოცხლო ზოგი კეთილმოსაგონარი ამბავი ერთად გატარებული დღეებიდან.

ნოდარ ცერცვაძე

ნანი ბრეგვაძის კულინაგსმილმა ცხოვრებიდან

წარუშლელად ჩამებეჭდა მეხსიერებაში ნანისთან პირველი შეხვედრა. **მანანა ხიდაშელის** ერთ-ერთ დაბადების დღეზე (ორმოცდაათიანი წლების დამდეგი იქნებოდა) **გურამ ასათიანი** და მე დავგვიანებით მივედი ფაეტონით. ახალი დამსხდრები იყვნენ სუფრასთან და თამადა არცკი ჰყავდათ არჩეული. ჩვენს გამოჩენას მოჰყვა შეძახილები: „აგერ თამადაც მოვიდა!“. რასაკვირველია იგულისხმებოდა ფრიად მჭევრმეტყველი გურამი. თვალი გადავავლეთ სუფრას, ყველა ნაცნობი და ახლობელი აღმოჩნდა ერთი შავგვრემანი, კეთილღიმილიანი, მომხიბვლელი იერის მქონე გოგონას გარდა. დაიწყო ჩანწე-ჩამონწევა და ჩვენთვის ადგილების მოძებნა. გურამმა იმდენი იწრიალა, რომ ბოლოს ამ გოგონას გვერდით მოკალათდა.

ცოტა ხანში გოგონამ თავისი მიმზიდველი გარეგნობით, ლამაზი სიმღერით, არაჩვეულებრივი იუმორით, თხრობის განსაკუთრებული მანერით, უშუალოდითა და სისადავით ყველა მოგვაჯადოვა. გურამი იმდენად მოხიბლა და ისე გაიტაცა მასთან საუბარმა, მასზე ზრუნვამ, რომ თამადაც გადაავიწყდა. აღმოჩნდა, რომ გოგონას ნანი ერქვა, გვარად კი ბრეგვაძე იყო. მალე გურამი ისე გაუთამამდა, რომ ჰკითხა: „თუ შეიძლება, მითხარით, სად იყავით აქამდე, რატომ ვერსად ვერ შეგხვდით დღემდე, რისთვის გვემალეობდით?“ ნანიმ უპასუხა: „სად მნახავდით, ისეთი შეუხედავი ვიყავი, რომ დედას ქუჩაში არ გამოგყავდით“. ნანის შეთხზულმა, დაუჯერებელმა, საკუთარი გარეგნობის ეგზომ ირონიულმა შეფასებამ სტუმრების საერთო სიცილი გამოიწვია.

ამ შეხვედრაზე ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ცხოვრების გრძელ გზაზე

საინტერესო, მხიარულ და სიყვარულით გასხვივოსნებულ ერთად გატარებულ დღეებს. მინდა გავიხსენო ერთი „კულისებსმილმა“ ეპიზოდი ნანის პიროვნებაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად.

ერთ საღამოს ნანამ (ჩემმა მეუღლემ) გამომიცხადა: „დღეს ბარათაშვილის საიუბილეო დღეები მთავრდება და მოსალოდნელია გურამ ასათიანის მძიმე თავდასხმა“, და დანებების წინ დაიწყო ბინის დალაგება სტუმრების მისაღებად. როგორც ყოველთვის, ნანას ალღომ არ უღალატა და, მართლაც, ღამის 12 საათზე კარებზე ზარის ხმა და სადარბაზოში ხალხის ყრიაშული გაისმა. ასეთი შემთხვევების დროს რაც შეიძლება სწრაფად ვალეზდით ხოლმე კარებს, მეზობლები რომ არ გაეღვიძებინათ. ახლაც სასწრაფოდ გავალეთ კარები და... სადარბაზოს მოედანზე იდგნენ: **ნანი ბრეგვაძე, ბელა ახმადულიანი**, რუსული გარეგნობის სანდომიანი ქერათმიანი ქალბატონი (ბულგარელი პოეტესა აღმოჩნდა, რომლის გვარსახელი აღარ მახსოვს), **ბულატი ოკუჯავა, ევგენი (ჟენია) ევტუშენკო, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი, სარგის ცაიშვილი** და ამ შეკრების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გურამ ასათიანი. მამაკაცებს, ყველას, შამპანურის ბოთლები ეკავათ. გაირკვა, რომ მოვიდნენ სამთავრობო-ოფიციალური ბანკეტიდან და შამპანურებიც იქიდან წამოუყოლებიათ. ნანა შეუდგა თავის ჩვეულ საქმიანობას და ნანის დახმარებით სუფრა გაშალა.

გურამმა, სარგისმა და მე ჩვეულებრივ მოვალეობა შევასრულეთ და ბავშვების საძინებელი ოთახიდან გამოვავორეთ პიანინო, დავდგით,

როგორც ყოველთვის, ნანის ზურგს უკან, რომ არ შენუხებულყო და მხოლოდ შემობრუნება დასჭირვებოდა. ბულატმა გიტარა მოიკითხა. დავურეკეთ პირველ სართულზე **შოთა მიქაშაიძეს** და ერთ წუთში გიტარით ხელში სუფრის თავში იჯდა.

გურამის მიერ წარმოთქმული რამდენიმე ცეცხლოვანი და სულის ამაფორიაქებელი სადღეგრძელოს შემდეგ ნანი შებრუნდა პიანინოსაკენ და სტუმრების პატივსაცემად იმდერა რუსული რომანსი, რომლის შესრულებაში მას, ალბათ, მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. ბულატი წამოიჭრა, ამოიღო ჩანთიდან პორტატული მაგნიტოფონი და დაიწყო ნანის სიმღერის ჩანერა. ამგვარი მაგნიტოფონი მაშინ იშვიათობა იყო. პარიზულ გასტროლებზე მიუღია ეს საჩუქარი. ძალიან გამიმართლა, მას შემდეგ სულ თან ვატარებო. ცოტა ხანში ბულატს ვთხოვეთ, რაიმე ემღერა და მანაც ყოველგვარი თავპატივის გარეშე შეგვისრულა თავისი ახალი სიმღერა, რამაც ძალიან მოგვხიბლა. ბულატის სიმღერამ ნანის ამავე განწყობის რაღაც სიმღერა გაახსენა და სიამოვნებით შეგვისრულა, რასაც ისევ ბულატის სიმღერა მოჰყვა. ერთი სიტყვით, ექსპრომტად შედგა სრულიად სხვადასხვა სტილისა და ჟანრის, ჩვენი თანამედროვეობის ორი უდიდესი და უპოპულარულესი მომღერლის შემოქმედებითი პაექრობა, რომლის მსგავსს ჩემს სიცოცხლეში არც მანამდე და არც მას შემდეგ არ შევსწრებოვარ. ღვინომ და ამ უჩვეულო დუეტმა ჭეშმარიტად აგვანთო. მთელ ამ კონცერტს ბულატი იწერდა მაგნიტოფონზე. მე იმდენად გამიტაცა ამ ორი განუმეორებელი შემსრულებლის შეჯიბრმა, რომ გადამავიწყდა, მეც რომ მქონდა მაგნიტოფონი და მთელი ეს საღამო, გურამის ელეგანტური თამა-

დობით, ბელასა და ჟენიას ლექსების კითხვით, საქართველოსა და ქართველებისადმი მათი სიყვარულის გამომჟღავნებით, მეც შემეძლო ჩამეწერა და საშვილიშვილოდ შემომენახა.

თამადის მოთხოვნით ნანიმ იმდერა „Калитка“. ყველას გასაკვირად სიმღერის პროცესში ჟენია კომენტარებს აკეთებდა და გაბრაზებით გამოხატავდა აღშფოთებას ასეთი პრიმიტიული ტექსტის გამო. ბულატი შეეკამათა და სთხოვა, დამშვიდებულიყო. როდესაც ასეთი განწყობის შემქმნელი მელოდია გესმის, თანაც ნანის შესრულებით, რატომ განუხებს ტექსტი და მისი შინაარსი? ჟენიამ ცოტა ხანს კიდევ ინუნუნა სიმღერის სიტყვების გამო და ბოლოს, ბელამაც რომ შეუტია, დამშვიდდა.

გურამის სიყვარულით, პოეტურობით და იუმორით შეზავებულ მჭერმეტყველებას ამშვენებდა ნანისა და ბულატის დიდი მონდომებითა და შეჯიბრის ჟინით კიდევ უფრო გამშვენებული სიმღერები, ბელას მიერ სრულიად განსხვავებული, „ბელასეური“ სტილით წაკითხული ლექსები და შიგადაშიგ ქართული სუფრული სიმღერები.

ბელა ახმადულინა – ბელა ახატოვანა – როგორც მას გურამი მიმართავდა, იმდენად მოიხიბლა და აენთო ნანის სიმღერით, რომ იქვე გაუჩნდა იდეა ერთობლივი კონცერტის ჩატარებისა. სხვათა შორის, ამ ჩანაფიქრს რამდენიმე წლის შემდეგ ხორცი შეესხა და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მართლაც გაიმართა ბელა ახმადულინასა და ნანი ბრეგვაძის ულამაზესი კონცერტი, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა.

ვერავინ ბედავდა ეს აწეული განწყობა და სულიერ-მუსიკალური ჰარმონია დაერღვია. ბინდი კარგა ხნის გაფანტული იყო და სინათლეს უკვე დაეჩაგრასიბნელე, როდესაც წამოვიშალეთ.



ახალი თარგმანები



მარიო ბენედეტი (1920-2009) – ურუგვაელი მწერალი, ჟურნალისტი და პოეტი. მიეკუთვნება ე. წ. 45-იანელთა თაობას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ოცზე მეტ ენაზე. ლიტერატურაში განეული ღვანისათვის დაჯილდოებულია არაერთი პრემიით.

მარიო ბენედეტი

ნოველები

სახელ და სატად თვისად

ჭიანჭველა ფეხდაფეხ ველარ მიჰყვა თანამოძმეთა ქარავანს, რადგან საიდ-ანლაც შაქრის ნატეხი გადმოვარდა, ორად გაიპო და საბრალოს გზა ჩაუხერგა. ჭიანჭველამ გაყვითლებულ ქალღელზე ნაბიჯი შეანელა და ფეხებით მოსინჯა შაქრის კვინი, მერე ოდნავ გვერდზე გადაინაცვლა, უკანა ფეხებზე შედგა და ნადავლს საათის ისრის მიმართულებით შემოუარა; და, რაკი ახლა შაქართან სულ ახლოს იყო, ფეხები გაჭიმა და ზედ აბობღება დააპირა, მაგრამ ამოდ. ცოტა ხანში ჭიანჭველამ ტაქტიკა შეცვალა და შაქარს გვერდიდან მთელი ძალით ჩაეჭიდა ფეხებით, ნამსხვრევების გროვაზე აფოფხდა, ზედ თავზე მოექცა და მეორე მხარეს გადავიდა. მისი მეგობრები საკმაოდ შორს წასულიყვნენ და უკვე ქალღელის ფურცლის გადაღმა, მეზობრთან იმყოფებოდნენ. ჭიანჭველა იმ ადგილას შეჩერდა, სადაც ქალღელის ფერისცვალება იწყებოდა, ექვსივე ფეხით გულდაგულ გადასერა ასომთავრული „ენის“ სივრცე. ეს მანძილი რომ გადალახა, ჭიანჭველამ ფურცლის ნათელ მხარეში ამოყო თავი. მაგრამ ამ დროს ისევ გადმოვარდა შაქრის ნატეხი და ისევ ორად გაიპო. ჭიანჭველამ ორივე ნატეხი შეათვალიერა და სწრაფად გაბობღდა წინ. მერე შედარებით მომსხო კვინი შეარჩია, ზურგზე მოიგდო და გზა განაგრძო. ცოტა ხანში წინ სიგარეტის ნამწვი გადაეღობა, მაგრამ ჭიანჭველამ ეს სიძნელეც გადალახა და მალე ნამწვის გადაღმა მხარეს აღმოჩნდა, სადაც ქალღელს ისევ მუქი ფერი შეჰპარვოდა. ასო „ანი“ რომ გადაიარა, უეცრად ნიავმა წამოუქროლა, თითქოს ვილაცამ საბერველს ჩაჰბერაო. საბრალო ჭიანჭველა შეტორტმანდა, ტვირთიანად ძირს მოადინა ტყაპანი და ამჯერად შაქრის კვინიცი საბოლოოდ მტვრად იქცა. კვლავ ფეხზე წამოდგა, ისევ გამაგებით დაიწყო წინ და უკან ბორიალი,

მაგრამ, როგორც ჩანს, მალე ესეც მობეზრდა და კვლავ შაქრის კვინის მიუბრუნდა, სულ ცოტა ხნის წინ თითქოს რომ შერწყმოდა მის ტანს. ბევრი ეცადა, მაგრამ რაკი ტვირთი ზურგზე ვერა და ვერ მოიკიდა, იმედგაცრუებულმა ერთი მიმართულებით განაგრძო გზა. მერე ასო „დონიც“ გადალახა და ისევ ქალღელის ნათელ მხარეზე აღმოჩნდა. აქ კიდევ ერთი წინააღმდეგობა შემოხვდა გზად და იძულებული გახდა, შეჩერებულიყო. ამჯერად ჭიანჭველა რალაც საგანს გადააწყდა, მას სიდიდით ბევრად რომ აღემატებოდა და უკან დაიხია. მერე ოდნავ წინ წაიწია, ნიადაგი მოსინჯა და ყოყმანი დაიწყო. ჭიანჭველამ წამით შეისვენა და კვლავ შეეჭიდა ტვირთს. მისი ზურგზე წამოკიდებდა უნდოდა, მაგრამ მცდელობა ორივეჯერ ამო გამოდგა, თუმცა ბოლოსდაბოლოს მაინც თავისას მიაღწია და ტვირთიანად გაუდგა გზას. მერე ის იყო, ასომთავრული „ანი“ გადაიარა და ტრიუმფალური სვლა განაგრძო, მაგრამ ფურცლის თეთრი ადგილი ველარ გადალახა, რადგან ქალღელი ვილაცას გადაეადგილებინა. ჭიანჭველა ჰაერში რამდენიმეჯერ ამოტრიალდა და გონზე მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა იატაკზე ზღართან მოადინა. ახლა მის სიახლოვეს, ხუთიოდე სანტიმეტრის მოშორებით, ჩალაბულა ეყარა და ჭიანჭველა ძალზე ფრთხილი ნაბიჯით შეეცადა მიახლოებოდა მას. მიზანს რომ მიაღწია და ფეხები წინ გაიშვირა, ნიავმა ისე დაჰქროლა, რომ ჩალაბულა გვერდზე მოისროლა და იატაკის ფიცრებს შორის, ღრიჭოში ჩაჭედა. ჭიანჭველა გულმოდგინედაუყვა გზას ზემოთ... ამ მიმართულებით სიარული მას ნამდვილად ხელს აძლევდა, რადგან კუთხემდე მივიდოდა თუ არა, შეეძლო წრიული მოძრაობა შეესრულებინა. ეს მძიმე გზა ნახევარ წუთში გაიარა და ტვირთთან სულ ახლოს აღმოჩნდა. ახლა იგი მეზობრამდე ისე მივიდოდა, რომ არსად აღარ გადაუხვევდა. მეგობარი ჭიანჭველები კარგა ხანია მიფარებოდნენ თვალს და

პანია ხვრელში გაუჩინარებულიყვნენ. ჭიანჭველას ხის იატაკზე გადაადგილება უფრო უჭირდა, ვიდრე ქალღმერთი, თანაც ამჯერად პატარა წინააღმდეგობაც უნდა გადაეღებინა. ნუჟურიანი იატაკის გავლას ნუთზე მეტი დასჭირდებოდა. ჩალაბულა კი, ცოტაც და, ღრიჭოში გაუჩინარდებოდა. ჭიანჭველამ ორიოდვე სანტიმეტრი რომ გაიარა, საშინელი ჭახანი გაისმა, იატაკის ფიცრებმა ზანზარი დაიწყეს, ჩალაბულა კი სადღაც გვერდზე გადავარდა და ახლა ღრიჭოს გადაღმა მხარეს ეგდო. ჭიანჭველამ ნუჟურიანი ფიცარზე რომ გადაინაცვლა და ღრიჭოს კიდეს მიადგა, წაიბორძიკა, და კინალამ იმ სიცარიელეში გადაეშვა, მის წინ უფსკრულივით რომ დაელო ხახა, მაგრამ თავი დროზე შეიმაგრა და რის ვაივაგლახით გადავიდა მეორე მხარეს. ახლა ჩალაბულა უკვე მის გვერდით ეგდო. ჭიანჭველას წინა ფეხები უცახცახებდა, მაგრამ ტვირთის წამოკიდება მაინც მოახერხა და ორად მოკაკაული გაუდგა გზას. ცოტა ხანში წელში გასწორდა და ჩალაბულა უფრო მოხერხებულად მოიგდო ზურგზე. მეზობირამდე ნახევარი მეტრილა ჰქონდა გასავლელი, ჭიანჭველა კვლავ მიუყვებოდა ნაცნობ გზას. მერე ის იყო, ნაბიჯს აუჩქარა, რადგან აღარ ეშინოდა, რომ ტვირთიანად უფსკრულში გადაიჩეხებოდა. მიზნამდე ორიოდ სანტიმეტრილა რჩებოდა, როცა ჭიანჭველამ ახალი საფრთხის მოახლოება იგრძნო. მალე, სად იყო და სად არა, ადამიანის ფართო საჩვენებელი თითიც გამოჩნდა, რომელმაც ტვირთაკიდებული ჭიანჭველა აუღელვებლად გასრისა.

ჩაკვირები გასუსული აურით

ჰო, ასეა, ედუარდო მქვია. ამას ალბათ იმიტომ მეკითხებით, რომ ჩემთან გამოლაპარაკება გინდათ. მართალია შორიდან, მაგრამ მე უკვე კარგა ხანია გიცნობთ. სწორედ იმ დროიდან, „ლარანიაცას და „რივერას“ კაფეში დედაჩემს რომ ხვდებოდით. არ იფიქროთ, თითქოს გჯავშუშობდით, არა, ასე არ ყოფილა. მაგრამ ასეთი რამ თუ მაინც გაიფიქრეთ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ეს ისტორია არ იცით. ანდა, შესაძლოა, დედა მოგიყვავთ კიდევ. დიდი ხანია მინდოდა დაგლაპარაკებოდით, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა. ამიტომ დღევანდელი

გულისხმიერებისთვის მინდა მადლობა გადაგიხადოთ. იცით რატომ მინდა თქვენთან ლაპარაკი? პირველ რიგში, იმიტომ, რომ კარგი ადამიანი ჩანხართ. იცით, დედაჩემიც კარგი ადამიანი იყო. ბევრი ლაპარაკი არც ერთს არ გვიყვარდა. ჩვენ სახლში ან სამარისებული სიჩუმე იდგა, ან მხოლოდ მამაჩემი ლაპარაკობდა. ისიც მაშინ, როცა მთვრალი მოდიოდა. ეს კი ყოველ ღამე დავარქმევდი, რადგან მამა ამ დროს ღრიალებდა და უყვიროდა დედას. ჩემს დას მირტას და მე მისი ძალიან გვეშინოდა. ახლა მეთორმეტე წელში გადავედი და ბევრ რამეს მივხვდი. უკვე ჩემი აზრი მაქვს ისეთ ტიპებზე, მუდამ რომ ყვირიან, გარშემომყოფთ შეურაცხყოფას აყენებენ. ისინი ხომ შინაგანად უბადრუკები, სუსტი ადამიანები არიან?! მაგრამ იმ ხანად ეს ჯერ არ ვიცოდი, რადგან პატარა ვიყავი. მირტა დღემდე ვერ გარკვეულა ბევრ რამეში. ის ჩემზე სამი წლით პატარაა და ვხვდავდი ყოველ ღამე ტირილით როგორ იძინებდა. იცით, რა არის შიში? ჩემს დას კი გამუდმებით ეშინოდა, რომ მამა მთვრალი დაბრუნდებოდა სახლში, ქამარს შემოიხსნიდა და ცემას დაგვიწყებდა. ბავშვი ჯერაც ვერ შეჩვევია თავის ახალ მდგომარეობას, მე კი პირიქით, ადვილად შევეჩვიე. თქვენ. აი, ერთი წელია, რაც გამოჩნდით, მამაჩემმა კი სმა დიდი ხნით ადრე დაიწყო. დაავლებდა ხელს ქამარს და მე და მირტას გამეტებით გვცემდა. ამით საშინელ ტკივილს გვაყენებდა. დედას კი მუშტებს ურტყამდა და საამისოდ არანაირი საბაბი არ სჭირდებოდა. ისიც კმაროდა, თუ წვნიანი ზედმეტად ცივი ან ცხელი მოეჩვენებოდა. დედა დილის სამ საათამდე თუ არ დაელოდებოდა, ან თუ შეამჩნევდა, რომ მას ტირილისაგან თვალები დასიებული ჰქონდა. მერე დროთა განმავლობაში, დედამ ტირილი შეწყვიტა. დღემდე არ ვიცი, როგორ ახერხებდა ამას, მაგრამ როცა მამა ურტყამდა, აღარ ტიროდა. ის მტარვალი ამაზე კიდევ უფრო ცოფდებოდა. დედა ამას ხვდებოდა და მაინც არ ტიროდა. როცა ის გაიცანით, უკვე ნატანჯი და დაბეჩავებული იყო, მაგრამ ოთხი წლის წინ ჯერ კიდევ. ლამაზი ქალი ეთქმოდა და ფიზიკურადაც ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩხუბისა



ჩანი ომი

ჩემი ომი ჩემი მაგიდიდან იწყება. საერთოდ, ყველა ომი ასე იწყება – მაგიდიდან. ოღონდაც, ჩემი ომი მაგიდაზევე მთავრდება. განსხვავებით, ვთქვათ, იმ სამი ომისგან, რომელიც ჩემმა თაობამ გამოვლო. ფაქტობრივად, სამივე სამოქალაქო ომი იყო, სამივე მოკლე, მაგრამ ფატალური. მართალია, მაშინ ძალიან კი მოვისხით მალთუსის მადლი, მაგრამ ეს შორი ამბავია და შორსვე დავტოვოთ. ჩემს ომზე უნდა მეთქვა. ომი კი იმისაა, რომ მასში მხოლოდ ერთი კაცი არ მონაწილეობს. ამიტომ ჩემი ომი მესახება, როგორც ჩემი თაობის ომი. და რაკი პოეზიის ფრონტზე მომინია კარვის დაცემა, ჩემი თაობის პოეტების საომარზე ვიტყვი ორ სიტყვას. ჩვენი გამოწვევა გლობალურ კულტურულ სივრცეში საკუთარი ადგილის მონახვაა. ძნელია! როგორ გინდა, ახლა ვინმეს ლექსი წააკითხო! საბჭოთა დროს, მეონი, უფრო ადვილი იყო, დაწერდი ლექსს, მავანი პარტიკრიტიკოსი რეცენზიას დაარტყამდა, თარგმნიდა მწერალთა კავშირი და მთელი საბჭოეთი წაიკითხავდა, ყოველ შემთხვევაში, იყიდა მაინც შენს ნიგნს. მერე ტირაჟები?! ათიათასობით! მართალია, ცენზურა უნდა გაგველო, მაგრამ ეს სხვა თემაა. ახლა კი, ამ ველური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც მთავარი დამრთი მომხმარებელია, როგორ გინდა, გააგონო შენი ხმა, მაგალითად, ინგლისელ, ფრანგ, ჩინელ საზოგადოებას (სხვათა შორის, მოსაწყენი მწერლები ჩვენც გვყავდა, მაგრამ ნობელი მაინც ვერასდროს ავიღეთ)! მხოლოდ აქ ყოფნა, აქ მოხარშვა შეუძლებელია, არადა, აქაც კი, ამ პატარა სივრცეშიც კი ჭირს მკითხველთან სათქმელის მიტანა, მსოფლიოს ვილა ჩივის?!
დასასრული 69-ე გვერდზე




და აყალმაცალის შემდეგ, როცა მამა ბოლოსდაბოლოს იატაკზე მოადენდა ბრაგვანს და ხვრინვასაც ამოუშვებდა, მე და დედა საწოლამდე ძლივს მივართვედით ხოლმე. მიცვალებულივით მძიმე იყო და ამ სიმძიმის თრევა ძირითად დედას უხდებოდა. ამ ავლადიდებიდან მე მისი ცალი ფეხი მეზარა, დათუთხნული შარვლით და ზონარგახსნილი ყავისფერი ფეხსაცმლით. ალბათ ფიქრობთ, რომ მამა ყოველთვის ასეთი იყო, მაგრამ მინდა გითხრა, რომ ის ამ მდგომარეობამდე დედაჩემის ერთ-ერთი ბიძაშვილის მუხანათურმა საქციელმა მიიყვანა. ვიცი, რომ ის კაცი მუნიციპალიტეტში მუშაობდა, მაგრამ რა ვერაგობა ჩაიდინა, ან რა სიბინძურეში იყო გახვეული, ამაზე არასოდეს არაფერი მსმენია. მაგრამ იმას კი ვხედავდი, რომ დედა მამაჩემს ყველაფერს პატიობდა. ალბათ, იმიტომ, რომ თავს გარკვეულწილად დამნაშავედ გრძნობდა თავისი ნათესავის საქციელის გამო, რომელმაც ქმარი ამ დღეში ჩაუგდო. თუმცა, მაინც ვერ ვხვდებოდი, ისეთი რა უნდა დაეშავებინათ მისთვის, რომ ლოთობა დაეწყო და დედაჩემი განტეგების ვაცად ექცია. ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, ასე თუ ისე ბედნიერები ვიყავით. აქ იმდენად ფულს არ ვგულისხმობ, რადგან მე და ჩემი და დაბადებიდან ამ სახლში ვცხოვრობდით და მამაჩემის ხელფასი არასოდეს არ გვყოფნიდა. დედა რალაც საოცრებებს სჩადიოდა, რომ ჩვენთვის საჭმელი ეჭმია და ხანდახან მაინც ეყიდა ახალი ტანსაცმელი. ბევრჯერ მშვიდობის ვყოფილვართ, შეგიძლიათ ამის წარმოდგენა? მაგრამ იმ დროს მშვიდი ცხოვრება მაინც გვექონდა, გასართობადაც კი დავყავდით. ვფიქრობ, ჩემს მშობლებს ერთმანეთი არასოდეს არ ჰყვარებიათ. ისინი ძალიან განსხვავებული ადამიანები იყვნენ. მამა ადრეც არ გამოირჩეოდა კარგი ხასიათით. შეეძლო შუადღემდე სძინებოდა, მერე კი როცა გაიღვიძებდა, არავის არ გველაპარაკებოდა, მაგრამ არ გვცემდა მაინც და დედასაც შეურაცხყოფას არ აყენებდა. ნეტავ, მთელი ცხოვრება ასე გაგრძელებულიყო! მერე ის ამბავი მოხდა და მამაჩემსაც ყველანაირად ბოლო მოელო. კეგლის ბარში დაინყო სიარული. სახლში შუადღამისას ბრუნდებოდა და არყის სუნად ყარდა. ბოლო დროს კი მთლად აუტანელი გახდა. ახლა უკვე

ყოველდღე სვამდა და მოსვენებას არ გვაძლევდა. დარწმუნებული ვარ, მეზობლებს ყველაფერი ესმოდათ, მაგრამ ამ ამბავში ჩარევა არავის უნდოდა. ალბათ იმიტომ, რომ მამა ფიზიკურად ძლიერი იყო და მისი ეშინოდათ. მეც მეშინოდა მისი, მაგრამ არა საკუთარი თავის, არამედ ჩემი დის და დედაჩემის გამო. ხანდახან გაკვეთილებსაც ვაცდენდი. სკოლაში სიარული არ მეზარებოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი შინ დავრჩენილიყავი და მედარაჯა. სულ იმის შიში მქონდა, რომ მამაჩემი დღისით სახლში მთვრალი დაბრუნდებოდა და დედას სცემდა... მე კი მისი დაცვა არ შემეძლო, ხომ ხედავთ როგორი გამხდარი და სუსტი ვარ, მაშინ უფრო პატარა ვიყავი, სახლში კი იმიტომ ვრჩებოდი, რომ პოლიცია მაინც გამომეძახა. შეიძლება იცით კიდევ, რომ ჩემი მშობლების ასეთ ურთიერთობას ხელს გარეშე პირობებიც უწყობდა. ვერ ვიტყვოდი ბებიები და ბაბუები ორივე მხრიდან მდიდრები არიან-მეთქი, მაგრამ საკმაოდ უზრუნველად ცხოვრობენ. მშვენიერი აივანიანი სახლები აქვთ. სააბაზანოში კი პირსაბანი და ბიდეც უდგათ. ყველაფერი რომ დამთავრდა, მივრტა ხუანა ბებიაჩემს წაიყვანა თავისთან. მე კი დედაჩემის დედა-ბლანკამ. ახლა ისინი გამუდმებით იმაზე დავობენ, ვისთან უნდა ვიცხოვროთ მე და ჩემმა დამ. ჩემი მშობლები რომ დაქორწინებულან, მათ ჩვენთან ყოველგვარი ურთიერთობა გაუნყვეტიათ, რადგან ამ ქორწინების წინააღმდეგი ყოფილან. (ვინ იცის, იქნება მართლებიც იყვნენ) იმიტომ ვამბობ ყოველგვარი ურთიერთობა განწყვიტეს-მეთქი, რომ თურმე დედა და მამა როცა დაქორწინებულან, მე უკვე ექვსი თვის ვყოფილვარ. ერთხელ ეს ამბავი სკოლაშიც წამომაცხეს და ისე გავბრაზდი, რომ ამის გამო ბეტოს ცხვირიც კი გაუტეხე, მაგრამ როცა დედას ამის შესახებ ვკითხე, მითხრა, ეს სიმართლეა.

ძალიან მინდოდა დაგლაპარაკებოდი. დიდ პატივს გცემთ, რადგან დედა ძალიან გაფასებდათ. მე ის მიყვარდა. ეს რა თქმა უნდა, ბუნებრივია, მაგრამ ამის თქმის საშუალება არასოდეს არ მომცემია. გამუდმებით შიშში ვცხოვრობდით და იმის დროსად გვექონდა, რომ მშვიდ გარემოში მოვფერებოდით ერთმანეთს. როცა ვერ მხედავდა, მალულად ვუყურებდი, ვაკ-

ვირდებოდი დედას და ვერ გეტყვით, რა გრძნობა მეუფლებოდა ხოლმე იმ დროს. ეს არ იყო არც სიბრაღე და არც თანაგრძნობა. ეს უფრო სინაზისა და სიბრაზის ნაზავი იყო. დიახ, სიბრაზისა, იმიტომ რომ ვხედავდი მას, ჯერ კიდევ ასეთ ახალგაზრდას და ჩამქრალს, ასეთ დათრგუნულს, იმ დანაშაულისათვის რომ ისჯებოდა, რომელშიც მისი ხელი არ ერია და იმ სასჯელს იხდიდა, რომელიც არ დაუმსახურებია. შესაძლოა, არ დამეთანხმოთ, მაგრამ დედა საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო. მამაზე ბევრად გონიერი. როცა ამაზე ვფიქრობ, მთლად მერვეა გონება. საშინელია იმის გაცნობიერება, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დედა ამ ცხოვრებას მაინც ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა. იმიტომ, რომ ვერც გაჭირვებამ, ვერც შეურაცხყოფამ და ვერც შიმშილმა მას ადამიანური სახე ვერ დააკარგვინა და მასში ეს ყველაფერი მხოლოდ მწუხარებად აღიბეჭდა. დიახ, სწორედ ასე იყო. ხანდახან თვალები ამოუშვავდებოდა ხოლმე და სწყინდა, როცა შეწუხებული ამის მიზეზს ვეკითხებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მუდამ რაღაცაზე ნაწყენი იყო, მაგრამ მე ყოველთვის კეთილგანწყობით და ალერსიანად მექცეოდა. თუმცა რას ვამბობ. ის ყველას მიმართ ასეთი იყო. თქვენი გამოჩენის შემდეგ კი კიდევ უფრო დაბეჩავებული და მარტოსული ჩანდა. შესაძლოა იმიტომ, რომ გრძნობდა, როგორი სხვაობა იყო თქვენსა და მამაჩემსა შორის ერთ საღამოს ცოტა შეაგვიანდა, თუმცა სახლში მამაზე ადრე ბრუნდებოდა. უცნაურად მიყურებდა. ისე უცნაურად, რომ მივხვდი, რაღაცის თქმა უნდოდა. დედა თითქოს მხოლოდ მაშინლა მიხვდა, რომ ჩემი ნდობა შეიძლებოდა, რომ მის გაგებას შევძლებდი. დარცხვენით მომიახლოვდა, გულში ჩამიკრა და გამიღიმა. მაშინ მისმა ასეთმა საქციელმა საშინლად ამაფორიაქა და ორჯერ თუ სამჯერ სამსახურიც კი გავაცდინე, (იმ დროს მაღაზიაში ვმუშაობდი) რომ გამეგო რაში იყო საქმე. მერე კი ერთად გნახეთ და კმაყოფილი დავრჩი. ზოგი ალბათ იტყვის, რომ უსამართლო ვარ. როგორ უნდა გამხარებოდა, რომ დედაჩემი მამაჩემს ღალატობდა?! მაგრამ გულახდილად შემიძლია გითხრათ, თქვენ სხვა ხართ, თქვენ ის გიყვარდათ და ეს ჩემთვის უკვე დიდი ბედნიერება

იყო. ბევრჯერ მინახიხართ ერთად და ამაში ეჭვი არ მეპარება. დედა იმსახურებდა სიყვარულს. ვცდილობ მამასაც გაუფგო, ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც ვცდილობ. იმიტომ რომ ვიცი, ვერასოდეს ვერ შევძლებ მის შეძლებას. ის მამაჩემია. მასხოსვს, როცა მე და მირტას გვცემდა და დედაჩემისკენაც მიიწევდა, მის მიმართ შიშთან ერთად თანაგრძნობაც მიპყრობდა. თანაგრძნობა მირტას გამო, დედაჩემის გამო და საკუთარი თავის გამოც. ჰოდა, ახლაც, როცა მან დედა მოკლა და ვინ იცის რამდენი ხანი მოუნევს ციხეში ჯდომა, ისევ იგივეს განვიცდი. თავიდან მიხდოდა, იქიდან არასოდეს არ გამოსულიყო, მაგრამ ერთი თვის წინ რომ მოვინახულე, გაკვირვებული დავრჩი. ახლა ბუნებრივად გამოიყურებოდა. იმას ვგულისხმობ, რომ ფხიზელი იყო. მიყურებდა და ხმას არ იღებდა. იქიდან რომ გამოვა, იმედი მაქვს, აღარ მცემს. თანაც იმ დროისთვის უკვე კაცი ვიქნები. შეიძლება ცოლ-შვილიც კი მყავდეს. მაგრამ ჩემს შვილებს მე არასოდეს არ ვცემ. თქვენ როგორ ფიქრობთ? მამა რომ არ გალოთებულყო, არც ის ჩაიდენდა ამას. ამაში დარწმუნებული ვარ. როგორ გგონიათ, იმ საღამოს მთვრალი რომ არ ყოფილიყო, დედას მაინც მოკლავდა, როცა თქვენს შესახებ ყველაფერი უამბო? ალბათ არა. ამის მერე უკვე ფხიზელს თქვენთვის ხომ არაფერი არ დაუშვავებია? ვფიქრობ, მამა მშვენივრად გრძნობდა, დედას ალერსი და სიყვარული რომ სჭირდებოდა. ის კი მას მხოლოდ სცემდა და სცემდა. დედა კარგი ადამიანი იყო. ეს ჩვენ ორივემ ვიცით. ამიტომაც რამდენიმე წუთის წინ, სწორედ აქ, ამ კაფეში რომ შემოხვედით, სადაც დედას ხვდებოდით, მე კი კაპუჩინოზე და გახუხულ პურზე დამპატიჟეთ, ვიგრძენი, რომ თქვენთვის ყველაფერი უნდა მეთქვა. დარწმუნებული ვარ, ჩემი მონაცემებიდან ბევრი რამ ახალი გაიგეთ. დედას ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარდა, მით უმეტეს საკუთარ თავზე. ახლა, თითქოს გულიდან ლოდი ჩამომხსნესო. კი, მაგრამ, თქვენ რაღა გატირებთ? დიახ, დედა მოკვდა და ეს სიკვდილი მისთვის ერთადერთი ხსნა იყო, რომ აღარასოდეს აღარ ეტირა.



ეს პრობლემა, მეტ-ნაკლებად, დიდ ქვეყნებსაც უდგას. უკანასკნელი პოეტი, რომელსაც მართლაც მთელ მსოფლიოში კითხულობდნენ, ჩარლზ ბუკოვსკი იყო. ისიც მხოლოდ (მართლაც რომ უძლიერესი) ლექსების გამო არ გამხდარა ასე აღიარებული, ბიოგრაფიაც ჰქონდა ისეთი, მიმზიდველი და სახიფათო – სვამდა, ჩხუბობდა, მექალთანე იყო, რამდენიმე ცოლი და უფრო მეტი საყვარელი ჰყავდა, პოპ-მუსიკის დედოფალი – მადონაც კი – მისი ფან-კლუბის წევრი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჰემინგუეი ჰყავს, თავის დროზე, ნაცემი (ყველას კი არ გამოუხტება ასეთი შანსი!).

მგონია, რომ დღეის ქართული პოეზია ყველაზე საინტერესო და ამავედროულად, სახიფათო ეტაპზეა. ინტერნეტით ნებისმიერი სახის ლიტერატურას ვეცნობთ, თანამედროვე პროცესებს ონლაინ-რეჟიმში მივყვებით... მაგრამ მკითხველი მაინც გვამარცხებს. ჯერ კიდევ ვერ შევძელით მისი გადამობირება. უნდა ვაღიაროთ, დიდი ჯიუტი ვინმე გამოდგა.

ომი კი გრძელდება. პოეტები წერენ, მკითხველები... მკითხველები ჯერ ტელეშოუებს უყურებენ. გასაკვირიც არაფერია. მკითხველს რეალური შეგრძნებები სჭირდება, რეალურად უნდა შეაშინო, რეალურად უნდა შეაყვარო, რეალურად უნდა მოკლა, რეალურად უნდა იომო!

ამასწინათ ამ თემაზე რადიოში ვსაუბრობდი და აქაც მინდა იგივე ვთქვა. ნებისმიერი მეტაფორა, რომელიც მათემატიკაზე ოდნავ ზუსტი არაა, უბრალოდ ცუდია და უნდა გადავადგოთ. დარწმუნებული ვარ, ასეა.

საათა შამუგია

ესპანურიდან თარგმნა
მაკა გოგოლაშვილი

თეატრი



ნათელა არველაძე

ლილი + მიშა!

რუსუდან ბოლქვაძე გამორჩეულია პიროვნული და სასცენო კულტურით. სცენაზეც და ცხოვრებაშიც მონეს-რიგებულია; შვენის სადა, მაგრამ მო-დური სამოსი; სამკაულსაც, თითქოს, მისთვის შეიქმნაო, იმდენად მოხდენი-ლად ატარებს. გემოვნება არც ყოველ-დღიურ ყოფაში ღალატობს და არც სცენაზე. პიროვნული და პროფესიული ღირსებაც ამშვენებს. ზეშთაგონების იმედად არ არის, გაცნობიერებული აქვს არამარტო ზოგადად პროფესიის არსი, ანდა კერძოდ სპექტაკლის მიზან-დასახულობა, ან თუნდაც, დამდგმე-ლის კონცეფციისა და საკუთარი მსო-ფელმხედველობის შეჯერების აუცილე-ბლობა, არამედ ყოველი მოვლენის მიზანი, მისი პერსონაჟის ადგილი, თუ ფუნქცია ამ მოვლენაში. თამაშობს აზრიანად, როლის საერთო მონახა-ზიცა და ყოველი ნიუანსიც გათვლილი აქვს. განსაკუთრებული სცენური სი-მართლე კი შინაგანი სხივით ანათებს, ამშვენებებს, გამოჰკვეთს მის ყოველ პერსონაჟს, რომელიც ასევე ზუსტად მიგნებულ, გაანგარიშებულ, გამ-თლიანებულ „ჩარჩოში“ ჰყავს ჩას-მული. მისი პერსონაჟების სათუთ შინაგან სიცოცხლეს მასშტაბს უქმნის გარეგნული პარტიტურის ფერადო-ვანი შტრიხები, გრაფიკული მონახა-ზის სიზუსტე და დახვეწილობა.

იმპროვიზაციული სითამამე, ბავ-შეური სილაღე, თამაშის ონავრობა გაჯერებულია გონების ურჩი „კონ-ტროლით“ – ასე თხზავს რუსუდანი თავისი გმირის სასცენო ცხოვრებას. მისი ყოველი პერსონაჟი ამ განონას-ნორებით გვიამბობს, წარმოადგენს, გვიჩვენებს სასცენო ამბავს, სადაც ყოველდღიური ყოფის დეტალები, თვით უაღრესად „წვრილმანი“ ხვეულებიც, შტრიხებიცა და ნიუან-სებიც შენიშნული და სცენაზე გად-მოტანილია ხელოვანის უმდიდრესი

პიროვნული გუმანით, გრძნობა-გო-ნების ტანდემით, რაციოს პრიმა-ტითა და ტექნიკის ფლობის უნარით. პიროვნული პასუხისმგებლობა მისი თამაშითაც შეიგრძნობა და თეატრში ცხოვრების წესითაც. მის თამაშში ჭიატებს სუბიექტური ჭვრეტისა და ობიექტური შეფასების შეჯერებით, ფართო მონასმისა და ნიუანსის მსუბ-უქი შენივთებით წარმოქმნილი ახალი მთლიანობა – კიდევ ერთი ადამიანური ბიოგრაფია.

რუსუდან ბოლქვაძე გაიარა ჩინებ-ული სამსახიობო სკოლა – **ლილი იოსელიანის** მონაფე, შემდეგ **მიხეილ თუმანიშვილის** სახელოსნოს, კინ-ომსახიობთა თეატრის, ერთმორწმუ-ნე გუნდის წევრი გახდა. 1978 წელს თბილისში არსებულისაგან განსხვა-ვებული თეატრი შეიქმნა, თუნდაც, თავისი განსაკუთრებული შინაგან-წესითა და თეატრში ცხოვრების წე-სით, ნიჭიერ მსახიობთა გუნდითა და გამოკვეთილი ინდივიდუალობის ლიდერით, რომელმაც უკვე მეორედ შესძლო თანამოაზრეთა გუნდის შე-დუღება. 1980 წელს ამ გუნდს რუ-სუდან ბოლქვაძე შეემატა. მან თავისი თემა, ფერი, ინტონაცია შეემატა დასს და საკუთარი ადგილი მოიპოვა იქ, სადაც მანესტროს თავის „მსახიობთა ორკესტრში“, ერთი შეხედვით, ყველა „ინსტრუმენტ-შემსრულებელი“ უკ-ვე შერჩეული ჰყავდა. რუსუდანი ად-ვილად შეერწყა დასს, რადგანაც საფუძველი საამისოდ უკვე ჩაყრილი იყო მის სამსახიობო, ჯერ კიდევ, ნორჩ გამოცდილებაში. ჩვენი დიალოგი ამ თემით დაიწყო.

* * *

„ნამდვილად ბედს უნდა ვუმაღ-ლოდე – თეატრალურ ინსტიტუტში ლილი იოსელიანის ჯგუფში მოვხვდი, მერე კი ბატონ მიშასთან გავაგრძელე

მუშაობა. ჩვენი ჯგუფის მეტყველების პედაგოგები იყვნენ **ლეილა კაპანაძე, გურამ სალარაძე**, ცოტახნით **თამილა ლასხიშვილიც** გვამეცადინებდა. ქალბატონი ლილი მეტისმეტად მომთხოვნია, უკომპრომისო, ზოგჯერ შეფასებაში დაუნდობელიც კი. ბევრი ვერ უძლებს მის სიმკაცრეს. შესაძლოა ამის მიზეზია, რომ თავდაპირველად ჩვენი ჯგუფი ხალხმრავალი იყო: 26 მსახიობი და რეჟისორი. მერე ჯგუფი გაიყო, ხოლო ქალბატონ ლილისთან ოთხმა მსახიობმა დავამთავრეთ და გავხდით დასის წევრები: **ნინო ბურდული, გიორგი პიპინაშვილი** და მე – ბატონ მიშას თეატრში, **მარიკა ჭიჭინაძე** – რუსთაველის თეატრში...”

რუსუდანი სიამაყით, სითბოთი, ოდნავი სევდითაც მიამბობს ინსტიტუტის წლებზე. მეხსიერებიდან ამოტივტივდა: პირველად მისი სახელი და გვარი მიხეილ თუმანიშვილისაგან მოვისმინე. მივლინებიდან ჩამოსულმა ინსტიტუტში მივკითხე. გაბრწყინებულმა მითხრა: „წამოდით, ნახეთ, როგორ მუშაობენ ლილის ბავშვები (ჩვენც ასე ვეძახდით: „ლილის ბავშვები“, „მიშას ბავშვები“), განსაკუთრებით რუსუდანი ბოლქვაძე და გოგა პიპინაშვილი. მეც მივდივარ, კიდევ უნდა ვუყურო, როგორ იქსოვება სცენური ურთიერთობები“. ჩვენ ერთად ვუყურეთ საკურსო სპექტაკლს, ჰაუპტმანის „მარტოსულს“. ვიხილეთ სტუდენტები როგორი გატაცებით, უნარით „ქსოვდნენ“ სასცენო ამბავს, ქმნიდნენ საგანგებოდ სათუთ და საკრალურ განწყობას. რუსუდანი განაგრძობს:

„ინსტიტუტში ბევრს ვთამაშობდით. რეპერტუარი გვექონდა მეტად მდიდარი: **ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი, ანტონ ჩეხოვი, მაქსიმ გორკი, შექსპირი, ჰაუპტმანი...** ვიყავი დედაც, ძიძაც, მაჭანკალიც, მოახლეც, შეყვარებულიც... მრავალი ტიპის, ასაკის, მდგომარეობის, განსხვავებული ხასიათის პერსონაჟები ვითამაშე, ანუ ვიცხოვრე მათი ცხოვრებით, როგორც ქალბატონ ლილის შეგირდმა. ბატონი მიშას სტუდენტის – **ნოდარ ბეგიაშვილის** საკურსო სპექტაკლში „ზიკოვები“, მოსამსახურეს ვთამაშობდი.


აკორდეონზე ვუკრავდი. ვსწავლობდი დაკვრას, მთელი დღე აკორდეონი მქონდა აკიდებული, ვუკრავდი და მთელი ინსტიტუტი შენუხებული მყავდა გაბმული ხმით. სპექტაკლი რომ ვითამაშეთ, ბატონი მიშა მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და მომილოცა. ეს დიდი წარმატების ნიშანი გახლდათ. მერე, როცა გრძელ დერეფანში მხვდებოდა, ყოველთვის გამორჩეულად მესალმებოდა. როცა განანიღების დღე დადგა, არსად გამანანიღეს. მალე ქალბატონმა **ქეთო ესაიაშვილმა** (კინოსახიობთა თეატრის დასის გამგე – ნ. ა.) დამირეკა და გადმომცა: ბატონი მიშა თავისთან თეატრში გთავაზობს მიღებასო. ასე აღმოვჩნდი 1980 წლის სექტემბერში დასის შეკრებაზე. პირველი ვიყავი „გარედან მოსული“, ანუ ბატონი მიშას შეგირდი არ გახლდით.

ბევრი რამ შეიძლება ნაიშალოს მეხსიერებიდან, მაგრამ ორი დღე ვერასოდეს ამოიშლება გონებიდან: „მარტოსულის“ პრემიერა ინსტიტუტის პატარა სცენაზე და პირველი დღე კინოსახიობთა თეატრში. როცა ბატონმა მიშამ წარმადგინა, მსახიობებმა ტაში დაუკრეს, ეს არასოდეს დამავიწყდება. ბევრს ინსტიტუტიდან ვიცნობდი. განსაკუთრებით მახსენდება **ზურა ყიფშიძის** გულთბილი შეხვედრა. პირველი როლი ამ სცენაზე ვითამაშე „ბაკულას ღორებში“. სპექტაკლი ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში დადგა ბატონმა მიშამ. მერე აქ გადმოიტანა, მაგრამ ცოტა რამ შეცვალა. გვიან „შევედი“ სპექტაკლში და რამდენიმე როლი ვითამაშე“...

განსაკუთრებული ბედი დაჰყვა ამ სპექტაკლს, სამ ათეულზე მეტი წელია, რაც თამაშობენ და არც აქტუალობა დაუკარგავს და არც გამოსახვის ფორმები „მოძველებულა“. მსახიობებიც ისეთივე გატაცებით თამაშობენ, როგორც პირველ დღეებში. რუსუდანი ჭორიკანა ჭინკას როლით დამამახსოვრდა. გაპრანჭული ჭორიკანა ხოსოლიანების ოჯახის ამბავს იუმორით, ხმაში გარეული სიმწრითა და დამცინავი ღიმილით გვიამბობს. ზოგჯერ სინანულიც, ბრაზიც, დაქაღნებაც, გამაფრთხილებელი ინტონაციაც გაკ-



ლილი იოსელიანი



მიხეილ თუმანიშვილი



ელენე
(„ზაფხულის ღამის სიზმარი“)

რთება მის ხმაში და სახეზე გამოისახება გაოცება, გაოგნება, სიმკაცრეც კი! სიცილისა და ცრემლის ზღვარზე დაატარებს მსახიობი პერსონაჟს, ირონიას გულთბილი შეფასება ენაცვლება, სიმკაცრეს – თანაგრძნობა, გაკილვას – შეგონება, გაკენწვლას – კვლავ ირონია და ასე ფერადოვანი შეფასებითა და ინტონაციით გვიამბობს ორი ჭორიკანა-ჭინკა ერთი კანცელარიისა და ბაკულას ღორების ამბავს. რუსუდან ბოლქვაძე ამ სევდანარევი კომიკური სიტუაციის კამერტონად აღიქმება პარტნიორთან, **ნინელი ჭანკვეტაძესთან**, ერთად.

– „რა მივიღე ლილი იოსელიანისაგან და რა მიხეილ თუმანიშვილისაგან?“ ქალბატონ ლილისთან ურთიერთობით გამომომუშავდა პროფესიული თვითშეგნება, თავგადაკლული შრომის უნარი, სიმართლის განსაკუთრებული შეგრძენებისადმი მიდრეკილება. სასცენო სიმართლე – უპირველესია, რასაც ის ნერგავს, ითხოვს, მოითხოვს!.. მან ჩანწება ჩემში პროფესიის ანბანი, თუ შეიძლება ითქვას, მასწავლა წერაკითხვა. ბატონმა მიშამ ლექსის თავისუფალი აღმოთქმის უნარი გამიღრმავა. მასთან გავაცნობიერე პროფესიის არსი, რომელსაც სტუდენტობის დროს, ქვეცნობიერად უკვე ვფლობდი. 16 წლის ასაკში, თუნდაც ოთხი წლის მანძილზე, რთულია პროფესიის სრულად გაცნობიერება, მის არსში გონისმიერი „ჩანწვდომა“, მისი სრულფასოვნად გათავისება, მაგრამ საამისოდ ნიადაგის მომზადება ძალზე მნიშვნელოვანია. ბატონმა მიშამ სისტემაში მოიყვანა ის ცოდნა, გამოცდილება, უნარი, რაც ჩემი პედაგოგისგან შევიძინე. გავვოცდი, როდესაც თეატრში სარეჟიტიციო დარბაზში დაფა და ცარცი შევნიშნე. მსახიობები ფორმულების სახით აღნიშნავდნენ თავიანთ მოსაზრებებს სასცენო ამბავზე, თხრობის ამა თუ იმ ასპექტზე, როლის ფუნქციაზე მთლიან სასცენო ქმედებაში და სხვ. ძალზე ზუსტი, ლაკონიური, პრაქტიკული იყო ეს სქემები. ისინი გაწვრთილნი იყვნენ და როცა კამათობდნენ, მაშინაც კი პრაქტიკულად შესაძლებელ ვარიანტებს იშველიებდნენ, მტკიცებ-

ულებებს მეტისმეტად ძუნწად, მაგრამ ზუსტად აყალიბებდნენ. თანდათან მივხვდი, ბატონი მიშა ჩვენში დამოუკიდებელ აზროვნებას, როლზე დამოუკიდებელ მუშაობას, თანაც კოლექტიური საქმიანობის უნარს წვრთნიდა, ამისკენ გვიბიძგებდა და ამისთვის გვამზადებდა. ამ კამათში, სპექტაკლზე მუშაობის ამგვარ პროცესში, ყველა იყო ჩართული, მთავარი როლების შემსრულებლებიც და ეპიზოდურისაც. ამიტომაცაა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა სპექტაკლები კარგად ვიცით. ჩვენ ხომ მისი კონსტრუქციის აგებაში, „მშენებლობაში“, „მოპირკეთებაში“ ყველანი ვმონაწილეობდით. თანაც, პრაქტიკულად ვიგებდით ჩვენი გმირის სამოქმედო არეალის ხვედრით წონას მთლიანი სპექტაკლისთვის. ჩვენ ერთობლივად ვაყალიბებდით კონცეფციას, დადგმის ზეამოცანას, შემდგომ კი ერთობლივად, პრაქტიკულად ვეძებდით საშუალებებს ამ კონცეფციის გამოხატვისათვის, აზრის ხორცშესხმისათვის. მოსაზრებათა რეალიზაციისათვის ვაგნებდით უმოკლესსა და უსწრაფეს გზას, რომ სასცენო ქმედება კონსტრუქციული, დინამიური, ლაკონიური და სახიერი ყოფილიყო.

ეს არის იდეალური ვარიანტი – იყო ლილი იოსელიანის შეგირდი და მიხეილ თუმანიშვილის დასის წევრი. ამიტომაც ვამბობ, რომ მე ბედმა გამიღიმა...”

გონებაში წამომიტივტივდა შენობის კედლებზე ბავშვების წარწერები. ჩვენ ასეთ ფორმულას შევქმნიდით: ლილი + მიშა. ბუნებით ორივე მასწავლებელია, გურუა, ერთი ძირის განშტოებაა. მიხეილ თუმანიშვილი არამარტო დამოუკიდებლობას აჩვენებდა ახალგაზრდა მსახიობებს, არამედ მათში აყალიბებდა როლის ავტორობის შეგრძნებას, პერსონაჟის „სასცენო ბიოგრაფიის“ შეთხზვის მოთხოვნილებას და ზრდიდა არა რეჟისორის კარნახის კეთილსინდისიერ შემსრულებელს, არამედ როლის ავტორს, სასცენო ამბის თანაშემთხვეველს, აქტიურ შემოქმედს, მარად მაძიებელ „მთხვეველს“, სასცენო იგავის გამომგონებელს! რეჟისორული თეატრის აქილევსის ქუსლი – მსახიობის ინერტულობა როლზე მუშ-

აობის დროს, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე – ამ სვლით დაძლეული ჩანდა. რუსიკო ბოლქვაძე სადღეისოდ ამგვარ არტისტად, როლის ავტორად გვევლინება. ამ თვისებით არიან გამორჩეულნი მიხეილ თუმანიშვილის შვირდები, მისი დასის ნევრების უმეტესობა.

რუსიკო აგრძელებს: „თუ შეიძლება ასეთი შეთანხმება, ასეთი თანაშემოქმედება რომ შემდგარიყო – ქალბატონი ლილი საფუძველს ჩაყრის, მყარად შექმნის საძირკველს, ბატონი მიშა კი მასზე კონსტრუქციას ააგებს. ეს იდეალური შემთხვევა მხოლოდ რამდენიმე მსახიობის ცხოვრებაში განხორციელდა. ამ თეატრის სამ მსახიობს გვერგო წილაღ.

რა განსხვავებაა მათ შორის? ლილი იოსელიანი თუ შეიძლება ითქვას, ცხოვრების გუთანში შებმული ხარია. ეს სიფრიფანა ქალი თავის თავში ატარებს ძალას, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სასცენო თხრობის, სასცენო „ცხოვრების გუთანში“. ის უფრო მოვლენის შიგნითაა, ღია ჭრილობასავითაა. ბატონი მიშა უფრო მსუბუქია, ჰაეროვანია, არტისტულია, მეტი ირონია, მეტი ელასტიურობა, მეტი დინამიურობაა მასშიც და მის სპექტაკლებშიც. ის მოვლენას გარედან დაჟინებით შესცქერის, დაკვირვებით სწავლობს, შიგნით კი ჭვრეტის სიმახვილით აღწევს. ქალბატონი ლილი კი შიგნითაა, გულისფეთქვას შიგნიდან უსმენს, თავის თავზე გადააქვს, სულს უბერავს, განიცდის, გულით დაატარებს, გამობატავს... ბატონი მიშა მივლენას გარედან შეიგრძნობს, შეისმენს, აისხლეთს, უმაღლ გამოაქანდაკებს მსუბუქად, რიტმით, ჩუქურთმით, ფერადოვნებით. ის განსაკუთრებულ გუმანს, მეექვსე გრძობას, მახვილ თვალს ფლობს.

ლილი – კლარნეტია, ალტია, მიშა – ვიოლინო“.

თვალწინ დამიდგა მანანა ანასაშვილის (ისიც ლილი იოსელიანის შვირდია) სპექტაკლი, „ბნელ ოთახში“ (1979 წელი). სამი ვოდვეილი იყო გაერთიანებული ერთი სათაურით – რაფიელ ერისთავის, ექსპორნის და ფრანგული, რომლის ტექსტი ალაღ-

გინა ლილი იოსელიანმა. სპექტაკლი მოხუცი ცოლ-ქმრის ურთიერთობის ჩვენებით იწყებოდა. რუსიკო და თაზო თოლორაია, სრულიად ახალგაზრდა მსახიობები, თითქმის ერთად შეზრდილ ცოლ-ქმარს განასახიერებდნენ. სრული ილუზია იქმნებოდა, რომ ერთად გატარებული ექვსი თუ შვიდი ათეული წელი მიძიმე ტვირთად ექცათ ორივეს. პირდაპირ დიალოგს ენაცვლებოდა თითოეულის შინაგანი მონოლოგი, რომელსაც ხმამაღლა გამოსთქვამდნენ: საყვედური, უმადურობა, გულისტკენა, ქილიკი, ირონია – ათასგვარი ფერები, ინტონაცია, შეფასება იფრქვეოდა სცენიდან. გაოცებას იწვევდა ცხოვრებისეული ნამდვილობისა და გამომგონებლობის ორგანული დაკავშირება, ნიუნანის ფერადოვნება და აზრის სიმახვილეც. რუსიკო და ფარფატება სცენაზე, ნანვეტებულ ცხვირს, თითქოს ყველაგან ჰყოფდა. ცნობის ნადილით შეჰყურებდა თანამეცხედრეს, წინასწარ იცოდა რას იტყოდა, რას მოიმოქმედებდა იგი, ამიტომაც, ირონიული ღიმილი აეკრებოდა პირისახეზე, კმაყოფილ მზერას დაატანდა რეპლიკას და ან მერამდენედ დაასწრებდა ქმარს სურვილის გამჟღავნებას. გვატყვევებდა გარდასახვის ტექნიკის ფლობაც, ცხოვრებისეული ნამდვილობაც, წრფელი განცდაც და გადამდები ონავრობაც. მათ შესრულებაში პერსონაჟების დისტანციური ხედვაცა და ორგანული მოქმედებაც ერთობლივად მჟღავნდებოდა. იუმორსა და აღტაცებას იწვევდა მათი იმპროვიზაციული სილაღეც, თამაშის სიმსუბუქეც, შეთხზვის ნიჭიერებაც.

განსაკუთრებული ძალით „აფეთქდა“ რუსიკოს ინდივიდუალობა და როლზე მუშაობის ეფექტურობა მეორე ვოდვეილში – „იჭვიანი“. ყმანვილი ქალის ჩამოქნილ სახეულს ამშვენებდა მოღური სამოსი. იასამანისა და ყვითელი ფერის შეხამებით შეკერილ კაბასა და ქუდს შნოინანდ ატარებდა. პენიანად გამოჰქონდა სამზეოზე მის ტასიკოს განებივრებული ბანოვანის მთელი ავლა-დიდება: უსაქმურობისაგან გაბეზრება, გახუნებული სულიერება, ერთფეროვანი ყოფისაგან თავდახს-



ღმერთსაც ესპრინან...

...აფეთქების ხმა სიკვდილის მომასწავებლად დაეუფლა ირგვლივს. მზეც მიმალულიყო ღრუბლის ნაგრილში. კვილი, კვენსა, ღრიალი, ხვენმა ტკივილად არეულიყო ერთმანეთში და წუხდა მთვარისფრად მოქცეული სამყარო...

იმ წელს გაბეზრდა საქონელი, ჭირნახულიც თავის თავში ჩაკვდა! ყვავ-ყორნები შავ-ფრიალებდნენ ცა-სივრცეში და კანკალებდა იმედო...

ქრისტეშობიდან დღემდე არასდროს ყოფილა, ალბათ, ზღვა ასეთი შავი და უცისფერო...

ყველა სადღაც გარბოდა, ზოგი იქით, ზოგი აქეთ, თავის თავს გაურბიანო თითქოს. ტირილსაც გასვლოდა ყავლი და ძალა... ძალღები არ ყფვდნენ და არც ყმუოდნენ.

ცატოტა ალგებს თავები დაეხართ, უფრო სწორად, ნანყვეტოდათ ნისლის მიჯნურა კენწეროები...

მუნჯი ალია თმაგაშლილი, მზერაარეული დაჰქროდა აქეთ-იქით და მუნჯური პეტელით იპყრობდა ისედაც გამოყრუებულ ქუჩას.

ჯანო ფოტოგრაფის ფოტოსალონის ჩალენილ ვიტრინაზე თვალწურა ხატის სახის მარჯვენა ნაწილილა კონწიალებდა. როგორ გვიყვარდა ამ სურათის ცქერა სკოლიდან მომავალ, ზურგჩანთიან კლასელებს. ჩუმად ვყვარობდით ხატის სურათს, დიას ფოტოს, რადგანაც ცხადში ნანახი არ გვყავდა საოცარი ხატია, რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, ჩვენი დედების თაობისა აღმოჩნდა...

ჭის წყალი არ დამალევიან ვენია ბებია, სისხლითაა დასვრილი! სასტიკია ომი, სისხლს ბინძურად და დამსვრელად აქცევს ხოლმე...

ჩვენც გავრბოდით, სადღაც გავრბოდით... დეკას დუქნის წინ

დასასრული 75-ე გვერდზე



მერკური და იუპიტერი
(რუსუდან ბოლქვაძე და გოგა
პიპინაშვილი)
(„ანფიტრიონი - 38“)

ნის სურვილი და მოყვარული მეუღლის რიდი. ნატიფი მოძრაობები, მანერული მეტყველება, ჟინიანი მზერა, მაცდური ღიმილი, კეკლუცად თავის რხევა, მიამიტად გაბუტვა, ბალღური ალტკინება – მარაოსავით იშლებოდა ეს თვისებები მსახიობის შეფასებებსა თუ რეპლიკებში. პერსონაჟის სასცენო ბიოგრაფია, ცოლ-ქმრული ურთიერთობები ნაქსოვი იყო მსუბუქად, ფაქიზად, გამჭვრავალედ. სახიერი დეტალებით, მაქმანის ჰაეროვნებით, ნოქტიურნის ტკბილზმონაგებით შესრულებული სასცენო ამბავი, იუმორთან ერთად, ირონიის შეგრძნებასაც ბადებდა. როლის გარეგნული პარტიტურა გრაფიკოსის სიფაქიზითა და რუდუნებით იყო გამოყვანილი. იმდენად მეტყველი, მახვილგონივრული, „მჭერმეტყველი“ გახლდათ მიმიკა, მზერა, მოძრაობები, იმდენად სახიერი გახლდათ მისი საქციელთა წყება, გრძობათა სინრფელე, კამკამა შინაგანი ნიუანსები, რომ როლის პლასტიკური მონახაზი მონოლოგის ოსტატურ კითხვას შეეტოლებოდა. თუნდაც სიგარეტის ქმრისგან მალულად მოწვევის ეპიზოდი რად ღირს.

„თეატრში ნათამაშები ყველა როლი მიყვარს, მათში ხომ ყველაფერი ჩავაქსოვე, რაც კი მომეპოვება, აქტიორული რესურსები, სული და გული მაქვს მხედველობაში. იმ სამი ვოდვეილის პერსონაჟები, რომლებსაც პირობითად ტასიკო შევარქვით, ახლაც ჩემი ორეული მგონია, სულ თან დამყვებიან სისხლ-ხორცეული ახლობლებივით. ახლა, როცა დავფიქრდი, გამორჩეულად ვიხსენებ იანგაროზასა და მერკურის. იანგაროზა ჩვენი შეთხზულია. **რეზო გაბრიადეს** სულ ორიოდ რეპლიკითა ჰყავს შემოყვანილი იანგაროზა. ჩვენ, ბატონმა მიშამ და მე, ერთად შევუქმენით იანგაროზას ბიოგრაფია, სამოქმედო არენა, ქორწილზე მთელი მოვლენა ავადგეთ მასზე. გამოვიგონეთ მისი ინდივიდუალობა, სიარულისა და ლაპარაკის მანერა. ერთ დღეს ბებიანემის კაბითა და დედაჩემის ფეხსაცმელებით გამოვიცხადდი

თეატრში და შევედი დარბაზში. ბევრს ეგონა, ბებიანემი დამეძებდა თეატრში და იფიქრეს, რა მოუვიდა რუსიკოსო. მერე სიცილ-ხარხარი ატყდა. ბატონი მიშა დაკვირვებით მიყურებდა, მერე ადგა, ნელა მომიახლოვდა, მომესალმა, დაიხარა, ხელზე მეამბორა, ხელკავით სცენაზე ამიყვანა, მოწინებით მექცეოდა, როგორც ხანდაზმულ იანგაროზას. როცა ვუჩვენებდი რას მივაგენი: როგორ შემოდის, რა აცვია, როგორ შეჰყურებს ახალდაქორწინებულებს მამჩის ბიუროში, ბატონი მიშა თავისებურად აფასებდა, პატარა დეტალს, შტრისხს უმატებდა, გრაფიკულ ნახაზს ნიუანსით ავსებდა... ასე თანდათან დაიბადა ჩემი იანგაროზა, რომელიც ბებიასავით ახლობელია, მიყვარს და მენატრება ისევე, როგორც საკუთარი ბებია, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდამეცვალა“...

რეზო გაბრიადის მიერ გადმოქართულებული **თორნთონ უაილდერის** „ჩვენი პატარა ქალაქი“ ბატონმა მიშამ 1983 წელს დადგა. გამოსახვის ფორმები – სათუთი, განწყობა – რექვიემი, კონცეფცია – ადამიანურობისაგან გაუცხოებული, შინაგანი გულისხმიერებისგან დაცლილი საზოგადოება. თეატრმა უნდა შეახსენოს, უნდა უჩვენოს მათ, რომ ცხოვრების გამძაფრებულ რიტმს, ყოფის წვრილმანებს ეწირება ჭეშმარიტი ადამიანურობა, სიტბო, შინაგანი კავშირი ახლობლებს შორისაც კი. როგორც ბატონი მიშა იტყოდა – „თეთრი წეროები მიფრინავენ, გვტოვებენ!“

რუსუდან ბოლქვაძე – იანგაროზა თალხი კაბით, მოძველებული ფეხსაცმლით, გაცვეთილი რედიკულით, დამფრთხალი გამოხედვით, „დაშლილი“, დაგრეხილი სხეულით, ფრთხილი ნაბიჯებით შემოდოდა სცენაზე. მთელი არსებით – დაჩიავებული სხეულით, უთქმელი სევდით, სახეზე ალბეჭდილი შიშით, უხმაურო გადაადგილებით – გამოხატავდა უბედურების წინათგრძნობას! იუმორთან ერთად, რაღაც მწუხრის მოლოდინი ეფინებოდა დარბაზს. როგორ ახერხებდა ამას მსახიობი – ეს მარადიულად ამოუცნობი, მიუგნებელი, გაუშიფრავი იდუმალე-

ბაა. ერთი კი ფაქტია, არტისტის სულის ხვეულებში, შინაგან სამყაროს მიუწვდომელ შრეებში, გონების უშორეს პერიფერიებში იმგვარი ლავაა ჩაგუბებული, რომლის ამოფრქვევა, გამონათება, დუღილი გრძნეული ძალით ატორტმანებს სასცენო სივრცეს, დარბაზს, თითოეული მაყურებლის გაყურსულ გრძნობა-გონებას. ეს ამოფრქვევა ზოგჯერ გრანდიოზული მასშტაბისაა და მეხთამეტხავის ძალმოსილებას შეეცოლება, მაშინ მაღალი ტრაგედიის გათამამებაა შესაძლებელი. ზოგჯერ კი ეს ამოფრქვევა შინაგანი სხივის, მთრთოლვარე სულთათნას, სულის აღმოთქმის იდუმალებას გვამცნობს. მაშინ გრძნეული და ფაქიზი, წმინდა და კამკამა რიტუალი სრულდება. აი, ამგვარი გრძნეული, იდუმალი, გამჭვირვალე რიტუალის შესრულებას შეეცოლება იანგაროზას სასცენო ამბავის წარმოდგენა მსახიობის მიერ. სულის ნატიფი მოძრაობა, შინაგანი მოუხელთებელი თრთოლვა, აზრის მიუწვდომელი რხევა ჩასმული იყო გარეგნულად დეფორმირებულ „ჩარჩოში“ და ეს შეუსაბამობა ბადებდა იუმორს, ირონიას, გულწრფელ ოვაციას. აქ პოსტმოდერნიზმის სიმახვილე და დაუნდობლობა უნებურად იჩინდა თავს. დრო, ეპოქა, თანამედროვეობა ამგვარი ნიუანსებით იჭყიტებოდა სასცენო ქმედებაში, თამაშის წესსა თუ იმპროვიზაციულ შესრულებაში. რუსიკო თუმანიშვილის თეატრის, „წმინდა თეატრის“ (პიტერ ბრუკი) ღირსეული არტისტია, მიხეილ თუმანიშვილის თეატრის ღირსეული წარმომადგენელი.

რუსუდანმა აღსარებასავით გამანდო: „მერკურის როლი, მისი მიღება, მისი თამაში – ცალკე თემაა, შეიძლება ითქვას, დრამატულ-კომიკურიც კი მსახიობის ბიოგრაფიაში. ორიოდ წლის წინ, როდესაც „ზაფხულის ღამის სიზმარზე“ დავიწყებ მუშაობა, პაკის როლზე ვოცნებობდი. ბატონმა მიშამ ელენეს როლი შემომთავაზა და უარი ვერ ვუთხარი, თუმცა ელენე თავიდან ვერაფრით გავითავისე. აი, პაკი კი, სულ თან მსდევდა. ბატონ მიშასაც ვუთხარი, მაგრამ აქ უფრო მჭირდები და ასე ჯობაო, მითხრა და ამით დავამთავრეთ...“

რუსიკოს ჩამოქნილ სხეულს ძალზე შვენიოდა გოგი ალექსი-მესხიშვილის გადანყვეტა: ღია ნაცრისფერი, აბრშუმის კაბა, მეტად „მარტივ“ თარგზე აჭრილი, მაგრამ კლასიკური ფორმით შესრულებული, რომელიც დახვეწილი მანერების არისტოკრატი ყმანვილი ქალის ფიგურას გამოჰკვეთდა და გემოვნების დემონსტრაციასაც ახდენდა. ელენე სევდიანი შეყვარებული და უარყოფილი ქალი გახლდათ. მისი როლის ზეამოცანა დემეტრიოს გულის მონადირება იყო და ამას ეშმაკური სიშმაგით, კეკლუცი თავდაჯერებითა და მიამიტი სიჯიუტით აღწევდა. ელენე კი არ დადიოდა სასახლის დერეფნებში, მოკირწყლულ ქუჩებსა თუ „დაბურულ“ ტყეში, არამედ დაჰქროდა. მაშინაც კი, როცა სავარძელში იყო მისვენებული, ან დემეტრიოს ელაპარაკებოდა, მისი გონება, სხეული, მთელი არსება – დაჰქროდა! ამ ქროლვაში იკითხებოდა ყმანვილქალური ალტკინებაც, შეყვარებული ბანოვანის სიშმაგეც, გახელებული თამაშის აზარტიც და... დაკვირვებული შემსრულებლის ზუსტად გათვლილი, ფერადოვანი და სახიერი გამომსახველობის სინატიფეც.

რეჟისორის მიერ შექსპირის ტექსტი, ანტიკური ეპოქის ათენი, კოსტიუმებიცა და აქსესუარებიც აჭრილი, კლასიკურ-მოდერნული, არქექტიპულ-თანამედროვე „სურნელით“ დაკავშირებული ჩანდა. ამ ბენვის ხიდზე თავისუფლად დახტოდა ონავარი ბაკი – რუსუდან ბოლქვაძე, ელენეს ჩინებული შემსრულებელი. ტექსტი და მისი გამოთქმის ფორმა, ეპოქა და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვე სცენაზე, ამაღლებული სიტყვა და მისი ადაპტაცია ამჟამინდელი რეკვიზიტით, იუმორს ბადებდა, ეპოქათა ზღვარს შლიდა და შეგნებული ეკლექტიზმის ორგანულობით პოსტმოდერნიზმის თვისებათა ანარეკლად აღიქმებოდა. დერომანტიზაცია, ამაღლებულის „ყოფით რეალიზმამდე“ დამდაბლება, მოვლენათა აჭრა, ფრაგმენტულობა, კლასიკური ტექსტის, სიტუაციის, თხრობის მანერაში თანამედროვე ინტონაციის, ფერების, საქციელთა რიგის ჩანვანა – კარგად იკითხებოდა რუსიკოს



მტრედები ეყარნენ. ბაიასფერი ფეხები აეშვირათ ცისკენ, არადა, ამ დუქანთან იპურებდნენ თავს და ზამთარ-სუსხსაც დუქნის იმედად ხვდებოდნენ ლულუნები.

მამაჩემმა დახოცილი მტრედები რომ ნახა, „ღმერთსაც ესროლეს კაცოო?!“ – ჩიალაპარაკა და აჩქარდა.

ჯიბილოს ბებიამ და ბაბუამ არ დატოვეს სახლ-კარი, რა დროს ჩვენი ახალფუძეობააო!

ბერნ შემოდგომას ცივი ზამთარი მოჰყვა, სუსხიანი და ყინვა-შინაური! ერთ კვირაში ხუთი კაცის მესაფლავედ წასვლა მომიხდა, სამადლო საქმეაო. ვაჰ, მაღლიც მოინაგრა ომმა...

დეკიას დუქნის წინ ფეხებით დაყრილი მტრედები და მამაჩემის ნათქვამი – ღმერთსაც ესროლეს კაცოო?! – გონებას მიმდულრავს...

ისე, რომ ვთქვათ, ომი – რისი ომია, თუ ღმერთსაც არ ესროლეს და სიკვდილი არ დაავანეს სულისგან გამოხანხალებულ წუთისოფელში!..

ლაშა გვასალია

თამამსა და იმპროვიზაციულ თამაშ-ში. ქოლგა, ტელეფონი, მოდური და ჰაეროვანი თავშალი რუსიკოს ხელთ მეტად ორგანულად და მეტყველად თამაშდებოდა. არტისტის მართალი გრძნობა და აზრის სიმახვილე ამ შეუსაბამობას ერთიანი ლოგიკით ჰკრავდა და როგორც რეალურ ნამდვილობას, ისე წარმოადგენდა.

– „როცა ჟიროდუს „ამფიტრონზე“ დაიწყო მუშაობა, განაწილებით ძიძის როლი მერგო. გავიდა დრო. რალაც მოხდა... ზამთარია, ორი დღე თოვდა. ჩვენ თეატრიდან შინისაკენ ერთად გავუდექით გზას. ახლოს ვცხოვრობთ. ჭავჭავაძის პროსპექტზე ტროტუარი მოყინულიც კია. მის მკლავზე ვარ ჩამოკიდული. უცბად, შედგა და მეუბნება – „მერკურის როლი უნდა ითამაშო“. გავვოგნდი! მასზე სხვა მსახიობი იყო დანიშნული, თანაც მეგონა მამაკაცს უნდა ეთამაშა აუცილებლად. ბატონი მიშა ჩერდება და დასძენს: „ხომ გინდოდა პაკის თამაში! ჰოდა, აი, ბურთი და მოედანი, იქროლე რამდენიც გინდა!“ სიხარულისაგან ხელი გავუშვი, მოყინულ ტროტუარზე ვხტოდი, ვსრიალებდი, ვცეკვავდი... ბატონი მიშა მიჯავრდებოდა: „რას აკეთებ, გოგო, არ დაეცე, ფეხი არ მოიტეხო!“ არაფერი მესმოდა, ბედნიერი ვიყავი, მასთან ხანგრძლივი რეპეტიციები მელოდა. გავხალისდი, მეგონა მთებს შევძრავდი. მასთან მუშაობა ბედნიერება იყო“...

ბატონმა მიშამ **ჟან ჟიროდუს** „ამფიტრონი-38“ 1994 წელს დადგა. მერკური იასამნისფერ მოსასხამსა და სხეულზე კოხტად მორგებული სა-

მოსით გამოგვეცხადა. მახსოვს, გალაკტიონის „დაბინდული ქლიავის ფერი“ ამეკვიცა. კაშკაშა იასამნისფერი ახლაც მერკურის ფერი მგონია, იმდენად ორგანულად იყო შერწყმული კოსტიუმის ფერი, მოყვანილობა, მსახიობის გრძნობათა ბუნება და მოქნილი მოძრაობები. იუპიტერის ერთგულ მაცნეს, ჭორიკანა მესაიდუმლეს, ლმერთების მსტოვარს, იასამნისფერ მერკური-რუსუდანს, ნიავის სიმსუბუქით, პიროვნული სიამაყით, რჩეულის დაჯერებით დაჰქონდა შეტყობინება იუპიტერსა და ალკმენს შორის, ანესრიგებდა მბრძანებლის სუმბურულ ვნებათაღელვას, დაკვირვებით ამზადებდა იუპიტერის დედამინაზე „დაშვების“ ცერემონი-ალს. მის თამაშში გაჯერებული იყო ზეციური ბინადრის „უსხეულო“ სიმსუბუქე და ჭორიკანა ბანოვანის ურჩისუბნადილი. ინტონაციისა და მოძრაობებშიც ჩანული გახლდათ ზებუნებრივი, ირაციონალური, ზმანე-ბასავით მოუხელთებელი და მეტისმეტად ყოფითი, ყოველდღიური, რეალური შესტი, საუბრის მანერა, მიმიკა, მზერა... ეს შენივთება, რეალურისა და ირეალურის შერწყმა, ჰაეროვანისა და მინიერის დამოყვრება ბადებდა იუმორს, გაოცებას, ნდობას მსახიობისა და მისი პერსონაჟის მიმართ. მითისათვის ზღაპრული საბურველის ჩამოცილება, მითის ინტერპრეტაცია, ინტელექტუალური დრამის პრიზმიდან შეფასებული ოლიმპოს ბინადართა ცხოვრება და დედამინის მცხოვრებთა ყოფა სცენაზე ადაპტირებული იყო მსუბუქად, ნატიფი დეტალებითა და გამომგონებლობის უსაზღვრობით. ასე თამაშობდნენ მსახიობები, ასე წარმოადგენდა იასამნისფერ მერკურს რუსუდან ბოლქვაძეც.

– „განსაკუთრებულად მინდა გამოვყო მოკარნახის როლი სპექტაკლში „დონ ჟუანი“. პრემიერა ჩინებულად ითამაშა **ლაურა რეხვიაშვილმა**. მე მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1985 წელს „შევედი“ ამ გამომგონებლობით აღსავსე დადგმაში. ვთამაშობ მარტოხელა ქალს, პედანტს, აი, თეატრის ჭიას რომ ეძახიან, სულ რომ ფუსფუსებს,

რეჟისორის თანაშემწე და იანგაროზა (გიორგი გეგეჭკორი და რუსუდან ბოლქვაძე) („ჩვენი პატარა ქალაქი“)



ყველაფერს რომ ამონებებს და ნამალევიად ბუზღუნებს. რეჟისორული გადაწყვეტით მოკარნახე გამუდმებით მიმართავს მაყურებელს, პირდაპირი კავშირი აქვს მათთან. ამოვირჩევდი ხოლმე ერთ მაყურებელს, ან ერთ ჯგუფს და უმეტესად მათ მივმართავდი, როცა ჟუჟანზე ვბრაზობდი, ან მასზე ვზრუნავდი. ერთხანობას გასტროლებზე ხშირად მივემგზავრებოდი ინგლისში, ესპანეთში, საფრანგეთსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. მონოლოგს იმ ენაზე ვამბობდი, სადაც ვთამაშობდი. უფრო მეტიც, გადავწყვიტეთ, რომ მოკარნახე ანტრატის დროს კულისებში არ გადიოდა, სცენაზე რჩებოდა, საუზმობდა და თან მაყურებელს ესაუბრებოდა. ზოგჯერ თავად მაყურებელიც გამომელაპარაკებოდა. დარბაზში დარჩენილები თვალს არ მაშორებდნენ. ასე შევისწავლე „საყველპურო“ ინგლისური, ფრანგული, ესპანური...

ვენესუელაში ერთი გაბურძღვნილი ყმანვილი გამომინაურდა, რეპლიკებს ისროდა. ანტრატის დროს ლუდის ქილა ვერ გავხსენი, მომანოდეო მანიშნა. გადავეცი. დანით ჩაჩხვლიტა და გადმომანოდა, გამომელაპარაკა, კითხვებით ამიკლო, ამდენი ფრანგული არ ვიცოდი და ვუთხარი, დამაცადე, ვსაუზმობ-მეთქი. გულიანად იცინოდნენ. სპექტაკლის შემდეგ მელოდა, კაფეში წავედით და დიდხანს ვუამბობდი საქართველოზე, ჩვენს თეატრზე, ჩვენს კულტურაზე. საერთოდ ბევრს მეკითხებოდნენ: საიდან ჩამოვედით, ვინ ვართ...

ბუენოს-აირესში აკადემიური თეატრის მდიდრულ შენობაში ვთამაშობდი. ანტრატის დროს ვსაუზმობ. ცნობისნადილით მიყურებენ. ბოლოს მომიახლოვდა ერთი შუახნის, მეტისმეტად რესპექტაბელური მამაკაცი, მომანოდა ნაყინი, ჯერ უარი ვუთხარი – ხმას ვუფრთხილდები-მეთქი. მერე არც აცია, არც აცხელა, რამპას გადმოალაჯა, ჩემს გვერდით მოკა-

ლათდა, ნაყინი გამომინოდა, გამესაუბრა, სულ მილიმოდა. ჩამოფხატული ქუდიდან სასაცილოდ მიჩანდა ყურები, სიცილით და სითბოთი ყური ამინია და ისევე ჩახტა დარბაზში. ასეთი თავისუფლება მომენონა კიდევ. ინგლისში მაყურებელი უფრო „აკადემიურია“, ასე ადვილად არ გაგიმინაურდებიან. თითქოს, ვერც მამჩნევდნენ. ასე რომ, მოკარნახის როლმა ბევრი მეგობარი შემძინა, თანაც პრაქტიკულად შევიგრძენი სასცენო თავისუფლება, დარბაზთან ასეთი უშუალო, გულ-ლია, სათუთი და თბილი კონტაქტის მნიშვნელობა. ამასთანავე, ამ ბუნებრივი კონტაქტით ბევრს ვიგებდი იმ ქვეყანაზე, ხალხზე, ადამიანებზე, კულტურაზე, სადაც ვთამაშობდი. ზოგჯერ რეპეტიციების გამო, შენობიდან ვერც გავდიოდით. ამ კონტაქტით ვიღებდი მნიშვნელოვან ინფორმაციას მასპინძლებზე“.

რუსუდან ბოლქვაძე ინტელექტუალია, განათლებული პიროვნებაა. შეუძლია არამარტო ამოხსნას ავტორის აზრები სტრიქონებს შორის, არამედ სიტყვის სასცენო ტრანსფორმაციის საიდუმლოსაც ფლობს და საკუთარი ხილვების რეალიზაციის საშუალებებსაც თავისუფლად აგნებს. დრო გადის, ბევრი რამ იცვლება ქვეყანაშიც, თეატრშიც, სცენაზეც, ბატონი მიშას სპექტაკლები („ბაკულას ლორების“ გარდა) ხან გამოჩნდებიან რეპერტუარში, ხან – არა. რუსიკოც ხან თამაშობს ელენეს, იანგაროზას, მერკურის... ხან არა! ენატრება მისი სისხლ-ხორციული ახლობლები – ნათამაშები როლები. ახლაც, სხვადასხვა რეჟისორების სპექტაკლებშიც, თამაშობს აზრიანად, გატაცებით; კვლავინდებურად ენატრება საინტერესო როლები. ოცნებობს, როგორც ყოველი მსახიობი, კარგ როლზე. ახლაც, ამდენი წელია, თან სდევს ერთი როლი... ანტიგონეს თამაში სწადია.



პრეზენტაციები



ხვარამზეს პორტრეტი
(ნანიკო ბურდულის ნახატი)

გვანცა ჯობავა

ხვარამზეობა –
„სულში ლექსის გადარჩენის დღესასწაული“

ჩარგლელი ხვარამზე სამუკაშვილი ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. იგი ვაჟიკა ნაკვეთაურს შეჰყვარებია და მიუგზავნია მთხოვნელები, თუმცა ქალს უარით გამოუსტუმრებია. ვაჟიკას სხვა ქალი შეურთავს, ხვარამზეს მშობლებსაც მდიდარი სასიძო შეურჩევით და მისთვის მიუთხოვებით ქალი. თუმცა ხვარამზეს ვაჟიკას სიყვარული გულიდან ვეღარ ამოულია. ერთ შემთხვევას იხსენებენ: „ერთ წვიმიან დღეს ვაჟიკამ ცხენით გაიარა თურმე ხვარამზეს სოფელში, იმათი სახლის ახლოს. ხვარამზეს მისი ცხენის ნაფეხურებისთვის ღობე შემოუვლია, რომ არ წაიშალოსო“ (თედო რაზიკაშვილი).

ამ ფშაველმა, საოცარი ნიჭით დაჯილდოებულმა მელექსე ქალმა თავისი ტრაგიკული ხვედრი ლექსებში გადმოსცა. ჩვენამდე ხვარამზეს მხოლოდ რამდენიმე სატრფიალო ლექსმა მოაღწია. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია „სიყვარული ვაჟიკასი და ხვარამზისა“ – შეყვარებული ქალ-ვაჟის ლექსად გამოთქმული დიალოგი. ხვარამზე თავად ამბობდა ვაჟიკას სათქმელსაც. ეს ადამიანები მე-19 საუკუნეში რეალურად არსებობდნენ.

„ვერცხლის თასადამც მაქცია,
რო ღვინით აგვესებოდი,
დაფერილი მქნა ნითლადა,
შამსვამდი – შაგერგებოდი;
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩაგედებოდი;
ანა მქნა ოქროს ბურთვადი,
კალთაში ჩაგეშლებოდი“.

ხვარამზე თავისი ლექსებით და ბიოგრაფიით ივრის ფშავში უფრო ცნობილი იყო, ვიდრე არაგვისაში და ამიტომ მიიჩნევენ, რომ ის ივრის ფშავიდან უნდა ყოფილიყო. მისი ლექსები ქალიკელ გორზამაულისაგან თედო რაზიკაშვილმა ჩაინერა. ხვარამზე ხომ თედოს და ვაჟა-ფშაველას დედის, გულქანის ტოლ-ამხანაგი იყო. ხვარამზეს ლექსები ილია ჭავჭავაძესაც ჩაუწერია საგურამოში ბაბაღე მინდოდაურისაგან, რომელიც არტნელი იყო და ილიასთან პურის მცხოვრად მუშაობდა. ვარაუდობენ, რომ ილიამ ბაბაღე მინდოდაური ლექსების „მისთვის მთქმელად“ ისე მიუთითა, რომ ლექსების ნამდვილი ავტორი არც იცოდა. თედო რაზიკაშვილმა კი

ფასდაუდებელი ღვანლი დასდო ქართულ სიტყვიერებას. მან არა მარტო ჩაინერა ჩვენამდე მოღწეული ხვარამზეს ათივე ლექსი, არამედ, ხვარამზეს შესახებ ბიოგრაფიული ცნობებიც შეაგროვა.

„თავის სულში სიყვარულს გადარჩენილი და ამ სიყვარულის ლექსებადმქცევი ქალის, ზოგადად ადამიანების დღესასწაული“, – ასე უწოდა „ხვარამზეობას“ ამ დღესასწაულის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა (ფშავის განვითარებისა და აღორძინების კავშირის გამგეობასთან ერთად), პოეტმა მარიამ ხუცურაულმა. „ხვარამზეობა“ წელს პირველად, 30 ოქტომბერს თიანეთში გაიმართა.

დღესასწაულზე შეკრებილები თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსმა, თავადაც მშვენიერმა პოეტმა, მეუფე თადეოზმა დალოცა. მან ფშავ მელექსე ქალს ცხოვრებული და საკვირველი, ბრწყინვალე, დიდი პოეტი, დიდებული ხვარამზე უწოდა.

როგორც ქალბატონმა მარიამ ხუცურაულმა განაცხადა, „ხვარამზეობის“ იდეის შთამაგონებელი ტრაგიკულად გარდაცვლილი მომღერალი თეონა ქუმსიაშვილი ყოფილა. ერთხელ მისთვის მარიამს შემოქმედებითი საღამოს მონაწილე შეუთავაზებია, რაზეც თეონას ცოტა ხნის შემდეგ მიუგია, ჩემი საღამო რა მოსატანია, მოდი, ხვარამზეზე დანეროვნე სცენარი და ვნახოთ, როგორი ხვარამზე ვიქნებოდით. სცენარი მართლაც დაინერა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე თეონას გარეშე. თუმცა მარიამ ხუცურაულმა თეონა, სხვა გარდაცვლილ ქართველ პოეტებთან ერთად „ჩვენგან წასულ ხვარამზეებად“ მოიხსენია და საღამო მისი სიმღერის ჩანაწერით გახსნა. ამის შემდეგ სიტყვა „ჩვენს შორის არსებულ ხვარამზეებს“ გადაეცათ. მათ შორის იყო პოეტი ელა გოჩიაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ „ჩიტები და პოეტები მართობაში უფრო კარგად გალობენ, პოეტები ასე უფრო სისხლიან და ტკივილიან ლექსს ამოიძახებენ ხოლმე“.

როგორც ღონისძიების მსვლელობისას განაცხადა, ფშავის აღორძინებისა და განვითარების კავშირის გადამწყვეტილებით მომავალი წლიდან ყოველწლიური, ახლად-

შექმნილი, გამოუქვეყნებელი ერთი ლექსის ლიტერატურული კონკურსი დაწესდება პოეტი ქალებისათვის და პრემიებიც გაიცემა. კონკურსი ხვარამზეს სახელის უკვდავსაყოფად და ქართველი ქალი პოეტების შესაგულიანებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. გაირკვა, რომ პროფესორი **თამილა გოგოლაური** მომავალ წელს კონკურსის პირველი ჟიურის თავმჯდომარე იქნება, მხატვარი **ლევან ხარანაული** კი პრემიისთვის სიგელებს გააფორმებს.

სიტყვა გადაეცა პოეტ **ტარიელ ხარხაურს**, რომელმაც ხვარამზეს თემაზე დანერგილი ლექსი წაიკითხა:

„მზეო, ამოდი, ეს ბნელი
ღამე დღედ ჩამოიძინე.
ბორგვას უმატებს იორი,
მთვარის სხივს მირჩევს ბილიკად,
სიმღერა ვცადე, გაჯავრდა,
ნამღერი გამიქილიკა,
მხარზე დამენთო ვარსკვლავი,
როგორც ხვარამზეს ლირიკა“.

მარიამ ხუცურაულის თქმით, „ხვარამზეობის“ დღესასწაულის სცენარის აკინძვამი დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა მწერალმა და პოეტმა **ნინო სადღობელაშვილმა**, თუმცა იგი არ ესწრებოდა ღონისძიებას და მის მიერ ხვარამზესადმი მიძღვნილი ლექსი „დაგვიანებული სიმღერა ხვარამზეს“ პოეტმა **მარიამ ნიკლაურმა** წაიკითხა:

„ვინც სხვაში კვდება და უქრება
სანთელი, ხვარამზე...
ვინც იის ღერვით ჩაჭკნება
სიყვარულის ბილიკში...
ვინც ძველი სიმღერით პირგახსნილ
განთიადს ალოკავს...
ამოვა ხვალაც მზე...
ამოვა ხვალაც მზე...“

ამის შემდეგ წარმოდგენილი იყო საგანგებოდ მომზადებული თეატრალიზებული დადგმა, რომელიც ხვარამზესა და ვაჟიკას ტრაგიკულ სიყვარულს ასახავდა. მსახიობებმა უამრავი ლექსი წაიკითხეს ხვარამზესა და ვაჟიკას სიყვარულის თემაზე. პოეზია და ქართული მთის ცეკვა-სიმღერა ერთმანეთს ენაცვლებოდა. რეჟისორ **ვანო ხუციშვილის** ხელმძღვანელობით დადგმულ წარმოდგენაში **ანსამბლი „მთიები“** და ახალგაზრდა მსახიობები – ვანო ხუციშვილის სტუდიის ალსაზრდელები მონაწილეობდნენ.

როგორც მარიამ ხუცურაულმა განაცხადა, სპეციალური მიწვევით, 2011 წელს ამ წარმოდგენას აჩვენებენ იქნება შვეიცარიაში.

„ხვარამზეობას“ ისევე წვიმდა, როგორც მაშინ, როცა ხვარამზემ ვაჟიკას ნაფეხურებს ღობე შემოავლო და ეს არაერთმა გამომსვლელმა აღნიშნა. მარიამ ხუცურაულმა განაცხადა, რომ ეს წვიმა ამ დღეს იმისთვის იყო საჭირო, რომ ამდენი

წლის შემდეგ ისევე გაჩენილიყო ნაფეხურები. ვაჟიკას იმ ნაფეხურებს კი „მზე ალბათ გადაშლის, ალბათ ქარიც წაიღებს, მაგრამ ეს ქარი მთელ ქვეყანას მოჰყვებს აი იმ ნაფეხურებიდან ადენილ მტვერს“. ხვარამზეს ძალიან ბევრი შთამომავალი ჰყავდა საქართველოში, არა გენეტიკური, არამედ მისი სულიერი შთამომავალი, „არ არის აუცილებელი პოეტი იყოს, ეს შეიძლება ვილაცამ სიმღერით თქვას. ნაფეხურებს რომ ღობეს შემოავლებ, უკვე ხვარამზე ხარ, ერთი ყვავილისთვის რომ ცხრა მთას გადაივლი, უკვე ხვარამზე ხარ, ხვარამზეობა ეს სულში ლექსის გადარჩენის დღესასწაულია“, – ამბობს პოეტი მარიამ ხუცურაული და იქვე არ ივიწყებს ვაჟიკას ცოლსაც, „ვაჟიკას ცოლის ლექსში“ გამოთქვამს ამ ქალის ტკივილსაც:

„ვინა ხარ ქალავ, ჩემ ქმარს რო
მთელ საქალეთად უღირხარ?
მოხველ ქალბნელი, დაგიხვდი
ქალთარაფერა, ქალმინა.
ვერცა ქალობით, ვერც თმენით
ხვარამზეობით გამისწარ...“

მომავალი წლიდან „ხვარამზეობის“ დღესასწაული ყოველწლიურად ზაფხულში, ივლისის ბოლო შაბათ-კვირას გაიმართება, უკვე არა თიანეთში, თუმცა თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არტანუში – იმ მიწაზე, სადაც ცხოვრობდა და ფიქრობდა მე-19 საუკუნის დასაწყისში ხვარამზე, სადაც დაიბადა, გაიზარდა და, სავარაუდოდ, სადაც მიაბარა უფალს თავისი უნაზესი და უნათლესი სული.

მარიამ ხუცურაული დაპირდა „ჩვენგან წასულ და ჩვენს შორის არსებულ ყველა ხვარამზეს“ და არა მხოლოდ მათ, რომ მალე „ხვარამზეს ბედზეც გამოიდარებს“.

მეუფე თადეოზი და მარიამ ხუცურაული



ტარიელ ხარხელაური – „აბელური სულის ადამიანი“



2 ნოემბერს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ ყველა თაობისთვის საყვარელ პოეტს, ტარიელ ხარხელაურს უმასპინძლა. პოეტის შეხვედრამ მისი ლექსის მოყვარულებთან გადაჭედვით დარბაზში ჩაიარა.

„ტარიელ ხარხელაური – პოეტი, რომლის გარეშეც ნარმოუდგენელია დღევანდელი მწერლობა“, – ამ სიტყვებით გახსნა საღამო როსტომ ჩხეიძემ. მან თავის გამოსვლაში ლიტერატურულ ასპარეზზე პოეტის პირველი გამოჩენა გაიხსენა. გაიხსენა მისი ტრიუმფალური გამოსვლები უნივერსიტეტის გადაჭედვით აუდიტორიებსა თუ დარბაზებში. ტარიელ ხარხელაური ოცდაათს იყო გადაცილებული, როდესაც მისი ლექსები პირველად დაიბეჭდა. დებიუტი ჟურნალ „ცისკარში“ შედგა და პუბლიკაციას რევაზ ინანიშვილის წინათქმა ერთვოდა. ჟურნალის ფურცლებზე პოეტის პირველ გამოჩენას სალიტერატურო წრეებში ხმაური და აღტაცება მოჰყოლია. „ტარიელის პირველი გამოჩენა იყო ცაზე მეხის გავარდნა“, – აღნიშნა მანანა ჩიტიშვილმა. ათეული წლები გავიდა და დამოკიდებულება პოეტის მიმართ, მისი „ნამდვილი ლიტერატურის“ მიმართ არ შეცვლილა. როსტომ ჩხეიძემ გაბრიელ ჯაბუშანურის სტრიქონი მოიშველია: „ვარ ერთი თასმა ვაყას ქალამნისაო“ და ის ტარიელ ხარხელაურსაც მიუსადაგა, ვაჟა-ფშაველას ქალამნის თასმა და მისი სულიერების გამგრძელებელი უწოდა მას, „არა მარტო მოუწია ცხოვრება იმგვარივე პირობებში, როგორც ვაჟა-ფშაველას, არამედ სულითაც ვაჟა-ფშაველას მემკვიდრე და მისი სულის ნაწილია“.

როსტომ ჩხეიძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა თანამედროვე ეპოქაში გავრცელებულ პიარ-ტექნოლოგიებზე, და აღნიშნა, რომ დღეს პოლიტიკოსების გარდა მწერლებიც თხზავენ საკუთარ თავზე ყალბ ლეგენდებს. ასეთ გარემოში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტარიელ ხარხელაურისნაირი წრფელი ადამიანები, რომელთა ყოველი სიტყვა სიმართლით სუნთქავს. „ტარიელის მეცხვარეობა იმავე სულისკვეთებითაა გამოწვეული, რა ჟინმაც აიყოლია თავის დროზე ალექსანდრე ყაზბეგი, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი მოჩვენებითობა, და იგი მთელი არსებით იყო ჩაფლული იმ გარემოში“.

საღამო ტარიელ ხარხელაურის ძალიან ცნობილი ლექსით „შენ, ჩემო დიდო ტკივილო“ და ამ ლექსზე დაწერილი სიმღერის ჩანაწერით გაიხსნა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ამ ქვეყნიდან ტრაგიკულად წასული ახალგაზრდა მომღერალი თეონა ქუმსიაშვილი ასრულებდა. ამ შემთხვევამ ეს ლექსი კიდევ უფრო ახლობელი, სულშიჩამწვდომი და ტრაგიკული გახადა.

შენ ჩემო დიდო ტკივილო,
დილაო – ავდრიანაო.
ძლივს აჩენილო ღიმილო,
ღიმილო – დარდიანაო.
შენ რომ ფიქრობდი, არც აგრე...
რომ ფიქრობ, აგრეც არაო...
ცეცხლი მოგედოს, ქალთა მზეც,
მეც შენთან მამრიალო...
მე თუ არ მეტრფის – დაინვას
თვალეზი – ნალვლიანაო.
შენ, ჩემო დიდო ტკივილო,
დილაო – ავდრიანაო.

„წერა ჩვეულებრივ დავიწყე, როგორც ყველამ, განსხვავებულად არა. ჩემთვის ჩუმი ვნერდი, მალულად, იმიტომ, რომ მრცხვენოდა ლექსის წერის. ჩემს ოჯახს არა ჰქონდა ლექსის წერის ტრადიცია. ვწერდი და თუ დედაჩემი არ დამეხმარებოდა, მე თვითონ ვხევი“, – ასე მიუგო პოეტმა დალია ბედიანიძის შეკითხვაზე როგორ დაიწყო წერა საღამო კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა, თუმცა ბატონი ტარიელი ყოველთვის ლექსებით საუბარს ამჯობინებს და ამჯერადაც ცდილობდა დასმული შეკითხვებისთვისაც ლექსებით გაეცა პასუხი. იყო უამრავი გამოცდილება, რომლებიც თავის შეხედულებას გამოთქვამდნენ პოეტის, როგორც შემოქმედისა და როგორც ადამიანის მიმართ. „ადამიანი, რომელიც ძალიან ჰგავს თავის ლექსებს“ – ამ აზრს თითქმის ყველა უყოყმანოდ დაეთანხმა. გამომსვლელთა შორის იყვნენ: ემზარ კვიციანიშვილი, რომელმაც კრიტიკულად მიმოიხილა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ ტარიელ ხარხელაურის ბოლო პუბლიკაცია, მანანა ჩიტიშვილი, ოტია იოსელიანი, რომელმაც ამჯერადაც კოლორიტული გამოსვლით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას, პოლიტიკოსი და ფილოლოგი ფიქრია ჩხრაძე, ეთერ თათარაიძემ პოეტისათვის 1978 წელს მიღწეული ლექსი წაიკითხა, ახალგაზრდა პოეტმა გიორგი არაბულმა კი მისი თაობის მწერლების დანაბარები გადასცა ბატონ ტარიელს: „ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ გვყავს ტარიელ ხარხელაური“. პოეტთან შეხვედრა კიდევ უფრო გააღამაზა მომღერალმა ლელა თათარაიძემ, რომელმაც ფანდურის თანხლებით მის მიერვე ტარიელ ხარხელაურის ლექსებზე დაწერილი რამდენიმე სიმღერა შესასრულა.

„ტარიელ ხარხელაური აბელური სულის ადამიანია, – აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ და დასძინა, – როდესაც კანმა აბელი მოკლა, იქ გადაწყდა, რომ ქვეყანაზე კანური ცივილიზაცია უნდა შექმნილიყო. აბელური სულს კი უნდა ეტრიალა, როგორც რომანტიკულ გამოვლენას, როგორც სწრაფვას ზეცისკენ. ეს გამოვლენებანი ყველგან ტრიალებს საბედნიეროდ და ტარიელ ხარხელაურისნაირი ადამიანები ამას თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ მთელი თავისი არსებით“.